ეროვნული ბიბლიოთეკა

319
ეს 1

მ ო ა მ ბ ე

ქ. ფოთის-ბათუმის ... წიგნთ-საცავი. საგრეგალდოების

თვიური ჟურნალი

წელიწადი: მეთორმეტე

№ I – 2

იანვარი, 1905

ტფილისი
[illegible]
1905

[illegible]

Дозволено цензурою, 4-го марта, 1905 г. Тифлисъ

ეროვნული
ბიბლიოთეკ

შინაარსი

83

I—ლუკმა-პურისთვის. — მოთხრობა იმერეთის ცხოვრებიდან.—თავი V—IX—ვ. მალაქიაშვილისა . . 1

II—ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები. —(უბის წიგნიდან) სასოებაძისა , ... 79

III—დანაშაული და სასჯელი.—(რომანი ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა, ნაწილი პირველი, თავი I—III. თარგმანი ინ-ანისა 85

IV—სევდა ამირანისა.—მოთხრობა მაქს რიგისა, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა. 134

V—პოლიტიკური რომანტიზმი.—კიტა აბაშიძისა . 1

VI—რუსეთის ცხოვრებიდან —ივ. ზ—შვილისა . . 49

VII—უცხოეთის ცხოვრებიდან, —ინდოელ ნაციონალისტთა მეოცე კრება.—რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.—მაკლენბურგელ დეპუტატის სიტყვა რეიხსტაგში.—უველისტები.—ვალდორფ-ასტორიმ.—ივ. ზ—შვილისა . . . 71

VIII—ნარევი.—ახალი საჭმელი მცენარე.—ახალი ნიკელი.—სპილენძი.—იაპონური ნავთი.—ქიმიის მონავალი. - ამწევი ანდამატი —უწინდელი წამლები.—ფაუსტი იაპონიაში.—მწერალთა უცნაურებანი.—ცხენის ხორცი.—რუსი ტყვეები იაპონიაში. უცნაური ბრძანება.—ლევ ტოლსტოის წერილი. . . 97

(იხილე მე-2 გვერდი)

ეროვნული
ბიბლიოთეკ

IX—**შინაური მიმოხილვა.**—რუსეთი 1904 წელს.—რუსეთ-იაპონიის ომი.—საღ არის მიზეზი იაპონიის გამარჯვებისა.—რას თხოულობს რუსეთის საზოგადოება და მისი პრესსა.—ჩვენი მდგომარეობა და საჭიროებანი.—ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.—თებერვლის 6—9 დღეები ბაქოში . 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმა ჰურისთვის

(მოთხრობა იმერეთის ცხოვრებიდან)

V

უ-უ-უ!.. უუუ! ჩაიგუგუნა საშიშრად შავის ღრუბლებით მობუდულმა ცამ და მრისხანედ გადმოეყუდა დედამიწას, რომელიც ციურ ცრემლებით განბანას წამდაუწუმ ელოდდა.

— ფუი, ეშმაკს, ფუი ეშმაკს! მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზო, შენ დამიცე და დამიფარე! —სთქვა მატამ და უცებ პირჯვრის ჩამოწერის შემდეგ საჩქ როდ შეუდგა საქმესა.

— დედი, დედი! მეშინია, მეშინია! —წამოიძახეს ბავშვებმა, რომელებიც მშობლებს ეხმარებოდნენ ჩალის აკონვაში, და დედას ამოეფარნენ.

— მომცილდით, თქვე გასასრესლებო!.. წმინდა გიორგი ეშმაკს დასდევს დასალახვრავათ, თვარა ჩვენ რას გვერჩის? უთხრა შვილებს მატამ.

— არიქა, არიქა! ვუჩქაროთ, თვარა დაგვლისოლდება ეს კურთხეული, —იძახდა იოსება, —არიქათ, მარჯვეთ, პეტერე დაგვრჩა კიდო, ჰო! წევე ჩხილით და კბილით მოწეული არ იყოს კიდო არ წაგვიხდეს.

შემოდგომის ცივი, ქვენა ქარი თითქოს თოკები დაეწყვიტოს, ისე დათარეშობდა და ფოთოლს შეყვითლებულ ხეებს თავს ახრევინებდა ერთმანეთისათვის, ვეებერთელა შავი ღრუბლები ჭექა-ქუხილით ელვარებრ მისრიალებდნენ აღმოსავლე-

---

*) იხ. „მოამბე“ № XII 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი და ხატი უწყრება? ისიცა კმარა, რომ მოსავალი შუაზედ გაგვიყო. ახლა მაინც გვაცალოს ამ ორი კონა ჩალის მილაგ-მოლაგება და სიმიდის გახმობა!.. ფუ, გლეხი კაცის სიცოცხლეს კიდო სიცოცხლე უნდა ქვიოდეს? მინდღეჩი გაძალლება, ყოველ წამს ლუკმა პურისათვის ცანცალ-ბარძგალი და რა გამევიდა? დარის ჩვენ გვეშინია, ავდრის ჩვენ გვეშინია, მიწის პატრონის ჩვენ გვეშინია; ყველეის, ყველეის: მამასახლისის, პრისტავის, ერის, ბერის, ღვდლის, მალაზვნის და, აპა, ვისი არ უნდა გვეშინოდეს, ვისი? ჩვენი თავისაც კი გვეშინია, თუ დროზე არ ვჭამეთ, მოვკვტებით! მერე, ამას ქვია სიცოცხლე?—ბუტბუტებდა გაგულიანებული იოსება და თან ჩალასა ჰზვინავდა.

— რა ვუყოთ, ხვთის ნებაა, ხვთის! იმ დალოცვილს ასე დოუწესებია ჩვენთვის და, აპა, რა ვქნათ! ჩვენს წინაპრებს ასე უქნიათ და ჩვენც ასე უნდა ვქნათ, — უთხრა მატამ.

— ხვთის ნებაოო, დოუჯინია! ხვთის ნება რო იყოს, იმიზა გამაჩინა, რომ იტანჯე და ღმერთი და კაცი აგინე და აძაგეო?.. დოუჯინია და იძახის!.. ღმერთი ბევრ რამეს გამოგიგზავნის, თუ ხელი არ გამეიღე!

რამდენისამე ხნის შემდეგ იოსებამ გაათავა ჩალის ზვინვა და ზვინის წვერიდან კიბით ძირს ჩამოვიდა. ის იყო შუა ტანის, ბეჭებში მოხრილი, ქერა წვერ-ულვაშიანი კაცი. რადგან დიდი ხანია მისს თმას მაკრატელი არ მიჰკარებია, თმაც სულ აბურძგვნილ-ჩაბურძგვნილი ჰქონდა. მზისგან დამწვარ გამწვირიანებულს კისერს და შემწვარ კიბოსავით ზაფხულში გაწითლებულს ზურგსა და ბანჯგვლიანს გულ-მკერდს ძლივს უფარავდა გამწვირიანებული ნარმის პერანგი. მართალია ნახევარზე მეტ პირის სახეს წვერ-ულვაში უფარავდა, მაგრამ, რაც უჩანდა, სულ მზისგან ჰქონდა გაშავებული. ცხვირზე რამდენსამე ალაგს ტყავიც ასძროობოდა. ხელები მუშაობისაგან სულ დახეთქილი და დაბებრებული ჰქონდა. მდუღარე წყალში რომ ჩაეწყო, ვერას იგრძნობდა; ნაკვერჩხალს ისე მოუჭერდა ხელს, ვერას გაიგებდა. ფეხები ხომ უარესს დღეში ჰქონდა: მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული, მგონი, ერთხელაც არ დაებანა საწყალსა. ერთი წყვილი წულები ჰქონდა იოსებასა და იმასაც წიოვაზე რომ წავიდოდა, მაშინ იცვამდა ხოლმე, თორემ საქმის დღეში იშვიათადა სცმია ფეხთა. თითქმის ორი წელიწადია, რაც წულა იყიდა, რადგან ზამთარში ღორის ქალამანი ასრულებდა მისს თანამდებობას. როგორც ფეხზედ, ისე ხელზედ ფრჩხილები მიწით ჰქონდა გამოვსებული. მისს ჩაფიქრებულს სახეზედ ყველაფრისადმი სიძულვილს წაიკითხავდით, ყველაფერს ეჭვის თვალით უცქეროდა. ხნით, მართალია ოცდა, ათ წლისაზე მეტისა არ იქნებოდა, მაგრამ მუდმივი შრომა და ჯაფა შუა კაცზედ მეტად აჩენდა. აჰხედ-დაჰხედა დაზვინულს ჩალას, მერმე ჩაყვითლებულს ცოლ-შვილს გადმოჰხედა, გაოფლიანებული შუბლი პერანგის კალთით მოიწმინდა და ნაღვლიანათა სთქვა:

— აი, ჩემი ამ წლის ნაწელ-გულები! ამიზა ვკვტებოდი და ცოლ-შვილიანათ სიცოცხლეს ვიძაღლებდი კაცი! აგერა, ნახევარ წელიწადია ჩემი სიკოდე ხეში მატლი არაა და ამის მეტი არაფელი დამრჩა! ფუ, რა ვუთხრა უსამართლობასა და ჩემს გაჩენასა?!

— რა ვუყოთ, ღმერთია მოწყალე! — დააიმედა ცოლმა.

— ბიჭო, დათიკო, მოუყარე ამ ჩალის ფურცლებს თავი! არ დასოლდეს, თვარა გაგათეებ, — დაუძახა გულ მოსულმა იოსებამ შვილს.

— ეგი მარტვე რას იზამს, ჩვენ თვარ მივეხმარეთ, — სთქვა მატამ და ჩალის გროვებას შეუდგა.

— დია, მეც ვიზამ, — სთქვა ერთმა ბავშვმა.

— მეც...

— მეც... — ცოტა ხნის შემდეგ მატამ შვილების დახმარებით შეაგროვა ზვინვის დროს დაცვივნული ჩალის ფურცლები და პატარა საბძლისაკენ წაიღო. რაკი წვიმა დაიწყო, იოსებაც სახლისკენ წამოვიდა.

— რა უნდა ქნას კაცმა, წროუნდელი მონაწევის მოიმედეს რამ უნდა მიშველოს? შარშან რამდენით მეტი მოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიე წროუნდელზე, მარა რა დღე დამადგა, გაისიზა რაღა იქნება ჩემი წამალი?—სთქვა იოსებამ.

— შვიდი გოდორი სიმიდე დოთოიისანიდან რო ვისესხეთ, იგი როიც უნდა მივცეთ?—ჰკითხა ცოლმა.

— კარგი რამეც გამახსენე! არა, წროულს რო შიმშილით დევიხოცებით, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც. აგერ სამი თუმნის სიმიდე ქე ვიყიდე, შვიდი გოდორი კიდო ნასესხები მაქვს და გაისათ, გონია, ასი მანათიც არ მეყოს! ნეტავი არც მომბრუნებოდა ეს დაწყევლილი წელიწადი, უბედურობის და სიმწარის მეტი არაფელი მოუტანია ჩემთვის!

— რავა, სხუმის როდის ვიყავით უფრო ბედნიერი? ასე მოვათრევდით სიცოცხლეს და ასევე უნდა ვათრიოთ!

ჰერანგის ამარა ბავშვები ხმაურობით შეცვივდნენ სალში და ჩაფშუტულ კერას მიუსხდნენ. იოსება უკანა კარიდან წინა კარებში გავიდა და დერეფანში ჩაფიქრებული ბოძს მიეყუდა. მატა ვახშმის მზადებას შეუდგა.

— თბილს აკეთებ რამეს, ქალო? ჰკითხა ქმარმა.

— არა, ქია რაცხა-რაცხა ცივები და რამე ნაირად ამას დავჯერდეთ ამაღამ...

— დია, ჭადი მშია!—შესტირა ბავშვმა დედას.

— მეც... მეც,—მოჰყვნენ სხვებიც.

— გეგერია ყველას გაწყვეტა და გასინსლა, რაცხას სხრიალობთ და ღმერთი გიწყრებათ! შეუტია დედამ.

— მომე!—მომე! ხან ერთი იძახდა, ხან მეორე.

— მოგცემთ, თქვე მუცელზე გასახეთქებო, მოგცემთ! კაცო, ვერ ეტყვი რამეს ამ ბალნებს, რომ თავში ტვინი ამომჭამეს! შენ მაინც რა ღმერთი გიწყრება, დათიკო, ხო ბალანე არა ხარ?!

— აპა, მშია და!..

— აი შე ყვიერო, შენა! რამ მოგაშივა ასე მალე მაგ ხელა კაცს? აგენს უნდა არიგებდე ჭკუაზე და თვითან გიწყრება ღმერთი?! მიაყვირა მამამ. ატირებული დათიკო კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა. ამ დროს აკვანში მძინარე ბალღმაც გაიღვიძა და მორთო ტირილი.

— პელანგია, ძღაბო! წოურწე იმ ბალანას! — უთხრა შვიდი-რვა წლის შვილს დედამ. პელაგია მაშინვე აკვანთან მივიდა და მტირალ ბავშვს ჩუმება დაუწყო. მერმე მატა მივიდა და წყელვა-კრულვით ჩაუდო პირში ძუძუ, თან აკვნის ხელზე დაეყრდნო.

ცოტახნის შემდეგ იოსება თავისის ოჯახით სუფრას უჯდა და ვახშამსა სჭამდა. სუფრა კერის წინ ედგათ. ჭრაქი უნათებდათ. ცივ ლობიოსა და მჭადის მეტი სუფრაზე არა მოიძებნებოდა-რა. ყველა მადიანად შეექცევოდა საჭმელს. ბავშვებს ჭამის დროს ჩხუბი მოსდიოდათ ერთმანეთში. მატა ცალი ხელითა და ფეხით აკვანს არწევდა, ცალი ხელით ვახშამსა სჭამდა.

— ჩემ ლობიაში ნუ აწეფ! — უყვიროდა ერთი ბავშვი მეორეს.

— შენ მეტს ნუ ჭამ! — უყვიროდა მეორე.

— დია, დია, შემიჭამა ლობიო დათიკომ, შემიჭამა! — წამოიძახებდა რომელიმე და ჯამით დედისკენ იწევდა.

— გაჩუმდით, თვარა დაგხოცეთ ყველე ერთათ! — ჰყვიროდა იოსება. მაშინ-ღა ჰკმენდდნენ ბავშვები ხმასა.

— ქალო, წყალი არაა? ლუკმა კისერში გემეკვეხა!

— მოუტანე, ბიჭო, თუნგი, იქინია მუხურში! რო კითხულობ, რა, ვერ გამეიხედავ თვითონ თვალში?

— დია, ლოგინზე აწუმს!

— უი ჩემი სიკვტილი, ქე გამავიწყდა ოხერი გობის დადგმა! გობი დადგი, გობი იქინე, ზე დაწვიმოს! სხოკან არ წუმს?

— რავა არ წუმს, მარა ისე იწუმოს, საგებ-სახურავს თუ არ დააწუმებს!

— ამ სახლს კიდო დახურა უნდა ამ ოხერს და რა ეშველება, რა ეხსნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, ნაახალოხევია იქინე ლოგინის თავში და მა-მიტანე! შემცივდა რაცხა! იოსებამ ჩაიცვა ძაფად ქცეული ჩითის ახალუხი და კერისკენ მიიწია. სუფრა აალაგეს.

— ეი, მაინძელო! —მოისმა ჭისკრიდან.

— ეი, იოსება! მოისმა კიდევ.

— დათიკო, გადი კარში, გახედე, ვინაა? — უთხრა შვილს იოსებამ.

— ვინა ხარ? —გასძახა დათიკომ,

— უი, ჩემი სიკვტილი ახლავე და ჩემი თვალების დაფ-სება! —წამოიძახა მატამ, —ბიჭო „ბატონოთქვა“ ვერ დოუძა-ხე, ჰა? ტყულა დეიარები კლაში? არაფერს სთალობ? რა მოსთვდება შენს ენას!

— ბატონო! —გასძახა მორცხვად დათიკომ.

— იოსებე სახლშია?

— კი, ბატონო!

— ბიჭო, გოგიელა? — იკითხა იოსებამ.

— გოგიელა, ხო!

— გოგია, ჩამოდი აქით, კაცო, რას გაჩერებულხარ ჭის-კარზე ამ წუმაში! — დაუძახა იოსებამ.

— მოვალთ, აპა?..

— არის კიდო ვინმე!

— კი, სიმონე და ნესტორე გახლავს.

— სხვები ვერ ნახე?

— ვერ ვნახე, საცხა წასულან.

— აქა შვიდობა, აქა შვიდობა! —სთქვეს სამივემ თითქ-მის ერთადა და სახლში შემოვიდნენ. სამივე ძალზედ დასვე-ლებულები იყვნენ.

— ბიჭო, სქამი მოუტანეს სტუმრებს!

მატამ სტუმრებს დაბალი სამფეხა სკამი მოართვა. მაგ-რამ ერთი დააკლდა და მაგიერად გოდორი დადგა. ბავშვები ფეხზედ იდგნენ და ისე უცქეროდნენ კერაში მბჟუტავს ცეცხლსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გლახა დროს დეიწყო ამ ოხერმა წვიმა!—სთქვა ერთმა სტუმარმა და კვამლს თვალი მოარიდა.

— აპა, გააჭირა ამ ოხერმა საქმე,—დაუმატა მეორემ და ყალიაონისათვის ცეცხლს ძებნა დაუწყო კერაში.

ქარი უარესად მძვინვარებდა; კოკის პირულად ასხამდა. საშინლად ბნელოდა. კერაში მბჟუტავ ცეცხლის ალი წამდაუწუმ აქეთ-იქეთ იხრებოდა და გარშემო მსხლომთ აწუხებდა. ოდნავ მბჟუტავი ჭრაქის მსგავსი თუნუქის ლამპა სახლის ერთს კუთხეს ძლივს ანათებდა.

— ან რა ვქნათ, კაცო, აპა, ახლა იმ საქმის?—დაიწყო გოგიამ.

— რა ვქნათ, რა? დავალაგეთ და წავიდეთ აწი: ჩალები დაზვინული გვაქვს და სიმიდი ჩატანილი სასიმიდეში,—სთქვა ერთმა მოსულთაგანმა.

— წავიდეთ, აპა, რაშავ ქალას მოვუცადოთ აქანე! ახლობამდი რა ხეირი გვაჩვენა აქ ყოფნამ, აწი რას გვაჩვენებს; ეგება იქინე მაინც ვეწიოთ რამეს!

— ბესოიე და ჯიბიეც მოვლიენ ხომ?

— კი, რავა არა, აპა, რა დღე ბედნიერს მიაჩერდებიენ აქანე?..

სამივე მოსულნი შუა ხნის კაცები იყვნენ, იოსებასავით ღარიბნი და წვრილი ცოლშვილის პატრონნი. ყველას ნათლად აჩნდა სიღარიბისა და დუხჭირი ცხოვრების ბეჭედი; ყველას ეტყობოდა, რომ წელში გატეხილნი იყვნენ და ლუკმა პურის ფრჩხილით და კბილით ძებნაში ატარებდნენ თავიანთს სიცოცხლესა. ყველა ფეხშიშველი იყო, გამწვირიანებული, გლახასავით დაბრანძული.

— ქალო, ეგება სადმე შრალი შეშაა? შამეიტანე და მოუძარი ამ ოხერ ცეცხლს, თვარა შეგვცივდა და კულამმაც დაგვარჩო,—უთხრა ცოლს იოსებამ.

— რა ვიცი ეს ოხერი, არც ეე მეგულეება იმისთანა რამე და,—სთქვა მორცხვათ მატამა და უკანა კარებში გავიდა.

— კაცო, რამდენი კონა ჩალა შეგექნა შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკ

— ორასი. შენ?

— სამასამდია, მგონია!

— შენ, სიმოკა?

— მე, კაცო, რა! წროულს თლათ სხვისი მუშა შევიქენი და ესაა, არც სიმიდი მაქ და არც ჩალა. მეგონა სადმე წავიდოდი და ყანები ცოტა ევიღე, მარა ვერსად წავედი და ქე დავრჩი ასთე! ასე რომ, თუ ძალიან არ ვიმარჯვე, ცოლ-შვილი შიმშილით დამეხოცება წელს, შობა დღეებამდი რო მეყოს წროუნდელი მოსავალი, კაი ბიჭობა იქნება... მჭამელი ოთხი ვართ!..

— კაცო, ამ ბახარხლებს რა ვუყო და რით ვარჩინო, თვარა ჩემს თავს არ ვჩივი! რო ეგენი არა, მე შიმშილით რო მოვკვტე, არ ვინალვლებ... აგენის ცოდვა დამასევს ზეზეულათ მატლებს, თვარა!.. სთქვა იოსებამ და ახალ დაბადებულ ყვავის ბახალების მსგავს შვილებს გადაჰზედა. ამასობაში მატამ ილლიით ჩალის ღეროები შემოიტანა და ცეცხლზედ დააწყო. ცეცხლმა უცებ იგრიალა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ისე ჩანელდა.

— რა ქნას კაცმა! ვმუშაობთ ვირივით და ჩვენ არაფერი გვრჩება! ან-და არაფელი მოდის ამ ოხერ მიწაზე. რო მიწები მივარგოდეს, ჩემი ნამუშევერი ერთ მოსახლეს დაარჩენდა...

— ესაა, რო მკლავს, თვარა...

— კაცო, ათი ქცევა მიწა დავამუშავეთ მე და ... ამ, ათი და, შეგვრჩა ბრინჯის ყვავილი; თოხის ქირა არ აგვიღია მამა და შვილს, თოხის. ცალკენ ამ ღამიდობამ გაგვიყო შუაზედ და ცალკენ ადგილის პატრონმა.— სთქვა ნესტორამ, რომელსაც ძალზედ მოხუცი მამა ეხმარებოდა ყანის თოხნაში.

ეე... ხა!.. ხა! ხა! წახანე ვთქვი, იმისი არ იყოს, ჩვენს სიცოცხლეს ათას წილათ სიკვტილი ჯობია, კაცო; რამდენი ძირი სიმიდე მება ყანაში, მგონი ?ყველეის ძირში თითო პეშვი ოფლი დავაქციეთ მე და ჩემმა ბალნებმა, წელში და გულში გავწყდი კაცი და სარჩო სიმინდი კი ვერ მოვიწიე!

ეგია სამართალი? კაცო, ბალნები მოვკალი შით თოხნიმ, თვარა სხვას ვინ ჩივა?

— რა ვქნათ, აპა, უშრომლათ რო არ ვარგვართ,—გააწყვეტინა ქმარს მატამ.

— ვერ ვშრომობდეთ, ჩემო მატა, კიდო ჰო, მარა საქმე ისაა, რომ ვშრომობთ და ჩვენ არაფელი გვრჩება,—უთხრა ერთმა გლეხთაგანმა.

— ამ ბოლო დროს მიწაც არ იძლევა მოსავალს, თვარა სხვას ვინ ჩივა; ჩააკვტები კაცი ქცევა მიწას და ორ ტაროს ვერ მეიწევ!.. სთქვა ნესტორამ.

ცოტა ხნით სიჩუმემ მოიცვა სახლი; წვიმამ უკლო.

— ხვარ გიწუმს, კაცო, სახლში?—იკითხა სიმოკამ.

— მიწუმს ეს ოხერი, აპა! ისლი დაძველდა და უნდა შოუმატო წროულს.

— დიდი ხნის დახურული ქე არის, იცი?

— კაი ხნისაა!

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა. მატამ კვლავ შემოიტანა ჩალა და ცეცხლი ააბრიალა.

— ხვადგების ბაგას აქანე გააკეთებ?—იკითხა ნესტორამ.

— ხო, აქანე უნდა გავაკეთო, აპა, სად მაქ სხვა ალაგი?—მიუგო იოსებამ.

— რამდენი სული გყავს?

— სამი! ერთი შვილივით გამონაზარდი მოზვერი ხო ი კაცმა წამართვა და იმის მუშა შევიქენი... სამართალიც ესაა!...

— აპა, კაცო, რა ქნეს ი კაცებმა და კიდო რას შობიენ? რას გვიპირობენ?! სადაა სამართალი, რომ ასე გვაჯირგალებენ,—სთქვა გოგიამ.

— მიქნეს კი არა, შუაზედ გამიყვეს ოჯახი, შუაზედ!—სთქვა და ღრმად ამოიოხრა იოსებამ.

— ოი, არ მიცეს საშველი და სახსნელი წმინდა ბასილმა ძალდიდებულმა, რავა მე იმან შვილივით გამოზდილი მოზვერი წამართვა,—დაიწყევლა მატა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— კაცო, რო ჩავალთ ახლა ფოთში, ამტონასთან უნდა ვიმუშაოთ, არა?

— აპა, სად, ჩვენებური ისაა და... კიდეც მოგვწერა...— სთქვა ნესტორამ.—ჩვენი კაცია, სხვებივით არ მეგვექცევა, არ გვიღალატებს!

— სხვასავით რავა გაგვწირავს, რავა გოუწყრება ღმერთი?—შეჰნიშნა გოგიამ.

— ოცდა ხუთ მანათის მოცემას გვპირდება თვეში, არა?

— ხო, ისე შამოთვალა,—უთხრა სიმონამ;—ბევრს კი გებულობს თურმე ის გაბერილი!

— თვარ გებულობდეს, არც იმდენს ქე გაასესხებდა, რო ასესხებს!.. ვინაა ჩვენში, რო მისი ვალი არ ქონდეს?

— სულ მუჭობით აგზავნისო თურმე ფულს!

— რა გითხრა, კაცო, და არც ქე აქებენ მაგას ფულის მიცემაში; ბევრს შოუჭამაო, თქვეს, —სთქვა გოგიამ.

— ჩვენებური კაციზა ჯერ არაფელი უქნია და ჩვენიდგან რავა დეიწყებს?

— ხო, ეს კი... მარა...

— რამდონი კაცი მეიწერა? იკითხა გოგიამ.

— რვაი.

პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ მატამ, რომლის კალთაშიაც ბავშვებს ჩასძინებოდათ, წყნარად იკითხა:

— როიც აპირობთ წასვლას?

— ამ ორ დღეში წავალთ,—უთხრა ქმარმა.

— დღეს პარასკევია და... ან კვირას უნდა წახვიდეთ, ან სამშაფათს! ორშაბათს გზავრობა არ ვარგა,—სთქვა მატამ.

— წევიდეთ აწი! ურჩია ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ამხანაგებს სიმონამ.

— კი, წევიდეთ,—სთქვა ნესტორამაც და ადგა.

— ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის! უსურვეს სამივემ და წავიდნენ.

— მშვიდობით გაყოფოთ ღმერთმა,—დაილოცა მატა და სტუმრებს გაჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოწმენდას აპირებს, მგონია!

— ისთე დაღუპავს ღმერთი და ხატი!

არ გაუვლია დიდხანს სტუმრების წასვლის შემდეგ, რომ იოსებას ოჯახი დასაწოლად ემზადებოდა. აიყვანა მატამ ორი დაძინებული ბავშვი და გამწვირიანებულსა და დახეულს საბანში გაახვია, თავი მუთაქაზედ მიუდგა. ლოგინის მეორე თავში ერთი წვირიანი ბალიში იდო; ეს მატასი და ერთი ბაშვის საწოლი იყო. იოსება დათიკოსთან ერთად მეორე კუთხეში წვებოდა. მათ ლეიბის მაგივრათ ჭილობი ეგოთ და საბნის მაგივრათ ნაბადი და დაძველებული ტანისამოსი ეხურათ.

— ფეხის დაბანა არ გინდა?—ჰკითხა იოსებას ცოლმა.

— ისე დაღალული ვარ, რო არაფლის თავი არა მაქ, დამანებე თავი!

— აპა, ისე რა?!

— კაი, დამაძინე!

ცოტა ხნის შემდეგ ყველას ტკბილად ეძინა.

დილა მშვენიერი გათენდა. ნაშუადღევს ქვენა ქარი ზენათი შეიცვალა და დასველებული მიწა გააშრო. ღრუბლის ნატამალიც აღარ მოიძებნებოდა ცაზედ, მხოლოდ შავის ზღვის პირად იყო მოლურჯო ცის გუმბათი. ამომავალი მზე მორცხვად ჰფენდა თავის სითბო-მოკლებულს სხივებს არე-მარესა. ბუნებაც ასრევე უხალისოდა და უსიცოცხლოდ ეგებებოდა მას. ეტყობოდა ყველაფერს, რომ ზაფხულის მოშორება და სუსხიან ზამთრის მოახლოვება არ უხაროდათ.

— ქე არ გამოუდარებია, კაცო?—უთხრა დილაზე მატამ ქმარს.

— ბიჭო, დათიკო, კლაში არ დაგიგვიანდეს, შვილო!

— ადი ზეით! მიაძახა დედამ, რომელიც საქონელს უშვებდა საბალახოთ.

— გარადენე მალე ხვადგები, ეგება რამე მეიჭამონ, ნაფსთვლებია, ერთი რო გაძღეს, წელი გასრულებული ჩაყობა ზამთარში,—უთხრა იოსებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— დათიკო წავა კლაში და გეიტანებს! დათიკო, დია, ადი, მალე ქენი, დაგაგვიანდება! ხვადგები კიდო ქე გარეიძ-ღვანიე, კაი საბალახოზე მიდენე!

ციებისაგან გაყვითლებული, თმა აბურძგვნილი, წელ-შიშველი თავ-შიშველი, ფეხ-შიშველი დათიკო თვალებს იფ-შვნეტდა და წუწუნებდა.

— ჭადი გინდა ეგება, შვილო? იქინეა კოდის თავზე! — უთხრა დედამ.

— სადაა, პეტერას ვჭამ! სთქვა წუწუნით დათიკომ.

რამდენიმე ხნის შემდეგ დათიკომ რაღაცა დაიკაკალა, სარტყლის მაგივრად რაღაცა ნაჭინჭევი შემოირტყა წვირიანს ნარმის პერანგზე, თავზედ შემოხვეული ყაბალახი წამოიდო, წიგნებიანი ჩანთა გადაიკიდა, ხელში წკეპელა აიღო და ფეხ-შიშველი დაედევნა საქონელს.

— პირჯვარი დეიწერე, შვილო, და ისე წადი; წალმა მობრუნდი, — ასწავლა დედამ.

— ღმერთო, შენ უწინამძღვრე ჩემს ქმარსა და შვილს, ხელ-აპყრობით სთქვა მატამ და ქმარშვილი ღმერთს შე-ავედრა. ასე ლოცავდა მატა ქმარშვილს ყოველ დილას. რა-მდენს რეკვასაც გაიგონებდა, იმდენს ხელებს აატოტინებდა. დათიკოს სკოლაში წასვლისას ყოველ დილას წალმა დააბრუ-ნებდა, პირჯვარს დააწერინებდა და ისე გაუშვებდა.

იოსებას ერთ ოთახიანი, შავი ფიცრის, ისლით დახურუ-ლი სახლი ჰქონდა. სახლის შუა ალაგას კერა იყო, იქეთ-იქით კედლებთან პალოები ესო და ზედ ლოგინის ფიცრები ეწყო. ლოგინის ერთ თავში, კედელთან კიდევ ორიოდე ნამ-ზითევი ბალიში და საბანი იყო მიკუნჭული, რომლებსაც ხა-მის ზეწარი ჰქონდა ვითომ მიფარებული. სახლის ერთს კუ-თხეში ყოველ წელს, ზამთრობით, საქონლისათვის ბაგა ჰქონ-დათ. სახლში ყველაფერი გაშავებული იყო კვამლისაგან, სხვენზე და „ოჯინჯალაზე“ ჭვარტლი ჯინჯილებივით ეკიდა. სახლში ორიოდე ქვაბი, კოკა, დოქი და კეცი აქა-იქ ელაგა. საფქვილე კოდზე სუფრა იდო, ზედ სუთ-ჩოკანიანი კალათი ეკიდა. სახლის „ლაფარეში“ ჩოხის საქსოვი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წურბლებივით შემოეხვივნენ მატას თმა-აბურძგვნილი, ჩამწვირიანებული და ფეხ-შიშველი ბავშვები. ყველა გაყვითლებული იყო; ყველა ერთად საჭმელს თხოულობდა. ვერც ერთის დაჩუმებას და დაწყნარებას დედა ვერ აუდიოდა. ძუძუთა ბავშმაც აკვნიდან მოძახილი გაუბა უფროსებს!

— აი, გაგირიოს ღმერთმა ყველას გაჟუჟვა და გაწყვეტა რათ არ დეიქცა ის საათი, როცხა თქვენ გამიშთით! იძახოდა გაბრაზებული მატა, რომელსაც ხელში ცოცხი ეჭირა და სახლს ჰგვიდა. მართალია უკიდურეს გაჭივრებისა გამო შვილების გაწყვეტას შეთხოვდა ღმერთს გაჯავრებული, მაგრამ გულში-კი იმეორებდა: „ღმერთო, ნუ გამიგონებ მე უგუნურსაო“.

— რა მიქნა იმ დალოცვილმა ღმერთმა? რეიზა გამიჩინა ამდონი მაწვალებელი და გულის შემღამებელი. არ მეყოფოდა, რაც გაჭივრება მქონდა, ამბობდა სასოწარკვეთილი.

— დია, მშია!.. მშია!..

— მშია!..

— რა გაღივლებენ! არ შეგარგონ არც ერთს არც ნაჭამი და არც ნასვამი! გასქდით, გაგჯით მუცელზე!

მატა შუა ტანის ქალი იყო. ერთს დროს მაგასაც ლამაზ ქალათ მოჰქონდა თავი, მაგრამ დღეს უკიდურესმა სიღარიბემ, ექვსმა შვილმა და უბედურობამ მთლად გასტეხა წელში და მოშალა ადამიანი. ქალიშვილობაში, ე. ი. ახალ გაზრდობაში, სიწმინდე და ოჯახის გაპატიოსნება სულსა და გულს ერჩია მატას, მაგრამ სიღარიბემა და მუდმივმა გაჭირვებამ ყველაფერს შეაჩვია. მართალია, გათხოვებამდის წვირიანი ტანისამოსი და უწესრიგო სახლ-კარი ჭირივით ეჯავრებოდა, მაგრამ დღეს უკვე ყველაფერს შეჩვეულია; თოთხმეტის წლის ქმარშვილობამ ყველაფერი შეათვისა. ოჯახის გაძღოლა, ქმარშვილის დარეცხ-დაბანვა და მოვლა ყველა ვერ აიტანა ერთად, ყველაფერი ვერ შესძლო კარგად. მოცალება და დროც რომ ჰქონოდა, საპონს ვერ მოულობდა სარეცხისათვის. დიდიხანია მისს ფეხს არა სცმია-რა, ოდესლაც ნასყიდს „პოლსაპოშკებს“ ობი უფუჭებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

როგორც იქნა, დააწყნარა მატამ ბავშვები. იოსება ეზოში რაღაცას აკეთებდა.

— ძღაბო, პელანგია, აწი არ დეიწყეფ სთას? რას უყურებ? ჩემ კალათაშია „ნაგულე“ და ამეიღე და სთი! უთხრა მატამ შვილს.

— ჩემ ჩერიი სადაა? — იკითხა პელანგიამ.

— რა ვიცი მე შენი ჩერიი! გუშინ რო შეავსე, მერე რო უყავი? ეგება კალათაშია!

— არაა აქანე!

— დეეძიე, იქნება სამე! აპა, ფხრებს გამეიბამდა თუ! მე „ნაწვერე“ გამომატანე, ნაწვერე! ვუჩქაროთ, ეგება დროიზა გავაკეთოთ, ორ კაპეიკს შევაბლობთ ხელს!

მატამ ძუძუმწოვარი ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და დერეფანში მიწაზე დასვა. ბალღს ყვითელი ფერი ედო, თავზედ აგერ-ეგერ ღინღლის მსგავსი, ჭუჭყისაგან გადალესილი თმა ეყარა, რომელშიაც მკბენარსაც საკმაოდ ჰნახავდით. მთელი სხეული ბავშვს მწვირიანი და დიდი ხნის დაუბანელი ჰქონდა; ძაფათ ქცეულ პერანგს ხან ერთ პირზედა ხმარობდა, ხან მეორეზედ. საკვირველია სწორედ, რომ ჩვენს გლეხობას ბავშვები კიდევ ეზრდება და სხვა-და-სხვა ავადმყოფობა არ უჟლეტს. რა სენი და ავადმყოფობა არ უნდა გაუჩნდეს ან ბავშვსა და ან მისს უფროსს, როდესაც ასეთს უსუფთაობასა და ჭუჭყში ატარებენ თავის სიცოცხლეს. სხეულიდან დაწყებული რაა რომ სუფთად აქვს ჩვენებურს გლეხს? ისე შეჰზრდია და შეჰსისხლხორცებია ამ უსუფთაობასა, რომ ვერც-კი წარმოუდგენია, თუ სუფთად ცხოვრება შეიძლება. მანამდის საცვალს არ გამოიცვლის, სანამ ჭუჭყი მთლად არ შესჭამს, და სახლშიაც ასეთივე უსუფთაობა აქვს ყველგან.

— სთი ძღაბო, სთი! — მიაძახა მატამა და დედა-შვილმა მატყლის რთვა დაიწყეს.

ჩოხების კეთებას თითქმის ყველა ოჯახი მისდევდა იოსებას სოფელში. ძვირი იყო ისეთი მოსახლე, რომ წელიწადში რამდენიმე საჩოხე შალი არ გაეკეთებინა. მხოლოდ აბრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუმის ჭიის მოყვანის დროს მოუცლელობის გამო თუ შეაყენებდნენ ხოლმე ჩოხის კეთებას, თორემ ძვირად ჰნახავდით ისე ქალს, რომ ან მატყლი არ ერთა, ან არ ეჩეჩა. თუ ოჯახში რამდენიმე ქალია, საჩოხე შალი უკვე ერთ კვირაზე მზად არის: პარასკევს ნაყიდი მატყლი მეორე პარასკევს უკვე შალია და პატრონი „ჩემი ნახე! ჩემი ნახე“-ს ძახილით აწოდებს ურიებს. რასაკვირველია, ასე უცებ მომზადებული შალი კარგი თვისებისა არ იქნება, მაგრამ რაკი დიდს ცოდნასა და ხელოვნებას არ მოითხოვს, ყველა ეტანება. რაც მისს მომზადებას შრომა და ჯაფა უნდა, იმდენს მოგებას-კი ვერ იძლევა და მუშა ხელსაც ვერ ისტუმრებს, მაგრამ სილარიბე რას არ აქნევინებს ადამიანს. მთელი კვირის განმავლობაში სამი-ოთხი ქალი აკვდება შალის მომზადებასა და დიდი დიდი სამი-ოთხი აბაზი მოიგონ. ესეც დიდად დიდი საშუალებაა გლეხი კაცისათვის, რომელსაც არასფერი სხვა შემოსავალი არა აქვს; ეს რომ არა, სიცივით დაეხოცებოდა ცოლშვილი. საცოდავი სანახავია უბედური გლეხი, როდესაც ზამთარში არასფერი სამუშევარა არა აქვს და ჩანელებულ ცეცხლის წინ სიცივისაგან ხელ-ფეხ-თავ-პირ დალურჯებული შვილებიანად უცქერის ცოლს, რომელიც მატყლსა სჩეჩს. ისე უყურებს მატყლს, როგორც მისს სულის ჩამდგმელს; რა ჰქმნას საწყალმა: ჩოხიდან მონაგები ორი კაპეიკი ნავთს, წუმწუმას, მარილსა და კიდევ სხვა რამე ოჯახის წვრილმანს უყიდის.

IV

შუა ღამეა. ნოტიო ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებს. საგრძნობლად ცივა. არე-მარე მიყუჩებულა, სდუმს. გაზაფხულ-ზაფხულში შრომით დაღლილს სოფელს ტკბილად ჩასძინებია, ხანგრძლივის შრომის შემდეგ დაუსვენია. მცენარეები თრთვილსა და ნამს შეუმოსავს. მაღლა, ცაში, წვრილად დაგლეჯილი, გულშავ წვერ-თეთრი ღრუბლები მოწყენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდი-მოდიან და მოელვარე ვარსკვლავებს დრო გამოშვებით ეფარებიან. მოძველებულს მთვარეს მორცხვად ამოუყვია თავი და კრძალვით უგზავნის დედამიწას უსიცოცხლო შუქსა. ხანდა-ხან ღრუბლები მთლად ეფარებიან და გამოხედვის ნებას არ აძლევენ ბებრუხანას. ყველაფერს მოწყენილობისა და უხალისობის დაღი აჩნევია, გარდა ნაზად მოციმციმე ვარსკვლავებისა, რომელნიც ყოველს გამოჭვრეტაზე ღრუბლებიდან მკვირცხლად ჩამოსძახიან თითქოს დედამიწასა: „ა, შე გლახავ, შენა! რაა, რომ ცხვირი ჩამოგიშვია!“

„ყიყლიყო!“—დაიძახა თავმომწონეთ განთიადის წინამორბედმა და ფრთები დაიბერტყა, დაემზადა მოძმეთა გასაღვიძებლად. მართლაც ორი-სამის წამოყივლების შემდეგ სხვებიც აყივლდნენ, საერთო მყუდროება დაარღვიეს.

— ეი, იოსება?—დაუძახა ვიღაცამ იოსებას.

— მზათა ვარ! ყველეი ხართ?

— ჯიბილა და ნიკო გვაკლია, მარა გაუვლით ახლა!

მეზობლები იოსებას ქალაქში იწვევდნენ წასასვლელად.

— შვიდობით, აპა! შენ იცი, მატა, რავალი ჭკუით იქნები და მოუვლი ოჯახს და ეზო-გარემოს· ბალნებს კარგათ მოუარე, ცეცხლში არ დაწვა,—უთხრა ცოლს იოსებამ, რომელიც სამგზავროდ გამოწყობილიყო და ზურგზედ საბანი ეკიდა; ხელში წითელ ცხვირსახოცში გახვეული საგზალი ჰქონდა. ეს საგზალი წუხელის დაუცხო მატამ და თან ერთი „კბილი“ (კვერეული) ყველი უშოვა. ნამძინარევი სამი ბავშვი პერანგის ამარად იყვნენ და მამის წასვლას უყურებდნენ. მათს სახეზედ ნათლად იხატებოდა ჯავრიცა და სიხარულიც; ჯავრი იმისთვის, რომ უმამოდ რჩებოდნენ, სიხარული-კი თვითონაც არ იცოდენ—რათ. მამამ სიბრალულით გადაჰხედდა ხან ერთს, ხან მეორეს.

— ღმერთო, შენ შეეწიე და უწინამძღვრე ჩემს ქმარსა და შვილს! ღმერთო, შვიდობის გზავრობა მიეც საწყალ იოსებას და გაუმარჯვე ყოველ საქმეში,—ხელებ—ატოტინებული ეეედრებოდა მატა ღმერთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, დათიკო, შენ ხო გახსოვს, გუშინ რო დაგიბარე! ჭკუით იყავი, დედაშენს მეეხმარე, კლასიდან რო მოხვიდე! იქინე მუყაითად იყავი, არავინ გაჯობოს! რამე ორი ანაბანიე ისთავლე და მერე თავს შეეწიე! შენ, ძღაბო, ბელანგია, მარჯვენა ხელათ ვაუხდი დედაშენს... სადილ-ვახშამი სულ შენ აკეთე, დედაშენი ბალნების და სხვა რამის მორებას მოუნდება... დათიკო, შენ დილას კლაში რო წახვიდე, "კოკა წყალი მოტანილი დაუტოვე დედაშენს; ასე ქენით ყველამ, ჭკუით იყავით, თავი არავის დააჯაბნებიოთ,—დაუბარა ცოლ-შვილს იოსებამ.

— ხო ხედავ, ვის ხელში მტოვებ? არ მიგვაყრუო. თუ რამე ორი კაპეიკი მოგცეს ღმერთმა, გამომიგზავნე. ხო იცი, რამდენ საჭიროებას ტოვებ აქანე? ხომ გახსოვს, რამდენ მევალეებს მიტუებ? სიმიდის ფული ოცი მანათი, ღვდლის სამი თუმანი, დათიკოს კლასის ფული, გარასახადსაც ქე მეითხოვენ აწი! რა ვიცი, კიდო რა საჭიროება იქნება!.. ეგება საშობოთ მოხვიდე! ან თუ ვერ მოხვიდე, ამბავი მალ-მალე შამოთვალე,—უბარებდა თავისს მხრივ მატა ქმარს.

— თქვენ იმის ჯავრი ნუ გაქვენ, აქით ჭკუით იყავი და ჩემი ნუ გეშინიენ! საშობოთ თუ ვერ მეველი, ფულს გამოგიგზავნით!..

— კაცო, რას უყურებ, წამოდი! —გადმოსძახეს ჭისკრიდან.

— აპა, ქალო, „მიფერხე", გუშინ რო ორ-შაურიანი მოგეცი!

მატა მაშინვე ჭისკრისკენ წავიდა, მიმავალ ქმარს შემოხვდა და თეთრი ორშაურიანი მისცა ხელში ლოცვა-კურთხევით: „ღმერთო, კაი ფეხზე გარასრული ქენი და გაუმარჯვე და შეეწიე საწყალ იოსებას!" ჩურჩულებდა თავისთვის. იოსება გამოემშვიდობა ცოლ-შვილს, მობრუნდა წალმა, პირჯვარი გადიწერა და წავიდა.

— გამარჯობა თქვენი!—მიესალმა მეზობლებს.

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუდგნენ გზასა. ზურგზედ ყველას საგზალი და გამწვირიანებული საბნები ეკიდათ; ტანთ ღარიბულად ეცვათ. ორი მგზავრთაგანი უცოლო იყო, სხვები-კი იოსებასავით წვრილ ცოლ-შვილიანები.

— ჩოვუსრებთ ხო პოეზს სამტრედიაში?—იკითხა ერთმა.

— შე კაცო, რავა ბალანასავით კითხულობ! პოეზი ყვეელთვის კი იქნება იქინე! გათენდება და ჩავალთ და მერე ვუცადოთ და გამეიარს,—უთხრა ამხანაგმა.

— გონია, მეორე იყივლა მამალმა, არა?

— ხო...

— დღით ხო ჩავალთ ფოთში?

— კი, რავა არა!..

მამლების ყივილი მისწყდა. კვლავ სიჩუმე გამეფდა. მგზავრების ხმაურობაზედ ძაღლებმა გამოიღვიძეს, მერმე ისევ ჩაჩუმდნენ. ღრუბლები თითქოს დალაგდნენ; მთვარეს თავი მიანებეს და ბევრი მათგანი სადღაც შთაინთქა. მთვარე მაინც სუსტად ანათებდა. ვარსკვლავები კი არშიყ ქალის თვალებივით კაშკაშებდნენ, ციმციმებდნენ.

— ოო, ჯიბი, ჯიბი!—გასძახა ერთმა.

— სადა ხართ, თქვე ოხრებო! ამდონი ხანი რო გვასთეეიეთ, გაგიტკბათ ქალები და ვერ მოცილდით? არა, ძმაო, მასე არ შეიძლება!..—გამოემასხარა უცოლო ჯიბილა მგზავრებს. ჯიბილას ნიკო ახლდა.

— გამარჯობა თქვენი!

— გაგიმარჯოს!.. ვაჟი მოგცეს, გაგიზარდოს!..

— ნიკო აქაა?

— აქ არის!..

— მართლა, შე ოხრის მამა, შენ! აპა, შენსავით მოცლილები გგონივართ?—უთხრა იოსებამ ჯიბილას და მხრებზე ხელი დაჰკრა.

— მეც იმას ვტირი, რო არ გცალიენ და მაინც არ ეშობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აპა, რავა გგონია ცოლიანობა?.. შენ რომ არა გყავს, ისე უნდა?

— ვაი, თქვენ გამეეკოდეთ გიოს თქვენი ცოლებით! რათ მინდა ცოლი? კინის ულ̆ელს ჩევიდგამ კისერში? თქვენმა მზემ! ერთი ჩავიდე აგერ ფოთში! იმისთანა ქალებს თქვენ სიზმარშიც ვერ ნახავთ!.. ხა, ხა, ხა!—ეუბნებოდა ჯიბილა.

— ნეტავი, შენ ჭკუა მოგცა და ასი თუმანი მე,—შეჰნიშნა ხანში შესულმა გოგიამ და ცხვირი მოიწმინდა.

— ასი თუმანი, ა? გულზე არ ̆დაგეცეს, ყაძახო, გულზე, წყალი მზათ გქონდეს დასაყოლებლათ! შე წინწკლიანო, კაძახო, ასი თუმანი შენს სულის დგმაში გინახავს? ან დეითვლი, რო მოგცა?

— იმდონი თავში გამოგტეხა შენ, რამდონი ას თუმანს ჩემს ხელში გამოეროს!..

— გაჩნია, რალა! შენი ̆ლმერთისა, ბიჭო!..

— აი, ნათქვამი როა „ვისაც ახალგაზრდობაში არ ვუნახავარ, სიბერეში ̆ლმერთმა ნუ აჩვენოს ჩემი თავიო“, მართალია! შენისთანა ბიჭები, ჩემო ჯიბილა, მე ვერ გამცინებდა, მარა ცხოვრებამ ასე იცის!.. იმისთანა ბიჭი ვიყავი, რო ვარსკვლავს ვეთამაშებოდი, შენისთანა ბიჭ-ბუჭებს ხუთს მივაკრავდი ერთმანეთზე, სამ ცხენს გარავახთნებოდი ერთად გაჩერებულს... ჩემი ტოლი ბიჭი ორი არ იყო ჩვენში, მარა ახლა შენი საცინელი ქე შევიქენი!..—უპასუხა გოგიამ.

— აპა, მერე წახთი, გოგულაჯან? უღალატე მოსეს?

— ვუღალატე, ვუღალატე, მარა ერთი შენც იგემე ნიდაყვით დანაყილი მარილი როგორია და მერე დაცინე ჩემისთანებს...

— სიმოკა, ერთი, თუ კაცი ხარ, თუთუნი მომეცი! ჩემი ხურჯინშია და ვერ მოვნახავ ახლა!

— აა, წეიღე. აბედი და კვესი გაქ?

— კი...

— „აბედი და კვესი მე, თვალ̆ეუ̆ეუნა დესმინე“,—დაიწყო ჯიბილამ სიმღერა. არავინ აჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომბანეთ, კაცო, რას უყურებთ!..

— შენმა მზემ, მეტი არა მედარდება-რა!

— საგძალი ხო მოგაქვენ, კაცო, ზორბათ, — იკითხა ნესტორამ.

— კი, საქმე რო გაჭირდეს, სამ დღეს მეყოფა, — სთქვა ბესოიამ.

— უუუ! ერთი კეცი ჭადი და ორი ტარანე იმისანა წამევიღე, რომ ერთ კვირაში მეყოფა!..

— ხო, კაცო, ფთხილათ უნდა ვიყვეთ! რავა წავა საქმე, ვინ იცის, ეგება დროზე ვერც ქე ვნახოთ ის კაცი!.. ან სამუშეევერზე ვერ დავდგეთ ეგება დროზე და ნაყიდის ჭამას, ჩვენი რო გვექნება, ის არ ჯობია?

— ეგიც კაი ვქნენით, რომ ათ-ათი შაური შევირჩინეთ? დელეჟნით არ წეველით სამტრედიას... ეგიც დაზოგვაა, რაღა! — სთქვა სიმოკამ.

— ვინცხამ სთქვაო, ეს ზაამთარი ისე გავცვითე, ქალამანი არ ჩამიცვამსო, იმის არ იყოს, ისე გვჭირს ჩვენც, ჩვენვე გარაგვწყდება, ჩემო ძმაო!..

— ეეი, კუტალა! ათ შაურათ შენისთანა ბიჭს დილიდან საღამომდი ათოხნინებენ, ხო იცი ეს შენ? უთხრა გოგიამ ნიკოს, — ჩვენ არაფელი გაგვიჭირდება და ათი შაურიც ქე მოგვრჩება.

— ათი შაურის „სპიჩკა“ და მარილი ერთ წელიწადს გვეყოფა სახლში! — შეჰნიშნა ბესოიამ.

— ვიბღეროთ ერთი, ვიბღეროთ, კაცებო! რავა ყველულებივით მიხვალთ! მე დევიწყებ და თქვენ მოაყოლეთ, — დაიძახა ჯიბილამა და ღაიწყო:

„ქალი მიდის მოხოულში, ოდელია რანუნი!
ხელი ვტაცე არ გოვუშვი, ოდელია რანუნი!
დედა მისი მეხვეწება, ოდელია რანუნი!
აკოცე და გამოუშვი, ოდელია რანუნი!“

კიდევ ბევრი სასიმღერო ლექსები ჩაარაკრაკა ჯიბილამ და თან მგზავრებიც აამღერა. მათმა სიმღერამ ძალლები სულ ააყეფა სოფელში; მამლებმა ყივილი მორთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, ჯიბილო, რას შობა ბიცოლა შენი წინწეიხე?—ჰკითხა ნესტორამ.

— აი, დამპალი ძაღლი შინ წეიღე! რა სიფთა და ბარაქა შენ გამახსენე! რას იზამს ის გასაცივებელი და გასაჩხიკინებელი! რო ვერ მიაგნო სიკვტილმა, თვარა მერე ბიძა ჩემი დარჩებოდა და იმდონ ქონებას სულ ბდღვირს ავადენდი!..

— ბიჭო, მოწამლე, მოწამლე, კვანწარახი ჩაასხი ყურში! გაემასხრა იოსება.

— ის კი არა, ღვლეჭი კისერში, ღვლეჭი! ჩამოკიდე ზედ ლოდი და აყვინთიე ცხენის წყალში! გეიბერება გუდასავით— ურჩია ნიკომ.

— მარილის წყალი, მარილის ყურში, ბიჭო, მისრებაა, მისრება! მაშინათვე გეიჭიმება ურიის კვტარივით,—უთხრა ნესტორამ.

— აი, ერთი გააგონა ეს ყველაფერი, თქვენ კი დაგილოკავენ მგზავრობას! ისე გარაგაბარსიმებენ, რომ ოცდა შვიდი გაბრიელი ვერ გიხსნიენ! რას ერჩით საწყალს, იყოს მისთვის. ვმასხრობ აგერ, თვარა ამომავალ სულს მიერჩევნია, მისი ჭირიმე! ერთი ქვრივი დედა მყავს და შეიქცევს, მე რო არ ვიქნები სახლში; თქვენ რას ლაპარიკობთ? მასხრობდა ჯიბილა.

— შენი თავი მას არ დეეკარქოს და მისი შენ!

— ამინ!..

უკვე სოფლებს გაჰშორდნენ და მინდვრებში გავიდნენ. ცა სულ მოიწმინდა, ღრუბლების ნატამალიც არა სჩანდა. აღმოსავლეთი ცოტათი შეთეთრდა. ცისკარმა თავი ამოჰყო.

— ა, ღმერთო შენს მადლს, დარი იქნეს... ჩალები და სიმინდები გაშრება და კარგია!..

— შენც მოხვალ, კოლა, ფოთში, ჰა—ჰკითხა იოსებამ გოგიას თხუთმეტ-თექვსმეტის წლის შვილს.

— აპა, რავა, შენ თუ გინდა ფულების შონა, მეც ქე მინდა,—უპასუხა ცოცხლად კოლამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცო, გოგია, რამდენი „ადელენიე“ გაათავა შენმა ბიჭმა?—ჰკითხა იოსებამ.

— გონია, სამი, არა, ბიჭო?

— ხო,—უპასუხა კრძალვით კოლამ.

— ბარემც ორი კლასი ვერ გაათავებიე, შე გლახა?

— სად შემიძლია, ძმაო, ახლა სხვებიც ქე წამემეწიენ, იგინსაც უნდა ვასწავლო რამე და ამდენი კუდი კი არა მაქვს! პეტერე რაცხა ქე იცის, სულ მუნჯი და ბრმა არ დამიტოვებია და აწი მის თავს მოუაროს, მე მეტი ვერ შევძელი და... შენი ბიჭი რამდენშია?

— ახლა მეორეშია! მთლად ტყავი რო გამძვრეს, თუ ცოცხალი ვიქენი, ორი კლასი უნდა გავათავებიო! რაცხა ღმერთია, კლასი ქია ჩვენში და რამეს ვესთები. ახლანდელ დროში, თუ კაცმა ორი ანუ-ბანუ და რუსული არ იცის, შიმშილით მოკვტება, ძმაო, შიმშილით! მუნჯს რო დაგინახავს, ყველე შენი ბატონი იქნება, ყველე ხელს წაგიჯიკავებს... რაცხა რო გეცოდინება, მაშვინ კი!..

— კი, მარა შეძლება ვარ მაქ, რაფერ უნდა ვასთავლო შვილს? ჭამა ქონებას ჰკიდია, ძმაო! ჭადი ვერ მიშონია, კუჭი ვერ გამიძღია ბაღნებიზა, თვარა მაგენის სასთავლებლათ რა უნდა დავხარჯო... მერე კიდო ბაღანე სთება, ოჯახს აკტება, სახლში როცხაა, რამეს ქე იზამს და შეეფარება დედას,—სთქვა გოგიამ და ოფლი მოიწმინდა. სხვები წინ წავიდნენ; იოსება და გოგია კი უკან ჩამორჩნენ.

— კაცო, რო ვუკვირდები ამ ჩვენს ცხოვრებას,—დაიწყო გოგიამ—მიკვირს, სული რაფერ გვიდგია, სული! ახლობამდი რამ მოაწევია უბედურ გლეხ კაცს, შიმშილით რათ არ მოკვტა; მარა ეს გაძაღლებული სული უწეროთ არ ამოვა და ესაა. კაცო, მინდღემჩი ჩვენი მოსვენება არაა, ყოველთვის ვმუშაობთ, ვშრომობთ, და დღეი და ღამე გულის ხეთქაში და უბედურობაში ვართ და მაინც კბილით გვიკავია სული! დღეს მევიწევთ, დღეს შევჭამთ და ხვალე მევიწევთ ხვალე! რო ერთ დღეს ავათ გახდე, ცოლ-შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე დაგაკვტება შიმშილით, ლუკმა პურის შემომტანი არავინაა მარტო ხელ ადამიანის ოჯახში! ყველა შენ გიბზერს, რავაც მერცხალს ბარტყები და დაკაკალებას ელიან. ცოლშვილის რჩენა, ოჯახის მორება, ტერი და მოყვრის გაძღოლა, ათას ნაირი გადასახადები, ყველა შენ გაწევს კისერზე, ყველა. კაცო, მანამდი ისე გაჭივრებული არ ვიყავით, მოსავალი გვარიანი იყო, სიმიდის ყიდვა მაინც არ გვჭიროდა, ახლა კი ჯოჯოხეთი დაგვიდგა, ჯოჯოხეთი! მანამდი ოჯახში და ტანისამოსზე და რამეზე ორი მანათი არ დეიხარჯებოდა, ახლა კი ასი მანათი არ გვყოფნის! მანამდი ხამის პერანგს, ახალოხს ვიკერავდით, ქალებს თითქმის ყველაფერი სახლში მოქსოვილი ხამის ჰქონდა და ყველა კმაყოფილი იყო და დღეს კი რა კუდიანობა არ შემოვიდა. მარტვე ამ წაბზერულობამ დაღუპა ქვეყანა: შენს მეზობელს თუ აქ და შენ არა, სირცხვილია, ტყავი უნდა გეიძრო და რამე ნაირათ არ უნდა გამეითიშო. გასავალი ათასი გზით მიდის და შამოსავალი კი არსაიდან და რა უნდა ქნას კაცმა, რა ფერათ უნდა შეირჩინოს სული? მიწის მოსავალმა იკლო, ღვინო დეიღუპა! რეით უნდა შევირჩინოთ სული ამ ცოდვილ ქვეყანაზედ? რაფერ უნდა ვიბორჯოთ? წროუნდელი წელიწადია ის მეყოფოდა, რომ სიმიდს კაკალ-კაკალ ვყიდულობდი, ოჯახს ვარჩენდი და მოყვრების სიკვტილიც მაშეინ წამომეწია! ისე ღმერთი გაუწყრა ყველა ჩემს მოყვრებს, რომ წელს ხუთი მოკვტა, თითქოს ჩემს ჯინაზე, თვარა შენც კი იცი! ოცი მანეთი ფული არ მყოფნია, ოცი! გოგიას გული ამოუჯდა, ლაპარაკი შესწყვიტა. იოსება ხმას არ იღებდა.

— ახლა მივალ, მარა სად მივალ, თვითან არ ვიცი,— განაგრძო გოგიამ,—რას ვიშონი, ღმერთმა იცის! ხვთის ანაბარათ მივალ! რამე ნაირათ ეგება ორი კაპეიკი ვიშონო და ოჯახს მოვუარო! თავზე რო თმაი მაბია, იმდონი მოთხოვნილება დავტუე სახლში და მეკი სადღაც გავრბივარ! მომიკლა გული იგენის საცოდაობამ! ახლა კიდო ძღაბი გასათხუა-

ეროვნული ბიბლიოთეკ

რი წამემეწია და რავქნა, რა წყალში ჩავვარდე! ქე მაინც შეეხედებოდეს იმ ოჯახ გაქცეულის შვილს, სილამაზე მაინც მიცა! რაფერ მევიცილო, ვინ ითხოვს, თუ პეტერა რამე არ მივეცი. ვინაა ჩემი შემწე და შემბრალე! რა მიწა გევიხეთქო, რას ვეცე, არ ვიცი? ამ სიტყვებზე გოგია კინალამ ატირდა, გული დაესერა, თავისს ოჯახის გაჭივრებული მდგომარეობა რომ თვალწინ გადაეშალა!

— ნუ გეშინია, ღმერთია მოწყალე! ღმერთი! დიდება მისს სახელს, არ დააგდებს ღარიბ კაცს! შენ ხარ გაჭივრებული და ჩვენ არა? დააიმედა იოსებამ.

— ბიჭი მაინც მომცა წამოზდილი კარქათ, რო ოჯახს გოუძღვეს და მომეხმაროს.

— რა უჭირს, ჭკვიანია ქე ეტყობა! ჯერე ბალანეია, რა გეემტყუნება?

— ზამთარი მოახლოვებულია, სახლში ერთი ღერი შეშა არ დამიტუებია, სიცივით დეიხოცებიან, სიცივით: ტყეი მე არ მქონდა, რო მომეჭრა და არაფერი და რა უნდა გამეხერხებია?

— შეშა არც მე დამიტუებია, მარა რავქნა, გეიტანონ თავი!—უთხრა იოსებამ.

— შენი ბიჭი რამდონი წლისაა? ჰკითხა რამდენისამე ხნის სიჩუმის შემდეგ გოგიამ.

— ათისაა, თუ თერთმეტის.

— ხო კაი ნიჭიანია, ხო სთალობს კარქათ?

— ასე, გვარიანათ, მასთავლებელმა მითხრა, ძალიანი არისო და!..—უთხრა იოსებამ.

— ხო იხმარიებ ყანაში სათოხრათ?

— კი, რავა არა! დილას წამათოხნიებს, მერე კლაში წავა, ნასადილებს სულ მეხმარება და ისაა...

— ასე უნდა ქნა, ასე, აქიდგანვე უნდა მიაჩვიო შრომას, თვარა წახთება. ძღაბი რამხელაა?

— შვიდი-რვა წლის იგიც ქია!..

— აპა, თავს თავის ხელითაც ქე დეიფარავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი! ჩოხებს აკეთებიებს დედამისს, სადილ-ვახშმის კეთებაში ეხმარება, ბაღნებს უვლის...

— ძღაბი, კაცო, აგერ გათხუებაა ძნელი თვარა, რო პეტერე წამეიზრდება, თავის ტანისამოსს თავის ხელით იყიდის, თვითონ იშონის ხელ საქნარში ფულს! ბიჭივით სთალა არ უნდა და არაფელი...

— ხო, ეს კია, ძღაბი დიდი შელავათია ოჯახში,—უთხრა იოსებამ.

ამ ლაპარაკში ისინი თავს წაადგნენ უკვე დასასვენებლად მიმჯდარს ამხანაგებს.

— ასე მალე დაღალდით?—იკითხა იოსებამ.

— აპა, რავა! თავები კი არავისთვის შეგვიწირავს!—უთხრა ჯიბილამ.

დასხდნენ და ლაზღანდარობა და ხუმრობა დაიწყეს. ყველაზე მეტს ჯიბილა ოხუნჯობდა.

— რავა იყო, იოსება, რავა, თავადმა რო გითხრა? ამ მუხლის ძალითო და ამოგაყოლა? ხა, ხა, ხა! გადიხარხარა ჯიბილამ და მასთან ერთად მისმა ამხანაგებმა.

— კარქად კი დოვუმბილეთ გვერდები და... არ გაავიწყდება კი!.. სთქვა იოსებამ.

— შენ დოუმბილე ჭადის კვერები, ბიჭებმა მოლრანჯეს თვარა!

— ძაან ბიჭობა კი ქნეს, ღმერთი მაგენს გაბერავს! დეეცენ მგლებივით, გალახეს და მერე ქე მილალატეს! მოზვერი იმ კაცმა მე ამაყვლიფა და კინალამ მომკლა!—დაიჩივლა იოსებამ.

— ვინ გეგექცა ბეჩა, შენ მოგვიდა სიგლახე და შეშინდი, თვარა ფეხი რო გეგედგა, ვინ რას გიზამდა!..

— მეტი რა დემემართებოდა, რა? ის კაცი მოკვლას მპირდებოდა; მგონია, არც ახლა დამაყაროს ხეირი! არ შეარგებს მას ღმერთი შვილივით გამოზდილ მოზვერს! უსამართლოთ წამართვა, მარა ღმერთი საძართლიანია, მოკითხავს, როცა იქნება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წაანკალიებს ღმერთი, დიდება მისს სახელს, სულ გრძელია! ჩვენიც ბევრი ყავენ მაგენს მონაპარავი, ყოველთვეში რო იკარქება ჩვენში საქონელი, ასე გგონიათ, ცხრა მთის იქიდან მოდის ვინმე, სულ მაგენი შობიენ,—სთქვა ჯიბილამ.

— ღმერთი, ღმერთი დაგიჯინია, კაცო! როდის მერე, როდის უნდა უქნას რამე! მე რო მოვკვტები, მერე ჯანდაბას და ჯარხანას ყველაფერი! საქმე ისაა, რო მაშინვე იზამდეს სასაულს და იქინავე გააფიჩინებდეს,—სთქვა გესლიანად გოგიამ.

— ეი, ტუტუცო! შენსავით ცხვირში კი არა აქ ღმერთს სული! როცა იქნება, ისეთს წააბორძიკებს, რომ ცხვირით გაახნევიებს მიწას,—სთქვა ჯიბილამ.

— ძალლები არიენ, მარა არ შერჩებიენ! წყლის კოკა წყალზე გატყდებაო, ნათქვამია!

— არა, რავაც გინდა, ძმაო, ისე თქვი და ძაან გემო კი ჰქონია იმ გაქუცულ სიმონს,—ღრეჭით სთქვა ჯიბილამ;—სწორეთ ძაან ქორფა ქალია შენი ცოლი დაი!.. ძაან საფუჩქნი კია, იოსებჯან... უი, ღმერთო, შეგცოდე, შენი მიწა ვარ,—სთქვა ეშმაკობით ჯიბილამ და ამხანაგებს თვალი ჩაუკრა. ამ სიტყვებმა ყველა გააცინა.

— შენც გაგეხსნა მადა, ეუ? ჰკითხეს.

— მადა კი არა... ჰმ! იოსებე გამიწყრება, თვარა ვიტყვი რაცხას! გეწყინება, იოსებჯან, რომ შენი ცოლის დაი ერთი ჩემებურათ ტკბილათ მოვიხსენიო? უთხრა ჯიბილამ და ამხანაგებს თვალი უყო,—რაც იქნეს და იქნეს, გადააფურთხე ეშმაკს და მომეცი ნება...

— ილაპარაკე შენი სიშთერე, შენვე თუ გაგახარებს!..

— ოო, იოსები ძალიან გუნების კაცია, მის ცოლის დას დავეკონე! მოდი რაც იქნეს და იქნეს, სოფელს გადახდეს, დავმოყვრდეთ, იოსებ, გაგიხთები ქვისლათ!—უთხრა ჯიბილამ.

— სადაა, ბიჭო, შენი წასახთენი ქალი?—უთხრა იოსებამ. ატყდ. სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასაცილოთ დაბერდი, ჩემო ჯიბილა! უთხრა ნესტორამ.

— რავა, რავა? კიდო გამაგონე ერთი! ეს შენ ხარ, იოსება? რავა, რა დიდი გოზლა ბგონია შენი ცოლის დაი შენ? არ წამომყობაა? შე ბამაოხერო, შენ თუ წამოგყვა მისი დაი, მე ვითამ რა ვარ, რა ცუდი ბიჭი მნახე!.. აი, მთხოვა შენი და მაგის თავი ღმერთმა!—უთხრა ხუმრობთ ჯიბილამ.

— გეყოფა, გეყოფა, ნუ წეინყელე ენა!

„რა კარგია საკოცნელათ ნანა, იოსებეს ცოლის დაი ნანა“, დაიწყო, ჯიბილამ სიმღერა.

— დამოყვრდით, კაცო, დამოყვრდით!—უთხრა ნესტორამ.

ჯიბილამ კვლავ გაიმეორა სიმღერა.

— ხო ხედავ, კაცო, რა ლექსებს იგონებს! გოუტაცებია ბიჭი იმ ქალს!

— ოღონდა ერთი მაკოცნიოს და ლექსებს ბჟირივით მივაყვრი! სახელი რა ქვია, სახელი, კაცო, თუ იცით?

— რა ვიცი, შენ გეცოდინება!..

— ქე ვიცოდი ეს ოხერი და გამავიწყდა... მაცა... მაცა! ოო... მ... დარიკო, დარიკო! ღმერთმა ყველაფერი კაი გაგახსენოსკენ... ხო... ასეა, ასე!..

„სხვა ქალები რადათ მინდა,
„უკვალ ჭირმა წაიდოსო,
„კაკალ გულში ვენატვალე
„იოსებეს დარიკოსო“.

ჩაიმღერა ჯიბილამა და საერთო ხარხარი ასტეხა.

— ოო, ყოჩაღ, ყოჩაღ!! „პრავო“, ჯიბილა, „პრავო“!— შესძახეს თანამგზავრებმა. კიდევ იმასხრეს ცოტა და შემდეგ გზას გაუდგნენ. სოფელი თან-და-თან ილვიძებდა. მამლების ყივილი გახშირდა.

— გლახა ფეხის არავინ შეგვხვთეს, კაცო!—სთქვა სიმონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— ნუ გეშინია, შენზე გლახა არ შეგვხთება, შიშს ნუ გაივლებ გულში, — მიუგო ჯიბილამ.

— შენზე გლახას თავსლაფი!

— შენს გოგრას!

კარგა გზა გაიარეს ისე, რომ არავის ხმა ალარ ამოუღია; ყველა გულჩათხრობილი და ჩაფიქრებული იყო. ამასობაში კარგად გათენდა. დედამიწაზედ, ალაგალაგ, რთვილიც დაედო; ძალზედ ციოდა. ბარგ აკიდებული ჩვენი მგზავრები გაჩქარებით მიდიოდნენ და თან დრო გამოშვებით მუსაიფობდნენ: ხან რამე სასაცილოს იტყოდნენ და ყველა გაიცინებდა, ხან დარბაისლურად ლაპარაკობდნენ თავიანთ ოჯახების ავ-კარგზედ. ყველას ტანთსაცმელს სიღარიბისა და სადუხჭირის ბეჭედი ესვა. მოძველებულ-დაკერებული, მწვირიანი ტანისამოსი, მწვირიანივე ზურგზე წამოკიდებული საბანი და დახეული ფეხსაცმელი ცხადად ამტკიცებდა მათს სიღარიბეს. მაგრამ მათი სიარული და სახის გამომეტყველება სულ სხვას ამბობდა. არსებობისათვის მუდამ წამს ბრძოლასა და დუხჭირ ცხოვრების პირობებს სულ სხვა ნაირად ემოქმედნა მათზედ, თავისს მოსისხლე მტრათ გაეხადა ისინი. მათი მხნეობის გამომეტყველი სახე, მრისხანე თვალ-წარბი, ვაჟკაცური სიარული და უკმეხი ლაპარაკი ნათლად ამტკიცებდა, რომ ყველას შეურყეველი რწმენა ჰქონდა თავიანთ სულიერ ძალისა. მათი დამონავება და დაბეჩავება შეუძლებელი იყო. რამდენადაც ცხოვრება ავიწროვებდა, ორი იმდენად სულით ძლიერდებოდნენ და მედგარ პასუხს აძლევდნენ; ცხოვრებამ გაწვრთნა ისინი, მაგრამ კი ვერ დაიმონა. კიდევ ერთი ნაბიჯი და საზიზღარ ყაჩაღებათ გახდიდა მათ ცხოვრება. ყველაზედ უფრო საშიში გამომეტყველება გოგიასა და იოსებასა ჰქონდათ, როგორც უფრო დიდის ხნით ცხოვრებისგან ნაქენჯნებს. მათ სახეზედ ძვირად ჰნახავდით ღიმილს. გოგიას თეთრი წვერულვაში, ვაჟკაცური სიარული და ცეცხლის მფრქვევი თვალები უნებურად პატივის ცემას აგრძნობინებდნენ მნახველსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ხანია უკვე შეწითლდა აღმოსავლეთი და ახლო-მახლო ღრუბლები აღმოაჩინა. ლაჟვარდს ცაზედ ვარსკვლავები თან-და-თანა ჰქრებოდნენ; ისედაც ფერ-მკრთალი მთვარე ეხლა მთლად გაცრეცილიყო, სიცოცხლის ნიშნებიც დაჰკარგოდა. ალაგ-ალაგ ნისლი იდგა.

— კაცო, რავა შამოთვალა იმ კაცმა? ოცდა-ხუთ მანათს მოგცემთო? — იკითხა ნესტორამ.

— ამტონამ რავა შამოთვალა? ხო, ოცდა ხუთსო, მარა ძნელი სამუშავო ხოა, კაცო! წელს მოგვწყვეტს, წელს,— სთქვა სიმონამ.

— ვაი, ჩვენი ცოდვა! სახლში ვართ და უბედურობა შრომა გვაქ, გარეთ ვართ და ვარესი! როიც უნდა გვეშველოს რამე? რაფერ უნდა გეიხაროს საწყალმა გლეხ კაცმა? — სთქვა იოსებამ.

— დასწყევლოს ღმერთმა, წროუნდელი წელწადია დღე ნათელი დააბნელა ხან სხვის ყანებში, ხან ჩემს ყანებში თოხნამ! აწი კიდო ვირივით უნდა ვიმუშავო,—დაიჩივლა ამოოხვრით ნესტორამ.

— სხვის ყანებში რა გინდოდა?—ჰკითხა ჯიბილამ.

— ეი, ჩემო ჯიბი, ჯერე შენ გაჭივრება არ გინახავს! ბიჭო, სხვის ყანებში რო არ მემუშეებია, სიმიდე რეით უნდა მეყიდა ცოლშვილიზა, ხო დემეხოცებოდენ შიმშილით! ერთ დღეს ვიმუშეებდი სხვის ყანაში და ანაღები ფულით სიმიდს ვიყიდიდი; სანაამდი ნაყიდი სიმიდი გამიძლებდა, ჩემსაში ვთოხნიდი და მერე კიდო სხვისაში ვიყავი! მევიშალე კაცი, მეტი არა ვარ!

— შენს ყანებს ხო დააკლდება ხელი?

— რა ვუყო, ქე დამიკლდა ხელი, მარა წროუნდელ შიმშილს გაისის ვარჩიე.

— კაცო, თვეზე მოგვცემს ამტონა ჯამაგირს?—იკითხა გოგიამ სიჩუმის შემდეგ.

— ვარ მომცემს და სულს არ ამოვხუთავ!—სთქვა ნიკომა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— იმდონს ვურტყამ, ნახევარიც ვერ დეითვალოს, — დაუმატა ჯიბილამ.

— რამდონი ვერსი გვექნება კიდო სამტრედიამდი?

— ასე ხუთი-ექვსი იქნება...

უკვე მზე ამოვიდა და ცოტათი გათბა ჰაერი. მგზავრები მინდვრად გავიდნენ, სოფელს დაჰშორდნენ, ჯიბილას სიმღერა და ოხუნჯობა ყველას ახალისებდა; სხვებიც დრო გამოშვებით მღეროდნენ. „უუუ“, იკივლა ვატარებელმა, როცა ჩვენი მგზავრები სამტრედიას მიუახლოვდნენ.

— ეჰე, გოგია, მორჩა შენი რძალი, ორსულათ რომ იყო, —იმასხრა ჯიბილამ.

ყველას სიცილი აუვარდა.

— ეგია პოვეზი, ბაბაია? — იკითხა სიხარულით კოლამ.

— ხო, ეგია მაშინა!..

— ახლა ჩავჟდებით შით? — დაეკითხა კვლავ.

— ჯერე არა.

გაკვირვებით აქეთ-იქეთ ყურებით მგზავრები სადგურზედ გავიდნენ; მივიდნენ თუ არა და, მატარებელიც მაშინვე თბილისისკენ წაგოგმანდა. კოლა გაკვირვებული იყურებოდა აქეთ-იქით და თან სიხარულით ილიმებოდა; ჯერ მატარებელი არ ენახა და უკვირდა ყველაფერი. ათასნაირი კითხვა უტრიალებდა თავში, მაგრამ სირცხვილით ვერაფერი ეკითხა; იქამდის გაიტაცა სანახავებმა, რომ სულ უკან რჩებოდა მამას. უცებ მატარებელმა შეჰკივლა და კოლა შეკრთა; იქ მყოფების ყურადღება მიიქცია; ყველამ სიცილი დაუწყო; შერცხვა კოლასა, დაიბნა, გაიხედ-გამოიხედა და მაშინ-ღა შეჰნიშნა, რომ მამა აღარ ჰყავდა ახლო; ცოტას გასწყდა, ტირილი არ მორთო, მაგრამ შორს თვალი მოჰკრა და თავქუდმოგლეჯილი დაედევნა. მოსეირნე მგზავრებს ბარემ ორჯელ დაეჯახა.

— რავა დაკვინტრიშოპ, ბიჭო, ახალ გამოშვებულ კრავივით, —უთხრა ჯიბილამ.

— გაგაკვირა, ბიჭო? ხო კაი სანახავებია? ჰკითხა სიმოკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი!—უპასუხა მორცხვათ კოლამა და მიმოიხედა, აბა, თუ ვინმე მიცქერისო.

— ფოთის მაშინა როდის გამეიარს?—ჰკითხა იოსებამ მეისრეს.

— ნაშვადღებს, —უპასუხა ამაყად მეისრემ, რომელსაც ხელში ორ ჯოხზე დახვეული წითელი და მწვანე ფალასი ეჭირა და დიდის თანამდებობის კაცათ ჰსახავდა თავისს თავს თავისზედ უვიცებთან. ჩვენმა მგზავრებმა მყუდრო ალაგი მონახეს და ისადილეს. ნაშუადღევს რომ მატარებელმა ჩამოიარა, ძლივს ბილეთი აიღეს და გაემგზავრნენ ფოთისაკენ. კოლას თვალები უცეცხლდებოდა და ფანჯარაში იხედებოდა ერთთავად.

— რავა გოჭიანი ღორივით გროხინობს, კაცო, მაშინა?— სთქვა ჯიბილამ და ყველა გააცინა.

სალამოს ხანზე მატარებელმა უკვე ფოთში იკივლა და მით აუწყა მგზავრებს, ჩამობრძანდითო. მატარებლის ჩრდილმა სადგური მიაბნელა; ხალხი ბუზივით ირეოდა. ჩვენი გლეხები ერთად გადმოვიდნენ და ჩუმად გაუდგნენ გზასა; გოგიას შვილის ხელი ეჭირა ხელში.

— კაცო, მან და მაინც უნდა მოვნახოთ ამტონე?— იკითხა ნიკომ.

— აპა, ვუთხრათ მეეედით-თქვა, ეგება ხვალე დილას სამუშეევერზე დაგვაყენოს, ერთი საათი ერთი თუმანია ჩვენთვის, სთქვა გოგიამა და მოიჯარადრე ანტონასკენ წავიდნენ. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნეს ანტონას სადგურს. მას ერთს სამიკიტნოში ჰქონდა დაქირავებული ნესტიანი ოთახი და იქა სცხოვრობდა.

— რა ამბავია, რაზე მოსულხართ? — ჰკითხა გლეხებს ანტონამ, რომელიც სამიკიტნოს წინ იჯდა და ვიღაცას ელაპარაკებოდა.

— გამარჯობა ამტონს, გამარჯობა!—გაუმეორეს ერთი მეორეზედ მისულებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიმარჯოს!—უპასუხა უგულოდ ანტონამ და პირდაპირაც-კი არ შეჰხედა.

— რაზე მოსულხართ?—დაეკითხა კვლავ და კრიალოსანს თვლა დაუწყო,

— შენ რო შამოგვითვალე, კაცები გვჭირიაო, მეეედით!

— ოო, მერე ასე უნდა დაგეგვიანებიათ? იკითხა ამაყად ჩასქელებულმა მოიჯარადრემ.

— არც ჩვენ გვინდოდა დაგვიანება, მარა...

— ოო, კარგი, მარა ახლა სამუშეეერი რო არა მაქ! შეიძლება ამ ორ დღეში მექნეს, მაშინ მოდით. სხვაზე უწინ თქვენ დაგაყენებთ სამუშეეერზე, რადგან ჩემები ხართ და არ მიღალატებთ.

— ღალატი რას ქვია, კაცო, რავა გიღალატებთ?—უთხრა იოსებამ ანტონას და გვერდით მოუჯდა. ისე ეტყობოდა, ეწყინა კიდეც ანტონას იოსებას ასეთი საქციელი, მარა თქმით არაფერი უთქვამს—მხოლოდ განზედ გაიწია.

— რას მოგვცემ მერე ქირას?—ჰკითხა ბესოიამ.

— ქირას? ჯერ არ გიმუშავნიათ და ქირას თხოულობთ?

— ახლა კი არ ვთხოულობთ, ისე, გვინდა გეეიგოთ.

— რასაც სხვას ვაძლევ, იმაზე მეტს ვერ მოგცემთ, ხო იცით,—სთქვა ანტონამ და ულვაშები გაისწორა.

— სხვას რას აძლევ?

— კაცს გააჩნია, კაცო! ვისაც უფრო მეტი ჭურთის აწევა შეუძლია, იმას მეტს მივცემ, ვისაც ნაკლებისა, ნაკლებს! აპა, ის ბღარი რო ჩამოგიყვანიათ, იმასაც თქვენდონს მივცემ?

— ეგი, რასაკვირველია, მარა ჩვენ მაინც რას მოგვცემ?

— კაცო, აქანე ვაჭრობ?—იკითხა გოგიამ,—აკი შამოგითვალა იმ კაცმა, ოცდახუთ მანათს მოგცემთო და ის იქნება, ხუთჯერ კი არ უნდა მოლაპარაკება!

— ოხო, გიცხონდა მამის სული! ძაან არ დაარტყა! ის დრო გაფრინდა, ჩემო გოგია, გაფრინდა!

— ბიჭო, აპა, დაგვატყუულე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე დაგატყუულეთ, კაცო? მაშვინ რო მქონდა საქმე, ისე მქონდეს, ქე მოგცემდი, მარა ახლა მაგის მომცემი არა ვარ!

— აპა, რამდონს მოგვცემ?

— რო გეუბნებით, კაცო, რაა?! რავაც სხვებს ვაძლევ, ისე მოგცემთ თქვენაც და მეტი რა გინდენ?

— სხვებს რას აძლევ?

— თუთხმეტს, თექვსმეტს, ჩვიდმეტს და კიდო ცოტათი მეტს, მეტის მიცემა კი არ შემიძლია! მარა თქვენ ყველაზე მეტს მოგცემთ; ოღონდა არ გამაცხადოთ იგენთან, რადგან ჩემები ხართ, მეტს მოგცემთ! თვრამეტ მანეთ ნახევარს მოგცემთ.

— ერი, ჰა! აგია შენი დაპირება?—ჰკითხა ჯიბილამ.

— მე ამის მეტის მიცემა არ შემიძლია და თქვენ რავაც გინდენ, ისე ქენით!

— ამას პირის ტეხა ქვია და მეტი არაფერი!

— რაი, პირის ტეხა? ვის ვუტეხე პირი, ა? აბა ერთი თუ ვინმე იტყვის ჩემს ცუდს!

— აპა, ეგი რაია!..—ჩაილაპარაკა ჯიბილამ.

— გაჩუმდი,—ჩაულაპარაკეს სხვებმა.

— შე კაცო, ულმერთობა ხვარაა, ვაჟკაცები ვართ, ჭამა გვინდა, სმა გვინდა, ცოლ-შვილი გვყავს, ერთი და მეორე და თვრამეტი მანათი რას გვიზამს?—უთხრა იოსებამ.

— სხვებს თუ ყოფნით, თქვენ რა წითელი კოჭები ხართ, გინდენ, იყავით, არა და, ღმერთა გზა ხსნილი მოგცესკენ, რავაც მოდით, ისე წახვალთ! მიუგო მუშებს უკმეხად მოიჯარადრემ.

— კაცო, აკი შენ შემოგვითვალე მოდით და ოცდახუთს მოგცემთო?

— გეიგონე შენ, ჩემო ძმაო, მე მგონი ქართულათ ვლაპარაკობ! მაშვინ ქე შემოვთვალე, მარა ახლა საქმე წამიხდა და მეტის მოცემა არ შემიძლია! რავა, მოსპობილი კი არაა მუშა! ფული მომცა, თვარა მუშა რავა დეილევა, რას ამბობ შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუშები შელაპარაკდენ თავისთვის; ანტონამ ტროტუარზე დაიწყო სიარული. შემდეგ ყველა დუქანში შევიდა მოსალაპარაკებლად.

— ოც-ოცი მანათი მაინც მოგვეცი, კაცო, ცოდვა ვართ,—უთხრა გოგიამ ანტონას.

— მეტს ვერ მოგცემთ, იფიქრეთ და ხვალე მოდით.— უთხრა ანტონამ მუშებს.

— ახლა გავათავოთ ბარემც საქმე, შენი ჭირიმე და ხვალე დევიწყებთ მუშაობას,—შეეხვეწა იოსება.

— ქეც რო გავრიგდეთ დღეს, სამუშეევერი მაინც არ გექნებათ ამ ხანათ!

— კაცო, ასე ცოცხლათ მოტყუილება რავა შეიძლება! შემოგვითვალე 25 მანეთს მოგცემთო და ახლა თვრამეტს გვაძლევ, დროზე არც სამუშაოს იძლევი და აგი რავა შეიძლება, ღმერთი არ გწამს? უთხრა გოგიამ.

— კაცო, ჩემი რა ბრალია, ხელი შემეშალა და აპა რა ვქნა? ამ სიტყვაზე ანტონა კარში გამოვიდა.

ანტონა ლობიაძეც იმ სოფლიდან იყო, რომლიდანაც უკვე ჩვენი ნაცნობი მუშები იყვნენ. ეს რამოდენიმე წელიწადია, ფოთში იყო და მოიჯარადრობას ეწეოდა. აღებული ჰქონდა გემების ცლა. მართალია მაინც-და-მაინც დიდი ხნის მოიჯარადრე არ იყო, მაგრამ უკვე მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული. სოფელში მშვენიერი სახლი გაიკეთა, მიწები ბლომად იყიდა და აბაზიან სარგებლითაც ბევრი ფული გაასესხა. ბანკშიაც ბლომად ჰქონდა შენახული.

— ეს კაცი ფულებს ხომ არ ხვეტავს ფოთშიო, ამბობდნენ გაკვირვებით სოფლელები — რამდონი კაცია ჩვენებური ფოთში, მარა შიმშილით კვდებიან და ამ კაცმა სად მიაგნო ამ ფულის მადენს, ხვარ თხრის მიწიდან.

— მოხერხებული კაცია, მოხერხებული,—დაუმატებდნენ ხოლმე.

მართლაც და დიდი გაიძვერა და ფლიდი რამ იყო ანტონა. მუშებს მთლად ტყავს აძრობდა და რასაც თვითეულს

ეროვნული ბიბლიოთეკ

მათგანს აძლევდა, ერთი იმდენს თვითონ იგებდა. თხუთმეტ-ოც მანეთზედ მეტი მას არასოდეს ქირა არ მიუცია მუშისათვის, თუმცა წაგებით მაინც არ წააგებდა, ოცდა-ათი და ოცდა-თხუთმეტიც რომ მიეცა. მაგრამ თავისით ამას როგორ იზამდა და მით თავის დასაკლავს დანას თავისივე ხელით როგორ გაილესდა. მუშებს კი შეგნებული არა ჰქონდათ, ოუ რა ხდებოდა მათ გარშემო; თავიანთი შრომა ვერ დაეფასებინათ. ანტონა, როგორც გამოცვეთილ-გამოქნილი მატყუარა, მუდამ იძახოდა, ვაგებ და ვიღუპებიო. გულუბრიყველო და გონება დახშულს მუშებსაც მართალი ეგონათ ეს და, აბა, კრინტს როგორ დასძრავდენ. დილიდან საღამომდე ოფლით იწურებოდნენ, სიცოცხლე და ჯან-მრთელობა შუაზედ ეყოფოდათ და ყველაფერ ამისათვის მხოლოდ თხუთმეტ-თვრამეტ მანეთს იღებდნენ. მაოთვის არ იყო ხეირიანი არც ტანსაცმელი, არც სადგომი, არც საჭმელი და არც სასმელი.

ამ ნაირად სხვისა დაჩაგვრით და დაბეჩავებით ანტონა ლობიაძემ ჯიბე გაისქელა და მდიდარ კაცებში გაერია. ვისი შრომითაც ეს ფულები იყო ნაშოვნი, ის ცოლ-შვილიანათ შიმშილითა კვდებოდა. ანტონა კი, რომელიც მხოლოდ მუშაობასა თვალ-ყურს ადევნებდა, ფულებით აივსო. სულ ცოტა თვეში მუშაზედ თუმანზედ მეტს იგებდა ანტონა და ბევრსაც იგებდა, რადგან მუშა ბევრი ჰყავდა. თვითონ არასა ჰხარჯავდა, მუდამ შეძველებული რუსული ტანისამოსი ეცვა და გალესილი ქუდი ედო მელოტ თავზედ. სადგომათ ნესტიან ოთახში იყო, არც სახლში სცხოვრობდა უკეთესად, თუმცა სახლ-კარი კარგი ჰქონდა და სიმდიდრეც ბევრი ებადა. სახლში მხოლოდ ღამ-ღამ შედიოდა დასაძინებლად, თორემ მუდამ ცოლ-შვილით სამზარეულოში იყო. მთელი წლის განმავლობაში ორჯელ არ დაანთებდა ცეცხლს ბუხრებში. უსუფთაობაც საკმარისადა ჰქონდა ოჯახში.

შესახედავად ანტონა დაბალი ტანის, ძალზედ ჩასხვილებული კაცი იყო; ასე რომ მუცელ განიერ კასრს მოგაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდათ. ჩაძუძგულ წვერ-ულვაშით და ღორსავით თვალებ ჩამძვრალი სახე მრისხანე და ამპარტავნული ჰქონდა; კისერი ნასუქ ღორს უგავდა, ხელები ბზიკისაგან დაკბენილს. ხმა ძალიან უსიამოვნო, უკმეხი ჰქონდა, და ლაპარაკიც ფინია ძაღლის ყეფვას გაგახსენებდათ. ერთობ ბევრი ლაპარაკი და ჯიჯინი უყვარდა: ან უნდა ვინმე ელანძღა და ეთრია, ან გაეკიცხა, ისე ვერ გაჩერდებოდა. საზოგადოდ კარგი აზრისა არავისზე არ იყო და ცხვირის წვერზე არავის იდებდა, როგორც ჩვენში იციან თქმა. ყველამ იცოდა, რა შვილიც იყო ანტონა. საშინლადაც ეზარებოდათ ამიტომ მისი შეხვედრა და მასთან ლაპარაკი.

სოფელში ანტონას ჩამოსვლას მაშინვე უთუოდ ყველა გაიგებდა, რადგან მოსვლის უმალვე უთუოდ ჭიჭყინს ასტეხდა სოფელში. სულ მისი ჩხუბი, ჩივილი და უბედურობა იყო; ყველას აბუჩად იგდებდა; ისეთ საქმეზედ ასტეხდა ალიაქოთსა და ჩხუბს, რომ ადამიანს უნებურად სიცილს მოჰგვრიდა. მაგრამ თავის თავი დიდი მცოდნე და ჭკვიანი ეგონა.

— ჩვენებური კაცი რო ორ კაპეიკს იშონის, ღმერთი გაავიწყდებაო,—იტყოდენ სოფლელები, როცა ანტონაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი.

— ალაპარაკა, აჭიჭყინა ფულებმა, იტყოდნენ ხოლმე, დუქანში რომ მოლაპარაკეს დაინახავდნენ.

— ცოდვა ალაპარაკებს, ცოდვა! გაყვლიფა საწყალი კაცები, გაპტკვნა, მარა არ შერჩება! მუშა კაცის ნაოფლარს ღმერთი არავის შეარჩენს,— იტყოდნენ ხოლმე გლეხები.

— თურმე მთელ ფოთში ანტონა ჭკვიანი და კაცური კაცია,—იტყოდნენ სოფლის დედა-კაცები,—ყველე პატივს ცემს და ფულებს მისგან სესხულობენო... ნეტაი მის ცოლშვილს!..

— ასეთია, ასეთი სიმდიდრე! —დასკვნიდნენ ამოოხვრით.

— ფული მეორე ღმერთია, მეორე!..

ეროვნული ბიბლიოთეკ

შელაპარაკდნენ ცოტა ახალმოსულები დუქნის წინა და მერე გულმოსულნი სადღაც წავიდნენ.

— აგერ, გევიდეთ ზღვის პირას ამალამ იქინე მევიცადოთ,— უთხრა ჯიბილამ ამხანაგებსა და წინ გაუძღვა.

— არა, კაცო, უყურე ამ გაბერილსა რა ოინებს შობა? უნდა დაგვატყულოს და ყინულზე გაგვაცუროს,—სთქვა იოსებამ.

— ეტყობა, მაგი დიდი უნამუსო და უპატიოსნოა,—დაუმატა ნესტორამ,

— რა ვქნათ, კაცო, მართლა რო მეტი არ მოგვცეს, დოუდგეთ?

— თვრამეტად რავა შეიძლება, სხვასთან წავალ სადმე და მაგასთან არ დავდგები, სთქვა ნიკომ და ყველა დაეთანხმა.

— ეგება ოცი მაინც მოგვცეს...

— მე არც ოცში დავდგები!

— რეიზა, კაცო, ოცი თუ მოგვცა, ქეა ხეირი, დავდგეთ.

მართალია, პირობა არავის უთქვამს, მაგრამ გულში ყველა თანახმა იყო ამ აზრისა.

მივიდნენ ქალაქ გარედ ზღვის პირადა და დასხდნენ.

კოლა გაცეცებული უყურებდა ვეებერთელა ზღვასა და ყველაფერი ავიწყდებოდა, თვალს ვეღარ აშორებდა. გოგია თავჩალუნული იჯდა, არას ამბობდა.

— ვჭამოთ-კი... თვარაფელი დევიკაკალეთ, გლახათა, საქმე,—სთქვა ნესტორამა და საჭმელს ჩაუჯდა.

— რა გვიქნა ამ კვტარ წაწყმეტილმა ეს, რავა მოგვატყულა,—სწუხდა იოსება.

— მე ქე ვფიქრავდი, რო ეგი დეგვემართებოდა; ვინაა ახლანდელ დროში წორი და კაცის გამტანი,—ჯავრით სთქვა გოგიამა.

— ვაჭარი კაცია, ვაჭარი, გამოქექილი! თავის ძმასაც არ დეინდობს, თვარა ჩვენ შეგვიბრალებდა!

ყველა ჭამას შეუდგა; კოლას ისევ ცალი თვალი ზღვისკენ ეჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— ვჭამ, მარა ჩემს ჭამას გემო არა აქ,—სთქვა გესლიანად ბესოიამ,—რა დეგვემართა ეს!..

— ყველაფერი მოსავალია, გახალისდით, კაცებო! გაშალეთ გულები, შამოვა ფულები,—იმასხრა ჯიბილამ.

შავი ზღვა თითქოს ჩაფიქრებული იდგი თავისს კალაპოტში, დამშვიდებით უცქერიდა ვეება ქალაქის მრავალ ფეროვანს ცხოვრებასა. მას სრულებით არ იზიდავდა არც ვისიმე ტანჯვა, არც სიხარული, ყველას თანაბრად, გულგრილად უცქეროდა, ყველა ერთი იყო მისთვის, ყველას ერთნაირს პასუხს ჰპირდებოდა... სდუმდა და მისი მდუმარება საშიშროებას წარმოადგენდა. რაც უნდა იმედით აღსავსე ადამიანი მისულიყო მის ახლო, უსათუოდ იფიქრებდა: „მტვერი ვარ ამ ბუმბერაზის წინაშე და სხვა არასფერიო!“ და უიმედოდ უკანვე დაიხევდა, თავის უტიფრობას უთუოდ ალაგმავდა. ზღვის იდუმალ სიჩუმეს დრო გამოშვებით არღვევდნენ მხოლოდ წყლის დაუსრულებელ სივრციდან გამოტყორცნილი ნელი ზვირთები, რაც საშიშროებას ზღვისას ერთი-ორად აორკეცებდა. შორს, შორს, დაუსრულებელს, ერთფეროვანს ზვირთებში ვეებერთელა ჩამავალს მზეს თავი ოდნავ-ღა უჩანდა და შავი ზედა პირი ზღვისა სისხლისფრად გაეწითლებინა: აღარც სითბო, აღარც დიდის სიცოცხლით სავსე მოელვარე სხივები და აღარც სხვა რამ სასიცოცხლო ნიშნები აღარ უჩანდა... მაგრამ მზეს არა ჰგავდა: ის იყო ერთად შეკუმშვილი წითელი ლრუბლები და მეტი არასფერი. რა იქმნა მისი სიკეკლუცე, მკვირცხლი სხივები, ხალისი და სიტურფე? უგულო ზღვას თითქოს ყველაფერი წაერთმია მისთვის და გულგრილად მეორე ქვეყანას ისტუმრებდა. თითქოს სცდილობდა თავიდგან მისს მოშორებასა და ჩასაძინებლად ემზადებოდა. აგერ იქ, შორი ახლოს ბუნების მეფე, მქნილებითა გვირგვინი, უშიშრად დასრიალებდა ნავებითა და ორთქლ მავლებითა ამ ვებერთელა ვეშაპის ზურგზედა და სრულებით ყურადღებას არ აქცევდა მისს საშიშრეობასა. მზე ჩაესვენა, შთაინთქა ზღვის სიღრმეში... ოდნავ მქშინავს ზღვას ნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა შავი სუდარა წამოეპარა, ვარსკვლავებმაც გააკვესეს, დედამიწას ალერსით თვალი ჩაუკრეს. გუნდი და გუნდი ვარსკვლავი საუცხოოდ აჭრელებდა ცის გუმბათსა... გაშავდა, გაიმურა საშიშარი ვეშაპი... და მოიღუშა, თითქოს ქვეყნის შთასანთქავად მოემზადაო... სიჩუმეა... მხოლოდ ულონო ზვირთები ეხეთქებიან ნელა ზღვის ნაპირებსა და ჩასაძინებელ ნანას უმღერიან თავიანთს მშობელს ზღვასა და მთელს ქვეყნიერებასა. ყველაფერმა ტკბილად ჩაიძინა. ჩვენმა მგზავრებმაც ტანთ გაუხდელად ჩაიძინეს.

— უჰ, რა ტკბილად მეძინა, კაცო!—სთქვა გათენებისას მატარებლის კივილით გაღვიძებულმა ჯიბილამ.

— ამ უპატრონომ რავალ დროს გაგვაღვიძა! დასწყევლოს ქრისტემ!.. მეგონა, ჩემს დღეში არ მძინებია-მეთქი—სთქვა იოსებამ.

— გაჩუმდი, კაცო, აწი მაინც დამაძინე,—წამოიძახა ნესტორამ. ყველა გაჩუმდა. ისევ ჩაიძინეს.

გათენდა. ზღვის ნაპირებს თბილი ქარი უბერავდა• ზვირთები უფრო მარდად ეშხაპუნებოდნენ ნაპირებს. მზე თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყო, მისს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, განსაზღვრელის სიხარულით მოელვარე სხივთა კონას ზღვის ზედაპირს აფრქვევდა და აელვარებდა. შავი ვეშაპიც ხარბად იკრავდა გულში სხივებსა და შიშით ქშინავდა თავის ბუნაგში. მის ზურგზედ-კი მარდად დასცურავდნენ ნავები და გემები. გამოფხიზლდა და ახმაურდა ქალაქიც, ყველა თავისს საქმეზედ მიდის, ყველას მხოლოდ თავისი თავი ახსოვს...

— აპა, წევიდეთ, ბიჭებო, ი გაბერილთან, —სთქვა გოგიამ და თვალების ფშვნეტით წამოდგა.

— უჰ, ქარ დაგვთენებია!—წამოიძახა ნესტორამ.

— ბიჭო, კოლა, ადი ზემოთ!—ჩასძახა მძინარეს მამამ.

ყველამ გაიღვიძა.

— უჰ, რა სიამით მეძინა!—სთქვა ბესოიამ.

— აპა, კაცო, რა კაი ჰაერი იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვარ შეგშინებია ზღვის, კოლია?

— აპა, რეის შემეშინებოდა!..

— ცოტა დევიხევსოთ, თვარე ქე მომშივებია!

ჭამის შემდეგ კვლავ გაუდგნენ გზას ანტონასაკენ. დიდის ჩიჩინისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ თვეში ოც-ოც მანეთათ გაურიგდნენ; კოლა-კი თუმნათ. ფული უნდა მიეღოთ თვის თავზე. შემდეგ იქირავეს რვა კაცმა ერთათ ნესტიანი ოთახი და დაბინავდნენ. მუშაობა მეოთხე დღეს დაიწყეს.

VII

— ხაბარდა! ხაბარდა!—გაჰყვირის უწყალოდ ძონძებში გახვეული მედროგე და თან, რაც ძალი და ღონე აქვს, სცემს მათრახს ძვლათა და ტყავათ ქცეულს ცხენს, რომელსაც ბზით სავსე თოფრა ჰკიდია და ძლივს მილასლასებს; ერთი რომ წაბორძიკდეს და დაეცეს, ველარ ადგება, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე დგას და საშინელს მტვერში და ქვებში მიაჯაგლაგებს დროგზედ მჯდომს პატრონს, რომელიც ადლზე ხტება მაღლა და შეცივებულსავით კბილს კბილზედ აცემინებს.

— აჩუ, შე სამგელევ! გასწი!— უყვირის მეორე.

— დბრუუუ! გაჩერდი, შე ოხრათ დასარჩენო!—იწყევლება მესამე.

ბუზებივით ირევიან მუშები და მედროგეები ნავთ-სადგურთან; ყველა თავის საქმეს აკეთებს და შრომობს ჭიანჭველასავით: ზოგს რაღაცა ამანათი მოაქვს კურტნით, ზოგს იღლიით, ზოგი გაოფლიანებული და გულ გაღეღილი გარბის ცალიერი ნავთ-სადგურისაკენ... აგერ მედროგე სტვირთავს, აგერ, აჩერებს, აგერ სხვა კიდევ მიერეკება. თავის კურტნისა და დროგ-ცხენის გარეშე არავის რა ახსოვს, გარშემო მეტს არას ჰხედავს; მისი ყურადღება მთლად ამ საგნებს შთაუნთქავს. მისი სიცოხლის საგანი ახლა ან კურტანია, ან დროგი და ცხენი, სხვა არაფერი. რომ დაეცეს და დაეჩეხოს ამხანაგი, ხელს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაუწევს, არ წამოაყენებს, რადგან ამითი თავისი საქმე შეუფერხდება და ვერას აიღებს; ყველამ თავის თავს თვითონ უნდა უპატრონოს, თვითონ უნდა მოუაროს... უბედური მუშა! თავის თავის მეტს-ღა სხვას ველარას ამჩნევს; შეხვდები, უნდა გვერდი საჩქაროდ შენ აუქციო, თორემ ის არაფრის გულისათვის არ გადაუხვევს, რადგან მისთვის შენ ამ დროს სულ არა ხარ-რა. კიდეც ეზიზღები უსაქმობისათვის; მზათ არის შემოგიკურთხოს კიდეც... ყველაფერს: ადამიანს, ცხენს, დროგს, კურტანს სიდუხჭირისა და მწარე ცოვრების, გაჭირვების ბეჭედი ასვია... ვერც ერთს მომუშავეს მომლიმარს სახეს ვერ დაუნახავ, ყველა თითქოს საკბენრად ემზადება. ერთი კარგი სიტყვა რა არის, არ ამოსცდებათ ამ დროს: ყველას და ყველაფერს უშვერის სიტყვებით იხსენიებენ... უცქერი ასე გაკვირვებულ და ეკითხები შენს თავსა, „ნუ თუ ესენიც ადამიანებია, აქვთ რამე ადამიანური გრძნობა?“ არასფერი, გარდა დაჩაგრულ და გალახულ სხეულისა! გამხდარან რაღაცა მანქანებათ, უსულო საგნებათ, რომლებიც უანგარიშოდ ემსახურებიან თავიანთს მტანჯველსა და შემაძრუწუნებელს კუჭს, რომლის გაძღომას არაფერი ჰშველის და რომელიც ყველაფერს აქნევინებს მისს მონა-ადამიანს: ავაზაკობასაც, ქურდობასაც, მკვლელობასაც და სხვა მრავალ უზნეობასა და გახრწნილებასაც!.. დიახ, კუჭსა ჰყავს დამონებული, ლუკმა-პურისათვის სულს ჰლევენ ხორცისაგან იცლებიან, ეკარგებათ ყოველი ადამიანური ღირსება, უჩლუნგდებათ გრძნობა, გონება, გარდაქმნილან მანქანებათ, რომელთაც მხოლოდ ტვირთის ზიდვა შეუძლიანთ კურტნებითა და სხვა არასფერი... აქ მუშაობს ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, სპარსელი, ბერძენი და კიდევ ვინ არა, ვინ მოთსვლის? ყველა ერთ ულელ ქვეშაა, ყველა ერთს ტაფაში იწვის, ყველა ერთ კერპს ემსახურება!..

— გადადექი, შე ოხერო! — შეყვირა მეეტლემ მედროგეს, რომელსაც ჯაჯგუნით ყუათი დაბნეული ჰქონდა, და თან შოლტი მოუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უყურე ამ წვირიანსა და ტილიანს, რას ჰბედავს? წამოიძახა ამრეზით შიგ მჯდომმა ქოლგიანმა, რომელსაც ბებელებივით მორთული ბავშვები ესხდა გვერდითა და სუნელოვან წყლებით გაჟენთილი იყო.

— შე, ცირო, შენა, სადა გგონია შენი თავი? — შეუბღვირა მეეტლემ.

— წადი, წადი, შვილოსან! გზა ნახე, ჩემთვის ხომ არ შამოგიწირავს მაგ კოთხო წამოცობილი თავი! ღმერთს თქვენთვის დრო მოუცია და იქეიფეთ თქვენც, რა გიჭირთ! მე გული მაქ შეწუხებული ამდენი ჯანყალით და ეს კი აქანე მეკილაკოზება!.. სიმდიდრე გაქ, არ შეგერგო, — მეიხმარე, — შეუკურთხა მედროგემ და გზას გაუდგა.

— Тьфу гадость какая! Какой нибудь грязный муша смѣетъ такъ говорить! Вотъ времена! კიდო რავა ვქნა, თორემ ეხლავე პოლიციაში ამოვარგევინებ თავსა, — ცხარობდა ქალბატონი, რომელმაც უკვე დაკარგა თვალიდან მედროგე.

— რა ვუყოთ, ქალბატონო, ოვერს ოხრული ამოცდება პირიდან, — დააშოშმინა მეეტლემ.

შუა დღისას ცოტათი შეისვენეს მუშებმა და სადილობას შეუდგნენ. ისე მოქანცულა ზოგი, რომ ჭამაც-კი ეძნელება; რიგი წამოწოლილა და სასთუმლათ თავისივე კურტანი მიუდევს, რიგი კურტანს მისწოლია და ისე სჭამს გამხმარ წითელს პურს; წმინდა წყალიც არა აქვს, რომ დააყოლოს. დროგის ჯაჯგუნით თავ-გაბრუებული მედროგე დროგზედ ჩამომჯდარა და ისიც ძლივსა ჰლეჭავს პურსა; ცალხელში ისევ შოლტი უჭირავს. მისი ცხენი-კი ხან ჩიჩვირ ჩამოგდებული დგას, ხანაც ჩამოკიდებულ თოფრიდან ბზესა სჭამს... ისადილეს და კვლავ გაჩაღდა მუშაობა; კვლავ დაიწყეს მანქანებმა მოძრაობა და ფაცი-ფუცი... გინება, ლანძღვა, ცუდი სიტყვები ისმის წამდა-უწუმა...

— აბა, წევიდეთ, ზღვაში ტანი დევიბანოთ, — უთხრა საღამოზედ მადნით შემურულმა მუშამ ამხანაგს. ამ სიტყვებზე რამოდენიმე მუშა ზღვისაკენ წავიდა საბანაოდ. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს სახე არ უჩანდა, ისე გაეშავებია მადენს; გამურულს სახეზედ მხოლოდ თვალები და კბილები-ღა უჩანდათ ხანდა-ხან თეთრად. საზარელი შესახედავები იყვნენ საწყლები: შავი ხელები, გამურული სახე, სადაც აგერ-ეგერ ოფლის ნაკადული მოჰსკდომოდა, დაძონძილი და მასთან მთლად გაშავებულ გამწვირიანებული ტანისამოსი ზიზღს მოჰგვრიდა შეუჩვეველს ადამიანსა. არავისზე კეთილი სიტყვა არ წამოსცდებოდათ, სულ გინება, უწმაწურად სხვისა ხსენება და ყველაფრის გმობა ეკერათ ენაზედ... აღარაფერი წმიდა არ არსებობდა მათთვის. მაშინ-ღა უკლებდნენ ხოლმე ლანძღვა-გინებას, როცა მთლად მოიქანცებოდნენ და მოიღლებოდნენ, თორემ უიმისოდ სულ სხვისა კურთხევით მოსახსენებლად იყვნენ მზად. უმეტესი ნაწილი ამათგანი სომხები, თათრები და სპარსელები იყვნენ. არც ერთი ამათგანი ერთმანერთს სათოფედ არა ჰზოგავდნენ: ერთმანეთს ძაღლებივით ულრეღნენ. თუ საჭირო იქნებოდა, ხშირად სომეხი სომეხსაცა და თათარი თათარსაც კი არა ჰზოგავდა. საკმარისი იყო ამხანაგს ამხანაგისათვის რამ ეწყენინებინა და მაშინვე ერთმანეთს დანებით ეტაკებოდნენ. ძვირი იყო ისეთი დღე, რომ არ გაგეგონათ, სომეხმა სომეხი მოჰკლა, გაფატრაო, სპარსელმა სპარსელიო და სხვა. მივიდნენ ზღვის პირად დაღალულ-დაქანცულები, გაიძრეს ძონძები და დაიწყეს ზღვაში ბანაობა. ხალხი ჭიანჭველასავით მიდი-მოდის და უცქერის მობანავეთ, მაგრამ ფეხებზედ ჰკიდიათ მათ სირცხვილი... აი, აგერ ერთს ტანთ არ გაუხდია ჯერა, დაღლილობით მიწოლილა და მისძინებია, ამხანაგები კი ბანაობენ. მოდის მეორე მათგანი, წაავლებს მძინარეს ფეხში ხელსა და წყალში შეათრევს; მძინარე არას ამბობს. რამდენისამე ხნის მერმე კი გინებითა და უწმაწურათ ხსენებით ნაპირზედ გამოდის და ამხანაგს უგულოთ ქვას ესვრის. აი, დაიბანეს კიდეცა ტანთ, ადამიანებს დაემსგავსნენ და ქალაქის ბნელა კუნჭულებში და ნესტიან სარდაფებში მიიმალ-მოიმალნენ. ღმერთმა უწყის რათა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალამდა. მოედანი, სადაც რამდენისამე საათის წინ არსებობისათვის მებრძოლ ადამიანებს ამდენი აურ-ზაური და თავში ცემა ჰქონდათ, სულ დაცალიერდა, დაწყნარდა. გეგონებოდათ, აქ არა ყოფილა-რაო, ისე გამოიცვალა ყველაფერი. გემებზე ლამპრებმა იწყეს ციმციმი. ჩასაძინებლად გამზადებული ქალაქი აპრიალდა, აინთო სანთლებით. ვარსკვლავებმაც გამოანათეს ლაჟვარდ ციდანა და დედამიწას თვისი შუქი ნაზად, ციალით მიმოაბნიეს. ჩაძინებულს ვეშაპს,—შავს ზღვას,—თბილმა ნიავმა გადაურბინა ზურგზედ და ქალაქში გაინავარდა... დაწყნარდა ხმაურობა, ჩოჩქოლი, ჟრიამული... ჩაიძინა ქალაქმა; მოისვენა მაშვრალმა; ვარსკვლავებით მოჭედილი ცა საბნათ იქცა, ზვირთთა შხაპუნი—მშობლიურ ნანათ.

— ქე არ მომტეხა, კაცო, კუსუბო ამ ოხერმა კურტანმა, —შესჩივლა იოსებამ თავისს ამხანაგებს, საღამოზედ რომ ერთად შეიკრიბნენ ოთახში.

— აპა, მოგვშლის ის პატრონ კვტარი სადგამურათ, თვარა სხვას ვინ ჩივა, —სთქვა ნესტორამ და ლოგინზე მიწვა.

— ძაან სიცხე დამაყენა, ახირებულია! სულ წიწკი-წიწკინი გაქონდა კოჭებს! ზურზე კანი გადამალლიტა; შარშანაც ქე მეკიდა ეს ოხერი, მარა ასე არ გამჭირებია,—დაუმატა ჯიბილამ და წითელ პურს მადიანად დაუწყო მუცლისაკენ გზავნა.

— რაი, ძმაო, მე კურტანი არ მეკიდა, მარა უარესი დღეი მადგა,—სთქვა სიმონამ.

— ჭაჭები წამიხთება, თვარა სხვას რას დევეძებ...

— შენ რავა მოგწონს, კოლია, აქაური მონასტერი? დაგამართია კოჭები?—შეეკითხა კოლიას ჯიბილა; კოლა ფეხზედ ველარა დგებოდა, წამოწოლილი იყო.

— აქანე ყოფნას სახლში ქვაი მეთრია, მერჩია, —სთქვა კოლამ.

— ნუ გეშინია, ჩემო კოლა, შეეჩოვი!—დააიმედა ბესოიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირველათ რო ჩამეეედი აქანე, სულ დაბადება დეეიწყელე, მარა მერე ქე მივეჩვიე, ისე იქნები შენც,—უთხრა კოლას მამამ.

ამის შემდეგ ყველამ წითელი პეტრი აიღო ხელში და ვახშმობას შეუდგნე. ნავახშმევს ყველა მიწყა: ზოგი ფიცრებზედ, ზოგი იატაკზედ. ოთახი ჰქონდათ ნაქირავები პატარა, თან ნესტიანი; კედლები ობით ჰქონდა შემოსილი და ერთთავად საშინელი ნოტიო სუნი იდგა. ამ ოთახის ახლო სხვა მუშებსაცა ჰქონდათ ოთახები ნაქირავები; ესენიც ყველა ასეთები იყო, ზოგი უარესიც, ზოგი კი უკეთესი.

— ეე, ხა, ხა, ხა! რა უნდა ქნას კაცმა? სადაა სამართალი და კანონი? ყველა იმასა ფიქრობს, ვინ მოვატყუვილო და რამდენი ავაგლიჯოვო! აი, დღეს დილიდან საღამომდი კაცი წელს და გულს ვიგლეჯ და ორ აბაზს ვერ ვირჩენ... მოსვენება არ მაქ და...

— აპა, მოსვენებელი კვტარია, კვტარი,—გააწყვეტინა ჯიბილამ.

— ვინც მეტს შრომობს, შიმშილით კვტება და ვინც სულ არ ანძრევს ხელებს, იმას თავზე გადასაყარი აქვს ყველაფერი,—მოათავა გოგიამ.

— გამეიღე ხელი და შენც გექნება,—გააღიზიანა ჯიბილამ.

— ჩვენზე მეტი ხელგამოღებული თუ ვინმეა და მაინც უბედურობა ყოფილა! ბიჭო! დღეი ჩვენთვის არაა და ღამე, საქმი და უქმი, ზამთარი და ზაფხული და მეტი რა სიკვტილი ვქნათ?—სთქვა სასოწარკვეთილმა გოგიამ და ჩაჩუმდა. რამდენისამე ხნის შემდეგ ყველამ ხვრინვა ამოუშვა.

— ადი, ბიჭო, ზეით, ადი, რას უყურებ?—გაუწყრა დილაზე მამა კოლას.—ადი, მივდივართ!

ჯერ კიდევ კარგად არ იყო მოთენებული, რომ ჩვენი მუშები სამუშაოდ წავიდნენ ნავთსადგურისკენ. რამდენიმე მუშა მისულიყო კიდეც, რამდენიმე მათთან მივიდა. გაჩაღდა კვლავ მუშაობა, გადაიშალა კვლავ გუშინდელი სურათი,

ეროვნული ბიბლიოთეკ

ატრიალდა ისევ მანქანა, რომელიც გუშინ მოქმედებდა; კვლავ შრომა, ოფლის ღვრა, სიღარიბე, სიდუხჭირე, დამცირება, უადამიანობა!.. დიახ, განმეორდა სურათი, რომელიც შარშან, დღე, ხვალ, წელს, გაისათ და მუდამ ერთ ფეროვანი და ერთის შინაარსისაა.

— ადექით, კაცო, ზეზე, რაღა! გეყოფათ მოსვენება! შესძახა მედიდურად შუადღისას რამდენისამე წუთით დასვენებულს მუშებს ანტონამ, რომელიც მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდა.

— მევისვენებთ, ბატონო, ჯერე და... უთხრა ერთმა.

— ამდენი ხანი ვერ მეისვენეთ? ივ! კაია, თუ ორი-სამი საათი მოსასვენებლათ მოგვცეს! დიდი კაცი ყოფილხარ, რაღა? მე ვიქნები მაშინ ბატონი, თუ შენ?! შეეკითხა უკმეხად ანტონა.

— ბიჭო, ბატონი რა... ბატონი არც შენ ხარ და არც მე,—ჩაილაპარაკა მუშამ თავისთვის,—სამი საათი კი არა, ახლა დავჯექით... მოსვენება გვინდა, კუტა!..

— იმე, იმე! მოსვენება, მოსვენება, რავა დოუჯინია ამ ვირის თავს! გეუბნები, ადექი და იმუშავე, თვარა!.. ფულს მიტომ გაძლევ და გყიდულობ, რომ რაც მინდა, ჩემს ფულში იმას გიზამ, როცა მინდა, გამუშავებ! სანაამდი ქირას გაძლევ, ჩემი ხარ და ჩემს ნებაზე უნდა იყო და რო მომცილდები, მერე თავი ქვას ახალე!,. თვის ბოლოს ხომ მოხვალ და დიდგულათ გამომიშვერ ხელს ფულიზა; ახლა კი მუშაობას არ კადრულობ; ყაყანებდა ანტონა და თან საძაგლად იბერებოდა. მისს ჯაყჯაყში ყველა მუშაობას შეუდგა. თვითონ-კი მაინც არა ცხრებოდა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ცხარობდა; ასე გაათავა ბოლოს მუქარა! „უყურე ამ ლაწირაკს, რას ბოდავს? მე რომ არ ვიყო აქანე, მეორე დღეს სული ამოხდება ცოლშვილიანათ და აქანე კი!“

მართალია ანტონას ჯიყჯიყ-ჯალადირისათვის ყველას ყური ჰქონდა შეჩვეული და მაინც-და-მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ თავმოყვარეობა ყოველს ადამიანსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს და ძვირად თუ ვისმეს ააგდებინებს თავს აბუჩად. ასე იყო ამ შემთხვევაშიაც: ანტონას უკანასკნელმა სიტყვებმა ყველას გული აუმღვრია, მაგრამ ასეთისავე სიტყვებით პასუხის გაცემა უდრიდა სამუშევარის დაკარგვასა და სამწუხარო შედეგს მოპასუხისათვის. ამიტომ პასუხის მაგივრად ბევრს მხოლოდ გმინვა ამოჰხდა გულის სიღრმიდგან.

— ხომ გვაგინა დღეს იმ კუპატა ანტონამ! —სთქვა საღამოზედ სიმოკამ ოთახში, სადაც თუნუქის ლამპარი ოდნავად ჰბჟუტავდა.

— აი, დედას! ფული რას არ ათქმევინებს ადამიანს! იყო დღე, როცა მაგის სიგლახე ჩვენს სოფელში კაცი არ იყო; ყველას სასაცინოთ გვყავდა აღებული, ახლა კი რას გვიშობა! გადამთიელები ვიყოთ თითქოს, ისე გვექცევა,— სთქვა გოგიამ.

— ადამიანი ან თავში იქნება ბედნიერი, ან ბოლოში! ისეა მაგიც, ბოლო კარგი შეექნა,—სთქვა იოსებამ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ვერც მიგის გამიგია ვერაფელი; მე არც თავი მივარგა და არც ბოლო, რავაა ეს, აპა— სთქვა გოგიამა და ყველა გააცინა.

— სად იყო კაცი, თვარა ერთი უნდა შეგვეთელა მაგ მაკე ღორი, მაგი და მაშვინ გაეგებდა, რაცხა ბიჭო იყო,— ჩაერია ჯიბილა.

— არც უმისობა ქე დეემართება მას! ყოველთვის არ მოიტანს კოკა წყალს! ერთი შეითეთქვება მაგი...

— კაცო, რამე საჭამადი ვიყიდოთ პურზე მისაჭმელი, თვარა ასე რა, კისერში არ გარადის,—სთქვა ნესტორამ.

— რა ვიყიდოთ?—იკითხი ბესოიამ.

— რამეს რავა ვერ ვიშონით, კაცო, რო იეფიც იყოს და ნისიაც? ხარჩონიაში იქნება რამე,—სთქვა ჯიბილამ.

— ლობიო ვიყიდოთ!

— ხო, მართლა, კაი იქნება!

— კაცო, დღეს საყდარზე არ წევიდეთ სადმე სალოცავათ,—იკითხა კვირა დილას ბესოიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წახვიდე, თვარა ისეთ რამეს ჩეიცვამ, ყველას გააკვირვებ! უთხრა დაცინვით ნესტორამ.

— შე კაცო, რა! ცოლ სათხოვათ კი არ მივალ მე იქინე? ვილოცავ და ქე წამოვალ! ღმერთმა არ იცის, რომ არაფელი მაქ?

— ღმერთმა კი იცის, მარა ხალხმა იცის?

— ხალხი, ხალხს რაც უნდა, ის თქვას! თუ მქონდეს კაი ტანისამოსი არ ჩავიცვამ, რა დღე ბედნიერს შოუნახავ!! უგნურის მეტი მე არავინ გამცინებს! სალოცავათ მივალ, თვარა ტანისამოსის, საჩვენებლად კი არ მივალ!. წევიდეთ მართლა!

— საქმე ხვარ შამოგლევია შენ? იქინე წევიდე კი არა, წელს ვერ ვიღებ ზეით, ისე დავლალდი ეს ერთი კვირეია მუშაობით; დღეს მაინც მევისვენებ! მერე კიდო რამეს დევირეცხ, კვირა დღეს მოცლილი ვარ!.. შემჭამა ამ ოხერმა წვიმემ, - უთხრა იოსებამ.

— სხვა მუშები-კი, რომლებიც დიდი ხანია აქ მუშაობდნენ და რომლებსაც ფული ჰქონდათ, ვინ იცის, რას არ სჩადიოდნენ: რიგი ქეიფობდა, რიგი ბანქოობდა, მთელი კვირის ნამუშევარს საათში აგებდა და სხვ.

ნაშუადღევს მუშებმა ზღვის პირად შეიყარეს თავი და მოჰყვნენ ლაზღანდარობასა და თავის შექცევას. ზოგი ზღაპარს ამბობდა, ზოგი რამეზე ოხუნჯობდა და სხვ. რამოდენიმე ჩვენი მუშებიდანაც იყო აქ!

— აი, ბეჩა, გარაგვიქცია ეს ზღვაი კახურ ღვინოთ! — ინატრა ერთმა და ამხანაგებს გადაჰხედა.

— უჰ... ძაან არ ინატრე, ბიჭო! ასეთი ნატვრა იცო. და თურმე ცხონებულმა ბაბუაშენმა! ღორის კუპატი და ცივი ღომი რო ინატრა თურმე!..

— რაფერ ინატრა, რაფერ? თქვი, თუ კაცი ხარ, — შესთხოვა ერთმა

— რა ფერ და, ცხენის წყლის პირზე იყო და მოშივდა ბაბუამისს თურმე, რო მოშივდა და თქვა თურმე: ნეტეი, ჩემი სახლიდან აქობამდი დედიის გაკეთებული ღორის კუპატი

ეროვნული ბიბლიოთეკ

გაობა, ცხენის წყალი ცივ ხარჩოთ მიქცია და რაც ქვები და სილა ყრია შით, ზოგი ნაკვეთე ხორცებათ გარამიქცია და ზოგი ცივ ლომებათო; ერთს დედიის გაკეთებულ კუპატს ვსხუპნი, მერე ცივ ლომს ევიღეფ და ცივი ხარჩოში ამოვასლიკინებ და ისე გამევისესები, რომ ღვედი შემაგჯეს წელზეო... სიცოცხლეში მერე ყველა ამისთანა ნატვრისათვის დაცინოდა და ყოველთვის აკრავდენ·—ბუშებმა ბევრი იცინეს.

— შენ რას უზამდი, შენ, რო ეს ზღვაი კახურ ღვინოთ გადაგიქცია? ჰკითხეს ლორის კუპატის მნატვრელის შვილის შვილს.

— რას ვიზამდი და გავაკეთებდი ტივივით ფიცრებს, ზემოდან ლამაზათ გადავხურავდი, ქვეით სთოლსა და საჯდომებს გავაკეთებდი, დევიპაიჯებდი ძმაკაცებს, ბლომათ შემწვარ ქათმებს წევიღებდით და შევცურდებოდით ღვინის ზღვაში... ერთ ქალს კიდო ქე წევიყვანდით... და მევეძაბრებოდით ზღვას რომე... ოხო, ხო, ბიჭო, რას ვიქეიფებდით!... სულ ვინ ხარ მამაცს დავაგდებდით ამ ზღვაში, ყველას გავაკვირებდით!..

— აი, აი, ყოჩაღ, შე უშნო, არ გაუსრო ბაბუაშენს, ღმერთი გიწყენს!.. დასცინა ერთმა.

— ნეტავი, ბაბუისთანა კაცი ვიქნებოდე, თვარა...

— აი, ღმერთმა უკეთესი ნუ გქნას!

— მერე ყველას ხო ვერ დალევდი, სხვას რას უ[illegible]ამდი, — ჰკითხეს.

— გავყიდდი.

— კიდო რას უზამდი?

— შენ გასმევდი.

— კიდო?

— იმას ვასმევდი.

— კიდო?

— კიდო და უბედურობა შენს თავს! მეტი რა გინდათ.

— ეჰე, შეხედე, კაცო, პარახოთი რავა მიგლიჯინობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიწვიწინობს,—სთქვა იქ მყოფმა იოსებამა და შორს, შორს, ზღვის დასავალზედ მიმავალ გემისაკენ გაახედა ამხანაგები.

— აი, შენი და ჩემი ქნა ის პრახოთი,—ინატრა ერთმა.

— ხო, ხო! შენი დაი ჩემი ქნა, ჩემი,—უთხრა სიცილით ჯიბილამ.

— უჰ რა გახშირდა, კაცო, ეს ნატვრა! მოდი ერთი მეც ვინატრო რამე ლოთიანათ!

— რას ინატრებ?

— რას ვინატრებ და შენს ბიძაშვილს! ერთი იგი მომცა აქანე და!..

— შე კაცო, რაცხას რო იტყვიენ, რომე „გლახა აჯინლა დედას რაცხას უშობდაო“, ისე გჭირს! რა ჩემ ბიძაშვილს ჩაცივებულხარ, რა, სხვა ქალები არაა ფოთში?

— საქმე შენი ბიძაშვილია!..

ზღვის ზედა პირი საუცხოვოდ ლაპლაპებდა; მზე თავის სხივებს უხვად აფრქვევა. ნაპირები უფრო თეთრად მოჩანდა, ვიდრე შუა გული. მუშები ზოგი მხარ-თეძოზედ იყო წამოწოლილი, ზოგი თავდაღმა იწვა.

— რავა იყო, რავა, მარკოზა დარუმულო, ერთი გაგვაცინე, თუ ღმერთი გწამს! მოყევი შენს ამბავს,—მიუბრუნდა ერთი მუშათაგანი თავისს კოჭლ ამხანაგს, რომელიც სიარულის დროს საშინლად იგრიხებოდა ხოლმე და მიუჩვეველს ადამიანს უნებურად სიცილს მოჰგვრიდა.

— დამანებეთ თავი, თუ ღმერთი გწამთ! თქვენ გიხარიათ, მე რო ვყობი და მე მეხარება კი, იცით? უთხრა კოჭლმა.

— მარკოზა, მარკოზა, თუ მოყობი ცხენის წყალში გასვლასა და კუბოში წოლას, ორივეს შენებურათ, თუ კაცი ვყოფილვარ, ბოთლ ღვინოს გიყიდი საღამოს!—არ ეშვებოდა ამხანაგი.

— გეყოფა თავის გდება, გეყოფა!

— ბიჭო, რა გინდა, ღვინოს ჩამოგისხამ, დაგატყვილებ თუ?

— არ დამატყულებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე თვალით შეგხედავ?

— აპა, მომეცი ხელი!

— აჰა! — და გაუწოდა.

— არ დამატყუილო, თვარა იმდონს გცემ, რომ ღმერთს ამოგიღებ ზევით მუცლიდან!

— აი, ამდონი პატიოსანი კაცი იყოს მოწმეთ! აპა, დეიწყე!

ყველა სმენათ გადაიქცა! თან სიცილისათვის ემზადებოდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მარკოზა უთუოდ სასაცილოს რამეს იტყვის და ბევრს გვაცინებსო.

— უწინ მეგრელის ამბავს მოვყობი.

— ხო, ხო, რომელიც გინდა.

— უწინ ამას მოვყობი, — სთქვა კოჭლმა და დაიწყო: რო დავმალო, კაცო, რა გამოვა, ქვეყანა ხედავს, რო კოჭლი ვარ და მეცინიან! მე რო ვიძახო, კაი ვართქვა, სიტუტუცე იქნება და ისაა! მარა მაინც დარწმუნებული ვარ, რომ კარგს ჩემზე კაცი არ იტყვის; ან კი რაი უნდა ითქვას კაი ჩემზე, როცა თუ სადმე სიოხრე და სისაძაგლეა, ყველაში ვურევივარ! თუ ვინმე კინტო და „ბოსიავკაა“, ყველა ჩემი ნაცნობი და მეგობარია: მეარლანე, მეფაიტონე, მიკიტანი, ქურდი, ყაჩაღი, კინტო, გარყვნილი ქალი; კაცი სად რამდონია, რომელ ქალაქში ვინაა, ყველა ვიცი! სად არ ვთრეულვარ ტომარივით, სად არ ვყოფილვარ?

— ხო, რას გარავყევი, ის უნდა მეთქვა, — სთქვა კოჭლმა და ჩაახველა: — მივდივარ ერთ დღეს, კაცო, სამეგრელოში, ენგურზე ცოტა საქმე მქონდა; ცხენი არ მყავდა და ფეხით უნდა წავსულიყავ, მარა კარგად ვიცოდი, რომ ჩემისთანა მკვდარი ფეხების პატრონი ერთ წელიწადსაც ვერ მივიდოდი იქ და, რადგან პარასკები იყო, ვიფიქრე, ხონში ნავაჭრი მეგრელები ცხენებით დაბრუნდებიან სახლში და წამიღებენ-თქვა. მართლაც, ისე აგიხდათ ყველაფერი კაი, რავაც მე ცხენის წყალზე მისვლისათანავე მეგრელი ვნახე ცხენებიანი.

— გამარჯობა, შენი მეგრელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიმარჯოს, პატონი!

— სად მიხვალ?

— ოქუმს.—ქიარ ავშენდი კაცი!

— აქით სად იყავი, კაცო?

— ქუთეისს ვიყავი, პრისთავის ძიძა წევიყვანე.

— მოველაპარაკე და ექვს შაურათ გავურიგდი ენგურამდე. გამიხარდა, რაკი მგზავრი ვიშონე! შევჯექი მაშინვე „სედლოიან“ ცხენზე (ამ სიტყვებზე მაყურებლებმა სიცილი ასტეხეს) და მივადექით ცხენის წყალს გასასვლელათ; მოვძებნეთ ფონი და ჩავედით. აა, აგერ, აგერ გავალთ მეორე ნაპირს და ქიარ გოუწყრა ღმერთი ამ ჩემს ცხენს! უკეკ რაცხა იფეთა და ნაპირზე წიწილივით დამარეკა იმ პატრონ აძაღლე ბულმა! ისეთი კი დევეცი, რომ თუ ავდგებოდი, არ მეგონა; ცხენიც გამიხთნა ხომ ხელიდან! ეს მეგრელი, ეს სახლ დასაწვავი, თვალებ აცეცებული მოჰჩერებია და მოხმარებას კი არ მიპიროობს. რავაც იქნა, ჩემით ავდექი.

— მეგეწია რამე, პატონი? – მეკითხება შეშინებული თხაპარია.

— ხმა არ გავეცი, ფეხი გადავდგი; ცოტა წავიარე თუ არა, ქიარ დაალო პირი ამ გაცვეთილმა მეგრელმა; ყვირის: კაცო! დევიღუპე, ამოვარდი კაცი, რა მემეწია ეს! ქორთუ გადააგდო ჩემმა ცხენმა, სულ დაუმტვრევია, თეზოებში გაუშლია და ძლივს დადის... ეგი მიჩივლებს აწი და დამღუპავს კაცს! „გაჩუმდი, შე ოჯახ დასაქცევო, მე ასე ვარ, ნუ გეშინია თქვა!“—ვუძახი, მარა არ შეგჭამოს ჭირმა; იხედება უკან მგელივით და მიჭინჭილობს, მირბის თავქუდ-მოღლეტილი; ეს ჩემი გადმომგდები ცხენი უკან მისდევს... „კაცო, მიხედე შენს ღმერთს, ნუ მომტეხე ძვალი“-თქვა, ვუძახი, მარა დეიღუპა მეგრელი და დამტუა პირდაღებული...

ისე ხელოვნურადა და ისეთის სახის გამომეტყველებით მოგვითხრობდა ამ ამბავს კოჭლი მარკოზა, რომ მაყურებლები მთლად სიცილით დახოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, რამდენი მაცინე! — უთხრა იოსებამ და ცრემლები მოიწმინდა.

— ამდენი არ მიცინია, აგერ დიდიხანია, — სთქვა ერთმა.

— აი, სასაცილოთ დაბერდი, ჩემო მარკოზა!

— მერე, კაცო, წადი ენგურზე?

— სად შევიდოდი უცხენოთ? ვიარე წყლის პირზე, ვიარე საღამოობდი, მოვკვდი კაცი შიმშილით და ძლივს მივაწიე პორონამდი და სახლში დავბრუნდი.

— უჰ, მუცელი მეტკინა, კაცო, იმდენი ვიცინე!..

— მუცელი კი არა, ყბებს ვერ ვანძრევ!..

— ახლა მეორე ოქვი, მეორე!

— მეორე, კუტა, ამისთანა სასაცილო არ გახლავს; კიარა, თუ გული აქვს კაცს, უნდა იტიროს!..

— აპა, გაგვაგონე ერთი!

— მაშ მიყურეთ! ასე ქე მიყურებთ, ყველას გაფუჭებული და გაოხრებული ვგონივარ, მარა პატარა სირცხვილი მეც მქონია თურმე. მეც კაცი არა ვარ; მეც სხვებივით ვფიქრობ, ვსვამ, ვჭამ, დავდივარ, ვგრძნობ, ერთი და მეორე; მართალია კოჭლი ვარ და სხეულით მახინჯი, მარა სული კი სხვებივითა მაქვს, ყველა ადამიანს ჩემისთანა უდგას. მეც ქე მინდოდა, რო კარგი ვყოფილიყავი და არავისთვის მეწყენინებია, მარა ჩემი რა ბრალია, როცა ყველა მარტო იმას ფიქრობს, რომ რამე ნაირათ სხვას რამე ავაცქვლიფოვო. ათი წლისა ძლივს ვიქნებოდი, ქვრივი დედა რო მომიკვდა, მას აქეთ დავეთრევი და დავღოლავარ და რამდენი გლახა მე მიქნია, ყველა რო ჩამოვთვალო, ერთ თვეს მოვუნდები. კარგად ვიცოდი, რომ გლახას ვშობოდი და სხვას ვავნებდი, მარა როცა მომშივდებოდა, ღმერთიც აღარ მახსოვდა. მერე თანდა-თან შევეჩვიე და გინდ კაი მექნა, გინდ გლახა, ჩემთვის სულ ერთი იყო. რეიზა უნდა მემეკლა თავი შიმშილით, როცა, თუ ხელს გავანძრევდი, ყველაფერს ვიშოვიდი, მოვიპარავდი; საუცხოოთაც შევისწავლე ეს ხელობა: ისე მოვიპარავდი, კაცი ეჭვს ვერ მოიტანდა. ბოლოს და ბოლოს, როცა წამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზარდე, ამხანაგებიც ვიშოვე და გავაჩაღეთ საქმე: კაცი არ იყო მთელ ქალაქში, რომ არაფერი მოგვეპარა, განსაკუთრებით მდიდრებს ვერჩოდით. რადგან გაქცევა არ შემეძლო, საჭირო დროს თავს მოვიკვდარუნებდი და ყველას მართალი ვეგონე, თუ კი ვინმე დაგვეწეოდა, ან ქურდობას გაგვიგებდა. სამი ამხანაგი მყავდა: ორი ციხეშია ახლა და ერთი სადაა, არ ვიცი. ერთ დღეს გევიგეთ, რომ ამა და ამ სოფელში მდიდარი ეკლესია არისო და გადავწყვიტეთ მისი გაცარცვა. სახარჯოზე ძალიან წვრილათ ქე გახლდით იმ ხანებში. აპა, რაფერ გინდა ახლა გაცარცვა? გატეხის თავი ჩვენ არ გვქონდა და ისთევე რამე ხერხი უნდა გვეხმარა. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და მომაგონდა შემდეგი: ბიჭებო, მე ვუთხარი, ვიყიდოთ ერთი უბრალო კუბო, ჩამასვენეთ შიგ, გამიდევით მხარზე და წამიღეთ, გზაზე ყველას უთხარით, რომ კვტარი მიგვაქვსთქვა. მივიდეთ იმ ეკლესიასთან და ან ღვდელს, ან საროსტას შევთხოვოთ, კვტარი ეკლესიაში დაგვასვენებიეთ თქვა, ხომ იცით, სახლში არავინ შეგვატანიებს თქვა. ის უსათუოდ დაგვეთანხმება. მერე, როცა შიგ დავრჩები მარტო, ავაღებ კუბოს და რაც რამე ძვირფასია ეკლესიაში, ყველას შიგ ჩავაწყობ, ზედ მე დავაწობი, დილას გამომიტანეთ ადრე და წამიღეთ. სამშვიდობოს რომ გავალთ, ახსენით კუბოს თავი, მე ამოვძრობი, ოქროები ამევიღოთ და კუბო კი სადმე გადავაგდოთ... კაცო, ეამენ მარა რა ეამენ ეს აზრი, ყველას გაუხარდა. მართლაც ვქენით ასე: ვიყიდეთ ერთი სამ-მანეთიანი კუბო, გამწმახეს მე შიგ, გამიდვეს მხარზე და წამიღეს. გზაზე ყველა მიცოდიებდა. ეკლესიის „საროსტა“ ერთობ გულ-ჩვილი გამოდგა და რო უთხრეს, ძალიან ახალგაზრდაა, დედის ერთაა და გაჭივრებაში მოკვტაო, კინაღამ ტირილი დეიწყო, მისი ხელების გულზე ბრაგუნი ერთ ვერსზე ისმოდა. მე კინაღამ ხარხარი ამივარდა კუბოში. დამასვენეს ეკლესიაში და წევიდენ. შუაღამისას წამოვდექი, თუ რამე ძვირფასი იყო, კუბოში ჩავაწყვე და ზევით მე დავაწევი. წარმოიდგინეთ, რომ შიშის ნატამალი არ მიგრძვნია: ისე ავკრიბე ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს ეს ძვირფასეულობა, ვითომ არაფელია. დილას ადრე მოვიდენ ჩემი ამხანაგები წასაღებათ, თან „საროსტა“ მოიყვანეს კარების გასაღებათ.

— სუნი ხომ არ გადენია მიცვალებულს, — იკითხა საროსტამ დილაზედ.

ურმე ისეთი მძიმე ყოფილიყო კუბო, რომ კინალამ წელში დაწყვეტილიყვნენ ჩემი ამხანაგები: გათენებისას სამშვიდობოს გავედით და კუბოც გადავისროლეთ; ძვირფასობას ხურჯინებში ვარგევიეთ თავი და გოვუდექით გზას. მე სიარულში იგენს ვერ აუვიდოდი და უკან ჩამოვრჩი, მითხრეს ამ და ამ ალაგს გნახავთო. გავყიდეთ მერე ყველაფერი და სულ ასი მანეთი ევიღეთ, მეტი ვერა. რა გიჭირს, ორმოცი თუმანი ღირდა, რადგან ნაკაიკაცები არ იყო, ყველა ოხრათ გვეკიდებოდა.

ყველა შიშით და გაკვირვებით უცქეროდა ამ ლაპარაკს. ხანში შესულებმა ზიზღით დაუწყეს კოჭლს ყურება: „ხატის მტეხელი, ეკლესიის მტეხელი“! — ფიქრობდნენ გულში. მარკოზა-კი, ვითომც აქ არაფერიაო, მოგვითხრობდა თავისს ამბავს.

— რას არ იზამს კაცი, რას არ მოახერხებს! — სთქვა ერთმა.

— არა, იმ დალოცვილმა ღმერთმა ვერ გამოაჩინა ერთი სასაული და ვერ გააქვავა ეგი იქინე საქვეყნოთ? ვერ დეიცვა თავი ხატმა? სთქვა იოსებამ.

— ის კი არა, კაცო, შარშან ჩემი ცოლის ძმაი რო დეიწვა, რავა იყო? თურმე ხატიზა სამთელი ეენთო, სანთელი გადმოვარდნილიყო და ცეცხლი გეეჩინა, ხატიც კი მიიფუტრა და სახლიც, მარა არაფელი სასაული არ მომხთარა... დასძინა სხვა მუშათაგანმა.

— რა ვიცი, ჩემთვის არც ხატს უწყენია და არც ჯვარს და... უკეთესად ვარ, თევზივით დავსოსიალობ!

— არ აცლი, იქინე არ გინდა მისვლა, ასე არხეინათ ვერ იქნები იქინე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იცი, შვილოსან, შეიძლება ისეთი რამე მაქვს ნაქნარი, რომ სულ გამოვიხსნა თავი, არ მაცლით... მარა ჯერ კი არ გამითავებია, კიდო ბევრი მაქ სალაპარაკო. კ-ლესიის გაცარცვა კიდევ მოვინდომეთ და მოვიქეცით ისევე, როგორც ახლა მოვყევი. მარა ვაი შენს მტერს, მაშვინ დღე დამადგა! ათას წილათ ჯობდა, ის დღე . ოენებოდა.:. მავრჩი მარტვე თუ არა, დევიწყე ძვირფასეულობის კუბოში წყობა და უკანასკნელათ მივბრუნდი ხ ტებისაკენ, ვაი შენს მარკოზას! სულ გავქვავდი, გავშეშდი, კაცი, მსმენელებს სულ თქმა დაეკარგათ; ზოგს ღიმილმა გადურბინა სახეზედ; ზოგი შეშინდა და გულის ფანცქალით მოელოდა რაღაც სასწაულს.—ვხედავ, რას ვხედავ? ღვთის მშობელი ცოცხალი ადამიანივით მომჩერებია და მიცქერის... ავკანკალდი კაცი, შემრცხვა! გამახსენდა, რო დედა-ჩემი მას ავედრებდა ჩემს თავს და თხოვდა: „ღვთის მშობელო ქალწულო, ჩემი მარკოზე გამიზარდე“-ო. ყოველ კვირა დღე ღვთის მშობლის წინ ვყავდი დედაჩემს დაჩოქებული, მეც ისე შემიყვარდა ღვთის მშობელი, რომ მეტი არ შეიძლებოდა და სულ მის ხსენებაში და პატივის ცემაში ვიყავი; ლოცვაში ყოველთვის ღვთის მშობელს ვიხსენიებდი, მას ვევედრებოდი. მარა გაიარა ხანმა და ჟამმა და ღვთის მშობელი სულ გამავიწყდა; აგერ ამდენი ხანია, ორჯელ არ ვყოფილვარ წირვაში... რო ვნახე ღვთის მშობელი, შევკრთი, შემრცხვა. ავკანკალდი, რაღაც ნემსივით შემესო გულში და აზრები ამიბნია, მუხლები მომეკეცა... უცებ რაღაც გამაცოხლებელი და გამახილებელი ძალი ვიგრძენ და, იმის მაგივრათ, რომ გამეცარცვა ხატი, ცრემლებ მორეული, შერცხვენილი მივვარდი ღვთის მშობელს და მხოლოთ ერთი ვემთხვიე, მეტი ვერ გავბედე, შემრცხვა, როგორც ქურდს... სული ველარ მოვითქვი, ენა ჩამივარდა და „ღვთის მშობელო მაპატიეს!“ ძახილით კარებისკენ წავფორთხდი .. მივედი კარებთან, მარა აკანკალებულმა გასვლა ვერ მოვახერხე, იქვე ავიტუზე... ხატებისკენ ვერ ვიხედებოდი, თუ მაშინვე არ მომკლავდენ, არ მეგონა. თითქოს ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი გადაესხას ვინმესო, ისე გამიცივდა სხეული; გული ძაფზე დაეკიდა, ერთი რო ვინმეს შემოეყვირა, მოგჯებოდა კიდეც... შიშისაგან ჩურჩულიც კი მომესმა... დედაჩემიც კი წამომიდგა თვალწინ... ყველაფრის შემეშინდა: კედლების, კარების, ჩემი თავის... თუ მაშინვე ღვის მშობელი თავზე არ დამანგრევდა ეკლესიას, არ მეგონა! რავარც იქნა მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა, გავაღე შიგნიდან დაკეტილი კარები და შეშლილივით გამოვვარდი კარში. თითქოს რაღაც ჯავრი მომეშორებიოს, გულზე ლოდი მომშორდა, უკან არ მომიხედია, ისე გამევიქეცი!..

— დეგელოცა, ღმერთო სასთაული! აი ხო გამოუჩენია თავისი ძალა?! სთქვა გოგიამ.

— იქინე უნდა მეეკლა!..

— იგი ჩვენსავით სულ მოკლე არაა, ჯერ აცლის და მერე წოუჭირებს ყრონტში... ხო აცნო, რა ძალა ქონებია, ის დააწყებაა ჯერ!..

კოჭლი ჩაჩუმდა მოწყენით. გაჩერდნენ სხვებიც.

— მერე, შენ ამხანაგებს რა უქნეს?

კოჭლმა, რომელიც ზღვის სივრცეში იცქირებოდა, ხმა არ გასცა. კითხვა გაუმეორეს.

— ჩემს ამხანაგებს? გეიქცენ თურმე; დილას რო ენახენ თავ-ახდილი კუბო, საროსტას ეყვირა და დაჭერა დაეპირებია, მარა გაქცეოდე . . . მერე ეცა თურმე ზარებს საროსტა და დეიწყო რეკა, მარა ქურდების ვერაფერი გაეგოთ.

— სულ არაფელი შეგხდომიენ?

— არა. უმიზეზოთ გადავრჩი. აი, ასე დემემართა, ძმებო! უსინდისო და უსირცხვილო მეგონა ჩემი თავი, მარა ქე მქონია პატარა სინდისი. მას აქეთ ღვთის მშობლის ხატს მოწიწებით ვიგონებ და როცა ცუდ საქმეს ჩავდივარ, გამახსენდება, მარა...

— რო შეგვხდეს კიდო, გაცარცვავ ახლა ეკლესიას?

— ღვთის მშობელს არ ვახლებ ხელს, თვარა სხვას არაფელს არ დავზოგავ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გაჩუმდა, რადგან დარწმუნდნენ, კარგს არა იტყოდა მარკოზა.

— წევიდეთ აწი!—სთქვა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ იოსებამ.

ამ სიტყვებზე ყველა წამოიშალა; არ დაძრულა მხოლოდ კოჭლი, რომელმაც მიაძახა ამხანაგს:

— არ გაგავიწყდეს, რავაც მოვალ, უნდა დამალევიო!..

— გულვარდში წევიდეთ!—უთხ[illegible] ჯიბილამ გოგიას და იოსებას.

— წევიდეთ, რამეს შევ[illegible]ედავ, გულს გარავაყვავილებ.— სთქვა გოგიამ.

— წევიდეთ... დაუმატა იოსებამ და სამივენი წავიდნენ.

კვირა საღამოა. აუარებელ ხალხის ათასფეროვან ტანისამოსით არის აჭრელებული ბულვარი. რიგი მიდის, რიგი მოდის; ზოგი ტკბილად იცინის, ზოგი გაცხარებულად მსჯელობს, ზოგი გულხელ-დაკრებილი და დადუმებული სდგას და მისჩერებია ზღვის მოთამაშე ტალღებს, ზოგი ენატკბილობს, არშიყობს, გარს ევლება თავისს სატრფოსა... სხვანი კიდევ ბუფეტში სხედან და განცხრომით მიირთმევენ სხვა და სხვა სასმელ-საჭმელსა... ზღვის ნაპირ-ნაპირ გველებივით დასრიალობენ ქალ-ვაჟით სავსე ნავები. შიგ მჯდომთა სიცილ-კისკისი ზღვის ზვირთების ნელს შხაპუნს უერთდება... აგერ, სილა-კენჭებში, სადაც დრო-გამოშვებით ზღვის ზვირთები დორბლს ამოჰყრიან და ისევ სივრცეში შთაინთქმებიან, რამდენიმე კაცი ზის შესვრილ-შემოხეულის ტანისამოსით: ხან ზღვას გადაჰხედავენ ლაპარაკის დროს, ხან ადამიანებს გაჰყურებენ... აგერ, ვიღაცა მოხელეს ტკბილად ჩასძინებია ზღვის პირად კენჭებზედ, ტალღები ნანას ეუბნებიან... გახუნებული ქუდი გახუნებულისვე კაკარდით, გვერდით უძევს, ფეხთსაცმელი ნახევრათ დახეული აქვს, ტანისამოსი ძალზედ მოძველებული, გახეხილი! ვინ იცის, შეიძლება ზღვის ნანამ კი არა, კუჭისამ ჩააძინა უბედური!.. აგერ, ბანაობენ, აგერ ქალ-ვაჟნი „ველოსიპედებით“ დაჰქროლავენ... ზიზინებს, თორთქოლობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანთა ზღვა, ათასფეროვან ტალღებით ჰღელავს!.. დიადი, ფერადის საღებავებით შემკული სურათია ყველგან. სიმდიდრე და სიღარიბე, ძვირფასი ჩაცმულობა და დაფლეთილი, ღარიბი ძონძები, სიხარულის აღტაცება და ჯავრი-ნაღველი, მომცინარეთა და მტირალეთა სახე, მაძღრობა და შიმშილობა, სავსე და გაფხეკილი ჯიბეები, გარყვნილება და პატიოსნება, ფუფუნება და გაჭირვება, მჩაგვრელთა მეჯლის-სიხარული და დაჩაგრულთა გლოვა-ტირილი, ყველა ერთად ერთ დიდებულ სურათად შეზავებულიყო და გამოფენილიყო... ამ მომჯადოვებელს სურათს ათასნაირ ჰანგებით თავს დაჰკვნესოდა მუსიკა, რომელიც ჩუმად, შეუმჩნეველად ეპარებოდა გულის სიღრმესა და ზოგს უწყალოდა ჰქენჯნიდა, ზოგს კი ტკბილად შეღიტინებდა, სადღაც შორს, შორს, საოცნებო ქვეყანაში მიაფრენდა, უსიამოვნებას, დღიურ ვარამს აშორებდა... მერე კი უცებ, უნებურად ისევ თავისს ადგილს დაჰსვამდა, ოცნებიდან გამოარკვევდა და ნამდვილს ცხოვრებას გადაუშლიდა, ისევ ტანჯავდა, ისევ აწვალებდა!.. დიახ, მუსიკა გულში ღიტინით, ხელის ფათურით ნეტარ სამსალას ერთად შეზავებულს გაწვდის!.. რამდენს ადამიანს აუშლის მწარე ფიქრებსა, რამდენის გულს ზღვასავით ააღელვებს, გაახალისებს, რამდენს სატირლად, ცხარე ცრემლების საღვრელად იწვევს, რამდენის გულს კი ქვასავით არა არ ეკარება!..

ხალხი მღელვარებს, ირევა, მუსიკა უკრავს, დაჰკვნესის... შავს ვეშაპსაც თითქოს ნაპირებიდან უნდა გადმოსვლა, ისიცა ჰღელავს... ღამდება. შავი სუდარა ეფარება მიდამოს. თბილმა ქარმა თბილი ჰაერი მოჰბერა ნაპირებს... თან და თან სიჩუმე მეფდება; აგერ-ეგერ მიღამებულს ადგილებში იდუმალი ლაპარაკი-ღა ისმის... სხეულით მოვაჭრენიც გამოშლილან, კისკისობენ... ელექტრონის ლამპარი მზესავით უნათებს ვაჟებსა და მათს უფერულს, ნახევრად შიშველ ქალებს, რომელთა კისკისსა და პრანჭვა-გრეხვასაც დასასრული არა აქვს.

— Лакей! — იძახის ერთი, მეორე, მეათე. ბიჭები ფაციფუცში არიან, დანა-ჩანგლის ჩხარუნს დასასრული არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— რა ამბავია ეს! —სთქვა იოსებამ ამოოხვრით, რომელსაც თავისი გაჭირვებული მდგომარეობა თითქოს დაჰვიწყებოდა და სხვებთან ერთად რაღაცა გამოურკვეველი სიხარული სწვეოდა.

— რა ხალხია! რაა ეს?—განაგრძობდა იგი, —აქანე ცხოვრებით რავა მოკვტება კაცი, ამაზე უკეთესი რა უნდა ნახოს კაცის თვალმა?— ამბობდა გაკვირვებული და თან აქეთ-იქით იხედებოდა.

— დედა, რა დიდ კაცობაა! რა ქალებია! რანაირი გამოწყობილები არიენ!.. რანაირათ აცვიენ და ლაპარაკობენ! ჩვენში რო ასე ქნან ქალებმა, ერთ ამბავს ატეხენ,—ამბობდა ჯიბილა.

— ჩვენ, ჩემო ძმებო, აქედან წევიდეთ, თვარა აგენის ყურება არ გვარგია; მაგენი ფულებითაა სავსე, აქანე შვაღამემდი იქნებიენ და ხვალე ‘ძვადღემდი კიდო ქე იძინებენ. ჩვენ კი რო გათენებამდი არ ავდგეთ, შავს დღეს დაგვაყენებენ! თუ რამე კაია ქვეყანაზე, ჩვენი ხომ არაა, ყველაფერი მდიდრებისაა; ჩვენ კი შორიდან უნდა ვუყურო!—სთქვა გესლიანად გოგიამ და წამოსვლა დააპირა. მისს მეტყველს სახეზედ მხოლოდ სიძულვილი იხატებოდა, თავისს დაძონძილ ტანისამოსს რომ დაჰხედავდა და მერმე მდიდრებისას; რაღაცა თავისდა უნებურად შეიქმნა ამ მეჯლისის მაყურებელი. რომ სცოდნოდა, რომ ასეთი ამბავი იქნებოდა აქა, სრულებით არ წამოვიდოდა. ამ გახალისებულმა ბრბომ საშინლად აუმღვრია გული გოგიას, თავისი თავი მთლად მიწასთან გასწორებულადა და უმნიშვნელო მტვრათ დაუსახა: „რა ვარ, რა?“ ეკითხებოდა მწარედ თავისს თავსა; „რისთვის ვარ ასე დაჩაგრულ-დამონებული, თითქმის შიშველ-ტიტველი და ამდენი ხალხი კი ათასნაირად მორთული? ნუ თუ მე არა ვშრომობ, არ მიშრომნია? აკი ჩემი სიცოცხლე სულ ვაი-ვაგლახში და სიდუხჭირეში გავატარე! შემხედოს კაცმა: ხელები მთლად მუშაობისაგან დახეთქილ-დაბებრებული მაქვს, იმათ ხელებზე კი წერილი დაიწერება; იმათ უფრო მეტი უმუშავნიათ, თუ მე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაა სამართალი?“ თავისს ოჯახისა და ყოფა-ცხოვრების წარმოდგენამა და სავსებით გათვალისწინებამ სრულებით მოშხამა ადამიანი... „აქ რო დავსეირნობ, ჩემს შიშველ-ტიტველ ცოლ-შვილს რას ვეუბნები? ორი გროშისათვის გამომიშვეს და არა აქ სასეირნოდ!“ შეჰრცხვა გოგიასა და კინალამ რაღაცა წამოიყვირა, მაგრამ თავი შეიმაგრა და თავისს გარშემო მყოფთ სიძულვილით გადაჰხედა...

— წევიდეთ, კაცო, წევიდეთ!—გაუმეორა გოგიამ ამხანაგებს. გოგიას ასეთი დაჩქარება გასამართლებელიც იყო. ოჯახში მისვლისას რომ კაპეიკიც არ მიეტანა, სინიდისი მაინც წმინდა ექნებოდა; იმას მაინც ვერავინ ეტყოდა, რომ დასეირნობდი, დროს ატარებდი და არ გიმუშავნია კი, არა გიზრუნია-რაო.

— წევიდეთ, წევიდეთ!—დაეთანხმა ჯიბილა.

— დაგვაგვიანდა რაღმე, მგონია?—სთქვა იოსებამ.

— გავსწიოთ, ძმებო, თორემ ჩვენ აქ არავინ რას მოგვცემს,—გაიმეორა გოგიამ.

— წევიდეთ!..

გამოვიდნენ თუ არა ბულვარიდან, იქვე რამდენიმე დამალული ქალი დაჰხვდათ. ერთმა მათგანმა ჩაუხველათ კიდეც, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია... ესენი იყვნენ მოსამსახურე-მზარეული ქალები; ესარგებლნათ თავიანთ ბატონების ბულვარში წასვლით ტ, წუწკი ძაღლებივით ხეტიალს დაჩვეულნი, ქუჩა-ქუჩა დაძრწოდნენ ღამეში. როგორ? გაბა, ესენიც შიმშილმა აიძულა?.. არა!მაგრამ პატარობიდანვე მიეჩვივნენ გარყვნილებას; ათი თორმეტი წელი შეუსრულდათ თუ არა, მშობლებმა მაშინვე აქეთ უკრეს სასამსახუროთ თავი, სადაც გარყვნილობის მეტი არა დაჰხვედრიათ-რა. მათმა სუსტმა ბუნებამ, რასაკვირველია, რ აიტანა უზნეობაში ყოფნა. იმათაც შესცურეს ბოლოს ამ ტალახში. მათი ვამხდარ-ვამხდარი, გაყვითლებული სახე და ჩალრმავებულ-ჩალურჯებული თვალები ცხადად ჰმოწმობედნენ ამ გარყვნილობას. თავანთის სხეულის გასყიდვით ანაღებ ორი კაპიკით კანფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს, ან სხვა რამე უმნიშვნელო ზიზილ-პიპილებს ყიდულობდნენ და კოპწიაობდნენ...

— ამაზე უკეთესი არაფელი მინახავს,—სთქვა დაწოლილსას იოსებამ. იმ ღამეს სულ ბულვარი ესიზმრებოდა.

გვიანი ღამე იყო, მაგრამ ბულვარში ჯერ კიდევ აუარებელი ხალხი ირეოდა. გრილი სიო უბერავდა. ზღვა შავად მოლუშულიყო. სანთლიანი ნავები მოსეირნეებით სწრაფად დასრიალებდენ მის ზურგზედ... ელექტრონის ლამპარი კაშკაშა მზესავით ანათებდა მოქეიფეთა სუფრას, ცის გუმბათი მოელვარე ვარსკვლავებით მოიფინა. მუსიკაც ისევ უკრავდა. აი, თავისი უკანასკნელი აკკორდი ზღვის სივრცეში ჩაჰკლა თითქოს და ჩაჩუმდა...

VIII

— ღმერთო და წმინდა ბასილო, შვიდობით მეიყვანე საწყალი იოსებე და შვიდობით დაახვერდე ცოლშვილი!.. ღმერთო, შვიდობის გზავრობა მიეცი!.. ღმერთო, ნუ გაგვიხთი ტერის გუნების საქმეს!— ეხვეწებოდა ხელებ-აპყრობილი მატა ღმერთს ქმრის წასვლის შემდეგ.

— დია, წევიდა ბაბაი? – იკითხა ერთმა ბავშვმა და ლოგინიდან თავი ამოჰყო.

— ხო, დია, წევიდა!

— როიც მოვა?

— ჯერე, შვილო, ახლა წევიდა და როდის მოვა, ვინ იცის! როცა რამეს მიცემს ღმერთი, მაშვინ მოვა! ღმერთო, შენ შეეწიე და უწინამძღვრე ჩემს ქმარსა და შვილს; ღმერთო, გამარჯვებული და გულ-გახარებული მეიყვანე საწყალი იოსებე!.. შეეწიე, ხელი მოუმართე, წვრილი ცოლშვილის პატრონია! — ემუდარებოდა კვლავ მატა მეუფეს.

— დია, გონია ადრეა, დავწობი!.—უთხრა დათიკომ დედასა და ჭრაქი, რომლითაც მამას უნათებდა წასვლის დროს, სკამზედ დადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწევი, დია, დაწევი!

— სარე დავწვე?

— მამაშენის ნაწოლზე... საცხა იწევი, იქინე! მალე დაწევი, თვარა ბალანე გამეიღვიძებს... დათიკო მივიდა მამის ნაწოლ ლოგინთან და მოწყენით გამოეხვია მიგლეჯილ-მოგლეჯილ საბანში; დაწოლისათანავე ხვრინვა ამოუშვა; მხოლოდ მატას თვალებს არ ეკარებოდა ძილი. თვალწინ ედგა მთელი თავისი ოჯახი და მისი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი არ ასვენებდა. ნათლად ჰხედავდა, რომ მთელი ოჯახი იოსებაზე იყო დამყარებული და იმით ედგათ სული. იოსებას როგორმე დაზარალებით, თავის უბრალო წამოტკენით, ოჯახსაც უთუოდ ეტკინებოდა თავი, ხოლო თუ იოსება კარგად იქნებოდა, მთელი ოჯახიც კარგად იქნებოდა. კი, მართალია, უმატოთაც არ შეეძლო ოჯახს არსება, მაგრამ დღეს, როცა სოფელმა ვერ დააკმაყოფილა ოჯახის მოთხოვნილება, მატასაც მოაკლდა მნიშვნელობა. ის იყო ყანებში, ეზო-კარმიდამოს მოშვლელი და მოჭირნახულე ადამიანი, მაგრამ ყანამ და სოფელში ჭირნახულობამ ველარ დააკმაყოფილა ოჯახი და იძულებულნი გახდნენ სხვა საშუალებისათვის მიემართათ. ერთად-ერთ საშუალებად ქალაქში წასვლა მიაჩნდათ და, რასაკვირველია, ამიტომ იოსებას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა ოჯახისათვის, ვიდრე შინ მყოფს დიასახლისს. აკი იოსებაც ამიტომ წავიდა ქალაქს. როგორც განუვითარებელს და მუდამ სოფელში მცხოვრებს ადამიანს, მატას ქალაქი ფულის მადნათა და ფუფუნება-ნეტარების წყაროთა ჰქონდა წარმოდგენილი. მართალია, არა ერთჯელ მოჰსვლია ქალაქიდან ქმარი ჯიბე-ცარიელი, მაგრამ ქალაქზე მაინც უკეთესი წარმოდგენა ჰქონდა. მისცა ოცნებას თავი და თვალში ძილი არ ეკარებოდა: „აი, ღმერთი შეგვეწევა და წლევანდელს დანაკლისს შობამდე შევივსებთ... ეგება რამე ნაირათ ვალებიც ქე გადევიხადოთ და ჩვენც ქე მოგვრჩეს... მერე ბედნიერი ქალი ვიქნები, ბედნიერი ქმარშვილის პატრონი... სხვაი თუ იქნება ამ ქვეყნათ, მეც ვიქნები, მეც შემეძლება ხმა მაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი, მუდამ შიშსა და მორიდებაში არ ვიქნები.—აი, ვალებიც გაისტუმრა, ფულებიც მორჩათ; მშვენიერი ტანისამოსი შეიკერა, ქმარ-შვილი მშვენივრად გამოაწყო, ოჯახი მოაწყო, სახლი იყიდა; ყველა მას შეჰნატრის, მთელი სოფელი გაკვირვებულია... აი, ერთს კვირა დილას მატა მშვენიერად მორთულა, ქმარ-შვილს შუაში უდგას და ეკლესიაზედ თავმომწონედ მიდის. ყველას მისი ბედი ენატრება• „და თიკოც ნასწავლი ჰყავს“ და... „ყიყლიყო!“ დაიძახა მამალმა.

— უჰ, რა ტკბილს ფიქრებში ვიყავი! გაიფიქრა მატამ და თავზე წახურული საბანი გადაიძრო. მოთენებულიყო; სახურავიდან უკვე სინათლე მოდიოდა. ოცნებით დამტკბარს ადამიანს სინამდვილის დანახვამ სულ მოუწამლა გული. აღფრთოვანებულ მატას გულს ლახვარივით დაესო თავისს სახლისა და საცოდავად დაყრილ წვრილ შვილების დანახვა, საცოდავად ამოიოხრა და ტანთ ჩაცმა დაიწყო. სცდილობდა შვილები არ გაეღვიძებინა, რომ მათ ადგომამდე ოჯახი მიელაგ-მოელაგებინა. „ვა, იმ ტურის კერძმა მამალმა რავა მიმატუებია შვენიერი ფიქრები; მეფიქრებია, დედა, რა მიხაროდა! ნეტავი, თუ ვეღირსო როდისმე?“ გაიფიქრა მწარე ღიმილით მატამ და გულდაწყვეტილი კარში გამოვიდა. მაშინვე ქართის კარებისაკენ წავიდა და საქონელი გამოუშვა.

— ოო, ამეერთვა პირში სული ჩემი მოზვერის წართმევიზა სიმონ ირემაშვილს!—დაიწყევლა მატა, საქონელი რომ ნახა ქართაში. „მინდღეჩი არ გამავიწყდება! ქართასთან რო მოვალ, აქანე და მხვდება, მგონია“, იტყოდა ხოლმე ხშირად მატა.

ჯიჭიე! ჯიჭიე! ჯუჭუ-ჭუ-ჭი!.. ჯიჭიჭიჭიჭი!... დაუძახა მატამ ქათმებსა და საკენკი გადაუყარა.

— ადექია, დია, დათიკო, ადექი! ჭკუით და მუყაითად იყავი, შვილო, და ღმერთი არ წაგახთენს!—უთხრა დედამ ცოტა ხნის შემდეგ დათიკოსა და ბავშვები ააყენა. აკვანში მწოლარემაც ტირილი მორთო. ყველას მოწყენილი და დაღვრემილი სახე ჰქონდა; ჩუმად მისჩერებოდნენ დედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დია, ბაბაი სადა?—იკითხა ერთმა.

— ღმერთო, შვიდობით მეიყვანე და შვიდობით დაახვერდე საწყალ იოსებას ეს ბალნები!—შეევედრა მატა ღმერთს.

— სახლი არ დავხვეტო, დიაა?—შეეკითხა პელანგია დედას.

— აჰ, რავა შეიძლება?! ვის გოუგონია, მგზავრი რო წავა, იმ დღეს სახლის დახვეტა?.. არ დახვეტო, არ გაგიწყრეს ღმერთი,—დაარიგა დედამ. დათიკომ რაღაცა ორი ლუკმა შესჭამა და სკოლაში წავიდა. მატას არასფერზედ გული არ მისდიოდა, მთლად დაბნეული იყო.

— შე ქალო, წევიდა იოსებე?—ჰკითხა მეზობლის ქალმა სოფიამ მატასა და ატირებულს ბავშვს ძუძუ ჩაუდო პირში.

— წევიდა, აპა, რა ქნას საწყალმა! სახლში, აპა, ვინ რას მოუტანდა?..

— ღმერთი შეეწიოს ყოველ მუშაკაცს და გაუმარჯოს. აპა, რას იზამდა მისი ცოლშვილის გადამკიდე?—ვინ წაყვა! კიდო?

— ვინ და სიმონე, ბესოიე, ჯიბილე, ნიკოიე, ნესტორე და გოგიი მისი ბიჭით.

— ამტონა ლობიაძემ შემოგითვალენ, მოდიო?

— ხო, იმან შამოთვალა.

— კაი ძალი ქე წასულარიენ! კაია, ჩვენებურები რო იქნებიან ერთად...

— შე ქალო, ჩემი ღორი რაცხას ავათყოფობს და მეშინია გოჭები ანეი არ მოყაროს... ნეტე, ხო არავის გოულახავს?

— ვინ გალახავდა, ბეჩა, ვინ იქნებოდა ისეთი უმადლო, რო მოჩოჩინებულ ღორს გალახავდა.. ნალოცი აჭამე და რა უჭირს!..

— ქე ვაჭამე, მარა, რა ვიცი, კიდო ქე მეშინია.

— ნუ გეშინია, არაფელი უჭირს. როიციზა უნდა მეიტანოს?

— ველი ასე იქითურ კვირეში. სოფია, ბეჩა, სალოცვილებს არ იხთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, შენი ჭირიმე... სასაფლავო და საუკოდინარო შალე უნდა მევიხადო და მერე სხვებს მევიხთი.

— აგერ იმიზა ვიკითხე, რომ ამ დროს ბევრი სალოცვილებმა იცის თავის მოყრა,—სთქვა მატამ.

— გონია, სათემოს მოხთასაც წროულს აპირობენ და რა ვქნათ, ბევრი ხაჯი გაგვივა!

— მართლა დიდი ხანია არ მოუხთიენ და ქე იზამენ წროულს. გონია, არც თხის სალოცვილია დიდი ხნის მოხთილი?

— აპა, არც ის არის მართლა! ვაი, თუ იგიც წროულს ქნაწყენ!

— აპა, რა ვქნათ, ბეჩა, ხო ვერ გამეექცევით! ღმერთმა ჩვენს ტერს და ავს უქნას და რო რამე მიზეზით ჩვენს ქმარ და შვილს რამე მეეწიოს, მერე სულ რა გვეშველება?

— ღმერთმა ჩემი ქმარ-შვილის სიმწარემდი მე ჩამდვას მიწაში! იგენს რო რამე დეემართოს, მერე რათ მინდა თავი ცოცხალი,—სთქვა მატამ და მატყლის რთვა დაიწყო.

— უნდა გევიჭიროთ და მევიხადოთ, აპა, ხო გეიგონე, რა თქვა თომაიზა მარჩიელმა: სალოცვილის მიზეზით არის ავათ! ერთი სალოცვილი არ მოგიხთიენ დიდი ხანიაო!

— არა, ისე კი არა, მარჩიელს უთქვამს, მოხთით ქე მოგიხთიენ, მარა სალოცვილის დროს ერთ მოზიარეს გული მოსვლია, დაუმადლებია და სულ ტყულათ ჩაუარიაო,—გაუსწორა მატამ.

— რა ვიცი, მე ასე გევიგონე და!..

— ვაი, საწყალი, რა კაი ბიჭი იყო! რამდონი იაქიმა! სულ გაყიდეს დოხთურებმა, მარა მაინც ვერ მოარჩინეს. ეგება მართლა ქე წეეწია რამე სალოცვილის მიზეზი უბედურს! ეგება ან გარანაკემია. ის მარჩიელი იმისთანა ქალია, თურმე ყველაფერს მიხვთება! რაც გულში გაქ, იმას იტყვისო, ამბობდა მატა.

— აპა, ბეჩა, ასე ამბობენ და ერთი ნეტეი წამიყვანა და მარჩევნებია. დიდი ხანია არ მირჩევინებია,—ინატრა სოფიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეი, ქათამი, კვერცხი ქათამი! —ჩამოიძახა შუკიდან ძარებიან ცხენზედ მჯდომმა მექათმემ.

— პეტრიელე მექათმიია?

— ხო, იგია! თედორუ ქე მოკვტარა და... უთხრეს ერთმანეთს ქალებმა.

—რამდონია, რამდონი შაურათ? —დაეკითხა ერთი მკლავებ დაკაპიწებული ქალი; ეტყობოდა, მჭადს აცხობდა.

— ექვსი შაურათ, ექვსი! —დაუძახა მექათმემ და ცხენი შეაჩერა.

— ხუთი არა?

— არა, არა! —უპასუხა და კვლავ დასძახა! „ქათამი, კვერცხი, ქათამი!“

— ძღაბო, პელანგია, გამეიტანე, იქინე ლოგინ ქვეშ ქოთანში ექვსი კვერცხი რომაა და მიყიდე მექათმიას! შაურს მოგცემ და კაია, დათიკოს ტეთრატიზა უნდა მივცე, —უთხრა შვილს მატამ. კიდევ ბევრი ილაპარაკეს მატამა და სოფიომ, ასე რომ ლაპარაკში კიდეც გაუშუადღდათ.

IX

— დია, დათიკო, დამიკალი ე ყვიჩილე! დღეს „სასაფლავოს“ სალოცვილი უნდა მევიხადოთ, —უთხრა კვირა დილას მატამ შვილსა და ყვინჩილა მიაწოდა.

— დანე სადაა? გალესილია?

— კი, გალესილია! მერე წადი და დუქნიდან ორი კაპეიკის პური ქვილი მეიტანე, ხმიადებიზა მინდა... ქათამი ისე დაკალი, თავი არ გარააგდებიო!..

დათიკომ ყვინჩილას ფრთები გადაუწია, ერთი მოსმით კისერი გამოღადრა და ხელიდან გააგდო. საბრალო ფრინველს ჯერ კიდევ სული ედგა; საცოდავი სანახავი იყო საბრალო, სისხლიდან რომ იცლებოდა და თან ფეხზედ მდგომი ცანცალით მიწისკენ იწევდა.

— ორი კაპეიკის ქვილი რას გვეყოფა? —იკითხა დათიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აპა, რა ვუყო, მეტი არა მაქ და... სიმიდის ქვილს გოვურევ, რა უჭირს!..

— საკმეველი გაქ, დია?

— კი, ქე მაქ პეტერე საკმეველიც და ჩამოსაქენი სამთელიც!..

მატამ დიდის ლოცვა-კურთხევით სადილისათვის მოამზადა სალოცვილი, სადილობის დროს წაიყვანა შვილები ჭურის თავზე, თან სამთელ-საკმეველი, ქოთნის ნატეხით ცეცხლი, ჭინჭილის ოდენა დოქით შუა ღვინო, ოთხი ხმიადი თეფშზე დაწყობილი და ყვინჩილის თავ-ფეხ-კუჭმაჭი წაიღო. მოჰხედა „ლახუტს“ (პატარა ჭური), რომელიც ნაწვიმარი წყლით იყო სავსე, მოუწმინდა ლამაზათ თავი, ხრიკით (ორშიმო) პატარა ამოიღო და დოქით მიტანილი ღვინო შიგ ჩაჰკიდა.

— ღმერთო, ნუ მიკანონებ მე საწყალს,—ეხვეწებოდა მატა,—შენც კი ხედავ, რო ცვარი ღვინო არა მაქ და ასე უნდა ვქნა, აპა, რა ვუყო!..

— დია, მერე ასე ივარგებს?—იკითხა დათიკომ.—ღვინო შით არ უნდა ესხეს?

— რა უჭირს, დია, ვითამ შით ჩაკიდებულ დოქს რო ამევიღებ, იქინედგან ამომელოს ღვინო, სულ ერთია!..

მერმე დააჩოქა მოწიწებით ბავშვები, აღმოსავლეთისაკენ პირი აქნევინა, ჭურის თავზედ თეფშზედ დაწყობილი ქათმის თავ-ფეხ-ჭუჭმაკი დასდო, ჭინჭის ნახევზე ჩამოქნილ სანთელს ცეცხლი მოუკიდა, თვითონაც დაიჩოქა, თეფშზედ ჭიქით ღვინო დაიდგა და შეუდგა ლოცვას.

— ღმერთო, სასაფლაოს გამჩენელო, ძალ-დიდებულო! შენ შეეწიე და უწინამძღვრე იოსებეს მარჯვენეს და ოჯახობას! ღმერთო, კარქათ ამყოფე საწყალი და ეს ორი კეკალი ბალანეც კარქათ ამყოფე, სასაფლავოს გამჩენო ღმერთო, აგენის სიმწარეს ნუ შემასრებ! შენი მუხლის ჭირიმე! თუ რამე გვიწყენიებია, სასაფლავო ძალდიდებულო, გვაპატივე, უგნურები ვართ, არაფელი გვესმის! შენის დიდების მადლს! ასე წალმა არონიე (თან წალმა თეფშს ატრიალებს) ჩემი ქმარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, იოსებეს ძე და მომავალი. დაუთურგნე ყოველი ტერი, ბოროტი!“ ლოცვის დროს მატა თეფშს, რომელზედაც ანთებული სანთელი იყო მიწებებული, განუწყვეტლივ მარჯვნივ ატრიალებდა; ხანდახან შეჩერდებოდა და ხელებს მაღლა ააპყრობდა. ბავშვები-კი ამ დროს ერთმანეთს არ ასვენებდნენ, სიჩუმეს არღვევდნენ. რაღაცა სალოცვილი იყო, სრულებით არ იზიდავდა მათს ყურადღებას: ხმიადებსა და კუჭ-მაჭს მისჩერებოდნენ და იმას ფიქრობდნენ, აპა, როდის იქნება, ხელში ვიგდოთო! — როდის, როდის, მატამ გაათავა ლოცვა, ბავშვებს საკმეველი შემოავლო, ცეცხლში ჩასწვა, ასევე აქნევინა შვილებსაცა და მხოლოდ შემდეგ-ღა მისცა საჭმელად ხმიადები და ჭუჭ-მაჭი. ბავშვებმა ერთი აურ-ზაური და ღრიანცელი ასტეხეს.

— გაჩუმდით, თქვე გასაწ...—მიაყვირა მატამ,—ნუ მაწყევლინებთ თავს, თქვე!..

— აპა, რა ვუყო!.. მართმევს და...

— გაჩერდი, ეგი ჩემია!..

— არა, ჩემია!—იძახოდნენ ბავშვები.

— გაჩუმდით, ჩეიგდეთ ენა! ხო გახსობენ, ამ დილას რო გითხარით? არავის ერთი ფინჩხა დღემანდელი სალოცვილის არ აჭამოთ, თვარა სულ უქმათ ჩაგვიარს... არ გაგიწყრენ ღმერთი, თვარა შავ და ბნელ დღეს დაგაყენებთ!— დაარიგა მატამ შვილები.

ჩვენში ჩვეულებათ აქვთ, სალოცვილს რომ მოიხდიან, ქათამს ან სხვა ცხოველს, რასაც სალოცვილზედ დაჭკლავენ, არავის, გარდა თავიანთ ოჯახის წევრებისა, არ აჭმევენ, იმ მოსაზრებით, რომ ლოცვამ უქმად არ ჩაუაროსთ.

— ერთი სალოცვილი დღეს მევიცილე, ბეჩა; და „საუკოდინაროს“ აწი მევიხთი,—უთხრა მატამ ჯარში ყოფნის დროს კვირა საღამოს მეზობლის ქალს.

სოფლის რამოდენიმე ნაწილმა კვირა საღამოობით ერთ ალაგას იკოდა თავის შეყრა; ეს ალაგი მატას სახლის მახლობლად იყო. აქ იყრიდნენ თავს გოგო-ბიჭები და ხანში შესუ-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ლი ქალები; იქვე იყო სამიკიტნო დუქანი დამტვრეულ-დაძველებულის შარმანკით, რომლის ხმაც მთელს სოფელს დიდს სიამოვნებასა ჰგვრიდა. ააჭიჭყინებდა თუ არა ამ დამტვრეულ „საფქვილე ზანდუკს“ ვინმე მოქეიფის სურვილით დუქნის პატრონი არტემა, მაშინვე დუქნის წინ ბავშვების ხრო გაჩნდებოდა და შეიქნებოდა ერთი აურ-ზაური.—სოფლის ორისავე სქესის ახალ-გაზრდობას საერთო ფულით ჰქონდა ნაყიდი თორმეტ აბაზიანი „ბუწკანტი“, რომელიც მედუქნე არტემას ებარა. შეიყრიდნენ თუ არა უქმე-დღით თავსა ამ დუქანთან, მაშინვე გამოარბევინებდნენ და ცეკვა-თამაშს გაჰმართავდნენ. ხანში შესული ქალები კიდევ ღობის ძირში მისხდებოდნენ და ხელზედ ყბა დაყრდობილნი უცქეროდნენ მოთამაშეებსა: ზოგს კალთაში უჯდა ბავშვი, ზოგი ძუძუს აწოვებდა. თავგამოდებით ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ ახალგაზდები. ქალიშვილები ტურფად გაფურჩქვნილ ვარდსა ჰგავდნენ; სოფლის წმინდა ჰაერსა და ბუნებას ყველა აეყვავებია.

— ილარიის ანეტიას გიგოიის შვილი თხოულობსო, მართალია?—იკითხავდა ერთი ქალებთაგანი და მოჰყვებოდნენ ათასნაირს ჭორების თხზვას და ამბავს: ზოგი ამას იტყოდა, ზოგი იმას, ათას ნაირ დასკვნას გამოიყვანდნენ სალაპარაკოდ გამხდარს ადამიანს ან სულ მიწასთან გაასწორებდნენ და ყველაფერს ადამიანურს დაუკარგავდნენ, ან სულ ცამდის აიყვანდნენ. და ისე ბაასის დროს მთელს სოფელს გადასჩხრეკდნენ, ათას ნაირს შედარებებს, საბუთებს მოწმებებს წარმოარდგენდნენ, მხოლოდ შემდეგ-ღა იტყოდნენ თავიანთს უკანასკნელს გარდაწყვეტილებას. ვაი იმას, ვისაც ცუდად მოიხსენიებდნენ: რა კილოს არ გამონახავდნენ, რას არ დაარქმევდნენ!..

— მატა, ბეჩა, რა გახარო!—უთხრა სახლში დაბრუნებისას მატას მაკრინემ.

— რა იყო, შენი ჭირიმე, აპა, კარგი �=ეა რამე?

— კარგია, აპა, რა? იცი, ქალო, რო ამ კვირეში კაცები სათემოს მოხთას აპირობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ გამიგია! რა დროის სათემოა ახლა, სად შაქ იმისი თავი?

— სად გაქ კიარა, მაინდა-მაინც უნდა მევიხადოთ, ისე არ შეიძლება,—უთხრა მაკრინემ.

— როიციზაო მერე?

— კვირეიზა იქნება!..

— კვირეიზა, ბეჩა, რა იყო, რა?—ეწყინა მატას.

— სულ ერთი არაა, შე ქალო? რა დღეს, რა ხვალე, მაინც უნდა მევიხადოთ? სათემურე ღორი თედორას ყავს გაშობილი, დავკლავთ და ის იქნება... მარჩიელმა მაინც ქე გეიძნელა და...

— შე ქალო, კაცი არა მყავს სახლში და მე რაფერ მოვახერხო, იმას რო ხარჯები უნდა და რაფერ მოვაგვარო,— სწუხდა მატა.

სათემოს მოლოცვა აქვთ დადებული სოფელში, სადაც წმ. ბასილის სახელზეა ეკკლესია აგებული; ეს იმისათვის, რომ, იტყვიან, წმ. ბასილს ღორი უყვარსო, „მეძაგრე ხატს“ უწოდებენ. რადგან ამ სოფელშიაც წმ. ბასილის სახელობაზე იყო ეკკლესია აგებული, სათემოს მთელი სოფელი იხდიდა, სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა რიგად. მაგალითად, ძველს დროში ასე სცოდნიათ: მთელი სოფლიდან ერთი ვინმე გაზრდიდა ღორს; მოლოცვის დრო რომ მოაწევდა, მთელი სოფლის მამაკაცები შეიყრიდნენ თავს ღორის გამზრდელ გლეხისას. ქალებს მიკარება არ შეეძლოთ, რადგან წმ. ბასილს ქალი სძულსო. შემდეგ დაჰკლავდნენ ღორს, მოიტანდნენ პურს, ღვინოს და შეუდგებოდნენ ქეიფს. ხორცი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სათემო ღორისა, სხვას ვერ მოუმატებდნენ. მაგრამ ერთი ლუკმა მაინც არის, ყველას უნდა ჰრგებოდა. სადილზედ მოწვეული ეყოლებოდათ მღვდელი. მოასვენებდნენ წმიდა ბასილს და ოთხ კაპიკს აჩუქებდნენ. სადილის დაწყების წინ გამოვიდოდა ხელოსანი, მიუბრუნდებოდა თემს და გამოუცხადებდა: „ბატონებო! სმენა იყოს და გაგონება! სმენა და გაგონება! მასპინძელმა მოგახსენათ, თქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი გამასპინძლება კი არა, თქვენი მწყემსისაც არ შემეძლოვო, მარა ღმერთმა და წმ. ბასილმა შემაძლებია და მომაპატიჟებია თქვენი თავი... გთხოვთ აშენება დამიბაროთო! აპა, დავლოცოთ ჩვენი დღევანდელი მასპინძელი: ააშენოს ღმერთმა, ააშენოსო!"

— ააშენოს! ააშენოს! ააშენოს!—იგრიალებდა თემი და კარ-მიდამოს შეაზრიალებდნენ. შემდეგ შეუდგებოდნენ სადილობასა. ძვირათ გათავდებოდა სათემო უჩხუბრად: როგორც კი ცოტათი შეზარხოშდებოდნენ, მაშინვე ჩხუბს ასტეხდნენ და ერთმანეთს დაესეოდნენ. მაგრამ დროთა ვითარებამ ჩვეულებას თავისი ელფერი დასდო და ცოტათი შესცვალა: მთელი სოფლის მაგივრად ეხლა მხოლოდ ერთი გვარის გლეხები ლოცულობენ სათემოს და ბევრს უწინდელს ჩვეულებასაც ივიწყებენ.

მართლაც და ამ ჟამად მხოლოდ თითაძეებმა მოიხადეს სათემო. მთელი გვარიდან ძლივს ათიოდე კაცი შეიკრიბა, თუმცა ორმოცს აღემატებოდა მათი რიცხვი; დანარჩენნი სახლში არ იყვნენ.

თხის სალოცველის მოხდა მომავალ წლისათვის გადასდეს. ამ სალოცველს ასე იხდიან: საერთო ფულით იყიდიან თხასა და მოზვერს; თხას დაჰკლავენ და შესჭამენ. ამასთანავე უნდა მიიტანონ მონაწილეებმა პური, ღვინო, ქათამი და სხვ. მოზვერი კი ცოცხლად უნდა გელათს გაგზავნონ და თან სანთელი და ფული შესწირონ. ამ სალოცველის მოხდის დროს თვითეულს ოჯახს ორ მანეთამდე მაინც ეხარჯება.

მესამე კვირას მატამ „საუცოდინაროო" სალოცველი მოიხადა. ყველაფერში ისე მოიქცა, როგორც „სასაფლაოს" მოხდის დროს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ჭურის თავზე თეფშის ტრიალის დროს სულ სხვას ამბობდა: „ღმერთო და საუცოდინაროს გამჩენო ძალო და მადლო! დეიხსენი და დეიფარე ჩემი ოჯახი ყველაფრიდან: გარანაცემიდან, ნაწყევრიდან, რაც ვიცოდე და არ ვიცოდე, შენი მოწყალების ჭირიმე, შენი დიდების ჭირიმე! ეგება ვინმემ ისე დამიწყევლა

ოჯახი, არ ვიცოდე. მემეხმარე და მიხსენი, შენი მუხლის ჭირიმე, გეხვერწები, გევედრები!“

სალოცვილების სეზონი საზოგადოდ მთელ სოფელში შემოდგომაზე იცის; ძვირია ისეთი ოჯახი, რომ რამდენიმე სალოცველი არ მოიხადოს ამ დროს. რამდენიც ოჯახი გაუნათლებელი და უმეცარია, იმდენად მეტი სალოცვილები აქვს დადებული; იქ კი, სადაც განათლებას ცოტათი მაინც არის შეუშუქებია, სალოცვილები სულ ცოტაა, მაგრამ სრულებით მოსპობა ჯერ არსად არის, რადგან მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ჩვეულებათა უცებ დავიწყება ძნელი საქმეა.

— დია, დღეს მასწავლებელმა მითხრა, თუ ხვალიზა სთავლის ფული არ მეიტანე, გამოგაგდებო,—უთხრა შუა დღისას დათიკომ დედას.

— რეიზაო, რა ღმერთი გოუწყრა მის ოჯახს? სხვებმა მეიტანეს თუ?

— ყველას არ მოუტანია, მარა...

„რავქნა, რა წყალში ჩავვარდე, რეით გევისტურო „უჩიტელი“, ფიქრობდა გამწარებული მატა და გულს ცეცხლი ედებოდა.

— წამოვალ, შვილო, და შევეხვერწები ხვალე, ეგება მოგვიცადოს სანამდი მამაშენი ფულს გამოაგზავნიდეს,— უთხრა მატამ.

— მოგვისთის კი?.. უბედურია, არ მეისთის! სულ ასე იცი შენ,—სტიროდა დათიკო.

— აპა, რა ვქნა, შვილო! მაქ და არ ვაძლევ თუ? შევეხვერწები და მეისთის! ეგება ერთი ორი კაპეიკი გამოაგზავნოს მამა-შენმა და მივცემ, აპა, მე გავჭედავ ახლა ფულებს, თუ რავაა შენი ნარჩევი?

მეორე დღეს მართლაც მატამ მეზობლებიდან ფეხსაცმელი და შალი ითხოვა და სკოლაში წაჰყვა შვილს.

— დილა მშვიდობის! მიესალმა ღარიბულად ჩაცმულ-დახურული მატა მასწავლებელს, რომელიც დათიკომ გამოიყვანა სკოლის გაქუცულ შენობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დილა მშვიდობისა! რა გნებავთ?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! ი ჩემი გლახა ბაღანეს გულიზა მევედი, რაცხა მისაშვალე, დემეხმარე, მაპატიე, —ეღრიჯებოდა მატა.

— რომელია შენი შვილი?

— აი, იგია, ბატონო, გლახა ჟღვინტიანი ბაღანე, — და დათიკოზე მიუთითა.

— ოო, ესაა შენი შვილი? კაი მეცადინი ბავშვია, ეცადე სკოლიდან არ გამოიყვანო და რამე ასწავლო. მერე თქვენ რათ მოსულხართ?

დათიკოს სალოკი თითი პირში ჩაედო და თავ-ჩაქინდრული იდგა.

— რეიზა, შენი ჭირიმე და სთავლის ფულიზა! მადროვე პეტერა ხანს, შენი მუხლების ჭირიმე, შენ გენაცვალე,— ეხვეწებოდა მატა.

— რა ვქნა, ჩემო დედავ, ყველა ასე მეუბნება, მადროვე, მადროვეო„და მე-კი ფულები მჭირია. ღმერთმა ხომ იცის, მე თქვენზე გაჭირვებული მშობლები მყავს, მეც მჭირია ფული! რა ვუყო, თუ ორიოდე გროში არ გავუგზავნე მშობლებს, არ მარგია, და რა ვქნა...

— რამე მისაშველე, შემეწიე, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ჯერე გარახთა არ შემიძლია და რა ვქნა... საშობოთ ქმარი გამომიგზანის და მოგართმევ... კლასში სიარული რავა მივატოვებიო ბაღანას, რავა წევიწყმინდო სული, — ეხვეწებოდა მატა.

დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, მასწავლებელი დასთანხმდა ფულის დროებაზედ; მატამ საშობაოდ ფულის მიცემა აღუთქვა და დიდის თაყვანის ცემით მოჰშორდა. „ღმერთო, ნუ შემარცხვენ და პირიანად მიმაცემიე იმ „უჩიტლიზა“ ფული! ნეტაი მისს დედას, რა შვილი გაუზრდია დედა მისს! ფიქრობდა მატა. „აი, თუ მევესრები იმ დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი დათიკოც მაგისთანა კაცი მყავდეს!“—გაივლო გულში მატამ და თვითონვე შერცხვა თავისის ფიქრისა.

— მატა, ბეჩა, ეგება ქვილი გაქ, მასისხო,—მისვლისას „კოთხოთი“ ხელში შეეკითხა მეზობლის ქალი თებრო.

— კი მექნება, თუ მალე მომცემ... დატენილი გინდა?

— ხო, შენი ჭირიმე! ახალ სიმიდას ვაქფევიებ და ზეგიზა ქე მოგცემ. შე ქალო, კობოსთო ფხალს არ ძმარავ?

— ჭური არა მაქ, ბეჩა, თვარა ქე დავძმარავდი, პეტერე ქე მაქ და...

— ქე გქონდა შენ ჭური!

— იგი, ბეჩა, გატეხილია, თვარა შენს პირს შაქარი!..

— დედა, ბეჩა, მატაია, რა გითხრა? ახალ მოსრული უჩიტელი რომაა, თურმე ჩვენი დიაკვნის, გერასიმეს ქალიშვილს თხოულობსო.

— ვინ თქვა, ბეჩა, ტყული იქნება! იმას რავა ითხოვს იმისთანა კაი კაცი! დღეს ვიყავი იქინე და ისე მელაპარაკა, რავაც 'შაქარი. ნეტაი მის დედას!

— ტყული კი არა, მართალია. უთქვამს, მეტი ცოლი ჩემთვის ღმერთმა მიწა ქნასო და რა ვიცი...

— ვაჟო, თუ ასეა, კაი ილბალი აჩენია იმ ქალს...

— ასეაო და... ხო იცი, ზოგიერთ ადამიანს ძაღლის ილბალი აქ...

— აპა, მე და შენ კი არაფელი გვეღირსება მაგისანა...

— ეი, ფართალი, ფართალი!.. ივაჭრეთ ეფათ და ნისიათ, ივაჭრეთ! ჩამოიძახა გახრიკულს ცხენზედ მჯდომმა ურიამ და ქალებს ჩამოსცინა.

— გამარჯობა თქვენი, გამარჯობა! თებრონა, მენდური ახლა, მენდური, გუშინ-წინ ჩითი რო არ მოგყიდე?—დაეკითხა ურია თებრონიას.

— დეიღუპე იქით! პატიოსნება სულ არა გაქ. ურიი ხარ, ურიი!..

— რა ვქნა, რჯულის მადმა! შენ რო მაძლევდი, იმ ფასათ ვერ მოგცემდი, ხელს არ მაძლევდა და რა მექნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვარა შენ რავა მოგინდურებდი...

— დეიკარქე აქიდან, დეიღუპე, შე ურჯულო შენ!.. ნუ მელაპარაკები,—ნუ!..

— რაც გინდა, ის მითხარი! არაფერს გეტყვი! ფართლები, ფართლები! ივაჭრეთ, ეფად და ნისიათ,—გაიმეორა ურიამ და გზას გაუდგა.

— შენი ეფობა და ნისიობაც ამოაგდოს ღმერთმა და შენცა! სულ დამპალ ფართალს გვასაღებინებს ეს ურჯულო. სადაა კაცი, თვარა დასაჭირავია მაგი,—სთქვა თებრონამ გა გაჯავრებულმა და კოთხოთი ფქვილით სახლისკენ წავიდა.

— ურიე, ურიე!—ასტეხეს ბავშვებმა ყვირილი და ურიის ცხენს უკან დაედევნენ. ძაღლებმაც ბანი მისცეს.

— ბაღნებო, თავს გამალახვინებთ, თავს, რჯულის მადმა,—იძახოდა ურია, მაგრამ ბავშვები არა ჰშორდებოდნენ.

ვ. მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები.

(უბის წიგნიდან).

სტუმარი და პატარძალი.

ერთს გლეხს ეწვია ზამთარში სტუმარი და მასთან დიდი ხანი შეუგვიანდა. გლეხი მამაპაპურად კარგად გაუმასპინძლდა. სტუმრის დახვედრაში და ფარეზობაში პატარძალს დიდი ჯაფა დაადგა და ერთხელ სისხამ დილით ცეცხლის ანთების დროს კერის პირას დაბალის ხმით წარმოსთქვა:

ცეცხლო ანთი, ანთი,
კოშლო შენ ადი აყარსა, *)
ეს უმადური სტუმარი,
რატომ არ გავა ამ კარსა.

სტუმარი ამ დროს, თუმცა ისევ ლოგინში იწვა, მაგრამ ეღვიძა; ყური რომ მოჰკრა ამ სიტყვებს ღა უპასუხა:

იანვარი, თებერვალი,
დადგა მარტი, გაშრა ველი,
მეცა მინდა წასვლა, მაგრამ
მოშეტებულ დარსა ველი.

მოხერხებული გლეხი.

ერთს გლეხს უღელი ხარი ჰყავდა, რომლითაც ოჯახს ინახავდა და ამიტომ ხარებს თავის თავზედ უკეთესად სვლიდა

1) აყარი—დარბაზის გვირგვინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფთხილდებოდა. ერთხელ ხარები სადღაც დაეკარგა. ტყეში ძებნით გლეხი მუხლებში ჩაწყდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ იპოვნა თავის შვინდა და ირმა.

პოვნის იმედი გლეხკაცს თითქმის დაეკარგა, საღამოდგებოდა და ნადირის ფიქრი ჰქონდა. ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მიჰმართა მან ღმერთს თხოვნით და შეჰპირდა: თუ ვიპოვნი ჩემ ხარებს, ათ კოდ პურს მოგართმევო.

ამ დროს ორიოდე ნაბიჯი წარსდგა წინ და ხარები მუხის ძირში მწოლიარენი იპოვნა. პოვნა ხარებისა, რასაკვირელია, ძალიან გაეხარდა, მაგრამ, რომ მოაგონდა თვისი აღთქმა, დაუმძიმდა მისი აღსრულება, დაენანა ათი კოდი პურის გაღება.

ამ ყოყმანობაში რომ იყო, მუხის ძირში, დიდ ლოდზედ, რკოს ჯამფილა დაინახა, ქუდი მოიხადა და ღმერთს მადლობა შესწირა: „დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, ჩანახიც*) აქვე შემოგიდგამსო“

ვეფხვი კატის მოსარჩლე.

სოფლის განაპირა ახოში**) ერთი გლეხი მიწას ხნავდა და გუთნეულ საქონელს კატაც თან წამოჰყოლიყო. როცა გაცხარებული ხვნა დაიწყო, ციცა ტყის ნაპირას პეპელებსა და კალიებზედ ნადირობდა. ამ დროს ვეფხმა ჩამოირბინა. კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა, ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა მას:

— ძამიავ, შენ, როგორც გეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ და რა ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო?

— ეშმაკმა ციცამ თავი მოიკატუნა და უპასუხა:

—ჰე, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევ, თქვენ არ იცით, რა წვა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო.

---

*) ჩანახი—1/8 კოდისა. კოდი 4 ფუთია. რკოს ჯამფილაში 10 მარცვალი ხორბალი ჩავა.

**) ახო—სახნავად გატეხილი ტყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ვინ არის ის კაცი, რომ ეგრე უდიერად გეკიდება და დაუჩაგრიხარო? მაჩვენე შენი დამჩაგვრელი და შენ მაგიერად მე იმას გავუსწორდებიო, უთხრა ვეფხვმა.

კატა გაუძღვა ვეფხვს და დაანახვა მას გლეხი კაცი, რომელიც გუთანს მისდევდა. ვეფხვმა მიმართა კაცს და საყვედურის კილოთი უთხრა:

— შენ ეს ჩემი მოდგმის კაცი რად დაგიჩაგრია ესრე, რომ ტანი ველარ უქნიაო. ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცოდავმაო, ამის გულისთვის მე შენ უნდა შეგებრძოლოო.

— ბატონი — ხარო, უპასუხა ვეფხვს გლეხმა, — მე ძალა სახლში დამრჩაო, ჩავალ, ამოვიტან და მაშინ შევიბრძოლოთო.

— კარგიო, — სთქვა ვეფხვმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო.

— რომ მომატყუო, წახვიდე სადმე და მე ტყუილად სოფელში ჩასვლა შემრჩესო? უთხრა გლეხმა; აი ამ ხეზედ თოკით მიგაბამ, სოფელში ჩავირბენ, ძალას ამოვიტან და ჩვენი ძალ-ღონე მაშინ გავშინჯოთო.

— კარგიო, უპასუხა ვეფხვმა. გლეხმა მაგარი საბლით მიაბა ვეფხვი ხეზედ, თვითონ იქვე ტყეში კარგი იფნის სახრე გამოსჭრა, მივიდა ვეფხვთან და უთხრა:

— აი ჩემი ძალაო და ისეთები გადუსუსხა სახრით, რომ მთლად გვერდების კანი აუწვა სიმწარით ვეფხვი სულ მაღლა მაღლა ხტოდა და იმის საცოდაობით ცა და ქვეყანა იწოდა. იმდენი ხანი სცემა მას, სანამ მე და შენ, მკითხველო, მივეშველებოდით. როდესაც გლეხმა ცემით კარგათ მიბნიდა, აუშვა ვეფხვი და უთხრა: „არა მკითხე მოამბეო, მიტყეპე და მიაგდეო,“ წადი საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო. ვეფხვი ლას-ლასით გაუდგა თავის გზას და უკანა ფეხებს ძლივს მიათრევდა; ამ დროს მან კატას თვალი მოჰკრა, ამოიოხრა და კვნესით უთხრა:

— ბარაქალა, ჩემო ძამიავ, რომ მაგისთანა მხეცის ხელში კიდევ ეგ ტანი შეგრჩენიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადართა ძმობა.

დათვი, მგელი და მელა შეხვდნენ ერთმანეთს და შესჩივლეს, რომ ხშირად დიდის ხნობით სიმშილით კუჭი გვიხმებაო,—მოდი დავძმობილდეთ და ამიერიდგან, რაც მოვინადიროთ, ძმურათ გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეჰფიცეს ერთმანეთისთვის არ ეღალატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროთ. იმათ იღბალზედ დაჭრილი ირმის ნუკრი ნახეს, კისერი მოუგრიხეს, ჩეროში მწვანეზედ დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმშილით კბილები უკაწკაწებდა, აბა, გაჰყავიო.

მგელმა ჰსთქვა: თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონს და მეთაურს, შუა ტანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული უყვარსო. ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში წინა თათი, რომ მთებმა ბანი მისცეს. მგელი ყმუილით განზე დაჯდა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა: აბა, ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო.

ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოსთქვა: თავი შენ, ვითარცა ჩვენ მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც შენ ჩვენზედ მარად მამობრივათა ზრუნავ და ფეხებიც შენ, ვინაიდგან ჩვენ საკეთილდღეოდ არიან წარმართებულნი სლვანი შენნი.

—ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო, ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო: შენ რომ წელან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო.

კურდღლის და მისი ბაჭიების თავგადასავალი.

ერთხელ მარტში დიდი ყინვები დაიჭირა. ქ. გორის ახლო მდებარე კვერნაკის მთაზედ კურდღელს ხუთი ბაჭია

ჰყვანდა და მოულოდნელმა ყინვამ ძალიან გაუჭირა საქმე. დედა კურღელი ცდილობდა როგორმე გაერთო თავისი ბაჭიები, ხან ზღაპრებს ეუბნებოდა მათ, ხან უამბობდა გმირულ თავგადასავალს მკვირცხლთა და დაუძინებელთა თვისთა წინაპართა. ბაჭიები მაინც აბუზულები იყვნენ და დედის ლათაიები იმათ ვერ ათბობდა.

ერთხელ დედა კურდღელი ჯაგიდან გამოხტა და თან მას ბაჭიებიც გამოჰყვნენ. კურდღელმა სერიდან დაინახა ორმოცი ვერსის მანძილზედ ციციანთ ტყეში ცეცხლი, ჩამოცუცქდა უკანა ფეხებზედ და წინა თათები მიუფიცხა ცეცხლს და დაუწყო თათებს ტრიალი.

ბაჭიებმა ჰკითხეს: დედილო, რასა შვრებიო? — კურღელმა მიუგო: ცეცხლზედ ვითბობ ხელებსაო.

ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ, რომელიც დედასავით ჩამოცუცქებული იყო, მარჯვენა ფაცი ჩამოიკრა თვალთან.

— დედამ ჰკითხა: შვილო რა იყოვო?

— კუდიანმა ბაჭიამ უპასუხა: ცეცხლის ნაპერწკალი თვალში მეცაო.

ქათამი კვერცხს რას დაჭკანებს? *)

იყვნენ სამნი ძმანი, სამივენი ბრძნები, ერთი მეორეზედ უკეთესი. მათ არც ცაში და არც ქვესკნელში არ დარჩენოდათ ისეთი მოვლენა, რომ ვერ აეხსნათ. ერთხელ, თურმე, ესენი ერთადა მსხდარან და უსაუბრიათ სხვა და სხვა საგნებზედ. ამ დროს დედალს საბუდარში კვერცხი დაუდვია და ჩვეულებრივ კაკანი მოურთავს.

ბრძნები დაფიქრებულან ამ ყოველ დღიურ მოვლენაზედ, რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევდა, თუმცა კი ღირსი იყო იგი გამოძიებისა, და უთქვამთ: აბა, ავხსნათ, რას ამბობს ეს ქათამი, რომ ამ კვერცხს დაჭკანებსო?

---

4) პირველი ხუთი არის ჩაწერილი ქვემო ნიქოზში, ხოლო უკანასკნელი მეექვსე—ს. წინარეხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსს უთქვამს: პატრონს ეძახის, კვერცხი აქ დავსდე და შენ სხვაგან ტყუილად ძებნას არ დაუწყოო.

შუათანა ძმას უთქვამს: ქათამი კვერცხს დაჰკაკანებს: რატომ არ გიკვირთ, ქვა ვშობე და კიდევ ცოცხალი ვარო.

უნცროსს ძმას უთქვამს, ქათამი თვისის კაკანით კვერცხს ეუბნებაო:

„ეგრეც ვიუბვ,
ესრეცა ვარ,
ისრეც გაგხდი,
როგორც მე ვარო.“

სასოებაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

დანაშაული და სასჯელი

(რომანი)

ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოევსკისა

ნაწილი პირველი

I

ივლისის დამდეგი იყო. სიცხე-პაპანაქებაში, საღამოჟამს, ქოხიდამ გამოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ს-ნის ქუჩის შესახვევში სცხოვრობდა და მძიმედ და გაუბედავად კ-ის ხიდისაკენ გასწია.

კიბე მშვიდობიანად ჩაიარა, დიასახლისს თვალი არ მოუკრავს. ქოხი ეჭირა ხუთ-სართულიან სახლის ჩარდახს ქვეშ და შკაფს უფრო წააგავდა, ვიდრე ოთახსა. თვითონ დიასახლისი ბინისა, რომლისაგანაც ქოხი ჰქონდა ნაქირავები, ცალკე სცხოვრობდა, ერთის კიბით დაბლა და ისე არ შეეძლო ჩავლა ახალგაზრდასა, რომ სამზარეულოს მუდამ ღია კარებიდამ არ დაენახა დიასახლისსა. სადილსაც იქვე სჭამდა, მოსამსახურეც დიასახლისისა იყო. ყოველთვის, როგორც კი სამზარეულოს ღია კარებს გაუვლიდა ახალგაზრდა, რაღაც რამ ავადმყოფებრივი შიშის გრძნობა დაურბენდა ხოლმე ტანში, რომლისაც კიდეც სცხვენოდა, კიდეც ერიდებოდა. დიასახლისისა ყელთამდე მოვალე იყო და ეშინოდა მუდამ შეხვედრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ითქმოდა, მშიშარა და დაჩაგრული რამა ყოფილიყო ახალგარზდა, პირ-იქით; მაგრამ ბოლოს და ბოლოს იპოხონდრიის მზგავსი რამ მოუსვენრობა და ჭინჭყლიანობა შეეპარა. იქამდის იყო როგორღაც ბოლო ხნებში დაფიქრებული და განმარტოვებული, რომ ერიდებოდა არა მარტო დიასახლისს, თითქმის ყველასა. სიღარიბემ მიწასთან გაასწორა; თუმცა მართალია აღარც გაჭირვებული მდგომარეობა აგრძნობინებდა რა'მე ბოლოს. თავისს არსებითს საქმეებზედაც სულ მთლად აიღო ხელი, აღარას აკეთებდა. სწორედ რომ ვსთქვათ, აღარც დიასახლისის შიში ჰქონდა; არას დაგიდევდათ, რაც უნდა ექმნა. მაგრამ ეს კიბეზედ შეყენება და უთავ-ბოლო, ყოველ-დღიური ყბედობა-კი, რომელსაც თვითონ მისთვის აღარავითარი აზრი აღარა ჰქონდა, ეს მუდამ ერთნაირი ჩაცინება ფულის გადახდის შესახებ და მუქარა—ჩივილი, ეს მუდმივი თავის დაძვრენა, ბოდიშები და სიცრუე-კი სწორედ რომ მოსწყინდა. უკეთესი იყო, თავი როგორმე დაეძვრინა და შეხვედრით კი არავინ შეჰხვედროდა.

მაგრამ მოვახშის შეხვედრის შიში ამ ჟამად თვითონვე როგორღაც ესასაცილოა, ქუჩაში რომ გამოვიდა.

„გულში რა განზრახვა მაქვს გარდაწყვეტილი და ამისთანა უბრალო რამისა კი მეშინიანო!“ გაიფიქრა და როგორღაც უცნაურად გაეღიმა.—ჰმ!.. ჰო... ყველაფერი კაცის ხელთ არის და ვერა გაურიგებია-რა-კი; იმიტომ, რომ ეშინიან... დიახ, სრულიად ნამდვილია ეს... საყურადღებოა, რისა უფრო მეტად ეშინიან ხალხსა? ყველაზედ მეტად ახალის ნაბიჯისა და ახალის საკუთარ სიტყვისა ეშინიან... მაგრამ ბევრს ვუბედობ მეტად. კიდეც იმიტომ აღარას ვაკეთებ, რომ ბევრს ვუბედობ. მაგრამ შეიძლება იმიტომაცა ვუბედობდე, რომ არას ვაკეთებ. ამ ბოლოს თვეს მივეჩვიე სწორედ ყბედობასა, რო ვწევარ მთელის დღეობით კუთხეშია და ვფიქრობ... მუხუდოს მეფეზედა (о царѣ горохѣ). არა, რათ მივდივარ ახლა? ნუ-თუ მართლა შემიძლიან ესა ვქმნა? ნუ-თუ ყველა ეს მართალია და მოხდება? არა, არა, ტყუილია. ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ვოცნებობ, თავს ვართობ; ცულლუტობაა და სხვა არასფერი! დიახაც რომ ცულლუტობაა!“

ქუჩაში საშინლად ცხელოდა; ჰაერი შეხუთულიყო; ყველგან კირისა, აგურისა, ხე-ტყის სუნი და მტვრის ბული იდგა. ირგვლივ ჩვეულებრივი, ზაფხულის მყრალი სუნი იდგა, რომელსაც აგარაკად წასვლას მოკლებული პეტერბურგელი ისე კარგადა სცნობს. ყველაფერმა ამან ახალგაზრდის ისედაც აჩოჩქოლებული ნერვები უარესად შეარყია. საძაგელსა და საზიზღარს, საერთო სურათს ქუჩისას ზედ ერთვოდა ახლა სასმელ დუქნების აუტანელი ბული და სიმყრალე, რომელთა რიცხვიც ქალაქის ამ ნაწილში მრავალზედ უმრავლესია. ფეხის ყოველს გადადგმაზედ გალექებული, ლოთი ხალხი ირეოდა, თუმცა დღე სამუშაო იყო. ახალგაზრდა კაცის ნაზს სახეზედ ერთს წამს უცბად ღრმა ზიზღმა იჩინა თავი. თვითონ, მართლა, შესანიშნავად ლამაზის შეხედულობისა იყო: მშვენიერი, შავი თვალები ჰქონდა, მუქი, წაბლის ფერი თმა, ტანად საშუალოზედ მაღალი იყო, წვრილი და მოხდენილი. მაგრამ მალე რაღაცა ღრმა ფიქრს მიეცა; სწორედ რომ ვსთქვათ, უფრო დავიწყებასა და აღარასფერს გარშემო აღარ ჰხედავდა. არც თუ უნდოდა დაენახა. იშვიათად მხოლოდ რაღასაცა ბურტყუნებდა თავისთვისა და მიდიოდა ჩვეულებრივის მონოლოგებითა. თვითონვე ჰგრძნობდა იმ ჟამად, რომ აზრები როგორღაც ერეოდა, სუსტად იყო: ორი დღე იყო თითქმის, გემოდ არა ენახა-რა.

იქამდის ღარიბად ეცვა ტანთა, რომ სხვა უმისო, თუნდ სიღარიბეს ნაჩვევიც, დაირცხვენდა და ისეთის ძონძებით დღისით გარეთ ვერ გამოვიდოდა; თუმცა იმ უბანში ჩაცმულობით ვერავინ ვის გააკვირებდა. სათივეს სიახლოვე, დაბალის, წვრილ სახელოსნოებისა და დუქნების სიმრავლე და მუშა, ხელოსან ხალხის, საცხოვრებელი ბინები, რომლებიც პეტერბურგის ამ შუაგულ ადგილას არის აქა-იქა ქუჩებსა და ქუჩის შესახვევებში მოფანტული, ისე აჭრელებდნენ ამ საერთო სანახაობასა და დრო-და-დრო ისეთი ხალხი ირეოდა, რომ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად ჩაცმულის ნახვა სწორედ რომ გასაკვირალად დარჩებოდა ადამიანსა. მაგრამ იმდენს ბოროტსა და ზიზღს დაებუდნა ახალგაზრდის სულში, რომ აღარც ეჩოთირებოდა და აღარც სცხვენოდა ამ ძონძებისა. სულ სხვა იყო, როცა ნაცნობებსა ან ძველს ამხანაგებს შემოჰხვდებოდა... ეს კი არ უყვარდა. მაგრამ, აგერ ვიღაცა მთვრალმა თვალი მოჰკრა ურმიდამ, რომლითაც იგი მიჰყვანდათ სადღაც გალექებული, და შეუყვირა უცბად: „ეი, ნემეცურ ქუდიანო!“ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰღრიალა; თან ხელით ახალგაზრდაზე ანიშნებდა;—შესდგა უცბად ახალგაზრდა და აკანკალებული ხელი შლაპაზედ იტაცა. თავზედ ეხურა მთლად გახუნებული, დახვრეტილი და დაგლეჯილ-დალაქავებული, მაღალი, რგვალი, ციმმერმანისეული შლაპა, რომელსაც გარშემო მინდორი სულ აღარა ჰქონდა და საძაგლად იყო გვერდზედ გადაწოლილი. მაგრამ უფრო შიშისა იყო, ვიდრე სირცხვილისა, ის გრძნობა, რომელმაც იმ ჟამად ახალგაზრდა მოიცვა.

— ვიცოდი, ასე იქნებოდა!—ბუტბუტებდა შემკრთალი.— განა, არა, ვფიქრობდი! ეს არის, აბა, ყველაზედ უარესი! უბრალო რამ წვრიმალი და სისულელე მთელს განზრახვას ჩაგიშლის! მართალია, ადვილი სანიშნობელი ქუდია... სასაცილოა და იმიტომაც ადვილად სანიშნობელი... ჩემს ძონძებს უბრალო რამ ჩაჩი, ან სოკოსავით გატყაპნილი ქუდი სჭირია უთუოდ და არა ეს ყვავების საფრთხობელა. არავის ასეთი ქუდი არა ჰხურავს, მთელს ვერსზედ შეგნიშნავენ და დაგიხსომებენ... დაგიხსომებენ და უცბად გაგამტყუვნებენ კიდეც... საჭიროა უთუოდ უბრალო რამ, რომ ვერავინ შემნიშნოს... წვრიმალებია უმთავრესი, წვრიმალები!.. და დაღუპვითაც სწორედ ეს წვრიმალები ჰღუპავენ ხოლმე ყველასა...

ბევრი აღარა ჰქონდა გასავლელი; იცოდა თითქმის, თავისს სახლის ეზოს კარებიდამ რამდენი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო: სულ შვიდას ოც-და-ათი. ახსოვდა, ერთხელ როდესაც დაეთვალა, ოცნებაში გართულსა. თვითონაც არა სჯეროდა-რა მაშინ ამ ოცნებებისა და მხოლოდ მათი დუხჭირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაცდური კადნიერება აღელვებდა ხოლმე. ეხლა-კი, ერთის თვის შემდეგ, სულ სხვა თვალით დაუწყო ცქერა და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ უძლურობისა და გაუბედავობის შესახებ მუდამ ყურებში ეწვეთებოდა საკუთარივე წამასისინებელი მონოლოგები, მაინც ამ „დუხჭირს“ ოცნებას როგორღაც უნებურად ნამდვილ საქმეთა სთვლიდა, თუმცა თავისს თავისა ჯერ კიდევ რწმენა არა ჰქონდა. აგერა, თითქმის **საცდელად** მიდიოდა ახლა, შესძლებდა თუ არა განზრახვის შესრულებასა და თვითოეულ ფეხის გადადგმაზედ მღელვარება თან-და-თან ემატებოდა.

გულის ფანცქალითა და ნერვების ცახცახით მიადგა უზარ-მაზარს სახლსა, რომლის ერთი კედელიც არხს გადაჰყურებდა, მეორე —ის ქუჩასა. სახლი მთლად წვრილ ბინებათ იყო დაყოფილი, რომლებშიაც, ვინ იცის, რა ხელობის ხალხი არა სცხოვრობდა: მკერვალი, ზეინკალი, მზარეული გოგო, სხვა-და-სხვა გვარი ნემცები, თავისით მცხოვრები ქალები, წვრილი მოხელეები და სხ. შემავალნი თუ გამავალნი ჭიანჭველებივით ირეოდნენ ორსავე ეზოსა და ეზოს კარებში. სახლს სამი თუ ოთხი მეეზოვე ჰყავდა. კმაყოფილი დარჩა ყმაწვილი, რომ არც ერთი მათგანი წინ არ შეეხეჩა და ეზოს კარებიდამ მაშინვე შეუმჩნევლად მარჯვნივ მიუხვია კიბისაკენა. კიბე ბნელი და ვიწრო იყო, „საჯალაბო“, მაგრამ კარგადა ჰქონდა შესწავლილი და მოსწონდა კიდეც, რადგანაც სიბნელეში ცნობის მოყვარე თვალიც-კი ვერაფერს გაარჩევდა. თუ ახლავ ასრე მეშინიან, რა იქნება მაშინ, მართლა რო **საქმის** შესრულება მოვინდომო?..“ გაიფიქრა უნებურად, მეოთხე სართულში რომ ავიდა.—აქ უცბად სამსახურიდგან გადამდგარმა მებარგე ჯარის კაცებმა გაუღობეს გზა, რომლებსაც მეზობელ ბინიდამ ავეჯი გამოჰქონდათ. წინადვე იცოდა ახალგაზრდამა, რომ აქ ერთი ოჯახის პატრონი მოხელე ნემენცი იდგა: სჩანს, ნემენცი ახალს ბინაზედ გადადის და მეოთხე სართულში, ამ კიბეზედა და დერეფანში, რამდენსამე ხანს მარტოდ-მარტო ერთი ბებრუხანას ბინა-ღა იქმნება დაჭერილი. ეს კარგია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველს შემთხვევაში...“ გაიფიქრა და ბებრუხანას ზარი დაუკრა. ზარმა როგორღაც ოდნავ დაიჟღარუნა, თითქოს თუნუქისაა და არა სპილენძისაო. ამ გვარ სახლების წვრილს ბინებს თითქმის ყველას ასეთი ზარები აქვს. დაავიწყდა კიდევაც, როდის ზარი დაირეკა. საგანგებო ზარის ხმამ ახლა თითქოს სხვა რაღაცა მოაგონა, ნათლად წარმოუდგინა... შეხტა თითქმის, ისე საშინლად დაუსუსტდა ამ ჟამად ნერვები. პატარა ხნის შემდეგ კარი ოდნავ გაიღო: მოსულს როგორღაც უნდობლადა ჰსინჯავდა ჯუჯრუტანიდამ ბებერი. ბნელაში მხოლოდ მისი მოელვარე თვალები მოსჩანდა. მაგრამ დერეფანში რომ სხვა ხალხიც დაინახა, გამხნევდა და კარი მთლად გამოაღო. ახალგაზრდამ ბნელს შესავლელში გადადგა ფეხი, რომელიც ფიცრულით იყო გადაღობილი. ფიცრულს უკან პაწია სამზარეულო იყო მოთავსებული. იდგა ჩუმად ბებერი და კითხვითის გამომეტყველებით შეჰყურებდა. ეს იყო დაბალის ტანის, გამხდარ-გამხდარი, საპოცის წლის ბებრუხანა, რომლის ბოროტი და გამჭრიახი, ეშმაკი თვალები და თხელი, წამწვეტებული ცხვირი უნებურად ჰმოწმობდნენ მისს გაქნილობასა. ჭაღარა შერთული ქერა თმები სწორედ ჰქონდა გადავარცხნილი და რაღაცა ზეთით უხვად წასმული. ქათმის ფეხის მზგავსს, წვრილსა და გრძელს ყელზედ რაღაცა თითოიკის მჩვარი ჰქონდა დახვეული, მხრებზედ დაძონძილი და ჩაყვითლებული ჩეწვიანი წამოსასხამი ეგდო. ბებრუხანა ერთ თავად ახველებდა და კვნესოდა. უთუოდ ახალგაზრდამ შეჰხედა როგორმე სხვა თვალითა, რომ ბებერს უცბად თვალებში ისევ უნდობლობა აღებეჭდა.

— სტუდენტი რასკოლნიკოვი, გახსოვთ, ამ ერთის თვის წინად ვიყავი,- ჩაიბუტბუტა საჩქაროდ ახალგაზრდამ და თავი დაუკრა, რაკი მოაგონდა, რომ თავაზიანად უნდა მოჰპყრობოდა.

— მახსოვს, მამავ, *) მახსოვს კარგათა, რომ იყავით,

*) Помню, батюшка... რუსულს „батюшка“-ს ქართულადაც მამა-თა ვხმარობ, რადგან ბებრებმა ხშირად იციან უმცროსების ამ სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაილაპარაკა გარკვევით ბებრუხანამ, მაგრამ თვალს კი მაინც არ აშორებდა წინანდებურად და ეკითხებოდა თითქოს, რა გნებავთო.

— ასე, მაშ... იმ ნაირ საქმისათვისვე გიახელით...— განაგრძობდა რასკოლნიკოვი, თუმცა, ცოტა არ იყოს, შეაკრთო და გააკვირვა ბებრუხანას უნდობლობამ.

„ვინ იცის, იქნება სხვა დროსაც ასეთია, მაგრამ არ შემინიშნავს,“ — გაიფიქრა რასკოლნიკოვმა და რაღაცა უსიამოვნობა იგრძნო თითქოს.

ბებრუხანა პატარა ხანს გაჩუმდა, თითქოს რაღასაც ფიქრობსო, მერე განზედ გადგა, ოთახის კარზედ მიუთითა და სტუმარი წაიძღოლა:

— მიბრძანდით, მამავ.

ყვითელ შპალერიანი მომცრო ოთახი, რომელშიაც ახალგაზრდა შევიდა და რომელიც მცენარეებითა და წმინდა ნარმის ფარდებით იყო მორთული, ჩამავალის მზის სხივებით უხვად იყო განათებული. „მაშინაც ასე იქნება, მაშ, მზისაგან გაკაშკაშებული აქაურობა!..“ გაივლო უნებურად რასკოლნიკოვმა გულში და სასწრაფოდ ოთახი მიათვალ-მოათვალიერა, რომ მოწყობილობა რიგზედ შეესწავლა. მაგრამ საიმისო ოთახში არა იყო-რა. ავეჯს შეადგენდა ყვითელი ხის ძველი დივანი, რომელსაც უშველებელი გამობერილი ხის საზურგული ჰქონდა, დივანს წინ ძველივე, მოგრძო რგვალი მაგიდა, სარკიანი ტუალეტი, კედლებთან ჩამორიგებული სკამები, ორი-სამი, იაფ-ფასიანი, ყვითელს ჩარჩოებში ჩასმული სურათი, რომლებზედაც ნემენცი ქალები იყვნენ ხელში ჩიტებით გამოხატული და სხვა არასფერი. კუთხეში პატარა ხატ წინ კანდელი ენთო. მაგრამ ყველაფერი სუფთა იყო: ავეჯსაცა და იატაკსაც, ყველაფერს კრიალი გა-

---

ყვით მიმართვა: მითხარი, მამა! მობრძანდი, მამა! და სხ. მაგალითები წმინდა ქართულით ამ ნაირად მოლაპარაკე მოხუცებისა ჩვენში მრავალი ვიცი. მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა. „ლიზავეტას საქმეა“, გაიფიქრა ახალგაზრდამ. არსად მთელს ბინაში მტვერი არ მოიპოვებოდა. „დაბერებულ, გაუთხოვარ ბოროტ ქალებსა სჩვევიათ ასეთი სისუფთავე“, ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი და ცნობისმოყვარეობით გადაჰხედა ჩითის ფარდას, რომელიც მეზობლად მდებარე პაწია ოთახის კარებსა ჰქონდა ჩამოფარებული. აქ იდგა ბებრუხანას კამოდი და ლოგინი და მხოლოდ აქ არ შეეხედნა ჯერ ახალგაზრდასა. ეს ორი ოთახი შეადგენდა მთელს ბინასა.

— რა გნებავთ?—დაეკითხა სასტიკად ბებრუხანა,-შევიდა თუ არა ოთახში და ისევე წინ დაუდგა, რომ პირდაპირ თვალებში ეცქირა.

— გირაო მოგიტანეთ!

და ჯიბიდან ძველი, გადალესილი ვერცხლის საათი ამოიღო. საათს მეორე გვერდზედ გლობუსი ჰქონდა გამოხატული, ჯაჭვი ფოლადისა.

— მერე, ი წინანდელსაც რო ვადა გაუვიდა. თვე სწორედ გუშინ-წინ შეუსრულდა.

— ერთის თვის სარგებელს კიდევ მოგცემთ. მომითმინეთ.

— ეგ-კი, მამა, ჩემი ნებაა, მოვითმენ, თუ ახლავ გავყიდი ნივთსა.

— საათში რას მომცემთ, ალენა ივანოვნა?

— უბრალო რამ არის, მამა, არა ღირს-რა. ამ წინაზედაც ბეჭედში ორი მანეთი მოგეთ, ოქრომჭედელთან კი, სულ ბევრი, მანეთ-ნახევრად შეიძლებოდა სყიდვა.

— ოთხი მანეთი მომეცით, მამისეულს გამოვისყიდი. მალე ფულს მივიღებ.

— გინდათ, მანეთ-ნახევარს მოგცემთ, მაგრამ სარგებელს წინვე ავიღებ.

— მანეთ-ნახევარს!—შეჰყვირა ახალგაზრდამ.

— თქვენი ნებაა.

და ბებრუხანამ საათი უკანვე გაუწოდა. გამოართო გაჯავრებულმა საათი და უნდოდა წამოსულიყო კიდეც, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგონდა უცბად, რომ მეტი გზა არა ჰქონდა და, ამის გარდა, სხვა საქმეც ჰქონდა და შედგა.

— მოიტათ! — შეუძახა მკვახედ.

ბებრუხანამ ხელი გასაღებებისაკენ წაიღო ჯიბეში და ფარდის უკან, მეორე ოთახში, გავიდა. ცნობის-მოყვარეობით უგდებდა ყურს მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა ბებრუხანასა და თან რაღასაცა ჰსაზრობდა. მოესმა, როგორ გაიღო კამოდი. „უთუოდ ზევითა უჯრაა“, ფიქრობდა თავისთვის რასკოლნიკოვი. „გასაღებებს, მაშ, მარჯვენა ჯიბეში ინახავს... ყველა ერთად აქვს ფოლადის რგოლზედ ასხმული. მაგრამ იმათში ერთი ყველაზედ დიდია, დაკბილული წვერი აქვს; ეჭვი არ არის, კამოდისა არ იქნება... ეტყობა, ცალკე ყულაბი ან ჩასაწყობი რამ ყუთი კიდევ სხვა აქვს... ეს საყურადღებოა. ამნაირს ყუთებს უთუოდ ასეთი გასაღებები აქვთ ხოლმე... მაგრამ, ოჰ, რა საძაგლობა რამ არის...“

დაბრუნდა ბებრუხანა.

— აი, მამა: თუ ორ შაურობაზედ ვიანგარიშებთ მანეთს, თვეში მაშინ მანეთ-ნახევარში სამი შაური მერგება. და წინანდელ ორი მანეთისაც იმავ ანგარიშით აბაზი, სულ შვიდი შაური. საათში, მაშ, მანეთი და სამი შაური-ღა გერგებათ. აი, მიიღეთ.

— როგორ! მანეთი და სამი შაური მარტო?

— დიახ, სწორედ.

აღარ უკამათნია ახალგაზრდასა; აიღო და გამოართვა ფული. მაგრამ არა ჩქარობდა ჯერ წასვლასა, იდგა და შეჰყურებდა ბებერსა, თითქოს კიდევ რამა აქვს სათქმელი, მაგრამ თვითონაც არ იცის, სახელდობრ, რაო...

— იქნება, ალენა ივანოვნა, ამ დღეებში ერთი ნივთი კიდევ სხვა მოგიტანოთ... ვერცხლისაა... კარგი რამ არის... საპაპიროსეა... დავიბრუნებ თუ არა მეგობრისაგან, მაშინვე მოგიტანთ...

მაგრამ შეკრთა და გაჩუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკ

— მაგაზედ, მამა, როცა მოიტანთ, მაშინ ვილაპარაკოთ.

— მშვიდობით... სულ აგრე მარტოკა ზიხართ? დაიკო სად არის?—ჩაეკითხა ცოცხლად სწორედ იმ დროს, ოთახიდამ რომ გამოდიოდა.

— მერე, დასთან რა გესაქმებათ, მამა?

— საიმისო არასფერი. ისე ვიკითხე. თქვენ ხომ მაშინვე... მშვიდობით, ალენა ივანოვნა!

მთლად შემკრთალი გამოვიდა რასკოლნიკოვი. თან და თან მეტად ერეოდა თითქოს ეს გრძნობა. კიბეზედ რომ ჩამოდიოდა, თოფ-ნაკრავივით უცბად რამდენჯერმე კიდევაც შედგა. ბოლოს, ქუჩაში ძლივს ღა ამოჰხდა გულიდან:

„ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საძაგლობაა ყველა ეს! მერე ნუ-თუ, მართლა უნდა... არა, არა, სისულელეა!—დასძინა გარდაწყვეტით. — ნუ-თუ შესაძლებელი იყო, ასეთი საზარლობა თავში გამევლო? რა ჭუჭყიანი გული მქონია! უმთავრესი კი ის არის, რომ: ყველა ეს საძაგლობაა, ჩირქ-მოსაცხობი, საზიზღრობაა!.. მერე, მთელი თვეა...“

მაგრამ არც სიტყვითა და არც რამ სხვა გვარად ამ თავისის მღელვარების გამოთქმა არ შეეძლო. უზომო ზიზღის გრძნობამ, რომელმაც ჯერ ისევ ბებერთან მისვლამდე აურია გული და დაუწყო ღრჩობა, ახლა უკიდურესობამდე მიაღწია და ისე ნათლად გამოირკვა, რომ აღარ იცოდა, გულზედ შემოწოლილს ნაღველს სად გაჰქცეოდა. ქუჩის ფილაქანფენილზედ მთვრალივით მიდიოდა, გამვლელ-გამომვლელებს თითქმის აღარა ჰხედავდა; აქ ამას აწყდებოდა, იქ იმასა და გამოერკვა მხოლოდ-ღა მაშინ, მეორე ქუჩაზედ რომ გავიდა. მიიხედ-მოიხედა და შეჰნიშნა, რომ სასმელი დუქნის გვერდით იდგა. დუქანი ქვედა სართულში იყო და ჩასავალი კიბე ფილაქანფენილიდამა ჰქონდა. დუქნის კიბიდამ სწორედ ამ დროს ორმა მთვრალმა ამოჰყო თავი, რომლებსაც ხელი-ხელს გადაეხვიათ და გულიანად ამკობდნენ ლანძღვით ერთმანერთსა. აღარ უფიქრია დიდხანსა, ადგა და რასკოლნიკოვიც მაშინვე დუქანში ჩაეშვა. არასოდეს ასეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელზედ სასმელს დუქნებში არა ყოფილი იგი, მაგრამ თავი როგორღაც უხურდა და სწყუროდა კიდეც საშინლადა. ცივი ლუდი მოუნდა; მით უმეტეს, რომ ასე უცებ დასუსტებას დიდი ხნის შიმშილს ამიზეზებდა. მიუჯდა ერთს ჭუჭყიანსა და ბნელს კუთხეში გალიპულს მაგიდასა, მოითხოვა ლუდი და პირველი ჭიქა ხარბად გადაუსვა. მოეშვა მაშინვე გულზედა და აზრიც გაუნათლდა. „ყველა ეს სისულელეა“,—ჩაილაპარაკა იმედიანად,—„და არც თუ არის-რა შესაძრწუნებელი! მოშლილი ვარ და სხვა არასფერი! ერთი ჭიქა უბრალო ლუდი და ნაჭერი ხმელა პური საკმარი იყო, რომ უცბად გონება და აზრი გამნათლებოდა, განზრახვა ისევ გამმტკიცებოდა! ფუ! რა არარაობა რამ არის ყველა ეს!..“ მაგრამ, მიუხედავად ამ ზიზღით გაფურთხებისა, მაინც მხიარულად გამოიყურებოდა, თითქოს ეს არის მძიმე რამ ტვირთი ჩამოჰხსნიაო. გარშემო მყოფთაც მეგობრულად გადაჰხედა. მაგრამ ჰგრძნობდა წინადვე, რომ ეს უკეთესისადმი მიდრეკილებაც სნეულებრივი რამ იყო.

დუქანში იმ ჟამად ხალხი ცოტა-ღა იყო. კიბეზედ რომ გალექებულები შემოჰხვდნენ, იმათ შემდეგ ხუთი კიდევ სხვა ამოვიდა გარმონის ჭყვიტინითა, რომლებსაც თან ქალიცა ჰყავდათ. მერე-კი სიწყნარე და ხალვათობა ჩამოვარდა. დუქანში დარჩნენ: ერთი საკმაოდ შეზარხოშებული, გარეგნობით ვიღაცა წვრილი მოქალაქე, რომელსაც წინ ლუდით სავსე ჭიქა ედგა და მისი ამხანაგი, ვეებერთელა სქელ-სქელი, ციმბირულს ჯუბაში გამოწყობილი, წვერ-ჭალარა კაცი, რომელსაც იქვე ჩაეთვლიმა. დროგამოშვებით მხოლოდ თითებს ათამაშებდა და ატკაცუნებდა, ხელები განზედ გაეწყო და სარტყელ ზემოთ ტანსა და მხრებს ათამაშებდა ისე მჯდომარე. თან რაღაცა სისულელეს დაჰმღეროდა და სცდილობდა ლექსი მოეგონებინა ვითომ:

მთელს წელიწადს ცოლს ვეძებდი.
მთელს წე-ლი-წადს ცოლს ვე-ძებ-დი.

— ან გამოელვიძებოდა პატარა ხნობითა და დაამატებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოდიაჩესკით წაველი,
იქ ვიპოვე ჩემი ძველი.

მაგრამ არავინ მისს ბედნიერებას არ იზიარებდა: ჩუმად მჯდომი მეგობარი ყველა ამას თითქმის რომ მტრულადა და უნდობლად უყურებდა. იყო იმათ გარდა ერთი სხვა კაციც, გარეგნობით სამსახურიდგან გადამდგარ მოხელის მზგავსი. უჯდა ცალკე შუშასა, მოჰსვამდა იშვიათადა და იყურებოდა გარშემო. იმასაც რაღაც აღელვება ეტყობოდა.

II

არ იყო ხალხს მიჩვეული რასკოლნიკოვი, პირ-იქით, როგორცა ვსთქვით, გაურბოდა კიდეც საზოგადოებასა, განსაკუთრებით ბოლოსა და ბოლო დროს. მაგრამ ახლა უცბად მოენატრა როგორღაც ხალხთან ყოფნა. რაღაც რამ ცვლილება შეეტყო და ხალხისადმი წყურვილი დაებადა. მოიღალა მთელი თვე მარტოდ-მარტო დანაღვლიანებული და დაღვრემილი და მოუნდა, ერთ წამსაც არის, სხვა გარემოებასა და ხალხში ყოფნა, რა გვარიც უნდა ყოფილიყო ეს ხალხი. ამიტომაც არად იჩნევდა ამ ჭუჭყსა და ვაი-ვაგლახსა და სიამოვნებით იჯდა დუქანში.

დუქნის პატრონი სხვა ოთახში იყო, მაგრამ უმთავრესს სასმელს განყოფილებაში ხშირ-ხშირად შემოდიოდა. ჩამოდიოდა საითღაც მაღლიდამ კიბე-კიბე, საიდამაც ჯერ მისი გაპრიალებული, წითელ ყურა, ყელგანიერი წაღები გამოჩნდებოდა ხოლმე. ტანთ მოკლე, უსახლებო ჩასაცმელი ეცვა, ზემოდამ ატლასის გაქონილი ჟილეტი, უყელსახვევოდ; პირისახეც მთლად უპრიალებდა, გეგონებოდათ, რკინის კლიტისათვის ზეთი წაუსვამთო. დახლთან იდგა თოთხმეტის წლის ბიჭი და მეორე, უფრო პატარა-კი, სარბენლად ჰყავდათ, რომ სტუმრებისათვის აერთმივ-დაერთმია. დახლზედ ეწყო წვრილად დაჭრილი კიტრის წნილი, შავი ხმელა პური და წვრილადვე დაჭრილი რაღაცა თევზი. ყველა ეს საშინლადა ჰყარდა. ირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვლივ ჰაერი შეხუთული იყო და სასმელების სუნით იქამდის გაჟღენთილი, რომ მარტოდ ეს ჰაერიც საკმარისი იყო, რომ სულ ხუთის წამის განმავლობაში დამთვრალიყო ადამიანი.

შეჰხვდება ადამიანი სრულიად უცნობს, რომელიც პირველს ნახვაზედვე, სიტყვის უთქმელად, უცბად მოინადირებს ადამიანის გულსა. ასრე იმოქმედა სწორედ რასკოლნიკოვზედ მოშორებით მჯდომმა, სამსახურიდგან გადამდგარ მოხელის მზგავსმა სტუმარმა. ახალგაზრდამ მერეც რამდენჯერმე მოიგონა ეს პირველი შთაბეჭდილება და წინედგრძნობასაც კი მიაწერა იგი. უცქეროდა ერთ-თავად, თუმცა შეიძლება იმიტომაც, რომ თვითონ ისიც თვალს არ აშორებდა და, ეტყობოდა, სცდილობდა თითქოს, გამოჰლაპარაკებოდა როგორმე. დანარჩენებს კი, თვითონ დუქნის პატრონსაც კი, როგორღაც ჩვეულის თვალითა და მოწყენით უყურებდა; თან თითქოს არად აგდებდა, როგორც დაბალსა და განუვითარებელს ხალხს, რომლებთანაც სალაპარაკო და საერთო სულ არა ჰქონდა-რა.

ეს იყო ორმოც-და-ათს წელს გადაცილებული, საშუალო ტანის, ჯმუხი აგებულობის, ჭალარა-შერთული, თავმოტვლეპილი კაცი, რომელსაც მუდმივის სმისაგან სახე მთლად ყვითლად და მწვანეთა ჰქონდა დასიებული და ქუთუთოები აბებრებული, საიდამაც გამოიყურებოდნენ დაწითლებული, მაგრამ საკმაოდ ცოცხალი, პატარა თვალები. მაგრამ რაღაც რამ ჰქონდა უცნაური; თვალებში თითქოს აღტაცებაც ეხატებოდა,—თითქოს აზრი და გონებაც, მაგრამ იმავე დროს—უგუნურებაც—თითქოსა. ტანთ ძველი, მთლად დაგლეჯილი, შავი ფრაკი ეცვა, რომელსაც მხოლოდ ერთად-ერთი ღილი-ღა შეჰრჩენიდა შესაკრავადა და ზრდილობის დასაცველად. ჟილეტს ქვეშ მთლად დაჭმუჭნული, გათხუპნული და დალაქავებული პერანგი უჩანდა. პირი, მოხელეთა ჩვეულებისამებრ, გაპარსული ჰქონდა, მაგრამ სხვილი, ლეგა ჯაგარი უკვე გამოეყარა ხშირადა. თვითონ მოქმედებაც როგორღაც დინჯი და მოხელური ჰქონდა. ეგ არის მხოლოდ მოუსვენრობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმას იბურძგნიდა, დრო-და-დრო ნაღვლიანად ორსავე ხელს თავზედ იტაცებდა და გამოფლეთილის ნიდაყვებით გადალესილს, ჭუჭყიანს მაგიდას ეყრდნობოდა. შეჰხედა ბოლოს პირდა-პირ რასკოლნიკოვსა და ხმა-მაღლა და მტკიცედ გამოელაპარაკა:

— შემიძლიან თუ არა, მოწყალეო ხელმწიფევ, ზრდილობიანის ლაპარაკით მოგმართოთ? მართალია, არც საიმისოდ, მაგრამ მაინც გატყობთ გამოცდილებით, რომ განათლებული და სასმელებს მიუჩვეველი უნდა იყოთ. მეც მუდამ პატივსა ვცემდი განათლებასა და გულითადს გრძნობებს და, გარდა მაგისა, თვითონაც ტიტულიარნი სოვეტნიკი გახლავართ. ტიტულიარნი სოვეტნიკი, მარმელადოვი, იქნება გაგეგონოთ. შეიძლება გკითხოთ: ჰმსახურობთ სადმე, თუ არა?

— არა, ვსწავლობ...—მიუგო განცვიფრებულმა რასკოლნიკოვმა, რომ ისე პრტყელ-პრტყელადა და პირდაპირ მიჰმართ ეს. მიუხედავად იმისა, რომ ის-კი იყო ხალხთან რაიმე ერთობას ნატრობდა, მაინც პირველსავე გამოლაპარაკებაზედვე ჩვეულებრივი უსიამოვნება და ზიზღის გრძნობა აეშალა. ასე ემართებოდა მუდამ, როცა-კი უცხო ვინმე მისის პირადობის შეხებას მოიწადინებდა.

— სტუდენტი ყოფილხართ, მაშა, ან არა-და—ნასტუდენტარი!—შესძახა მოხუცმა,—განა არა, მაშინვე ვიფიქრევი! დიდი რამ არის, მოწყალეო ხელმწიფევ, გამოცდილება, და მერე ისიც მრავალ გზისი!—და ნიშნად მოწონებისა, რომ მიჰხვდა, თითი შუბლზედ მიიდო.— სტუდენტათ იყავით, თუ სამეცნიერო რამ ნაწილს გასდიოდით! ჰმ, ნება მომეცით...

წამოდგა, წაიბარბაცა, დაავლო ხელი შუშასა და ჭიქასა და ახალგაზრდას მიუჯდა გვერდით, ცოტა ცერათა. კარგა ლამაზად გახლდათ გადაკრული, მაგრამ ლაპარაკით მაინც ცოცხლად ლაპარაკობდა, მხოლოდ დრო-გამოშვებით იბნეოდა ადგილ-ადგილა და აჭიანურებდა სათქმელსა. როგორღაც ხარბადა და გაუმაძღრად ეცა რასკოლნიკოვსა, თითქოს მთელი თვეა, აგერ, არავისთვის ხმა არ გაუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოწყალეო ხელმწიფეო,—დაიწყო თითქმის დიდებულადა,—მოგეხსენებათ, სიღარიბე საძრახი არ არის, ეს ჭეშმარიტებაა. ვიცი ისიც, რომ არც ლოთობაა სათნო და მოსაწონი, მით უმეტეს. მაგრამ სიგლახაკე კი დასაძრახია, მოწყალეო ხელმწიფევ,—დასაძრახი. სიღარიბეში შეიძლება კიდევ შეინარჩუნოთ დაბადებით დაყოლილი კეთილშობილური გრძნობები, მაგრამ გლახაკობაში კი ვერასოდეს ვერავინ ვერ შეინარჩუნებს. ჯოხითაც კი აღარ აღირსებენ ხოლმე გლახაკს განდევნასა, პირდაპირ ნაგავს ატანენ, რომ მით შეურაცხყოფა მეტი მიაყენონ. და მართალიც არის, როგორც გლახას, მე თვითონ პირველი შეურაცხვყოფ ჩემს თავსა. სმის საქმეც აქედან წარმოსდგება! ერთის თვის წინად, მოწყალეო ხელმწიფეო, მეუღლე გამილახა ბ-მა ლებეზიატნიკოვმა; მერე, მე და ჩემი მეუღლე ხომ ერთნი არა ვართ! ხომ გესმისთ? ნება მამეცით, გკითხოთ, თუნდ ისე, უბრალო ცნობის-მოყვარეობით: გინებებიათ ოდესმე ნევაზედ, თივის ნავებში ღამის გათევა, თუ არა?

— არა, არ შემმთხვევია არსად,—მიუგო რასკოლნიკოვმა.—რაო, რა არის?

— არასფერი, მე-კი აგერა, მეხუთე ღამეა, იქ ვათენებ...

გაივსო ჭიქა, გადაჰკრა და ჩაფიქრდა. და მართლაც, აქაიქ თმებსა და ტანისამოსზედ თივის მტვერი და ნაფხვენი ეყარა. ეტყობოდა ნამდვილადა, რომ ხუთს დღეს არც ტანთ გაეხადნა, არც პირთ დაებანა. განსაკუთრებით კი ხელები ჰქონდა ჭუჭყიანი, გაქონილი, დაწითლებული, ფრჩხილები ჭუჭყისაგან ჩაშავებული.

ეტყობოდა, მისმა ლაპარაკმა ყველას ყურადღება მიიპყრო. დახლს უკან ბიჭები ხითხითებდნენ. დუქნის პატრონიც თითქოს განგებ ჩამოვიდა ზევიდანა, რომ თავშესაქცევ ლაპარაკისათვის ყური დაეგდო; დაჯდა შორი-ახლოსა და ზარმაცად იწყო მთქნარება. ეტყობოდა, დიდი ხნის ნაცნობი უნდა ყოფილიყო მარმელადოვი. და ამ პრტყელ-პრტყელს ლაპარაკსაც იქიდამ იყო მიჩვეული, რომ დუქანში მოსიარულე უცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს ხშირად ესაუბრებოდა ასე. ზოგიერთა მსმელს მოთხოვნილებათა აქვს გადაქცეული პირდაპირ, ელაპარაკოს ვისმეს უთუოდ, მეტადრე თუ შინ სასტიკად ებყრობიან და ამწუხარებენ. ამიტომაც სცდილობენ მუდამ, თავი იმართლონ სმის დროს და, თუ შეიძლება, პატივის ცემაც დაიმსახურონ.

— ლაზღანდარა! წამოიძახა ხმა მაღლა დუქნის პატრონმა.—მერე, რატომ არა მუშობ, რა; რატომ არა მსახურობ, თუ მოხელე ხარ?

— რატომ არ ვმსახურობ, მოწყალეო ხელმწიფეო,—ჩამოართვა სიტყვა მარმელადოვმა,—და რასკოლნიკოვს გადაჰხედა, თითქოს ის დაჰკითხებოდა,—რატომ არ ვმსახურობ? მერე, განა, მე კი არა მტკივა გული, რომ ასე დავძრწივარ უქმადა? ერთის თვის წინად რომ ბ-ნმა ლებეზიატნიკოვმა მეულლე გამილახა, და მე კი მთვრალი ვეგდე მაშინა, მე-კი არ ვიტანჯებოდი, განა? მოითმინეთ, ყმაწვილო კაცო, შეგმთხვევიათ, თუ არა, ნეტა... ჰმ!.. აი, თუნდ ფული გესესხოთ უიმედოთა?

— შემმთხვევია... ე. ი. როგორ უიმედოთა?

— ისე, სრულიად უიმედოთ, ე. ი. გცოდნოდეთ ადრევე, რომ თხოვნისაგან არა გამოვა-რა. აი, იცით, მაგალითად, წინათვე, რომ ესა და ეს კეთილ-განზრახვებიანი და დიდად სასარგებლო მოქალაქე არასფრის გულისათვის ფულს არ მოგცემთ, ვინაიდგან, ვიკითხავ თვითონვე, რათ უნდა მოგცეს? როცა იცის კარგადა, რომ არასოდეს არ დაუბრუნებ უკანა. იმიტომ, რომ ვებრალები? მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ბ-ნი ლებეზიატნიკოვი ახალს აზრებს მუდამ თვალს ადევნებს და კიდევაც ამიხსნა ამ წინაზედა, რომ შებრალება ჩვენს დროში მეცნიერებისაგან აღკრძალულია; რომ ასრეა, მაგალითად, ინგლისში, სადაც პოლიტიკური ეკონომია, და სხ. რათ მომცემს, მაშა, გეკითხებით? იცით წინათვე ამ რიგად, რომ არას მიიღებთ, მაგრამ მაინც გაუდგებით გზასა და...

— რათაო, რისთვის?—დაეკითხა რასკოლნიკოვი.

— მაშ, თუ მეტი გზა და ხსნა აღარა გაქვს! არა, ხომ საჭიროა, რომ ყველა კაცს უთუოდ მიესვლებოდეს სადმე. იმიტომ, რომ საჭიროა უთუოდ ზოგიერთჯერ მაინც წასვლა სადმე! მხოლოდ შობილმა ასულმა ჩემმა რომ ყვითელი ბილეთი მიიღო და წავიდა პირველად, მეც მაშინ წაველ (დიახ, ყვითელი ბილეთითა სცხოვრობს ჩემი ასული...) დასძინა, განსამარტებლადა და თან რაღაცა მღელვარებით დაუწყო ახალგაზრდას ცქერა. არა უშავს-რა, მოწყალეო ხელმწიფეო, არა უშავს-რა! დაუმატა იმავე წამს აჩქარებითა დამშვიდებულმა თითქოს, რაკი შეჰნიშნა, რომ დახლს უკან ორთავე ბიჭმა ჩაიფრუტუნა და დუქნის პატრონსაც გაეღიმა. არა უშავს-რა! ასე თავის ქნევა სულაც ვერ შემაკრთობს, ვინაიდგან ყველამ უწყის უკვე ყოველივე ესე და საიდუმლოებაცა ყველა გამოცხადებულ იქმნების; და არა ზიზღით, არამედ სიმდაბლით მივიღებ ყველა ამასა. დეე, დეე! „ესე არს კაცი!“ მომითმინეთ, გეთაყვათ, ყმაწვილო კაცო: შეგიძლიანთ თუ არა... მაგრამ, არა, უფრო უკეთ და მტკიცედ უნდა იყოს ნათქვამი: შეგიძლიანთ, ან გაჰბედავთ ჩემი მაყურებელი და იტყვით მტკიცედა, რომ ღორი არა ვარ?

ახალგაზრდას ხმა არ გაუცია.

— ასე მაშ,—განაგრძობდა უფრო მეტის სიდინჯითა და ღირსებით ორატორი, მაგრამ ჯერ მოიცადა, ოთახში ატეხილი ხითხითი მიმწყდარიყო.

— ასე, მაშ, დეე, ღორი ვიყო, ის ხომ მანდილოსანია! მე პირუტყვი ვარ, კატერინა ივანოვნა კი, ჩემი მეუღლე,— განათლებული, უნტერ-ოფიცრის ქალია. დეე, მე საძაგელი და ბედასლი ვიყო, ის ხომ კეთილშობილურ გრძნობებით აღსავსე გულისაა. მაგრამ, ოჰ, რომ შემიბრალებდეს! მოწყალეო ხელმწიფეო, მოწყალეო ხელმწიფეო, საჭიროა ხომ ერთი ადგილიც არის მოეპოვებოდეს ადამიანს, სადაც მას იბრალებდნენ! კატერინა ივანოვნა კი, მართალია, დიდსულოვანი ადამიანია, მაგრამ უსამართლოა... თუმცა მართალია, მესმის მე თვითონა, რომ, რო დამქოჩრავს ხოლმე, გულმტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ვნუელობით მოსდის (ვინაიდგან, ვიმეორებ თამამად, დამქოჩრავს ხოლმე, ყმაწვილო კაცო, დასძინა გაორკეცებულის ღირსებით, ხითხითი რომ შემოესმა) მაგრამ... რა იქნებოდა, ღმერთო, თუნდ ერთხელც არის, რომ... მაგრამ, არა! არა! ყოველივე ესე ამაოა და არცა ღირს ლაპარაკათა. არა ღირს ლაპარაკათა!.. ვინაიდგან არა ერთხელ მოვწევივარ საწადელსა და არა ერთხელ შევცოდებივარ, მაგრამ... ეტყობა, ასე მიწერია, ბუნებითვე ვარ პირუტყვი!

— ჰაი, ჰაი, რომ აგრეა! —შეჰნიშნა მთქნარებით დუქნის პატრონმა.

მარმელადოვმა მუშტი დაჰკრა მაგიდასა.

— სჩანს, ასე მიწერია! იცით თქვენ, იცით, მოწყალეო ხელმწიფეო, რომ ჩულქებიც კი სასმელში გავუყიდე? ბაშმაკები ყოფილიყო, კიდევ ჰო, ცოტა რამ წესიერება იქმნებოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩულქები! თხის ბეწვის ქალაღაიაც ასრევე გავუყიდე, ძველი ნაჩუქარი, მისი საკუთარი და არა ჩემი. ცხოვრებითცივს კუთხეში ვცხოვრობთ. ამ ზამთარს გამიცივდა კიდეც, ახველებს, სისხლს აღებინებს. ბავშვიც სამი გვყავს, პატარა. მუშაობს დილიდამ საღამომდის კატერინა ივანოვნა, ჰბანს, ჰვარცხნის, ასუფთავებს, იმიტომ, რომ პატარაობიდანვე სისუფთავეს მიჩვეულია; გული კი სუსტი აქვს, ჭლექიანი და მეცა ვგრძობ ამასა! არა ვგრძნობ, განა? და რამდენადაც მეტსა ვსვამ, იმდენად მეტსა ვგრძნობ. იმიტომაცა ვსვამ, რომ სმაში სიბრალულსა და გრძნობას ვეძებ... ვსვამ იმიტომ, რომ მინდა ორკეცად ვიტანჯი!

და სასოწარკვეთილმა თავი მაგიდაზედ დაჰხარა.

— ყმარწვილო, —განაგრძობდა კვალად თავმოხრილი, — სახეზედ რაღაცა დაღვრემილობას გატყობთ. შემოხვედით თუ არა, მაშინვე შეგატყეთ და იმიტომაც მოგმართევით. გატყობინებთ ჩემის ცხოვრების ისტორიასა, არა ამ უქმ ხალხის დასაცინადა, რომელმაც ისედაც კარგად უწყის ყოველივე, არა, მგრძნობიარე და განათლებულს კაცს ვეძებ და იმიტომა. იცოდეთ, მაშ, რომ ჩემს მეუღლეს კეთილშობილთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერნიო სათავად-აზნაურო ინსტიტუტში აქვს სწავლა მიღებული და გათავებისას გუბერნატორისა და სხვა წარჩინებულ გვამთა თანადასწრებით უცეკვნია, რისთვისაც ჯილდოდ ოქროს მედალი და ქების ფურცელიც მიუღია. მედალი... დიახ, მედალი უკვე გავყიდეთ... კარგა ხანია... ჰმ!.. მაგრამ ქების ფურცელი-კი დღემდის ყუთში უდევს და ამ წინაზედ დიასახლისისთვისაც ეჩვენებინა. მართალია, დიასახლისთან დაუსრულებელი უსიამოვნობა აქვს, მაგრამ საჭირო იყო თუ არა, თავი ვისთანმე მოეწონებინა და წარსულთა დღეთა ბედნიერება ეცნობებინა. და არც თუ ვამტყუვნებ, არ ვამტყუვნებ იმიტომ, რომ ერთად-ერთი ეს-ღა შეჰრჩა წარსულ მოგონებათა სანუგეშოდ, დანარჩენი ყოველივე მტვრად იქცა, გაჰქრა! დიახ, დიახ! ფიცხი, ამაყი და მოუდრეკელი დედაკაცია. იატაკს თვითონა ჰრეცხავს და მარტო შავი პურით იკვებება, მაგრამ უპატიურად მობყრობის ნებას-კი არავის მისცემს. ამიტომაც არ ინდომა ბ-ნის ლებეზიატნიკოვისათვის უკმეხობა ეპატიებინა და როდესაც გალახა იგი ლებეზიატნიკოვმა, ლოგინად ჩაწვა; იმდენად ცემისაგან არა, რამდენადაც წყენისა და შეურაცხყოფისაგან. ქვრივი იყო უკვე, სამის, ერთი მეორეზედ მომდევნო, პაწია შვილის პატრონი, როდესაც წამოვიყვანე. პირველად ქვეითა ჯარის ოფიცერზედ იყო სიყვარულით გათხოვილი; თავის ნებით გაჰყვა მშობლების ნება დაურთველადა. ქმარი საშინლად უყვარდა, მაგრამ ქალალდის თამაშს გაება თურმე, სამართალში მისცეს და მალე მოუკვდა. ბოლოს დროს სცემდა თურმე კიდეცა. კატერინა ივანოვნაც, მართალია, არას უთმობდა, რაც საბუთებიდამ ვუწყი ნამდვილადა, მაგრამ დღემდის მაინც თვალცრემლიანი იგონებს მუდამ და მეც მაყვედრის, მაგრამ მოხარული ვარ, მოხარული, რომ ოდესღაც წარსულის წარმოდგენით მაინც ბედნიერია... დარჩა ქმარს შემდეგ სამის მცირე წლოვან ბავშვით მივარდნილს, შორეულს, ველურს მაზრაში, ისეთს უნუგეშო სიღარიბეში, რომ მეც-კი, ბევრის გადამხედს, გამიჭირდება და ვერ აგიწერთ. მეც იქ ვიყავი მაშინ. ნათესავებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ ზურგი შეაქციეს. ამაყიც იყო, მეტის-მეტი ამაყი... მაშინ მოხდა სწორედ, მოწყალეო ხელმწიფეო, მაშინ, რომ პირველის ცოლისაგან 14 წლის ქალის პატრონმა ქვრივმა ხელი გავუწოდე და ცოლობა ვთხოვე, იმიტომ, რომ არ შემეძლო მისის ტანჯვისათვის მეცქირა. შეგიძლიანთ გასაჯოთ მისი სიღარიბე და უბედურება იქიდამ, რომ განათლებული და მშვენივრად აღზრდილი, ცნობილი გვარის შვილი მე გამომყვა ცოლადა. ერთი სიტყვით, გამომყვა! სტიროდა და ხელებს იმტვრევდა, მაგრამ მაინც გამომყვა! იმიტომ, რომ მეტი გზა არა ჰქონდა. გესმისთ, მოწყალეო ხელმწიფეო, გესმისთ, რას ჰნიშნავს, ადამიანს რომ მეტი გზა და ჩარა აღარა აქვს? არა! ჯერ კიდევ არ გესმისთ ესა... და მთელი წელიწადი ჩემს მოვალეობას პირნათლადა და წმიდად ვასრულებდი, ვინაიდგან არ მივკარებივარ ამასა, (და თითი არყის შუშას დაატაკა) იმიტომ, რომ მეც გრძნობა მაქვს. მაგრამ ვერც არა ამითი ვაამე; ამ დროს-კი უცბად ადგილიც დავკარგე, მაგრამ ჩემის მიზეზით როდი, შტატები შეამცირეს. მაშინ-კი .. შეეეხე!..

„წელიწად-ნახევარი იქმნება მას შემდეგ, რაც, ბევრის აქეთ-იქით თრევისა და უბედურების შემდეგ, ამ დიდებულსა და მრავალის ძეგლით გამშვენიერებულს სატახტო ქალაქში ჩამოვედით... და ადგილიც ვიშოვნე აქა... ვიშოვნე, მაგრამ ისევ დავკარგე. გესმისთ? ახლა-კი ჩემი ბრალი იყო, იმიტომ რომ წერამ ამიტანა...

„ამ ჟამად ამალია ფედოროვნა ლიპპევეხზელისასა ვცხოვრობთ კუთხეში. მაგრამ საიდამ რას ვაძლევთ, არა ვუწყი-რა. იქვე სცხოვრობენ, ჩვენ გარდა, ბევრნი სხვანიც... უუსაძაგლესი სოდომია... ჰმ!.. დიახ... პირველი ქორწინებიდამ დარჩენილი ქალიც წამომეზარდა ამ დროსა, მაგრამ რა ტანჯვასა და ვაებას არ ითმენდა დედინაცვლისაგან, ამაზედ არას გეტყვით. მართალია, დიდსულოვანის გრძნობების პატრონია კატერინა ივანოვნა, მაგრამ ფიცხი და გულმოსულია, უცბად აენთება... დიახს! მაგრამ რა მოსაგონარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წარმოგიდგენიათ, აღზრდა არავითარი არ მიუღია სონიჩკასა. ვსცადე ამ ოთხის წლის წინად, რომ გეოგრაფია და მსოფლიო ისტორია მაინც მესწავლებინა; მაგრამ რაკი თვითონაც სუსტად გახლდით ცოდნაზედა და არც სახელმძღვანელო მოგვეძებნებოდა რიგიანი, ვინაიდგან, თუ რამ წიგნები იყო, ყველა... ჰმ! ახლა ხსენებაც აღარ არის მათი, ამიტომ შევწყვიტეთ მეცადინეობა. სპარსეთის მეფე კიროსზედ შევდექით. მერე, რომ წამოიზარდა, რამდენიმე რომანიულის შინაარსის წიგნი კიდევ სხვა წაიკითხა და ამ წინაზედ კიდევ ბ-ნს ლებეზიატნიკოვს მიეცა ლუისის **ფიზიოლოგია**,—ხომ მოგეხსენებათ? დიდის ყურადღებით გადაიკითხა და აქა-იქ ჩვენც გვიკითხავდა ხმა-მაღლა: ეს არის სონიჩკას განათლება. მოგმართავთ ახლა, მოწყალეო ხელმწიფეო, და გკითხავთ, როგორა გგონიათ: ღარიბსა და პატიოსანს ქალს თავისის პატიოსნურის შრომით რამდენის აღება შეუძლიან?.. სამ შაურზედ მეტს ვერასოდეს ვერ აიღებს, ბატონო, თუ რომ პატიოსანია და განსაკუთრებული რამ ნიჭი არა აქვს: ისაც მხოლოდ მაშინ, თუ დღესა და ღამეს გაასწორებს! და იქიდანაც სტატსკი სოვეტნიკი კლეპშტოკი, ივან ივანიჩი,—მოგეხსენებათ?—არამც თუ ხელფასს არ იძლევა, ნახევარ დუჟინ ჰოლლანდიურ პერანგებისას, კიდევაც შეურაცხყოფით ისტუმრებს; თან ფეხი ებრაგუნებინა და უზრდელად რაღაცა მიეძახებინა, იმიტომ ვითომ, რომ პერანგის საყელო ზომაზედ არა ყოფილიყო შეკერილი, გაემრუდებინა. ბავშვები კი მშივრები ყრიან... კატერინა ივანოვნაც ხელების მტვრევით დადის ოთახში და ლოყები წამოსწითლებია, როგორც ამ გვარს ავადმყოფებსა სჩვევიათ. —„სცხოვრობ ჩვენთანა, მუქთა ხორავ, სჭამ, ჰსვამ, თბილათა ხარო“, მაგრამ რასა სჭამს და ჰსვამს, როცა ბავშვებიც კი სამ-სამი დღით პურის უნახავნი არიან ხოლმე! ვიწექი მაშინ... ჰო, დიახ, ვიწექი! მთვრალი! და აგერა, მესმის, ეუბნება სონა (უწყინარი და უტყვი, ხმაც ისეთი მშვიდობიანი აქვს... თეთრი, ქერა, სახე მუდამ ფერმკრთალი აქვს, გამხდარ-გამხდარი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუბნება: „რა ვუყო, კატერინა ივანოვნა, ასეთს საქმეს ხომ ვერ ჩავიდენო?“ დარია ფრანცოვნა კი, ბოროტი და პოლიციისაგან მრავალგზის შენიშნული დედაკაცი, სამიოდჯერ დიასახლისის პირით შეეკითხა: „მერე, რა არის,—მიუგო დაცინვით კატერინა ივანოვნამა,—რა დიდი სიმდიდრე და შესანახი ეგ არისო, რო!“ მაგრამ ნუ გაამტყუვნებთ, მოწყალეო ხელმწიფეო, ნუ გაამტყუვნებთ! საღის გონების დროს ხომ არ უთქვამს, უთხრა აღელვებულმა, ავადმყოფმა, მშიერ ბავშვების ტირილით გულგაწყალებულმა, ისიც უფრო შეურაცხყოფისათვის და არა ნამდვილად... ვინაიდგან ხასიათათა აქვს კატერინა ივანოვნასა, როგორც კი აუტირდებიან ბავშვები, თუნდაც შიმშილით, მაშინვე ცემას დაუწყებს. და აგერა, ვხედავ, საღამოს ექვს საათზედ წამოდგა სონიჩკა, მოიხვია თავშალი, მოიგდო ბურნუსი და სადღაც წავიდა. ცხრა საათზედ კი უკანვე მობრუნდა. მოვიდა და კატერინა ივანოვნას წინ, ჩუმად ოც-და-ათი ვერცხლის მანეთიანი დაუწყო. კრინტი რა არის, კრინტი არ დაუძრავს, არც კი შეუხედნია, აიღო ჩვენი დიდი დრადედამის მწვანე თავშალი (საერთო თავშალი გვაქვს ასეთი), თავ-პირზედ შემოიხვია და მიწვა ლოგინზედ, პირი კედლისკენა ქნა; ეგ არის მხოლოდ მხრები და ტანი მთლად უცახცახებდა... მე-კი, როგორც წელან, ისევ ისე ვიწექი .. ვნახე მერმე, ყმაწვილო კაცო, ვნახე, როგორ მივიდა ისრევე უსიტყვოდ კატერინა ივანოვნა ლოგინთანა და მთელი საღამო როგორ სონეჩკას ფეხთით იდგა მუხლის თავებზედა, უკოცნიდა ფეხებსა და აღარ უნდოდა ამდგარიყო. მერე ორივემ ერთად მიიძინეს ისე, გადახვეულებმა... ორივემ... ერთადა... მე-კი... ისევ მთვრალი ვიწექი.

მარმელადოვი გაჩუმდა უცბად, თითქოს ხმა ჩაუწყდაო. სწვდა მერე შუშასა, დაისხა, გადაჰკრა და ამოიოხრა.

— მას შემდეგ, ხელმწიფეო ჩემო,— განაგრძობდა მცირე სიჩუმის შემდეგ მარმელადოვი,—ერთის რაღაცა უსიამოვნო საქმისა გამო და ბოროტ-განმზრახველთა დასმენით, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა დარია ფრანცოვნა, ვითომ-და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ ჯეროვანად პატივს არ სცემდნენ,—მას შემდეგ ჩემს ქალს, სოფია სემენოვნას, ყვითელი ბილეთი მისცეს და ამის გამო ჩვენთან აღარ ედგომებოდა. ვინაიდგან დიასახლისი, ამალია ფედოროვნაც წინააღმდეგი იყო (წინად კი დარია ფრანცოვნას თვითონვე უწყობდა ხელსა), და ბ-ნი ლებეზიატნიკოვიც... ჰმ!.. აი, სწორედ სონიჩკას გამო იყო, კატერინა ივანოვნას რომ ის ისტორია მოუხდა. პირველად თვითონვე არ ასვენებდა სონიჩკასა, მერე კი გაიჭიმა: „როგორ, მე, ასეთი განათლებული კაცი, ამისთანა გოგოსთან ერთად, ერთს ბინაზედ ვიცხოვრებ, განაო?“ კატერინა ივანოვნამაც არ დაუთმო, წაექომაგა... და რაც მოხდა, ხომ იცით... ახლა სონიჩკა მარტო საღამოობით-ღა მოდის, კატერინა ივანოვნას ეხმარება და რითაც კი შეუძლიან, ჰშველის... ბინად კი მკერვალ კაპერნაუმოვთანა სცხოვრობს. კაპერნაუმოვი თვითონ კოჭლი და ენა-ჩლუნგია, მრავალრიცხოვანი ოჯახობაც მთლად ენაჩლუნგი ჰყავს. ცოლიც ენა-ჩლუნგი ჰყავს... ყველანი ერთს ოთახში სცხოვრობენ, სონას კი საკუთარი ცალკე ოთახი აქვს, გადაღობილი... ჰმ!.. დიახ... ღარიბები არიან, ენა-ჩლუნგები... დიახ... ავდექი მაშინ დილით, ჩავიცვი ჩემი ძონძები, აღვაპყარ ხელნი ზეცად და მათს აღმატებულება ივან აფანასიჩთან წავედი. ბისი აღმატებულება ივან აფანასიჩი ხომ მოგეხსენებათ?.. არა? იცოდეთ, მაშ, რომ ღვთის კაცი არა გცნობიათ! წმინდა სანთელია და არა კაცი.. სანთელი ღვთისა წინაშე და დადნებისაცა, ვითარცა სანთელი!.. ცრემლიც-კი მოერიათ, წარმოიდგინეთ, რომ მომისმინეს. „აბა, მარმელადოვ, ერთხელ ხომ გამიცრუე იმედები... მაგრამ აგიყვან კიდევ ჩემის საკუთარ თავდებობითო“,—მითხრა და დასძინა:—„გახსოვდეს, მაშა და წადიო!“ ვემთხვიე ფერხთა მისთა მტვერსა, გონებრივად, რასაკვრელია, რაკი ნამდვილად ამის ნებას არ დამრთავდნენ; ახალის, განათლებულ აზრებისა და მიმართულების სახელმწიფო მოღვაწეა. ღავბრუნდი შინა და რომ გამოვუცხადე, სამსახურში მიმიღეს-მეთქი და ჯამაგირს ვიღებ, უნდა გენახათ, ღმერთო, რა ამბავი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალად შედგა მარმელადოვი, აღელვებული. სწორედ ამ დროს ქუჩიდან მთელი გროვა შემოვიდა მთვრალებისა და კარებთან დაქირავებულ შარმანკისა და შვიდის წლის ბავშვის ხრინწიანი ხმა გაისმა, რომელიც „Хуторокъ“-ს დაჰმღეროდა. დუქანი საშინლად ახმაურდა. დუქნის პატრონი და ბიჭები მაშინვე მოსულებს ეცნენ, დატრიალდნენ. არ აქცევდა ყურადღებას მხოლოდ მარმელადოვი და განაგრძობდა ისევა. ეტყობოდა, დასუსტდა უკვე, მაგრამ რამდენიც მეტად ეკიდებოდა სასმელი, იმდენი უფრო მეტს ლაპარაკობდა. სამსახურში შესვლის გახსენებამ თითქოს როგორღაც გამოაცოცხლა და სახეც კი გაუნათლა. რასკოლნიკოვიც ყურადღებით უსმენდა.

— ეს იყო, ხელმწიფეო ჩემო, ამ ხუთის კვირის წინად... დიახ... გაიგეს თუ არა კატერინა ივანოვნამა და სონიჩკამ, ღმერთო, თითქოს სასუფეველში შევსულიყო. წინად, მახსოვს, ვიწექ ხოლმე პირუტყვივითა და მლანძღავდნენ მხოლოდ! ახლა-კი: თითის წვერებზედ დადიან, ბავშვებს აჩუმებენ. „სემენ ზახარიჩი სამსახურში დაღლილა, ჩ-ჩუთ, ისვენებს!“ სამსახურში წასვლამდე ყავას მასმევენ, ნაღებს მიდუღებენ! ნამდვილს ნაღებს დაუწყეს, გესმისთ, საიდგანღაც ზიდვა! მაგრამ არ მესმის სწორედ, ტანისამოსისათვის საიდგანღა მოაკოწიწეს თერთმეტი მანეთი და ათი შაური? მიყიდეს: წაღები, მშვენიერი ტილოს საყელო და გული, ვიცმუნდირი; ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს მშვენივრად გამომიწყეს თერთმეტ მანეთათ და ათ შაურადა. მოვედი ერთს დღეს სამსახურიდამ, ვნახოთ: კატერინა ივანოვნას ორი ფერი საჭმელი დაუმზადებია — წვენი და დამუჟუჟებული თევზი მდოგვით, რაც იმ დრომდის სიზმრადაც-კი არ გვეზმანებოდა. თვითონ კაბა არ აცვია თითქმის... თითქმის კი არა, სულ არა გააჩნდა-რა, მაგრამ ვნახოთ, თითქოს სტუმრად მომზადებულაო, ჩაუცვამს, მოკოპწიავებულა; მაგრამ დიდი-კი არა გეგონოთ რა, ისე არარაობიდამ რაღასაც შეჰქმნიან: დაივარცხნიან, რაღაცა სუფთა საყელოსა და მაჯებს გაიკეთებენ, ჰხედავ, სულ სხვა ადამიანია, გაახალგაზრდებულა, გალამაზებულა. სონიჩკა, ჩემი გვრიტიკო, ფულით ეხმარებო-

და: — თვითონ-კი ჯერ ხნობით ხშირ-ხშირად არ მომესვლება, სირცხვილიაო; ბინდზედ თუ შემოგივლით ხოლმე, რომ არავინა მნახოსო. გესმისთ, გესმისთ? მოვედი სადილის შემდეგ დასაძინებლად, როგორ გგონიათ, ველარ მოუთმენია კატერინა ივანოვნასა. იმ ერთი კვირის წინად ლამაზად ეჩხუბა დიასახლისს ამალია ფედოროვნას, ახლა ყავაზედ დაუპატიჟნია. მთელი ორი საათი პირი-პირს ისხდნენ და ჩურჩულებდნენ: „ასე, ქალოო, სემენ ზახარიჩი ახლა სამსახურშია და ჯამაგირს იღებსო; მისს აღმატებულებასთან თვითონ გამოცხადდა, მისი აღმატებულებაც თვითონ გამობრძანდა, უბრძანა ყველას მოეცადნათ, სემენ სახარიჩს-კი ხელი დაუჭირა და კაბინეტში შეიყვანა-ო“. გესმისთ, გესმისთ? „რასაკვირველია, სემენ ზახარიჩ, — ეუბნება მისი აღმატებულება, — მახსოვს თქვენი სამსახურიო; მართალია, სუსტი ხართ სმაში, მაგრამ რაკი სიტყვას იძლევით და მასთან თქვენ შემდეგ ჩვენი საქმეც რიგზედ არა მიდის (გესმისთ, გესმისთ!), იმედი მაქვს ამიტომ, სიტყვას პატიოსნად შეასრულებთო“. ე. ი. ყველა ეს თვითონ შეხანხლა კატერინა ივანოვნამა, მაგრამ სისუბუქით-კი არა, არა, ისე, თავმოსაწონებლად! თუმცა, ვიცი, თვითონ სჯერა ყველა ეს ოცნებით შექმნილი ამბები! და არც თუ გავამტყუვნებ; არა, არასოდეს ამისათვის არ გავამტყუნებ!.. და როდესაც ამ ექვსის დღის წენად პირველი ჯამაგირი — ოცდა სამი მანეთი და ორი აბაზი — სრულიად მივუტანე, ჭიჭყინა მიწოდა: „ჩემო ჭიჭყინავო!“ მარტოსა, გესმისთ? მაგრამ რა სილამაზის პატრონიცა და რა ქმარიცა ვარ, წარმოგიდგენიათ? ეს არ მაკმარა, არა, ლოყაზედ მიპრწკინა და გამიმეორა კიდევ: „ჩემო ჭიჭყინაო!“

მარმელადოვი შედგა, უნდოდა გაეცინა, მაგრამ უცბად ნიკაპი აუთამაშდა. მალე შეაყენა ისევა. სასმელების დუქანი, გარყვნილი სანახაობა, ხუთი ღამე, ზედი-ზედ სათივე ნავებში გატარებული და ეს შტოფი, მასთან ეს სნეულებრივი სიყვარული მარმელადოვისა ცოლისა და ოჯახისადმი მთლად დავთარს უბნევდნენ რასკოლნიკოვისა. უსმენდა ყურადღებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თვითონაც იტანჯებოდა. ინანა კიდეც ბოლოს, რომ დუქანში შემოვიდა.

— მოწყალეო ხელმწიფეო, მოწყალეო ხელმწიფეო! შესძახა მარმელადოვმა, თავი რომ შეიმაგრა,—ოჰ, ხელმწიფეო ჩემო, იქნება თქვენ სიცილადაც არა გყოფნით, როგორც სხვებსაც, რომ ჩემის შინაურ ცხოვრების წვრილმალ სისულელით თავს გაბეზრებთ და გაწუხებთ, მაგრამ მე როდი მესაციოლოვება! ვინაიდგან შემიძლიან ყოველივე ეს ვიგრძნო... და მთელი ის სამოთხისებური დღე და ღამე მეც ოცნებაში გავატარე, ე. ი. როგორ მოვაწყობდი ყველაფერს: ბავშვებს ჩავაცმევდი, კატერინა ივანოვნასაც მოვასვენებდი, ჩემს მხოლოდ შობილს ასულსაც გარყვნილობას გამოვგლეჯდი და ოჯახს დავუბრუნებდი... და ბევრს კიდევ სხვას... ხომ ყველა ეს შესაძლებელია, ბატონო. მაგრამ, ხელმწიფეო ჩემო (შეხტა უცბად თითქოს მარმელადოვი, თავი მაღლა ასწია და რასკოლნიკოვს პირდაპირ შეჰხედა), დიახ, მეორე დღესვე, ყველა ამ ოცნებობის შემდეგ (ე. ი. ამ ხუთის დღის წინად), საღამოთი, როგორც იყო, ეშმაკობით ხელთ ვიგდე კატერინა ივანოვნას ყუთის გასაღები და, როგორც ქურდმა ბნელა ღამეში, ამოვიღე მთლად, თუ რამ იყო დარჩენილი ჩემის ჯამაგირისა, მაგრამ რამდენი, ეგ აღარ მახსოვს, და, აი, მიცქირეთ ყველამ, რაცა ვარ! მეხუთე დღეა, სახლიდამ გამოვსულვარ; იქ ისინი დამეძებენ, სამსახური ცალკე დავკარგე, ვიცმუნდრიც ეგვიპტის ხიდთანა ძევს დუქანში, რის მაგივრადაც, აი, რა ჩამაცვეს... და გათავდა ამით ყველა!..

მარმელადოვმა შუბლში მუშტი ითხლიშა, კბილებს მოუჭირა, თვალები დაჰხუჭა და ნიდაყვით მაგრა დაეყრდნო მაგიდასა. მაგრამ ერთის წამის შემდეგ სახე უცბად შეეცვალა და რაღაცა მოჩვენებულის ცბიერებითა და გამოჩრჩნილის თავხედობით შეჰხედა რასკოლნიკოვსა, გაიცინა და ჩაილაპარაკა:

— დღეს სონიჩკასთან ვიყავი, ნაბახურევმა ფული ვთხოვე! ხე, ხე, ხე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, მოგცა?—დაეკითხა ვიღაცა შემოსულთაგანი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადიხარხარა.

— აი, ეს ნახევარ შტოფი სწორედ იმისი ფულით არის ნასყიდი,—მიჰმართა რასკოლნიკოვს.—გამომიტანა ექვსი შაური, უკანასკნელი, თავისის საკუთარ ხელითა, რაც-კი ჰქონდა, თვითონა ვნახე... არა უთქვამს-რა, ჩუმად გადმომხედა მარტო... ასე აქ, დედამიწაზედ-კი არა, იქა... სწუხან ხალხისათვისა, სტირიან, მაგრამ არ აყვედრიან, არა! ეს-კი უფრო მტკენს გულსა, როცა არ მაყვედრიან!.. დიახ, ექვსი შაური. მერე, განა, თითონ-კი არა სჭირია? როგორა გგონიათ, ძვირფასო ხელმწიფეო ჩემო? მოვალეა, თუ არა, თავი სუფთად შეინახოს. სისუფთავეც ფული ღირს, თუ არა? თორემ, ხომ გესმისთ? პომადაც უნდა იყიდოს, უმისობა არ შეიძლება; კრახმალის „იუბკა“ და კოხტა ბათინკებიც, იმიტომ, რომ ტლაპოში გადასვლის დროს ფეხი გამოუჩნდება... ხომ გესმისთ, ხელმწიფეო ჩემო, რას ჰნიშნავს ეს სისუფთავე? მერე, მე, იმისმა სისხლმა და ხორცმა, მამამ, ექვსი შაური გამოსაფხიზლებლად წავგლიჯე! და ვსვამ! დავლიე კიდეც!.. არა, ჩემისთანას ვინ შეიბრალებს, განა? ჰა-ა! გებრალებით ახლა თქვენ, ხელმწიფეო ჩემო, თუ არა? მითხარ, ხელმწიფეო ჩემო, გებრალები, თუ არა? ხე-ხე-ხე-ხე-ხე!

უნდოდა კიდევ დაესხა, მაგრამ შუშაში აღარა იყო-რა. ნახევარ-შტოფი ცარიელი იყო.

— რა გაქ შესაბრალისი?—დაჰყვირა დუქნის პატრონმა, რომელიც იმ ჟამად ისევ მარმელადოვისა და რასკოლნიკოვის გვერდით გაჩნდა.

გაისმა სიცილი და ლანძღვაც-კი. იცინოდნენ და ილანძღებოდნენ ყველანი, ვინც-კი სამსახურიდან გადამდგარ მოხელეს უყურებდა, თუმცა იმათგანი ზოგი უგდებდა ყურს ლაპარაკსა, ზოგი არა.

— შემიბრალონ! რათ უნდა შემიბრალონ! შეჰღაღადა უცბად მარმელადოვმა, წამოდგა ხელ-გაწვდილი, თითქოს ეს არის ამ სიტყვებს უცდიდაო და დაიწყო:—რათ უნდა შემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალონ, განა? დიახ! არა ვარ ღირსი შებრალებისა! ჯვარს უნდა მაცვან, ჯვარსა და არა შემიბრალონ! მაგრამ ჯვარს აცვი, მსაჯულო,—ჯვარს აცვი და შეიბრალე შემდეგ! და ჰა, მაშინ თვითონ მე მოვალ სასჯელად, ვინაიდგან მწუხარებასა და ცრემლს ვეძიებ და არა მხიარულობასა... როგორ, გგონია შენ ეი, ვაჭარო, ძაან მეტკბილა ე შენი ნახევარ-შტოფი? მწუხარებასა და ნაღველს ვეძებდი მისს ძირში, ნაღველსა და ცრემლსა და ვიპოვე კიდეც; ჩვენ-კი შეგვიბრალებს მხოლოდ ის, **ვინც შეიბრალა ყველა და ყოველივე გაიგო, იგია ერთად-ერთი მართლ-მსაჯული.** მოვა მას დღესა შიგან და იკითხავს: „სადაა ასული იგი, რომელმან თავი თვისი ბოროტისა და ჭლექიან დედინაცვლისა და სხვათა მცირეწლოვან შვილებისათვის გასწირა?—სადაა ასული იგი, რომელი მამასა თვისსა, ქვეყნიერსა და უსარგებლო ლოთსა და მისსა სიმხეცესა არა შეუშინდა და რომელმან შეიბრალა იგი?“ და ეტყვის: „მოვედ! უკვე მოგიტევე ერთ გზის... მოგიტევე ერთ გზის... მოგეტევების აწცა ცოდვანი მრავალნი, ვინაიდგან დიდ არს სიყვარული ეგე შენი...“ და მიუტევებს ჩემს სონას, მიუტევებს; ვიცი ახლავე, რომ მიუტევებს... ვიგრძენ ეს წელან, ფულისათვის რო ვიყავი!.. განსჯის ყველასა და მიუტევებს: კეთილთაცა და ბოროტთაც, ბრძენთაცა და დაბალთაცა... და როდესაც მორჩება ყველას, ახლა ჩვენ გვეტყვის: „წამოდექით თქვენც! ლოთებო, სუსტნო, სირცხვილეულნო“ და ჩვენც გამოვალთ ყველანი, არ დავირცხვენთ და დავდგებით. და გვეტყვის: „ლორები ხართ სწორედ! ნადირები და პირუტყვები, მაგრამ მოვედით თქვენცა!“ და ჰრქვიან მაშინ ბრძენნი და გონიერნი: „უფალო! რასათვისა მოუწოდება მაგათ?“ და ეტყვის: „მოუწოდებ, ბრძენნო და გონიერნო, იმად, რომ არცალა ერთი მათგანი ღირსად ამისად თავს არა ჰრაცხის...“ და აღიღებს ხელთა თვისთა ჩვენდა და დავემხვებით... და ვიტირებთ... და ყოველსავე შევისმენთ! შევისმენთ მაშინ ყოველსა!.. და სხვანიცა ყველანი შეისმენენ... კატერინა ივანოვ-

ნაცა... იგიცა შეისმენს!.. უფალო, მოვედინ სასუფეველი შენი.“

და დასუსტებული, ძალა-გამოლეული სკამზედ დაეშვა, აღარავის არ უყურებდა, გეგონებოდათ, ყველა დაივიწყა, ღრმად ჩაფიქრდაო. მისმა სიტყვებმა თითქოს რაღაცა გავლენა იქონია; ერთს წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ისევე სიცილი და ლანძღვა გაისმა წინანდებურადა.

— განსაჯა!

— მიჰქარა!

— მოხელეს დამიხედეთ! მოხელეს! და სხ. და სხ.

— წავიდეთ, ბატონო ჩემო,—წამოიძახა უცბად მარმელადოვმა, თავი მაღლა ასწია და მიჰმართა რასკოლნიკოვსა, —შინამდე მიმაცილეთ... კოზელის სახლის ეზომდე. დროა... კატერინა ივანოვნაც მოვნახო..

დიდი ხანია რასკოლნიკოვს წასვლა უნდოდა; შველასკი თვითონაცა ფიქრობდა. ფეხებით უფრო სუსტი აღმოჩნდა მარმელადოვი, ვიდრე ენითა და მაგრა დაეყრდნო ახალგაზრდასა. გასავლელი სულ რაღაცა ორას-სამასი ნაბიჯი ჰქონდათ. რამდენიც უახლოვდებოდა სახლსა, იმდენი უფრო შიში იტანდა მარმელადოვსა და თრთოდა.

— კატერინა ივანოვნასი კი არ მეშინიან,—ჰბოდავდა აღელვებული,— არც იმისი, რომ დამქოჩრავს. დაქოჩვრა არაფერია... სისულელეა!.. გეუბნებით! უკეთესიც კია, რომ დამქოჩროს: არა, ამისი-კი არა... იმის თვალებისა მეშინიან... დიახ... თვალებისა... ლოყებისაც მეშინიან.. რომ წამოუწითლდება ხოლმე... მეშინიან კიდევ—იმის სუნთქვისა... გინახავს, ასეთი ავადმყოფი როგორა ჰსუნთქავს... როცა აღელდება? ბავშვების ტირილისაც მეშინიან... იმიტომ, რომ თუ სონას არა უჭმევია-რა... არ ვიცი სწორედ! არ ვიცი! ცემისა-კი არ, მეშინან... იცოდე, ბატონო ჩემო, რომ ცემატკივილს-კი არა, სიამოვნებას მაგრძნობინებს... ვინაიდგან უიმისოდ მეც ველარა ვძლებ. უმჯობესია. დეე, მცემოს, გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიოხოს... უკეთესია... აგერა სახლიც. კოზელის სახლი. ზეინკალისა. მდიდარი ნემეცისა... წამიყვა!

შევიდნენ ეზოში და მეოთხე სართულში ავიდნენ. რამდენიც უფრო მაღლა-მაღლა ადიოდნენ, იმდენი უფრო ბნელდებოდა კიბე. უკვე თერთმეტი საათი იყო, მაგრამ კიბის ზემოდ და ზემოდ მაინც ბნელოდა ძალიან, თუმცა იმ ხანად პეტერბურგში ნამდვილი ღამეები არ იცის.

კიბის ბოლოში, სულ მაღლა გამოჭრილი, შავად გარეული პატარა კარები ღია იყო. უულარიბესს, სიგრძით ათ ნაბიჯიანს ვიწრო ოთახს ნამწვი სანთელი ანათებდა; თავით ბოლომდე მთლად მოსჩანდა გარედამვე. ყველაფერი არეულ-დარეული და აწეწილი იყო, განსაკუთრებით ბავშვების მჩვრები. უკანა კუთხეში აქა-იქ დახვრეტილი ძველი ზეწარი იყო გამბული. უკან უთუოდ ტახტი ედგათ. თვითონ ოთახში მხოლოდ ორი სკამი და კლიონკა გადაკრული, ძველი დაგლეჯილი დივანი იდგა, რომელსაც წინ ძველი, დაუფერავი სამზარეულო ფიჭვის მაგიდა ჰქონდა მიდგმული. გადაუფარებელ მაგიდის ერთს ნაპირზედ ქონის ნამწვი სანთელი იდგა რკინის შანდლითა. როგორცა სჩანდა, მარმელადოვი ცალკე ოთახში სცხოვრობდა და არა კუთხეში, მაგრამ ეს ოთახი გზად გასავლელი იყო. ამალია ლიპპევეხზელის დანარჩენს ოთახებს ანუ გალიებში გამავალი კარებიც ღია იყო. საშინელი ხმაურობა და ყვირილი გამოდიოდა. იცინოდნენ, ხარხარებდნენ. ეტყობოდა ქალალდს თამაშობდნენ, ჩაის ჰსვამდნენ. დრო-და-დრო ხომ სულ საძაგელი, უზრდელი სიტყვები ისმოდა.

მაშინვე იცნო კატერინა ივანოვნა რასკოლნიკოვმა. ეს იყო საშინლად გამხდარი, წვრილი და მაღალი, მოხდენილი ტანის დედაკაცი, რომელსაც მუქი, წაბლისფერი თმა ჯერ კარგად შეჰრჩენოდა და ლოყებიც მართლა ჭარხალივით დასწითლებოდა. ხელები გულზედ დაეკრიბა და ტუჩებ გამხმარი, აღელვებული გადი-გამოდიოდა წინ და უკან თავისს პაწია ოთახში, თან აჩქარებითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტადა ჰსუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვდა. თვალები ციებიანსავით უელვარებდა, მაგრამ იყურებოდა როგორღაც სასტიკადა და უძრავადა და ოდნავ გამომკრთალს სუსტს ნამწვის სინათლეზედ მისი მღელვარე, ჭლექიანი სახე როგორღაც ავადმყოფებრივს შთაბეჭდილებას ახდენდა. რასკოლნიკოვს სულ რაღაც ოც-და-ათ წლის დედაკაცათ ეჩვენა კატერინა ივანოვნა და მართლაც რომ არ იყო მარმელადოვის შესაფერი... შესულნი სრულიად არ შეუნიშნავს, არ დაუნახავს; ეტყობოდა, რაღაცა თავდავიწყებას მისცემოდა და აღარა ესმოდა-რა, აღარას ჰხედავდა. ოთახში ჰაერი შეხუთული იყო, მაგრამ ფანჯარა არ გამოეღო; კიბიდამაც საშინელი ყროლის სუნი ამო[illegible]ოდა, მაგრამ კარები ღია ჰქონდა. შიგნითა ოთახებში გამავ[illegible]ი ღია კარიდამ თამბაქოს ბოლი სვეტ-სვეტად შემოდიოდა [illegible] ახველებდა, მაგრამ კარები არ მიეხურა. ყველაზედ უმცრ[illegible]ს, ექვსის წლის ქალს როგორღაც უცნაურად ჩაეკეცნა იტა[illegible]ლ, თავი დივანში წაეყო და ჩასძინებოდა. ერთის წლით უფროსს ვაჟს კიდევ კუთხეში გაჰქონდა ცახცახი და სტიროდა. ეტყობოდა, ის-ის იყო ეცემათ. უფროსს, ცხრა წლის ქალს კიდევ, მაღალ-მაღალსა და წუმწუმას წკირივით წვრილს, ტანთ მხოლოდ დაფლეთილი, თხელი ზედატანი ეცვა, ტიტველა მხრებზედ დრადედამის ძველის-ძველი ბურნუსი ეგდო, ორის წლის შეკერილი მაინც, რადგან საშინლად დაჰმოკლებოდა და მუხლებამდე ძლივს-ღა სწვდებოდა. იდგა ბაწია ძმის გვერდით კუთხეშია და წვრილი, ჩხირისავით გამხდარი ხელი ყელზედ შემოეხვია. ეტყობოდა, უყვავებდა და რაღასაც ეჩურჩულებოდა, აჩუმებდა, რომ კიდევ არ ამოეშვა ტირილი, და თან შეშინებული დედას ადევნებდა დიდრონს შავს თვალებს, რომლებიც მისს გამხდარსა და შეშინებულ სახესთან შედარებით ერთი-ორად მეტად მოსჩანდნენ. მარმელადოვი ოთახში არ შესულა, იქვე კარებში ჩაიჩოქა, რასკოლნიკოვი-კი წინ გაიგდო. ქალმა რომ უცნობი დაინახა, დაიბნა თითქოს და შედგა, თანა ფიქრობდა: რა უნდა, რისთვის შემოვიდაო? მაგრამ მაშინვე წარმოიდგინა, უთუოდ სხვებთან არისო, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაც მათი ოთახი გზად გასავლელი იყო და კარებისკენ გასწია, რომ მიეხურა. აქ-კი შეჰყვირა უცბად, კარებში რომ ჩაჩოქილი ქმარი დაინახა.

— აჰ, მოხვედი, —შეჰყვირა გაბრაზებულმა! საბორკილევ! შეჩვენებულო!.. ფულები რა უყავ? მაჩვენე, გაქვს-ღა რამ ჯიბეში! ტანთაც ის აღარ აცვია! რა უყავ, რა? ფული სად არის? მითხარი!..

და ეცა გასაჩხრეკადა. მარმელადოვმაც მაშინვე ხელები გაშალა, რომ ჯიბის გაჩხრეკვა გაეადვილებინა. გროში რა არის, გროში აღარ მოეძებნებოდა.

— ფული რა უყავ?—უყვიროდა ცოლი.—ოჰ, ღმერთო, ნუ-თუ სულ შეუჭამია! თორმეტი მანეთი კიდევ იდო ყუთში!..

და უცბად, გაცოფებული, თმაში სწვდა, ოთახში შეითრია. მარმელადოვიც თვითონვე უადვილებდა საქმესა და მორჩილებით მისდევდა მუხლის თავებზედ ხოხვითა.

— ეს ჩემთვის სიამოვნებაა! სი-ამ-ოვ-ნებ-ა-ა, მოწ-ყა-ლეო ხელ-მწი-ფეო, და არა ტკენა,—ჰყვიროდა დაქოჩვრილი მარმელადოვი და ერთხელ შუბლიც-კი დაატაკა იატაკსა.

იატაკზედ მიძინებულმა ბავშვმა გაიღვიძა, ტირილი მორთო. კუთხეში ატუზულმაც ველარ მოითმინა, შეჰყვირა და აცახცახებული დისაკენ გაქანდა, გულგახეთქილი და ელდანაკრავი. უფროსი ქალიც ნამძინარევი ფოთოლსავითა თრთოდა.

— შეუჭამია! მთლად შეუჭამია!—სტიროდა სასოწარკვეთილი, საბრალო დედაკაცი.—ტანთაც რო ის აღარ აცვია! ვაი, მშივრებო! მშივრებო! (და ხელების მტვრევით ბავშვებზედ ანიშნებდა). ო, დაწყევლილო სიცოცხლევ! თქვენა, თქვენ-კი არა გრცხვენიანთ,—მიჰვარდა უცბად რასკოლნიკოვსა,— დუქნის ბოღლოწოვ! შენც იმასთანა ჰსვამდი? იმასთან ჰსვამდი! მომშორდი აქედამ!

რასკოლნიკოვიც მაშინვე გაჰქრა, კრინტი არ დაუძრავს. ამ დროს სწორედ შიგნიდამაც გამოიღო ყურთამდე კარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენმამე ცნობის მოყვარემ თავი გამოჰყო. გამოეყოთ ურ-
ცხვად და სიცილით თავები, პირში პაპიროსები და ჩიბუხები
ეჭირათ, თავზედ არახჩინები ეხურათ და იყურებოდნენ. ზოგს
ხალათი ეცვა, ზოგი მთლად გაფარღალალებულიყო უზრდელა-
და, სხვებს სათამაშო ქაღალდი ეჭირათ ხელში. განსაკუთრებით
გულიანად იცინოდნენ, როცა მარმელადოვს დაქოჩრილს მიათ-
რევდა ცოლი და ის-კი მაინცა ჰყვიროდა, ვსიამოვნებო. ზო-
გნი ოთახშიაც-კი შემოვიდნენ. მოისმა ბოლოს რაღაცა საზა-
რელი წივილი: ეს გახლდათ თვითონ ბინის პატრონი ამალია
ლიპპევეხზელი; მოარღვევდა და მოდიოდა წინ, რომ თავი-
სებურად წესიერება აღედგინა და მეასეჯერ კიდევ გაეთრევ-
გაელანძღა საბრალო დედაკაცი და დაჰმუქვროდა, რომ ხვალ-
ვე ბინიდამ დაითხოვდა. ჩაიყო უცბად გამ[illegible]ვლის დროს
რასკოლნიკოვმა ჯიბეში ხელი და დუქანში და[illegible]ერდავებულ
მანეთიდამ, რამდენიც მოჰხვდა, ამოიღო შავი ფ[illegible]ი და შე-
უნიშნავად ფანჯარაზედ დააწყო. მერე, კიბეზედ, გ[illegible]აიფიქრა
ისევ და უნდოდა უკანვე აბრუნებულიყო, მაგრამ [illegible]ია[illegible]-ღა
იყო.

„რა სისულელე ჩავიდინე არა,—გაიფიქრა რასკოლნი-
კოვმა,—ამათ კიდევ სონა ჰყავთ, მე, მე ვიღა მყავს? მეც
რომ მიჭირს თვითონა!“ მაგრამ რაკი უკან დაბრუნება აღარ
შეიძლებოდა და არც თუ-ღა წამოიღებდა უკანა, გააქნია ხე-
ლი და შინისაკენ გასწია.—„სონასაც ხომ პომადები უნდაო,
—გაიხსენა მიმავალმა მარმელადოვის სიტყვები და მწარედ
ჩაიცინა.—ეს სისუფთავეც ფული ღირს, თუ არა... ჰმ! ხომ
შეიძლება სონიჩკაც გაკოტრდეს დღესა, იქაც ხომ იგივ ნა-
ძლევი არის... წითელის მხეცის ძებნა. . ოქროს მრეწველო-
ბა... მაშასადამე, ხვალ ყველანი მშივრები ისხდებოდნენ, მე
რომ ფული არ მიმეცა... ჰაი-და, სონა! რა მადანი აღმოუ-
ჩენიათ! და სარგებლობენ! სარგებლობენ კიდეც! იტირეს, იტი-
რეს და შეეჩვივნენ. ურცხვი და საძაგელია ადამიანი, ყველა-
ფერს ადვილად ეჩვევა!“

და ჩაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ, თუ ვიცრუევი, — შეჰყვირა უცბად უნებურადა, — თუ **საძაგელი და ურცხვი** არ არის ადამიანი, საზოგადოდ ყველა, მთელი ადამის ტომი? სჩანს მაშინ, დანარჩენი ყველა ცრუ-მორწმუნოება და განგებ შექმნილი საზარლობა და შიში ყოფილა, არასფერს საზღვარი არა ჰქონია და ყოველივე ასე უნდა იყოს!..

III

გვიან გაღვიძა მეორე დღეს, მაგრამ მოუსვენარმა ძილმა ძალა ვერ შეჰმატა, ვერ მოალონიერა. გაიღვიძა გულნაღვლიანმა და გაბოროტებულმა და თავისს ქოხს ზიზღით მიმოავლო თვალი. ეს იყო შესახედავად საცოდავი, სიგრძით ექვს ნაბიჯიანი რაღაც პაწია გალია, რომელსაც ყვითელი, კედლიდან თითქმის მთლად ამძვრალი და მტვრით სქლად დაფარული შპალერი კიდევ უფრო ასაცოდავებდა. უზომოდ დაბალი ჭერი ხომ ოდნავ მაღალს კაცს სულსა ჰხუთავდა და აფიქრებინებდა, აი, საცაა თავს შევარტყამო. მოწყობილობაც შესაფერისი ჰქონდა: აქა-იქ სამი დაძველებული სკამი და კუთხეში წამალ წასმული მაგიდა იდგა, რომელზედაც რამდენიმე რვეული და წიგნი იდო; სქლად ნადები მტვერი ნათლად ამტკიცებდა, რომ დიდი ხანი იყო არავისი ხელი არ შეჰხებოდა. დასასრულ, მოწყობილობას ამთავრებდა ვეება, უშნო ზურგ-მისაყუდები ტახტი, რომელსაც სიგრძეზედ თითქმის მთელი კედელი ეჭირა, სიგანეზედ კი ნახევარი ოთახისა. ოდესმე ჩითი ჰქონოდა გადაკრული, მაგრამ ახლა ძონძების მეტი აღარა შეჰრჩენოდა-რა და რასკოლნიკოვს ლოგინობას უწევდა. ხშირად ეძინა ხოლმე ისე, გაუხდელს, უზეწროთა; ზემოდან თავისს ძველს სტუდენტურს პალტოს დაიგდებდა, თავით პატარა ბალიშს ამოიდებდა, რომელსაც ქვეშოდან საცვლებს ამოუწყობდა ხოლმე, — ჭუჭყიანსა და სუფთას ყველას ერთადა, — რომ აემაღლებინა და მიეძინებდა. ტახტწინაც კიდევ პაწია მაგიდა იდგა. ეს იყო და ესა.

ამაზე მეტად დაქვეითება და გაბინძურება შეუძლებელი ღა იყო, მაგრამ დღევანდელს მდგომარეობაში რასკოლნიკოვს ესიამოვნებოდა კიდეც ესა. მოჰშორდა ყველასა და კუსავით თავისს ქერქს ამოეფარა, თვით მოსამსახურე გოგოს დანახვაც კი, რომელიც მხოლოდ ათასში ერთხელ-ღა შეჰხედავდა ხოლმე, აბრაზებდა და ზიზღსა ჰგვრიდა. ასე ემართება ზოგიერთს მონომანს (ერთს რაიმე საგანზედ რომ შეიშლება), უზომოდ რაიმე საგანზედ დაფიქრებულსა. ორი კვირაა უკვე, რაც დიასახლისი ბინისა სადილს აღარ აძლევს, მაგრამ არას დაგიდევთ და არც კი მოჰფიქრებია, ჩასულიყო და გარემოება აეხსნა, თუმცა უსადილო და უჭმელია. მზარეულს გოგოსა და ერთადერთს მოსამსახურეს დიასახლისისას, ნასტასიას, უხაროდა კიდეც თითქმის და ოთახის დაგვა-დაწმენდაზედ სრულიად ხელი აეღო; მხოლოდ კვირაში ერთხელ-ღა თუ მოუსვამდა ხოლმე ისე, უნებურად, ცოცხსა. აგერა, ახლაც იმან გამოაღვიძა.

— ადექ, რასა გძინავ!—დაჰყვირა გოგომ.—მეათე საათია. ჩაი მოგიტანე; არ გინდა? ხომ [illegible] იფიტე, ლასლასი-ღა გაგაქვს!

მდგმურმა თვალები დააჭყიტა, შეკრ[illegible] მაგრამ იცნო ნასტასია.

— დიასახლისმა გამოგზავნა?—დაეკითხა მძიმედ და ტახტიდან ღრეჯით წამოდგა, თითქოსა სტკივა რამეო.

— როგორ არა, დიასახლისმა კი არა!

დაუდგა წინ თავისი საკუთარი, გაბზარული, ნასვამი საჩაიე და ორი ნაჭერი ჩაყვითლებული შაქარი დაუდო.

— წაიღე, გეთაყვა, ნასტასი, აი, ფული,—და ჯიბე მოიჩხრიკა (ისე ჩაცმულს ეძინა),—და საიკა (გომიჯი, ანუ კაკალა პური) მიყიდე. საძეხვედამაც პატარა ძეხვი წამომიღე თუნდ, მაგრამ იაფი კი იყოს.

— საიკას ახლავ მოგიტან, მაგრამ ძეხვის მაგივრად იქნება შჩი სჭამო? კარგი შჩია, გუშინდელი. გუშინვე გადავიღე შენთვისა, მაგრამ გვიან მოხვედი. კარგი შჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოუტანა შჩი და რასკოლნიკოვიც შეუდგა ჭამასა; ნასტასიამაც იქვე ტახტზედ მოიკალათა და მოჰყვა ყბედობასა.

— პრასკოვია პავლოვნა პოლიციაში გიპირებს ჩივილსა,— დაიწყო.

საშინლად მოიჭმუხნა რასკოლნიკოვი.

— პოლიციაში? რაო, რა მინდაო?

— ფულს არ იძლევი და აღარც ბინიდან გადადიხარ, იმიტომა. არ იცი, რაც უნდა.

— ეჰ, დალახვრა ეშმაკი! ეგ-ღა მაკლდა,—ბუტბუტებდა თავისთვის კბილების ღრჭიალით რასკოლნიკოვი.—არა, ახლა სწორედ რომ არას მარგებს ესა... ტუტუცი!—დასძინა ხმამაღლა.—დღეს ვნახავ, მოველაპარაკები.

— ტუტუცი კი ტუტუცია, ისეთივე, როგორიც მე, მაგრამ შენ რაღასა ზიხარ, ჭკუის კოლოფო, აგრე და არას აკეთებ? წინად ამბობდი, ბავშვებს ვასწავლიო, ახლა რაღატომ არას აკეთებ?

— მე? ვაკეთებ...—ჩაილაპარაკა სასტიკადა და უხალისოდ რასკოლნიკოვმა.

— რას აკეთებ?

— საქმეს...

— რა საქმეს?

— ვფიქრობ!—მიუგო დინჯად, მცირე სიჩუმის შემდეგ.

გადაბრუნდა სიცილითა ნასტასია. საშინლად იცოდა ხოლმე სიცილის ავარდნა, თუ კი ვინმე გააცინებდა. იცინოდა ხოლმე ჩუმად და თან მთელი ტანითა თრთოდა, სანამდის თითონვე არ მოჰბეზრდებოდა და არ დაოსდებოდა.

— მერე, ბლომად მოიფიქრე ეს ფული?—ჩაეკითხა ბოლოს ძლივ-ძლივობითა.

— უწყალებოდ ბავშვების სწავლება არ შეიძლება. მაგრამ ღირს, განა, ლაპარაკათა, ფუჰ!

— ნუ აფურთხებ ტყუილათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღაცა გროშებს იძლევიან, ან კი რასა იქ ამ ფულითა?—განაგრძობდა ისრევე უხალისოდ ლაპარაკსა, თითქოს თავისსავე ფიქრებს ელაპარაკებაო.

— მერე, შენ კი მთელი თანხა გინდოდა ერთათა, ჰა?

უცნაურად გადაჰხედა რასკოლნიკოვმა.

— დიახ, დიახ, მთელი თანხა!—მიუგო მტკიცედ მცირე დუმილის შემდეგ.

— სჯობს ისევ, ცოტა იყოს, თორემ შეაშინებ ხალხსა; საშინელება რამ არის. საიკისათვის ნუ წავალ?

— როგორც გერჩიოს!

— ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა! გუშინ შენს სახელზე წერილი მოვიდა.

— წერილი? ჩემ სახელზე? ვისგან?

— არ ვიცი, ვისგან. ფოსტის კაცს მი კაპიკი ჩემი მივეცი. მამცემ, თუ არა?

— მოიტა, ღვთის გულისათვის, მალ მოიტა! შეჰყვირა აღელვებულმა.—ოჰ, ღმერთო!

ერთის წამის შემდეგ წერილი უკვე ხელში ეჭირა. ისეა სწორედ, დედა მწერს რ—ს გუბერნიიდან. და გაფითრდა სულ მთლად, რომ გამოართვა. დიდი ხანია უკვე, წერილი აღარ მიუღია; მაგრამ ახლა კიდევ რაღაც რამ იყო სხვა, გული რომ უცბად შეჰხუთა.

— წადი, ნასტასია, ღვთის გულისათვის! აი, შენი სამი კაპიკი, ოღონდ ჩქარა კი წადი!

ხელი მთლად უკანკალებდა. არ უნდოდა, გოგოსთან გაეხსნა: მარტოდ-მარტო დარჩენა ენატრებოდა. გავიდა თუ არა ნასტასია, მაშინვე საჩქაროდ ტუჩებთან მიიტანა და დაჰკოცნა. დიდხანს უცქეროდა კიდევ ადრესის ხელს, ნაცნობსა და საყვარელს წვრილად, წაწვენით ნაწერს დედისას, რომელმაც ოდესღაც წერა-კითხვა ასწავლა. მაგრამ არა ჩქარობდა გახსნასა; თითქოს ეშინოდა კიდეც რაღაცისა. ბოლოს გახსნა: წერილი დიდი იყო, ექვს მისხლამდე. ორი დიდი თაბახი ფოსტის ქაღალდი მთლად წვრილად იყო ჩაკიწკიწებული.

ეროვნული ბიბლიოთეკ

„საყვარელო იროდიონ,—სწერდა დედა,—ორი თვე მეტია აგერ, არ მისაუბრნია შენთან წერილითა, რამაც დიდად დამტანჯა. თითქმის მთელი ღამეები არა მძინავს, შენზედა ვფიქრობ სულ. მაგრამ, იმედია, არ გამამტყუვნებ, რომ უნებურათა ვსდუმდი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ; ერთადერთი შენა გვყევხარ, მეცა და დუნიასაც; შენა ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება. რომ იცოდე, რა ელდა მეცა, რო გავიგე, რამდენიმე თვეა, უნივერსიტეტს თავი დავანებე, რაკი ცხოვრების სახსარი არა მქონდაო და გაკვეთილებიც მომესპოო! მითხარი, ჩემის თორმეტ თუმნიან პენსიით წელიწადში როგორ გიშველიდი? თხუთმეტი მანეთი, ამ ოთხის თვის წინად რომ გამოგიგზავნე, როგორც იცი, იმავე პენსიის ანგარიშში ვისესხე აქაურ ვაჭრის ვასილ ივანიჩ ვახრუშინისაგანა. კეთილი კაცია და განსვენებულ მამი-შენის მეგობარი. მაგრამ სანამ თხუთმეტ მანეთს ჩემ მაგივრათ ის მიიღებდა და ვალს მოვიშორებდი, უნდა მეცადნა, აქამდის ვერას მოგაშველებდი. მადლობა ღმერთს, ახლა კი, მგონი, შევიძლებ, მოკაწოდო რამე; საზოგადოდ მაინც ბედმა გაგვიღიმა, მგონი, რის შეტყობინებასაც ვისწრაფვი. ჯერ ერთი, მიმხვდარი ხარ, ჩემო იროდიონ, რომ შენი და თვე ნახევარია უკვე, აგერ ჩემთანა სცხოვრობს და აღარც გავშორდებით უთუოდ ერთმანერთსა. მადლობა ღმერთს, მორჩა ტანჯვასა; მაგრამ ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ, როგორ იყო ნამდვილად ჩვენი საქმე და რას გიმალავდით აქამდისა. ამ ორის თვის წინად რო მწერდი, გავიგე ვილასაანაც, ვითომ დუნიას სვიდრიგაილოვების სახლში ცუდად ეპყრობიანო და ნამდვილს ცნობებსა მთხოვდი, რას მოგწერდი, აბა, მაშინა? ვიცოდი, ნამდვილი რო მომეწერა, მაშინვე უთუოდ ყველაფერს თავს დაანებებდი და ფეხითაც არის მაინც წამოხვიდოდი და დის შეურაცხყოფის ნებას კი არავის მისცემდი. იმიტომ, რომ ვიცი, რა გრძნობებისა და ხასიათის პატრონიცა ხარ. თვითონაც შეწუხებული და სასოება დაკარგული ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი, აბა? ნამდვილი გარემოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმისა მეც კარგად არ ვიცოდი მაშინა. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი კი ის იყო, რომ ბავშვების მომვლელად დადგომისათანავე დუნიამ ასი მანეთი წინდაწინვე გამოართო, პირობით, რომ შემდეგში თვე-და-თვე გამოერიცხათ ჯამაგირიდანა. მაშასადამე, ვალის გადახდამდე ადგილის თავდანებება შეუძლებელი იყო. ეს ფული კი (შემიძლიან, ძვირფასო როდიონ, აგიხსნა ახლა) უფრო შენთვის აიღო, რომ ექვსი თუმანი გამოეგზავნა, რომელიც იმ ჟამად ისე ძალიან გიჭირდა და მიიღე კიდეც შარშანა. მოგატყუეთ მაშინა, გწერდით, დუნიას ჰქონდა მოგროვებული და იმას გიგზავნითო, მაგრამ ტყუილი იყო. ახლა კი გატყობინებ ნამდვილს, რაკი ღვთის წყალობით უცბად ყველაფერი საშჯობინოთ შეიცვალა; გატყობინებ, რომ იცოდე, რა რიგ უყვარხარ დუნიასა და რა ძვირფასი, დაუფასებელი გულის პატრონია. მართალია, ბ-ნი სვიდრიგაილოვი პირველად მეტად ურიგოდ ეპყრობოდა და სადილზედაც დასცინოდა ხოლმე თურმე... მაგრამ არ მინდა, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვე, ტყუილად აგაღელვებს მარტო, საქმე კი უკვე წასულია. მოკლეთ გეტყვი. მართალია, ბ-ნის სვიდრიგაილოვის მეუღლე მარფა პეტროვნა გულკეთილადა და კეთილშობილურად ეპყრობოდა, აგრეთვე სხვებიც, მაგრამ მაინც ძნელი იყო მეტად დუნეჩკასათვის იქ ცხოვრება, განსაკუთრებით როცა ბ-ნი სვიდრიგაილოვი პოლკის ძველ ჩვეულებისამებრ გადაკრულში ბრძანდებოდა. მაგრამ რა გამოდგა ბოლოს? წარმოიდგინე, იმ გადარეულს აკი თურმე თვალში არ მოჰსვლია დუნია, მაგრამ ამ უდიერ ქცევითა და ზიზღით თურმე უნდოდა თავისის გრძნობის დაკარგვა. იქნება თვითონაცა სცხვენოდა, რომ ხანში შესული და ოჯახის პატრონი ასეთს სულელურს იმედს უშვებდა გულში და ამიტომაცა ბრაზობდა დუნიაზედ. მაგრამ იქნება იმიტომაც ეპყრობოდა ასე უკმეხადა და დაცინვით, რომ უნდოდა სხვებისათვის არ გაეგებინებინა ნამდვილი. მაგრამ ველარ მოითმინა ბოლოს და პირდაპირ თურმე განუცხადა ურცხვად თავისი ქვენა გრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები; თან საჩუქრებს თურმე ჰპირდებოდა და ეუბნებოდა, —სხვა სოფელში წაგიყვან, თუ გინდა, საზღვარ გარედაცაო... წარმოიდგენ, რასაკვირველია, რა ტანჯვასაც გამოივლიდა დუნია! მაშინვე ადგილის მიტოვება კი არ შეეძლო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფული ჰქონდა გადაუხდელი და მეორეც, ებრალებოდა მარფა პეტროვნა, რომელიც მაშინვე ეჭვს აიღებდა და, მაშასადამე, ოჯახში განხეთქილება უნდა ჩამოეგდო. თვითონ დუნეჩკასთვისაც დიდი სირცხვილი იქნებოდა; უამისობა არ იქნებოდა; გარდა ამისა, სხვა მიზეზებიც ბევრი იყო, რომელთა გამოც ექვს კვირაზედ ადრე იმ საზარელ სახლიდამ თავის დაღწევა არ შეეძლო. რასაკვირველია, იცნობ დუნიას, როგორი ჭკვიანი და მტკიცე ხასიათისაც არის. ბევრის ატანა შეუძლიან დუნეჩკასა და თვით უკიდურეს წამებშიაც-კი დიდსულოვნობასა და ხასიათის სიმტკიცეს არ დაჰკარგავს. მეცკი არ ეომწერა ყველაფერი, რომ არ ავეღელვებინე და შევეწუხებინე ვითომ, ხშირად-კი ვიგებდით ერთმანეთის ამბავსა. საქმე უცბად გამოირკვა. უნებურად ყური მოჰკრა თურმე მარფა პეტროვნამ ბაღში, რომ ქმარი ეხვეწებოდა დუნიასა. ცოლმა საქმე სხვა ნაირად გაიგო და ყველაფერში დუნია გაამტყუვნა, ვითომ ის ყოფილიყოს მიზეზი. იქვე საშინელი ჩხუბი და დავი-დარაბა თურმე მოუხდათ: დაარტყა თურმე კიდეც მარფა პეტროვნამ, არაფრის გაგონება არ უნდოდა და თვითონ-კი მთელი საათი თურმე უყვიროდა დუნიასა. ბოლოს უბრძანა, მაშინვე ქალაქს წამოეყვანათ ჩემთანა; შეაბმეინა უბრალო გლეხის ურემი, ჩააყრევინა შიგ, როგორც მოჰხვდათ, საცვალი, კაბები და სხვა ნივთები დუნიასი, შეუკვრელი, დაულაგებელი და გამოგზავნა. წამოვიდა საშინელი თავსხმა წვიმა და შეურაცხყოფილმა და შერცხვენილმა დუნიამ მთელი ჩვიდმეტი ვერსი ღია ურმით გამოიარა, მარტოდ მარტომ გლეხთან ერთად. იფიქრე, აბა, რა უნდა მომეწერა ამ ორის თვის წინად შენგან მიღებულ წერილის პასუხადა? მეც თვითონ სასოწარკვეთილი ვიყავი; ნამდვილის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემეძლო, იმიტომ, რომ შეგაწუხებდა, აგაღელვებდა, თავს უბედურად გაგრძნობინებდა; შველით-კი, აბა, რას უშველიდი? ვაი, თუ თავიც დაგელუპა, და დუნეჩკაც მიკრძალავდა. უბრალო წერილის მოწერა-კი, როცა ისეთი ნაღველი და მწუხარება მაწვა გულზედ, არ შემეძლო სწორედ. მთელი თვე ჭორები დადიოდა ქალაქში, ყველა ამაზედ ლაპარაკობდა; იქამდის მივიდა ბოლოს საქმე, რომ საყდარშიაც-კი გვაგონებდნენ თითქმის. ნაცნობები შემოგვეფანტნენ, თავს ალარავინ გვიკრავდა; გავიგე ისიც ნამდვილათა, რომ ნოქრებსა და ზოგიერთს კანცელარიის მოხელეს ჩვენი შეურაცხყოფა ჰქონდათ განზრახული და უნდოდათ ეზოს კარები სახლისა, რომელშიაცა ვსცხოვრობდით, კუპრით გაეთხუპნათ. სახლის პატრონმა ბინიდამ გადასვლა მოგვთხოვა ამის გამო. ყველა ამისი მიზეზი კი მარფა პეტროვნა იყო, რომელმაც დანაშაულობა მთლად დუნიას მოახვია და ყველგან თავი მოსჭრა. ქალაქში ყველას იცნობს; თითქმის ყოველ დღე არ-ბოდ-ჩამორბოდა და, როგორც ყბედი, ყველას, ვინც-კი შეხვდებოდა, თავისის ოჯახის ამბებს უამბობდა, ქმარზედ შესჩოდა, რაც, ეჭვი არ არის, ცუდია მეტად; ამიტომაც უცბად გაქვეყნა ეს ამბავი, არა მარტო ქალაქში, მთელს მაზრაშიაც-კი, მე ავად გავხდი, დუნეჩკა ჩემზედ მაგარი ხასიათისა გამოდგა; უნდა გენახა, როგორ ითმენდა ყველასა და მანუგეშებდა, მამხნევებდა! ანგელოსია ნამდვილი! მაგრამ ღვთის წყალობით, გვეშველავათა: მოვიდა გონს ბატონი სვიდრიგაილოვი, შეებრალა უთუოდ დუნია და გამოუტყდა მარფა პეტროვნას, რომ დამნაშავე თვითონ იყო; თან დუნეჩკას გასამართლებელი საბუთებიც წარუდგინა: მაგ. წერილი, რომელიც საქმის გამომჟღავნებამდე დუნეჩკას მიეწერა სვიდრიგაილოვისათვისა და ურჩევდა, ხელი აეღო საიდუმლო შეხვედრასა და მოლაპარაკებაზედ, რომელსაც ისე დაჟინებით ითხოვდა სვიდრიგაილოვი. დუნეჩკას წამოსვლის შემდეგ წერილი სვიდრიგაილოვს შეჰრჩენოდა. წერილში ცხარედ უსაყვედურებდა და უცხადებდა თავისს მძულვარებას სვიდრიგაილოვის უპატიოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო საქციელს მარფა პეტროვნას შესახებ, ახსენებდა, რომ იგი იყო მამა და ოჯახის პატრონი და არ შეჰფეროდა ისე უშვერად ულმწეო და უბედურ ქალის ტანჯვა და კიდევ უფრო გაუბედურება. ისე კეთილშობილურად და გრძნობით არის, ერთი სიტყვით, საყვარელო როდიონ, დუნეჩკას წერილი დაწერილი, რომ ვსტიროდი და ისე ვკითხულობდი; აქამდისაც ისე ვერ წამიკითხნია, რომ ცრემლათ არ ვიღვრებოდე. გარდა ამისა, მოსამსახურეებმაც ბევრი რამ გამოამჟღავნეს დუნეჩკას გასამართლებლად; ჩვეულებისამებრ, ამათ უფრო მეტი სცოდნოდათ დაფარულისა, ვიდრე თვითონ სვიდრიგაილოვს ეგონა. ელდა ეცა თურმე მარფა პეტროვნასა და „მოკვდა თითქმის“, როგორც გამოგვიტყდა ბოლოს, მაგრამ დარწმუნდა სამაგიეროდ, რომ დუნეჩკა უბრალო და უდანაშაულო იყო. მეორე დღესვე, კვირას, ჩამოვიდა ქალაქს, მივიდა ტაძარში და მუხლ-მოდრეკილი და თვალ-ცრემლიანი ევედრებოდა დედას მღვთისასა, რომ ამ ახალის მწუხარებისა და სატანჯველის ატანა შეემსუბუქებინა. ტაძრიდამ მერე პირდაპირ ჩვენსა მოვიდა, გვიამბო ყველაფერი, მწარედ სტიროდა და ინანიებდა, ეხვევოდა დუნიასა და დანაშაულობის პატიებასა სთხოვდა. იმავ დილით დაუარა ყველას სახლში და შეატყობინა მთელს ქალაქს, რომ დუნეჩკა უდანაშაულო, პატიოსანი ქალია; თანა სტიროდა ერთ-თავადა და აქებდა დუნიასა. ეგ არ იკმარა და აკითხებდა ყველას სვიდრიგაილოვთან მიწერილს დუნიას საკუთარს წერილს. ზოგიერთს-კი გადააღებინა კიდეც (რაც, ჩემის აზრით, სულ მეტი იყო). ამ რიგად რამდენსამე დღეს განუწყვეტლივ დადიოდა ყველასთან ქალაქში და დუნეჩკას წერილს რიგ-რიგით უკითხავდა; ასე რომ ზოგიერთს საწყენადაც-კი დარჩა, რატომ პირველად ჩემთან არ მოვიდაო. ასე უვლიდა რიგ-რიგით ყველა ნაცნობებსა და იცოდნენ კიდევაც ადრევე, სად-რა დღეს წაიკითხავდა მარფა პეტროვნა წერილსა. ამიტომაც იკრიბებოდნენ ხოლმე თითქმის ისინიც, ვისაც უკვე რამდენჯერმე მოესმინა წერილი თავისსაცა და სხვაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც. ბევრი რამ, ჩემის აზრით, სულ მეტი იყო აქა, მაგრამ, რას იზამთ, როცა მარფა პეტროვნა ასეთის ხასიათისაა. სამაგიეროდ, სრულებით აღადგინა დუნეჩკას პატიოსანი სახელი და დანაშაულობა ამ საქმისა ბრალად მისს ქმარს დაედო ალუხოცველ, სამარცხვინო ლაქათა, ასე რომ მეცოდება კიდეც, მეტად სასტიკად მოეპყრნენ იმ გადარეულსა. დუნია მაშინვე რამდენსამე სახლში მიიწვიეს გაკვეთილებზედ, მაგრამ უარი სთქვა. საზოგადოდ, ყველამ უცბად პატივით დაუწყო მობყრობა. ამანვე შეუწყო უმთავრესად ხელი იმ მოულოდნელს შემთხვევასა, რომლის გამოც ჩვენი ბედი სრულებით ენდა შეიცვალოს ამიერიდგან. იცოდე, მაშ, საყვარელო როდიონ, რომ დუნიას საქმრო აუჩნდა და კიდევაც მისცა სიტყვა, რის გაზიარებასაც ასრე ვისწრაფვი. მართალია, საქმე შენ დაუკითხავად გათავდა, მაგრამ სასაყვედურო უთუოდ არა გექმნება-რა, არც ჩემისა და არც დის წინააღმდეგ, რადგან თვითონ დაინახავ საქმის გარემოებიდამა, რომ დახანება და შენის პასუხის ლოდინი შეუძლებელი იყო. და უნახავად შენც უთუოდ ყველაფერს საკმაოდ ვერ ასწონ-დასწონდი და ვერ გამოარკვევდი. აი, როგორ მოხდა. უკვე ნადვორნი სოვეტნიკის „ჩინი“ აქვს, გვარად ლუჟინია, პეტრ პეტროვიჩი, შორეული ნათესავი მარფა პეტროვნასი, რომელიც ბევრს ეცადა ამ საქმისათვის. პირველად მარფა პეტროვნას პირით გამოაცხადა სურვილი გაცნობისა; ჩვენც მივიღეთ, როგორც რიგი იყო, ყავა დავალეინეთ; მეორე დღეს, ვნახოთ, წერილი გამოგზავნა, რომლითაც მეტად ზრდილობიანად დუნეჩკას ხელს ითხოვდა და გვთხოვდა, რაც შეიძლება მალე, გარდაწყვეტილი პასუხი მიგვეცა. თვითონ საქმიანი კაცია და პეტერბურგს მიეშურება, ასე რომ თვითოეული წამი ძვირად ულირს. ჩვენ, რასაკვირველია, პირველად ძაან გაკვირვებულნი ვიყავით, რადგან ყოველივე ეს უცბადა და მოულოდნელად მოხდა. მთელი ის დღე სულ ვსაზრობდით და ვფიქრობდით. კაცი მეტად კეთილსაიმედოა, უზრუნველყოფილი, ორ ადგილასა მსახურობს და უკვე თავისი თანხაცა აქვს. მართალია, ორმოც-და-ხუთს წელს მიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეულია, მაგრამ გარეგნობით საამურის შეხედულობისაა და შეიძლება კიდევაც მოსწონდეს ქალებს; საზოგადოდ, დარბაისელი და ზრდილობიანი კაცია; ეგ არის ცოტა დაღვრემილია და თავზვია თითქოს. მაგრამ იქნება პირველის შეხედვით გვეჩვენება ასრე. გაფრთხილებ საზოგადოდ, როდიონ, რო ჩამოვა პეტერბურგს, რაც უთუოდ მალე მოხდება მეტად, ნუ აჩქარდები შენებურათა და ნურასფერს სწრაფად ნუ გადასწყვეტ, თუ რომ პირველად გეჩვენოს რაშე უცნაურადა. ისე, შემთხვევისათვის გაფრთხილებ, თორემ, დარწმუნებული ვარ, კარგს შთაბეჭდილებას იქონიებს შენზედ. და, გარდა ამისა, თუ ცნობა ვისიმე გინდა, უნდა ფრთხილადა და თან-და-თან ეცადო დაახლოვებასა, რომ შეცდომაში არ შეხვიდე და წინადვე აკვიატებული აზრი არ შეადგინო, რის გასწორებაც შემდგომ ძნელი-ღაა. პეტრ პეტროვიჩს-კი მრავალი ნიშანი აქვს იმისა, რომ პატიოსანი და პატივსაცემი კაცია. პირველს ნახვაზედვე გამოგვიცხადა, რომ ცხოვრებაზედ უკვე მტკიცედ შედგენილ აზრების კაცია, მაგრამ ზოგიერთში „თანამედროვე თაობათა აზრსაც“ იზიარებს და ცრუმორწმუნოებანი სძულს საშინლადა. კიდევ ბევრი სხვაც რამ ილაპარაკა, რაკი სახელის მოყვარული ყოფილა და უყვარს თურმე, რომ უგონებდნენ, მაგრამ რა დიდი ნაკლი ეს არის. მე, რასაკვირველია, ცოტა რამ გავიგე, მაგრამ დუნიამ მითხრა, რომ კეთილი და ჭკვიანი კაცი თურმეა, თუმცა განათლება დიდი არა აქვს მიღებული. ხომ იცი, როდიონ, შენის დის ხასიათი. მტკიცე ხასიათისა, კეთილგონიერი, მომთმენი და დიდსულოვანი ქალია, თუმცა ფიცხის გულისაა. კარგადა მყავს შესწავლილი ძალიანა. რასაკვრელია, არც დუნიასა და არც იმას საგანგებოდ არ უყვართ ერთმანერთი, მაგრამ, გარდა იმისა, რომ გონიერი ქალია დუნია,— ანგელოსებრივ კეთილშობილიც არის და წმიდა მოვალეობად ჩაითვლის გააბედნიეროს ქმარი, რომელიც, ეჭვი არ არის, ეცდება თავისს მხრივ ცოლის ბედნიერებასა. ამისა-კი ჯერ-ჯერობით არავითარი ეჭვი არა გვაქვს, თუმცა, გამოვტყდები, მალე მოეწყო მე-

ტად საქმე. ამასთან დიდი ანგარიშის კაციც არის, ასე რომ ეცდება უთუოდ თავის-და საბედნიეროდ დუნეჩკას ცხოვრებაც ბედნიერად მოაწყოს უთუოდ. რაც შეეხება ხასიათის მცირედს განსხვავებასა და რაღაცა ძველს ჩვეულებებს, თუნდა აზრების მცირედს შეუთანხმებლობასაც (რაიცა უუბედნიერესს ცოლქმარსაც-კი ხშირად ებედება), ამის შესახებ-კი თვითონ დუნიამ დამაიმედა, რომ შეიძლებს ატანასა; რომ აქ საწუხარი არა არის-რა, ბევრს მოითმენს, თუ შემდეგ პატიოსნადა და სამართლიანად მოიქცევა. მეც სასტიკად მეჩვენა, მაგალითად, პირველადა; მაგრამ ეს იმისი მიზეზია უთუოდ, რომ პირდაპირი, დაუფარავი კაცია. ეჭვი არ არის, ასეა. მაგალითად, მეორედ ნახვისას, თანხმობის მიღების შემდეგ, ლაპარაკში პირდაპირ გამოსთქვა, რომ დუნიასთან გაცნობამდეევე გარდაწყვეტილი ჰქონია ცოლად უთუოდ პატიოსანი, უმზითვო, სილარიბეს ნაკადი ქალი შეერთო; იმიტომაო, რომ ქმარი არაფრით ცოლისაგან არ უნდა იყოს დამოკიდებული, სჯობს ისევ ცოლი სცნობდეს თავისს კეთილის მყოფელად ქმარსაო. მაგრამ უნდა დავსძინო აქვე, რომ უფრო ლბილადა და ალერსიანა სთქვა ესა, ვიდრე მე გწერავ; იმიტომ, რომ ველარ მომიგონებია სწორედ, რა სიტყვით გამოსთქვა ეს აზრი; მარტო აზრი-ღა მახსოვს ნათქვამისა. და, გარდა ამისა, არცა ჰქონია წინად რამ განზრახული, ისე წამოსცდა ლაპარაკში; ასე რომ, სცდილობდა კიდეც, როგორმე გაესწორებინა ეს თავისი აზრი და შეესუბუქებინა. მაინც როგორღაც უხერხულადა და სასტიკად მეჩვენა ესა და დუნიას ვუთხარი მერე. მაგრამ გაჯავრებით მიპასუხა ამაზე დუნიამა, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“, და ხომ მართლაც ასეა. წინა ღამეს, ვიდრე თანხმობას გარდასწყვეტდა, სულ მთლად არა სძინებია დუნიასა. მთელს ღამეს ოთახში დადიოდა; ჩუმად წამოდგა ლოგინიდამა, ეგონა, მეძინა. დაიჩოქა ბოლოს ხატებ წინა და დიდ-ხანს ლოცულობდა მჯურვალედა; დილით-კი გამომიცხადა, თანახმა ვარო.

ეროვნული ბიბლიოთეკ

„აკი გითხარი კიდევაცა, პეტრ პეტროვიჩი ახლა პეტერ-ბურგს მოდის-მეთქი. დიდი საქმეები აქვს; უნდა პეტერბურგ-ში საჯარო, სავექილო კანტორა გაჰხსნას. დიდი ხანია სასამართლოს საქმეებს თურმე აწარმოებს და ამ დღეებშიაც ერთი დიდი საქმე მოიგო. უფრო კი იმიტომ უნდა პეტერ-ბურგში ჩამოსვლა, რომ სენატში ჰქონია რაღაცა დიდი სა-ქმე. ამ რიგად შენც დიდად გამოგადგება, ჩემო როდიონ, ყველაფერში გამოგადგება, ასე რომ, მე და დუნიამ კიდეც გადავწყვიტეთ, რომ დღეიდანვე უნდა გარკვეულს გზას დაა-დგე და ბედი შენი მომავალში გარდაწყვეტილად ჩასთვალო-ოჰ, ეს რომ შეგვისრულდებოდეს! ისეთი სახეირო რამ არის ესა, რომ უნდა პირდაპირ ღვთის წყალობათ ჩავთვალოთ. დუნია მხოლოდ ამას-ღა ოცნებობს. კიდევაც გავბედეთ, რა-მდენიმე სიტყვა გვეთქვა ამის შესახებ პეტრ პეტროვიჩისათვის. ფრთხილად გამოსთქვა თავისი აზრი და სთქვა, რომ, რადგან უმდივნოთ საქმის წარმოება არ შეიძლება, სჯობს, რასაკვრელია, ჯამაგირი ნათესავს აძლიოს, ვიდრე უცხოს, თუ რომ თანა-მდებობის შესაფერს ნიჭს გამოიჩენსო (შენც რომ ნიჭი არ შეგწევდეს, რა!), მაგრამ ეჭვიც გამოსთქვა, ვაი-თუ უნივერ-სიტეტში იმდენი სამუშაო ჰქონდეს, რომ კანტორაში ველა-რა გააკეთოს-რაო. იმ ჟამად ლაპარაკი ამითი გათავდა მხო-ლოდ, მაგრამ დუნია ახლა ამაზედ მეტს არასა ჰფიქრობს. აგერ, რამდენიმე დღეა, დუნია გაცხარებული პროექტს ად-გენს და ჰფიქრობს, რომ მომავალში ან უთუოდ პეტრ პეტრო-ვიჩის ამხანაგად იქმნები, ან კამპანიონად მისს სასამართლოს სადავო საქმეებში; მით უმეტეს, რომ იურიდიულს ფაკულ-ტეტზედა ხარ. მე, როდიონ, სრულიად ვეთანხმები დუ-ნიასა და მისს გეგმასა და იმედებს სავსებით ვიზიარებ, იმი-ტომ, რომ შესაძლებელად მიმაჩნია; მიუხედავად იმისა, რომ ახლა როგორღაც გირიდებს თითქოს პეტრ პეტ-როვიჩი (იმიტომ, რომ არ გიცნობს ჯერა), დუნია მაინც მტკიცედ დარწმუნებულია, რომ თავისის კეთილ გავლენით ქმარზედ ყოველისფერს მიაღწევს. რასაკვირველია, პეტრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროვიჩისთვის არა გვითქვამს-რა ჯერ ამ ჩვენს ოცნებებზედა, განსაკუთრებით, რომ შეიძლება ამხანაგად გაუხდე; ვფრთხილობთ. ცოტა მტკიცე და დარბაისელი კაცია და ვაი თუ გულ-გრილად როგორმე მიეღო, ოცნებათა სჩვენებოდა. არც არა იმის შესახებ გვითქვამს არც მე და არც დუნიასა, რომ, სანამ უნივერსიტეტში ხარ, ფულით დაგეხმარება; არ გვითქვამს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შემდგომში ეს უთუოდ თავისს-თავად მოხდება და თვითონვე შემოგაძლევს უთქმელადა (რასაკვირველია, უარს არ ეტყვის დუნეჩკასა), მით უმეტეს, რომ კანტორაში მახლობელ კაცად შენ ეყოლები და მიიღებ დახმარებას, როგორც დამსახურებულს ჯილდოს შრომისასა და არა როგორც კეთილის ყოფასა. ასე სწადს საქმის მოწყობა დუნეჩკასა და მეც ვეთანხმები სრულებით. მეორეც, არ ვუთხარით იმიტომ, რომ მინდოდა პირველად შეხვედრის დროს ახლა არავითარი დავალება არა ჰქონოდა შენთანა; მაშასადამე, თავისუფალი ჰყოფილიყავი. დუნია რომ ისე აღტაცებით ელაპარაკებოდა შენზედ, უპასუხა, რომ თავისი შეხედულება ადამიანზედ კაცმა მხოლოდ დაახლოვებით გაცნობის შემდეგ უნდა შეადგინოსო და მეც მხოლოდ მაშინ შევადგენ ჩემს აზრს, როდესაც ახლო ვავიცნობო. იცი, რა არის, ძვირფასო როდიონ, ზოგიერთა მოსაზრებით ისე მეჩვენება (მაგრამ პეტრ პეტროვიჩს როდი ეხება ესა, ისე საკუთარის მოსაზრებითა და ნამდვილის ბებრულის, დიაკურის ჭინჭყლიანობით მომდის იქნება), ვითომ უმჯობესი იქნება, რომ ქორწინების შემდეგ ცალკე ვიცხოვრო ისევ, ისე, როგორც ახლა ვცხოვრობ და არა იმათთანა. დარწმუნებული ვარ სრულიად, რომ იქამდის კეთილშობილი და თავაზიანია, რომ თვითონვე მიმიწვევს უთუოდა და მთხოვს, ქალს არ მოვშორდე, მაგრამ უარს ვეტყვი; მართალია, აქამდის ჯერ არა უთქვამს-რა, მაგრამ უთქმელადაც თავისს-თავად იგულისხმება. შემინიშნავს არა ერთხელ ცხოვრებაში, რომ სიდედრები არაფრათ ეპიტნავებათ ხოლმე ქმრებსა; ამიტომაც, არამც თუ არ მინდა ვინმე შევაწუხო. პირ-იქით, სანამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი შვილები მეყოლება, როგორიც შენ და დუნია ხართ, მინდა სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ვიყო. თუ შესაძლებელი იქნება, ორთავეს მახლობლად დავსახლდები, ამიტომაც, ჩემო როდიონ, მინდოდა წიგნის ბოლოში გამეხარებინე: იცოდე, მაშ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ იქნება ძაან მალე სამთავემ ვნახოთ ერთმანერთი და სამის წლის უნახავნი ტკბილად გადავეხვივნეთ ერთმანერთსა! უკვე **ნამდვილად** გარდაწყვეტილია, რომ მე და დუნია პეტერბურგში ჩამოვალთ, მაგრამ როდის, არ ვიცი; ყოველს შემთხვევაში, ეს იქნება მალე, იქნება ერთის კვირის შემდგომაც. ყველაფერი პეტრ პეტროვიჩზეა დამოკიდებული; როგორც კი მიიხედ-მოიხედავს, მაშინვე გვაცნობებს. უნდა, ზოგიერთა მოსაზრებითა და ანგარიშით, რაც შეიძლება დააჩქაროს ქორწინება, თუ კი მოხერხდა, იქნება დამარხვებამდეც. თუ დრო არ ეყო და ვერ მოასწრო, მაშინ უთუოდ გახსნილებაზედ. ოჰ, რა ბედნიერად ჩაგიკრავ გულში! შენის ნახვის სიხარულმა ლამის არის გადარიოს დუნია. ერთთავად ჰღელავს; ისაც კი სთქვა ერთხელ ხუმრობითა, სხვა არა იყოს-რა, თუნდ მარტო ამისათვის გავყვებოდი ცოლად პეტრ პეტროვიჩსაო. ანგელოსია სწორედ, ანგელოსი! თვითონ ახლა არასფერსა გწერს; მთხოვა მხოლოდ მომეწერა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი რამა აქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ ხელი ეურჩება წერასა; იმიტომ, რომ ორიოდ-სამს სტრიქონში ვერას მოგწერ და მხოლოდ ტყუილად გულს დამაკლდებაო; მთხოვა აგრეთვე, ჩაგეკონო მაგრა და ურიცხვჯერ გაკოცო. მიუხედავად იმისა, რომ მალე უთუოდ თვითონა ვნახავთ ერთმანერთსა, ამ დღეებში მაინც გამოგიგზავნი ფულსა, რამდენსაც-კი მოვახერხებ, მეტს. ახლა, როდესაც გაიგეს, დუნეჩკა თხოვდებაო, ფულს მეტად მენდობიან; ასე რომ, ვიცი ნამდვილად, აფანასი ივანიჩი თუნდ შვიდ თუმან ნახევრამდე მენდობა პენციის ანგარიშში. შეიძლება, მაშასადამე, ოც-და-ხუთი ან სამი თუმანიც გამოგიგზავნო. მეტსაც გამოგიგზავნიდი, მაგრამ მეშინიან, გზაში

1500

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოგვივიდეს დიდი ხარჯი. მართალია, პეტრ პეტროვიჩმაც დიდი სიკეთე გამოიჩინა და თვითონ იკისრა, ბარგსა და დიდს ყუთს (როგორღაც ნაცნობობით ახერხებს) ჩემის ხარჯით გადაგიტანთო; მაინც პეტერბურგში ჩამოსვლას ფული უნდა, ურომლისოდაც თავის გამოყოფვა სატახტო ქალაქში, და ისიც პირველს დღეებში, შეუძლებელია. მე და დუნეჩკამ მაინც ყველაფერი დაწვრილებით ვიანგარიშეთ და გამოვიდა, რომ გზა დიდს ხარჯს არ მოითხოვს. რკინის გზამდე ჩვენიდამ სულ ოთხმოც და ათი ვერსია მხოლოდ; იმასაც ნაცნობს გლეხს მოვურიგდით, ის წამოგვიყვანს; იქიდამ კი მესამე კლასით ჩამოვალთ მშვიდობიანათა. ასე რომ, იქნება ოც-და-ხუთის მაგივრად სამი თუმნის გამოგზავნაც მოვახერხო. მაგრამ კმარა; ორი თაბახი მთლად ავაჭრელე, აღარსად ადგილი აღარ არის. მთელი ჩვენი ისტორია აქა სწერია; ბევრი რაშაც მოხდა ამ ხნის განმავლობაში. ახლა, ძვირფასო როდიონ, ჩაგიკრამ გულში ნახვამდისა და მშობლურის სიყვარულით დაგლოცავ. გიყვარდეს, როდიონ, შენი და დუნია; გიყვარდეს ისე, როგორც მას უყვარხარ და იცოდე, რომ თავისს თავზედ მეტად და უსაზღვროდ უყვარხარ. დუნია ანგელოსია და შენ კიდევ ჩვენი იმედი და სასოება, ჩემო როდიონ! შენ თუ ბედნიერი იქნები, ჩვენც ბედნიერები ვიქნებით. ხომ კვალად წინანდებურადა ლოცულობ ღმერთსა, როდიონ; გწამს, რომ მაცხოვარი და შემოქმედი ჩვენი დიდად მოწყალეა? მაგრამ მეშინიან როგორღაც, ვაი, თუ შენც შეგეპარა ეს ახალის დროის ურწმუნოება? მე ვილოც მაშინ შენოვისა, თუ აგრეა. მოიგონე, აბა, პატარაობა, ჯერ მამა რომ ისევ ცოცხალი გყვანდა, როგორა ტიტინებდი ხოლმე ლოცვებსა კალთაში მჯდომი და როგორ ბედნიერები ვიყავით მაშინ ყველანი! მშვიდობით, მაგრამ არა, **ნახვამდის**! ჩაგიკრავ მაგრა გულში და დაგკოცნი ურიცხვად.

სამარის კარამდე შენი

პულხერია რასკოლნიკოვისა.“

ან-ნა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევდა ამირანისა

მოთხრობა მაქს რივისა

შავი ღრუბელი ჩამოსწოლოდა კავკასიის მაღალ კლდეს.

ადამიანთათვის თავდადებული ამირანი ფიქრს გაეტაცნა და წარსულის მოგონებას.

თვალწინ უდგა თავის ტახტზედ გამოჭიმული ზევსი, ცისა და ქვეყნის მპყრობელი, უსამძღვრო ძალის და დიდების პატრონი... ერთმა, ერთად ერთმა არსებამ უარჰყო მისი ბატონობა, მტარვალის წინაშე თავის დახრას წამება ირჩია, ერთად ერთმა არსებამ გაუბედა წინააღმდეგობა და... შეირყა უსამძღვრო დიდება და ძლიერება ზევსისა.

იცოდა ამირანმა, რომ ადამიანის თავში უკვე არსებობდა აზრი და ამ აზრის შიშით თრთოდნენ ღმერთები.

ბევრმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ამირანმა ციური ცეცხლი მიანიჭა ადამიანს და ცეცხლთან ერთად სითბო და სინათლე.

იქნება კიდევაც ბევრმა საუკუნემ განვლოს, მაგრამ ერთხელაც იქნება გაიმარჯვებს ადამიანი და განთავისუფლდება.

უდაბურ კლდეს მიაკრა ამირანი ზევსმა, სტანჯავს, ორბს აწიწკნინებს მის გულს... უბოლოვო არაფერია და თვით ზევსსაც მოეღება ბოლო.

ამირანი ბედნიერია, ამ ტანჯვით, ამ წამებით არის ბედნიერი! ამირანმა უკვე იცის ის ნეტარი, წმინდა გულის თქმა, რომელიც მოყვასთათვის თავს აწირვინებს ადამიანს, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავის დღეში არ ეღირსებათ ქვეყნის მპყრობელ მტარვალთ. ამ გრძნობამ აამაღლა ამირანი, მომაკვდავთა და ღმერთებზედ ზევით დააყენა, დიდება შესძღვნა. და მის დიდების წინაშე თვით სიყვარულის ღმერთიც კი თავს იხრიდა.

ციური სილამაზის ქალი გაჩნდა ამ დროს ამირანის წინაშე და ფიქრთაგან გამოიყვანა. მივიდა და ფეხ ქვეშ ჩამოუჯდა.

— საყვარელო და მბრძანებელო ჩემო, დიდმნიშვნელოვანი ამბავი მომაქვს. საკვირველი ქვეყანა ყოფილა ერთი და სწორედ უცნაური რამ ხდება იმ ქვეყანაში ერთი მადლიანი კაცის წყალობით. გადახედე პალესტინას, გეეედრები.

ღრმად ჩაცვივნული თვალი გადაავლო წამებულმა ქვეყნის იმ კუთხეს, რომელსაც ქალი ანიშნებდა, და ჯვარცმული დაინახა, ისეთივე დასისხლიანებული, როგორიც თითონ იყო.

— იმასაც გაუბედნია მტარვალთა უარყოფა, გაიფიქრა ამირანმა.

ამ დროს ჯვარცმულმა წარმოსთქვა:

— მამაო, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, აგრეთვე ქვეყანასა ზედა!

შედრკა ამირანი:

ეს მამა ისეთივე მპყრობელია ცისა და ქვეყნისა, როგორიც მისგან უარყოფილი ზევსი იყო. ზევსი ერქმევა, თუ ეელოვა, მაინც ღმერთია, იგივე ღმერთი.

და იგრძნო წამებულმა კავკასიელმა, რომ დღეიდგან გოლგოთელ წამებულს მიუდგება ადამიანი, მას შეიყვარებს, მას შესთავაზებს თავის გულს, და იგიც, კაცთათვის თავვანწირული, იქ ცათაშინა, აღუთქვამს კაცობრიობას თავისუფლებას და თანასწორობას.

ამირანი ასწავლიდა მონას: ხელი გამოიღე! შეებრძოლე შენს პატრონს! განთავისუფლდი, ან თავი შეაკალ!

ქრისტე კი სულ სხვას ეტყვის: მამა ცისა—მამაა შენი. იყავნ ნება მისი!

ეროვნული ბიბლიოთეკ

სევდამ მოიცვა ამირანის გული: მე მინდოდა ქვეყანა ცათა სწორად გამეხადა, და ახლა კი, დიდი ხანი, ადამიანი აღარავითარ ყურადღებას არ მიაქცევს სააქაოს და მარტო საიქიოს ზრუნვაშიღა იქნება. ისე აუმაღლებია ადამიანს თავისი ღმერთი, რომ მის ქვეყნად ჩამოყვანა ფიქრადაც ვეღარ გაუბედნია. ჯვარცმული იქ, დაბლა, იტანჯვის და ცისკენ აღუმართავს მომაკვდავი თავისი თვალი; მე კი, უმაღლესის მთის წვერს მიკრული, სულ ქვევით ვიყურები, ბარისკენ, სადაც მშრომელი და მოსიყვარულე ადამიანი მეგულება. გათავდა ჩემი მეფობა, დროებით მაინც: ქრისტემ წარმოსთქვა სიტყვანი ლმობიერებისა და შენდობისა, რომელნიც მე არ მქონია, და ამ სიტყვებით მოიგო ადამიანთა გული. დღეის იქით კაცობრიობა ლანდითა და ოცნებით-ღა იცხოვრებს. მაგრამ გავა დრო, დიდი დრო, გამოფხიზლდება კაცობრიობა და მეც მაშინ მომიგონებს. დიდი დრო გავა მანამდე...

— მომიახლოვდი, ჩემო ნუგეშიმცემელო, ხელი მომეცი. შენი ალერსი-ღა მისულდგმულებს დაწყლულებულს გულს...

ქალს არ ესმოდა: გაშტერებული დასცქეროდა შორეულ მხარეს, სადაც ცხარედ სტიროდა ქალ-რძალი ჯვარცმულს და თავის ცრემლითა ჰბანდა.

მწარედ გაიღიმა ამირანმა და უთხრა:

— წადი, საითაც გული მიგწევს! მიდი იმათთან, რომელთაც მოძღვარმა ნეტარება ცათაშინა აღუთქვა! მიდი იმათთან, რომელნიც თავისუფლების სურვილს მომაკვდინებელ ცოდვადა ხდიან და მონებრ პირქვე ემხობიან მათ შეურაცმყოფელ მტარვალთ წინაშე!

ქალი წავიდა.

ამირანი კი ისევ ისე მიჯაჭვულია კავკასიის მაღალ კლდეზედ და მწარე სევდით მოცული ელის ჯაცობრიობის გამოფხიზლებას.

ივ. მაჭავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური რომანტიზმი

(გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის განვლის გამო)

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკლოდ ჩემი მერანი,
„უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი“.

ჩვენის გენიოსის ეს ლექსი თითქმის სიმბოლოა მთელის ჩვენის ერის ცხოვრებისა უკანასკნელ საუკუნეში. მას მერე, რა ჩვენმა პოლიტიკურმა თვით არსებობამ დალია სული ისე საბრალოდ და ისე საცოდავად, ჩვენ ერს თითქოგონება დაეკარგაო, აღარ იცის საით მიისწრაფვის, სად მიილტვის, რა უნდა და რას ელტვის. მთელმა საუკუნემ გაიარა ისე, რომ ჩვენს ერს და მის მეთაურებს ვერ გამოუკვლევიათ და ვერ გამოურკვევიათ, რა გვიმართებს ახალს მდგომარეობაში, რას უნდა ვსცდილობდეთ, რას უნდა ვაკეთებდეთ. არცერთს პარტიას ჩვენში არა აქვს ნათლად გარკვეული, რა გზას უნდა ადგეს იგი ჩვენის ერის ბედ-იღბლის საქმეში. მთელი საუკუნის ისტორია ამის ცხადი და უტყუარი მოწმეა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ერთმა საქართველომ სული განუტევა—ქართველი ერი ნიადაგ რყევაშია, ნიადაგ გამოურკვეველ მდგომარეობაშია. გუშინ რომ აღშფოთებული, თავგანწირული ებრძოდა და სულ ცოტა მაინც ებუტებოდა „მატყუარა მეგობრებს“, დღეს მათ ფეხებს ულოკავს და რას იზამს ხვალ, არავინ იცის. თქვენ თუ ცოტათი არის გადაათვალიერებთ ერთ რომელიმე ხანას ჩვენის ქვეყნის უკანასკნელის დროისას, დაინახავთ, მამა რომ ერთგული შინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმა იყო ქვეყნის მტრებისა და მარტო პირად განცხრომასა და ფუფუნებაზედ ჰფიქრობდა, შვილი შეურიგებელი და მოუდრეკელი, ურჩი წინააღმდეგი იყო იმავე მტრებისა. ჩვენის ქვეყნის ისტორიის „მერანი“ უგზო-უკვლოდ ჰფრინავს დღემდისაც და ერთად-ერთი გარკვეული ის არის, რომ საითაც უნდა გაიქცეს, თვალ-ბედითი შავი ყორანის ჩხავილი მას არ მოშორებია და მისი მხედარის გული ვაებით აუვსია ამ საზარელ ჩხავილს. ერთად ერთი საიმედო კი ის-ღა დარჩენია, რომ „მას შემდგომად მოძმესა მისა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,“ რადგან, ეჭვი არ არის, შეცდომათა ისტორია გამოსადეგია კაცობრიობისათვის და კაცობრიობის ისტორიასაცა ჰყავს თავისი მსხვერპლი სხვათა განსასწავლად და გასაგონიერებლად. როდესაც ერი ისეთს მდგომარეობაშია, როგორც ჩვენ, მე მგონია, მას უნდა შეგნებული ჰქონდეს თავისი მდგომარეობა აწონილ-დაწონილი ჰქონდეს თავისი ძალ-ღონე, მისი ზნეობრივი და მატერიალური სიმდიდრე ეამოანგარიშებული უნდა ჰქონდეს და ამგვარად, სავსებით შემგნები თავისის მდგომარეობისა, უნდა იქცეოდეს ისე, როგორც შეესაბამება მის ყოფას. თუ ძალის იმედი არა აქვს, ნება-ყოფლობითა და მორჩილებით სცდილობდეს ცხოვრების და გარემოების გაუმჯობესებას, თუ ესეც არ გაუდის, თავგანწირულ აღშფოთებას მაინც მიეცეს და თუ ესეც მეტია და ამასაც ვერა ჰბედავს, „ზღვის პირად დაჯდეს და გამოდარებას უცადოს“. ჩვენში კი თუ ვინმე, რომელიმე ამ გზას ამოირჩევს იმიტომ კი არა, რომ წინ და წინ ჰქონდეს შედგენილი მოქმედების გეგმა და კარგად გარკვეული ჰქონდეს საითკენ მისწრაფვის, არამედ ისე, თვითონაც არ იცის რატომ კისრულობს მონურ „ფეხის ლოკვის“ როლს, ანუ თავგანწირულ მაშფოთარის მანტიაში რად ეხვევა.

ასეა თუ ისე, აღშფოთება ცხოვრების უმსგავსებით, უარყოფით მოქცევა ყოველივე იმისადმი, რაიცა ჩირქსა სცხებს კაცისა და ერის ღირსებას, რაც უნდა უნიადაგო და უმნიშვნელო ყოფილიყოს, ყოველთვის უფრო სასიმპატიო ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, უფრო გამოუწვევია აღტაცება და თანაგრძნობა შთამოეზაში. ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობა ბოროტისა ყოველთვის უფრო მომხიბვლელია თავისის რაინდულის არაჩვეულებრივობითა და სიდიადით, რაღაც ზღაპრულის შარავანდედით არის ხოლმე მოსილი და უცნაურის შუქით განათებული.

ერთი ასეთი ამბავი მინდა გავიხსენო.

მე რომ ამბავი მინდა გიამბოთ, არც ისე შორეულ წარსულს ეკუთვნის, სულ 70 წლის საქმეა და ამბავის მახსოვარნი ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად კიდევ ამშვენებდნენ ჩვენს ცხოვრებას. საქართველოს განათლებულისა და მოწინავე საზოგადოების XIX საუკუნის ისტორიაში ეს ერთად ერთი მომენტია იმ გმირულის ადამიანობით აღსავსე, ურომლისოდ კაცის ცხოვრება ჩალის ფასადაც არა ღირს. მართლაც ცხოვრებაა ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოვრება ხომ ისაა, რომელშიაც ხშირია მომენტები უსაზღვრო თავგანწირულებისა უმაღლესის რწმენისა და აზრის ამ ქვეყნად განსახორციელებლად.

ეს ამბავი თავგანწირულებისა წუთიერი იყო, სიზმარებრ ჩქარი, ზღაპარსავით მალი, ოცნების შვილივით ჰაეროვანი.

ეს ზღაპრული ნამდვილი ამბავი ასე უცნაურად იწყება (იხილე ტომი VIII არხეოგრაფიის კომისიის აქტებისა).

„9-ს ამა დეკემბერს (1832 წელში) ასე საღამოს ხუთ საათზედ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ თ. იასე ფალავანდოვმა მიართვა კავკასიის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მ. ვოლხოვსკის „დონოსი“ იმის შესახებ, რომ ქართველთ შორის საიდუმლო შეთქმულობაა, რომელსაც აზრადა აქვს რუსების საქართველოდან განდევნა.“ აი, ასეთის სიტყვებით იწყება საქართველოს მთავარ მართებლის ბარონ როზენის მოხსენება გრაფის ჩერნიშევისადმი იმ საიდუმლო შეთქმულების შესახებ, რომელიც არსებობდა 1831—1832 წელში ქართველთა ახალგაზდობაში და რომლის ამბავი გვსურს განვუზიაროთ მკითხველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ფალავანდიშვილის დონოსის შემდეგ, მთავარმართებელმა განკარგულება მოახდინა შეთქმულთა დაპატიმრებისა და მათთვის ჩვენების ჩამორთმევის შესახებ. მართალია,— ამბობს ბარონი როზენი თავისს მოხსენებაში,—„ხსენებული თავადი (იასე ფალავანდოვი) ჩემგან ცნობილია, როგორც უზნეო ყოფა-ქცევისა, და 1825-შიაც ცრუ „დონოსი“ შემოიტანა მეგრელიის მთავარ გენ. ლეიტ. თ. დადიანზედ, მაგრამ მეტად სერიოზულმა მხარემ საგნისამ მაიძულა მიმეღო ზომები უწესოების თავშივე მოსასპობლად და ამიტომაც დონოსის დაწვრილებით გამოძიებას შევუდექი. ამ დონოსიდან სჩანდა, რომ მასწავლებელ დოდაევს ბოროტის განზრახვით აღსავსე წინადადება წარუდგენია თ. აბხაზის ვახშამზედ. თავდაპირველად დოდაევი მოვიწოდეო, ამბობს როზენი, და იმისმა ნალაპარაკევმა დამარწმუნა, რომ იესე ფალავანდოვის დონოსი თუმც მთლად ჭეშმარიტი არ არის, მაგრამ სინამდვილეს მოკლებული როდი იყო—და ამიტომაც ბრძანება გავეცი 10 დეკემბერს, რომ ბოროტ-მომქმედნი, რომელთა სახელები დონოსში იყო ჩამოთვლილი, დაეტუსაღებინათ და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღოთ.

პეტერბურგში კინაღამ ელდა არ ეცათ ასეთის ამბვის გამო. რასაკვირველია, ქართველთა აჯანყების რუსეთის იმპერატორს არ ეშინოდა, მაგრამ გლახა დრო იყო, პოლონეთი ახალი აჯანყებული იყო, ჯერ ეს ვერ ჩაექროთ კარგად და ამავე დროს საქართველოდან ცუდი ამბები მოუვიდა რუსეთის იმპერატორს. მთავრობას ყველაზე უფრო ის აშინებდა, რომ ვაი თუ ეს საქმე უცხოების ზედ გავლენის ქვეშე იყოს. გრ. ჩერნიშევი სწერს როზენს მის მოხსენებაზედ: ხ. იმპ. ბრძანა გამოიძიოთ სასტიკად და დაწვრილებით და დანამდვილებით შეიტყოთ რა ხასიათი ჰქონდა შეთქმულთა საიდუმლო კავშირს, რა ღონისძიებას მიჰმართეს შეთქმულთ თავისის აზრის განსახორციელებლად და რა მიზეზებმა აიძულეს შეთქმულები ისეთს გზას დასდგომოდნენ, რომელიც **ცხადლივ მავნებელია მათი სამშობლოსათვის.** რაც უნდა გაუგებარნი და უცოდინარნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ შეთქმულები, ეს ხომ მაინც იციან, რომ საქართველო თავისის ძალით ვერას გააწყობს-რა რუსეთთან, და კიდევაც რომ ჩამოცილდეს რუსეთს, მეზობელ ერთაგან დარბევას ვერ გაუძლებს. ამიტომაც ეჭვი გვებადება, ვაი თუ ამ **შეთქმულობას ქართველებისას რაიმე კავშირი აქვს გარეშე მტერთა ბოროტ-განზრახულებასთან.** აი, ეს უკანასკნელი აწუხებდა მთავრობას, ამაში იძიებდა თავისათვის საშიშარ მოვლენას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ შეთქმულებმა გამოიჩინეს, რომ აკლდათ, არ ვიტყვით გონიერება, არამედ შორს მჭვრეტელობა და შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ასეთი მძიმე საქმის აღსასრულებლად მარტო მათი ძალ-ღონე კმაროდა. ცოტა არ იყოს, იმპერატორ ნიკოლოზ 1-ს გულზედ მოეშვა იმ ამბით, რომ იმ დროის ქართველთა „ბრწყინვალე თავად აზნაურობის“ უმეტესობა ვითომ და დიდის ერთგულებით იყო განმსჭვალული რუსეთის საიმპერატორო ტახტისადმი.

„**განსაკუთრებით ამა** ხელმწიფე იმპერატორს თქვენი დასტური,—სწერს როზენს ჩერნიშევი,—რომ **ქართველი თავ-დაზნაურობა საზოგადოდ არ ურევია** იმ ბოროტ განზრახვაში, რომელმაც ზოგიერთა მის (თავად-აზნაურობის) ბოროტმოქმედ წევრთა შორის იჩინა თავი,—რომ მუდამ მორჩილია მთავრობისა და ნაკისრებს მოვალეობას ერთგულად ასრულებს. რომ უფრო მეტად განმტკიცდეს იგი თავისს ერთგულებაში, ხელმწიფე იმპერატორმა ინება და სცნო სასარგებლოდ, სათავად-აზნაურო საზოგადო კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც ამ ჟამად არის მოწვეული ტფილისში, საგანგებოდ გამოგზავნოს გენერალი (ეს გენერალი იყო გენერალმაიორი ჩევკინი, რომელიც გამომძიებელ კომისიის წევრადაც დანიშნა ხელმ. იმპ.), რომელიც განუცხადებს მათის უდიდებულესობის უმაღლესსა და მუდმივს მოწყალებასა ტახტისადმი ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის, როგორც ახლა, ისე მრავალ სხვა დროსაც“

გ. მ. ჩევკინმა მთელი სიტყვა წარმოსთქვა იმ წლის სათ. აზნ. კრებაზედ, სიტყვა, რომელიც უთუოდ პეტერბურგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დაწერილი და რომელიც მრავალ მნიშვნელოვანია. მრავალ-მნიშვნელოვანია მით, რომ კომპლიმენტებითა და იმპერატორულის ალერსით აღსავსეა ქართველის თ. აზნაურობისადმი, მით უფრო საყურადღებოა იგი, რომ თავზარდამცემ მრისხანე იმპერატორის ბრძანებითა და ნებადართვითაა შეთხზული. ეჭვი არ არის, იმპერატორს საჭიროდ დაუნახავს ქართველ თავად-აზნაურობას თავზედ ხელი გადუსვას, რადგან თურმე რაღაც გაცხარების მსგავსი ამ მკვდარ ხალხსაც შესძლებია. ხოლო იმ განაწილებას ქართველ თ. აზნაურობისას, რომელიც მთავრობამ იკისრა, სინამდვილის ნიადაგი აკლდა. ეს აზრი, ვითომ შეთქმულობა, რამოდენიმე „безумецъ"-ს ეკუთვნოდა, ცრუ აზრი იყო რაკი რამე იყო ამ თ. აზნაურობაში ხეირიანი, რიგიანი, რაიმე ღირსების მექონე ყველა ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობდა ამ შეთქმულობაში და მის გარეშე დარჩნენ ისინი, რომელთა ერთგულობასა და ორგულობას დიდი ფასი არ ედვა. მაგრამ ეგრეთი განაწილება მიუცილებელი იყო და საჭირო, მოფერებისა და ალერსის საბაბად, უამისოდ მრისხანების გარდა სხვას არასა ჰქონდა ადგილი, მრისხანების გამოთქმისა კი, თუ არ ეშინოდა მაშინდელს მთავრობას, ყოველ შემთხვევაში სასარგებლოდ არ მიაჩნდა. აქედან ის დასკვნაც შეიძლება გამოიყვანოს კაცმა, რომ მონურ ლაქუცობაზედ უფრო პატივის დება აქვს ხოლმე ღირსეულს დაცვას თავისის საერო და სამოქალაქო უფლებებისას, თვით მონარქების თვალებშიაც.

ქართველ თავად აზნაურთა კრება 1833 წ. 29 იანვარს გაიხსნა. გ. მ. ჩევკინმა ასეთის სიტყვით მიჰმართა.

„უპატივცემულესო კეთილშობილო წოდებავ!

„მათს იმპერატორ. უდიდ., უუმოწყალეს ხელმწიფეს ჩვენსას მოჰხსენდა, რომ რამდენმამე ქართველმა თავადმა და აზნაურმა მთავრობის წინააღმდეგ ბოროტი შეთქმულება განიზრახა. **უგუნურებმა** ვერ დააფასეს ვერცა დღევანდელი მდგომარეობა და ვერც აქაურ ქვეყნის ნამდვილი სიკეთე; ხალხმა, რომელმაც უგულებელ-ჰყო მოვალეობა პიტიოსნებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფიცისა, დაივიწყა თვით სიუხვეც კი თვითმპყრობელისა საკუთრივ მათდამი მოვლინებული, კადნიერად განიზრახა ბოროტება, რომლის მგზავსიც ერთგულ ქართველთა შორის არ გაგონილა ჯერა, და ამ ბოროტ-განზრახვის დროს დაივიწყა ყველა: კეთილდღეობაცა, მშვიდობაცა და თვით სიცოცხლეც-კი თვისის თანამემამულეებისა და მოისურვეს აეჯანყებინათ წინააღმდეგ მთავრობისა და რუსეთისა, რომელმაც ძმებივით შეიერთა ერთმორწმუნე ქართველები, არ დაზოგა არავითარი მსხვერპლი, რომ მათის სამშობლოსათვის კეთილდღეობა მიენიჭებინა და თვისს საკუთარ შვილთა სისხლით მშვიდობიანობა განემტკიცებინა. მერე, რა დროს განიზრახეს **უგუნურებმა** ეს ბოროტება? იმ ხელმწიფის მეფობის დროსა, რომელმაც გვირგვინის კურთხევისა და ტახტზედ ასვლის დღიდანვე ესდენი სიკეთე განიზრახა ქვეყნისათვისა, რომლის ძლევა მოსილმა ხელმწიფებამაც დაიპყრო ციხენი ერევანისა, ახალციხისა, ანაპისა, აჭარისა, ყარაჩაისა და გიმრისა და ყოველმხრივ ასე უზრუნველჰყო კეთილდღეობა და მშვიდობა ქვეყნისა.

მაგრამ არ შეეძლო ძლევამოსილს რუსეთს ესეთი უგუნური ბოროტ-განზრახულება საშიშრად მიეჩნია, გარნა კეთილის მყოფელს მთავრობას, რომელმაც არ დაზოგა არც ზრუნვა და არც მსხვერპლი და სხვა-და-სხვა შემოსეულ მტერთაგან ქვეყნის უზრუნველსაყოფელად ჰსურს დაიცვას იგი ნამდვილ შინაურ მტრებისაგანაც, რომელიც თვით მმართველობის ძალისათვის უშიშარნი არიან, მაგრამ რომელთაც შეუძლიანთ ადგილობრივ არეულობა მოახდინონ და მშვიდობიანს მცხოვრებლებს კერძოდ ზარალი მიაყენონ. მზგავსად იმისა, როგორც წინადაც დაგვიმშვიდებია მუდამ აჯანყებულნი, ახლაც დავაცხრობთ და დავამშვიდებთ ბოროტგანზრახვით შეთქმულებს. მომეტებული ნაწილი მათგანი უკვე კანონს გადაეცა; დანარჩენ დამნაშავეთათვისაც შორს არ არის ჟამი განსამართლებისა, ვინაიდგან ყველა განზრახვა, მონაწილე და **საშუალება შეთქმულებისა** ცნობილ არიან. ხოლო თუ აყოვნებს მართლმსაჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება და არა სჯის დამნაშავეთ, იმიტომ მხოლოდ, რომ მთავრობას ებრალება შეთქმულობაში ძალით ჩარეულნი; რომ ჰსურს, როგორც მათ, ისე უმთავრესს ხელმძღვანელებს, დრო მისცეს მოფიქრებისა, შეაძლებინოს გულწრფელის გამოტეხით დანაშაული შეიმსუბუქონ. ხელმწიფე იმპერატორი, როგორც გულმტკივნეული მამა თვისთა ქვეშევრდომთა, გაარჩევს მუდამ შენანიებით განწმედილს ცთომილებასა და ბოროტებით სავსე გულჩახვეულობა-მოუდრეკელობასა. მისის დიდსულოვნობისაგან ყოველივეს უნდა მოელოდეს; დამნაშავენი-კი, რომლებიც დაჰფარვენ ბოროტსა და არ მოდრკებიან, თვითონვე დაჰშორდებიან მეფის წყალობასა და მოსალოდნელს სასჯელს გაიორკეცებენ.“

თქვენ იქნება გაიოცოთ და სთქვათ, რომ ეს ტონი ძალიან შორს არის ალერსის ნატამალზედაც კი. ესეთი სიტყვა თვით დამნაშავეთა კრებისადმისაც კი მეტი იყო არა თუ კეთილშობილთა და ბრწყინვალე კრების წინაშე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მისი წყარო მრისხანე იმპერატორი იყო და რუსეთის იმპერატორებს როდი უყვართ ტონის სიცხარის მორიდება და მეორე, ისე დიპლომატიურის მოსაზრებით ჰყოფდნენ თ. აზნაურობას, თორემ კარგად იცოდნენ, რომ იქ, სადაც ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ერისთავები, ჩოლოყაშვილები და სხვები შეთქმულების თავში იდგნენ, აღარაფერი ითქმოდა „კეთილშობილთა კრების ერთგულებაზედ.“ ამიტომ ასეთი მრისხანება ვითომ და დამნაშავეთადმი მიმართული, რომლის მათრახები თვით კრებას ხვდებოდა, სრულიად წინად აწონილის პროგრამის მუხლი იყო. მაგრამ იქონიეთ მოთმინება, ცოტა ქვეით მისმინეთ და ნახავთ, რომ მრისხანება თანდა-თან იცვლება მოფერების კილოზედ.

„ესდენ სამწუხარო მოვლენის დროს,—განაგრძობს კრებაზედ გ. მ. ჩევკინი,—ხელმწიფე იმპერატორი ანუგეშა ღირსეულის მთავარ-მართებლის მოწმობამ, რომ აღნიშნულს ბოროტ-განზრახულებაში ურევია მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომ ამ უდარს ქართველთ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამოგრიცხავთ, მთელი წოდება ისევე გულმოდგინედ ასრულებს თავისს მოვალეობასა და არა ჭდალატობს საიმპერატორო ტახტისადმი მორჩილებისა და ერთგულობის გრძნობებს. მიიღო-რა უთვითმპყრობელესმა ხელმწიფემ ჩვენმა განსაკუთრებულის სიამოვნებით მოწმობა ესე, მიბრძანა, წარვმდგარიყავი თქვენს წინაშე, მ. მ. ხელმწ., და მეუწყებინა მთელის თქვენის პატივცემულ წოდებისათვის, რომ ამ მისის გულისათვის სამწუხარო ამბავ' მხოლოდ რამდენისამე უგნურის პირად საქმეთა სთვლის მისი უდიდებულესობა, რომ არ შეუცვლია თავისი გრძნობები დანარჩენ ქართველ თავად-აზნაურობისადმი, რომ პირ-იქით, ამოწმებს თვისის უმაღლესის შუამავის მოწყალებით ტახტისადმი ერთგულებისა და გულსმოდგინებისათვის, როგორც ამ შემთხვევაში, ისე მრავალ სხვა დროსაცა; თუნდა ამ სულ ბოლო დროის ერთგულობისათვისაც.

აღვასრულე რა ამ რიგად უმაღლესად მონდობილი საქმე, გთხოვთ, მოწყ. ხელმწ., დარწმუნებულნი იყვნეთ, რომ ვაფასებ სავსებით, რაოდენ სასიქადულოა არჩევანი, რომელსაც უმოწყალესად ველირსე ამ შემთხვევისა გამო. გავიცან-რა ქართველები უკანასკნელად სპარსეთთან ომის დროს, შევეჩვიე და ვთვლიდი მათ ძმებად, ამიტომაცა ვფიქრობ, რომ ხელმწიფის ერთგული რუსი უნდა უთუოდ კეთილი ქართველიც იყოს გრძნობებით, როგორც ერთგული ქართველი უნდა იყოს კეთილი რუსი."

ეხლა კი გადვიდეთ თვით შეთქმულობის ამბავზედ. საუბედუროდ ჩვენდა, ეს შესანიშნავი მომემენტი XIX საუკუნის ჩვენის ისტორიისა ჯანღითა და ბურუსითაა მოცული. ერთად ერთი საბუთი, რომელიც ანათებს ბნელიც მოცულ ამ ამბავს, ეს ოფიციალური დოკუმენტებია, ისიც ამოკრებილი და დაბეჭდილი აქტებში, ხოლო ოფიციალური დოკუმენტი კი მარტო-ოდენ შემოხაზულობას გვაძლევს საქმის საზღვრებისას, მეტს არაფერს. ეს მხოლოდ იმას გვაგებინებს, როგორ ეჩვენა ეს საქმე მათავრობას და სწორედ მარტო საგნის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს გვაჩვენებს, რომელიც ოფიციალურ კომისსიებსა და მმართველებს შეუმჩნევიათ. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ-ჯეროობით სხვა არავითარი საფუძველი არა გვაქვს და მარტო ამ ერთად-ერთ უხერხულს და არა მჭიდრო საძირკველზედ უნდა იყოს დამყარებული ყოველივე ჩვენი მოსაზრება და დასკვნა.

უნდა მართალი სთქვას კაცმა, ჩვენს ისტორიაში უფრო საინტერესო ხანა არ მოიძებნება, როგორც ხანა საქართველოს პოლიტიკურის თვით-არსებობის მოსპობისა. მაგრამ ამას ზედ ისიც უნდა დავურთოთ, რომ ბნელითა უკუნეთით არის ეს ხანა მოცული. საჭიროა დიდი ხნის შრომა, ჯაფა, განუწყვეტელი დაკვირვება, სიმშვიდე მეცნიერული და გონიერება ისტორიკოსისა და ფილოსოფოსისა, რომ ცოტათი არის მაინც ნათელი მიაფინო ამ უცნაურს, ამ იდუმალობით მოცულს დროს. ჩვენისთანა უბრალო ცნობის მოყვარე კი დიდ ვანსაცდელშია ჩავარდნილი. მას არ შეუძლია გარკვეული და გადაწყვეტილი მსჯელობა გამოსთქვას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ამა თუ იმ პირადობის შესახებ. ყოველივე ამგვარი მსჯელობა სახიფათოა და სრულიად შესაძლოა მკლევარმა, რომელსაცა ჰგონია, რომ შესწავლილი აქვს ზედ მიწევნით, დაბოლოს ერთი რამ ისეთი დოკუმენტი ნახოს, რომელიც მთლად დაანგრევს მის აშენებულს კოშკს მსჯელობისას და ვინც იკისრებს ამ ხანის, რომელიმე პირადობის გინდ მოვლენის შესწავლას, მალე დარწმუნდება, რომ იგი ნიადაგ რყევასა და განურკვეველ მდგომარეობაში იქმნება, ის რაც გუშინ დასაგმობად მიაჩნდა, დღეს საქებად და სადიდებლად მოეჩვენება, ხოლო გუშინდელი გმირი დღეს სალახანად ეჩვენება და ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთის სიჩქარით იცვლებოდეს მისი შეხედულება ცხოვრების მოვლენასა და მომქმედ პირზედ, არა, იმიტომ, რომ ახალი საბუთები სულ სხვა-გვარად მოაჩვენებენ ამა თუ იმ საგანს, ამა თუ იმ პირს.

ბარონ როზენისაგან „ქართველთა შეთქმულობის“ გამოსაძიებლად დანიშნულმა კომისსიამ თავისი შრომა დაამთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შემდეგის (ე. ი. 1833-ის) წლის სექტემბრის თვეში და წარუდგინა მთავარ მართებელს ვრცელი და დაწვრილებითი მოხსენება.

საგნის გამოსარკვევად საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი მომენტი „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ ამბისა.

ყველა გვარი გამოკვლევა ამ საგნის შესახებ ცხადად გვაჩვენებს, რომ საქართველოს მეფეთ, თუმცა, გაჭირვების გამო, გადასწყვიტეს თავისის სამეფოის რუსეთთან შეერთება, მაგრამ მეფობაზე და საქართველოს გამგეობაზედ კი თავის დღეში უარი არ უყვიათ, წინააღმდეგ, მეფეებიცა და მათი ელჩებიც იმ აზრს მტკიცედ ადგნენ და თითქმის ამ აზრის დასაცველად განსწირეს ყოველივე, რომ საქართველოს სამეფო გვარეულებას საქართველოში ამა თუ იმ სახით თავისი უპირველესი მნიშვნელობა შერჩენოდა. ირაკლის ხელშეკრულობაზედ ნუღარას ვიტყვით, გიორგი XII-ემ ხომ შესცვალა „რუსეთის“ საამებლად იმდენად, რამდენადაც კი შესაძლო იყო ეს მშვენიერი ტრაქტატი და მაინც აი რა სწერია იქა. არტიკული 2. „ძე მეფისა გიორგისა დავით მიიღებს ტიტულსა „განმგე საქართველოისა“ და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ პირმშომდის.“ დაანებეთ ამას თავი და მიაქციეთ ყურადღება თვით ნოტას ელჩებისას, რომელსაც უნდა განემარტებია გიორგი XII ტრაქტატის არტიკულები, ეს განმარტება კიდევ ერთი ბიჯი იყო საქართველოს მეფეთაგან თავის უფლებათა შეკვეცისაკენ, რათა აჩრდილი მაინც დაეცვათ სამეფო ძალისა: „კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპ. უდიდ. და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის-ძეთაგანი იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ და **იხსენებოდეს მეფედ საქართველოსად**“ და გიორგი XII წერილს წერილზედ უგზავნიდა რწმუნებულ ელჩებს ეს მუხლი შეურყეველად დაიცევით „რათა სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფობა“ ე. ი. არ გაუქმდეს მეფობაო. თვით „შეთქმულობის“ გამომძიებელი კომისიაც ველარ მალავს ამ საგანს. როცა მეფე გიორგი XII ემ პავლე I-ს ელჩები გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნაო თხოვნით, ჩემი სამეფო შენს მფარველობაში მიიღეთ და თან ისიც დაუმატაო, თუმც თქვენს მოწყალე მფარველობას ვანდობ ჩემს სამეფოს მაგრამ ძე და ჩემს შემდგომად ჩემი მემკვიდრენი საქართველოს სამეფო ტახტზედ უნდა დარჩნენ, საქართველოს მეფეს სახელით და მათ უნდა ჰქონდესთ მინდობილი უმთავრესი გ'მგებლობა თავისის სამეფოისა რუსეთის კანონების მიხედვითაო" ეს იყო შეურყეველი და მტკიცე საძირკველი შეერთებისა და რუსეთის გვირგვინოსანმა მეფეებმაც წერილობით (ტრაქტატზედ ხელის მოწერით) და სიტყვით: უავგუსტოესის ფიცითი აღთქმით-დაარწმუნეს ჩვენი მეფეები, რომ შეთანხმების მუხლები საუკუნო საშვილიშვილოდ იქმნებიან დაცული მაგრამ ერთი ხელით რომ პავლე I ამ აღთქმას და ტრაქტატს აწერდა იმპერატორებიოის დიდებულების ხელს, მეორეთი უქაზებს სწერდა, საქართველო რუსეთის გუბერნიად გარდაქმნის შესახებ" ეგრეთი იყო „სიტყვა" და „საქმე" რუსეთის გვირგვინოსანისა კომისიის აზრით „ამ ზომების სისრულეში მოყვანა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან სრულიად ეწინააღმდეგებოდა, ქართველის ერის კეთილმდგომარეობას".

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი უეცარი დარღვევა სიტყვისა და ყინულზედ დასმა მთელის სამეფო გვარეულეაისა და ქვეყნის გაბიაბრუება გულში ლახვარივით მოხვდა ყოველ შეგნებულ ქართველს და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგობამ იმ თავითვე დაიბუდა გულში. ძმობისა და მფარველობის მაგიერ, მათ წაართვეს ქართველებს ის, რის დასაცველადაც სწყდებოდა და თავსა სდებდა ხალხი საუკუნოების განმავლობაში. ნახევრიად გასწირა თავისუფლება, ქრისტეს ჯვარი წინდად დასდვა მეგობრობისა და ეგონა, რომ ეს ჯვარი იქმნებოდა საუკეთესო მოწამე და ბეჭედი საიმპერატორო პირობისა, მაგრამ მოტყუებული დარჩა: სამშობლოც დაჰკარგა და ის ჯვარი, რომელიც ნაციონალური აზრის გამომსახველი და მფარველი იყო მისთვის დღეიდან, გამაუბედურებელ საგნად შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ახალგაზდა ისტორიკოსს, (თ. ავალოვს) რომ ჰკითხოთ ქართველების მეფეები გაიძვერა ჩერჩეტები იყვნენ და სრულიად არ გაეგებოდათ რასა შვრებოდნენ. თითქო ქართველ მეფეებს სახსარი ჰქონდათ. მათ გასაოცარის გამჭრიახობით იგრძნეს, რომ რუსეთი დღეს იქნებოდა თუ ხვალ საქართველოს დაიპყრობდა. დიდის გონიერებით ცოდნით მიხვდნენ, რომ ახალი მეზობელი, რომელიც მის საზღვრებთან იზრდებოდა ძლევა მოსილი იყო და დიდის აპეტიტებით აღვსილი, და არჩიეს მეგობრულის კავშირით დაეცვათ, ნახევრად მაინც, დამოუკიდებლობა. წინააღმდეგობა არას გამოადგებოდა, ძალ გამოლეულსა და ღონე შესუსტებულ საქართველოს, რომელსაც შინაგანი გაერთიანებაც კი ვერ მოეხერხებია მას არ შეეძლო რაიმე წინააღმდეგობა გაეწია, ტყვილად სისხლი დაიღვრებოდა. საუკეთესო გზა, სწორედ ხერხიანი და გონიერი ის იყო ამ შემთხვევაში, რომ ამისთანა საშიშარ მტერთან მეგობრობა ეცადა, ამ ცდამ თუ ტყვილა ჩაიარა ეს მათის სისულელის ბრალი კი არ იყო არამედ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ცბიერობის, რომელმაც აქა და ძალა აღმართსა ხნავსო საერთაშორისო პირობაც კი დაარღვია. ამ ცბიერობის იმ თავითვე წინად გრძნობა მეტად ძნელი იყო და წარმოუდგენელი, ხოლო ბოლოს კიდევაც შეიტყვეს, მაგრამ გვიანღა იყო. დაჭრილი, დაკოდილი და სისხლისაგან დაწრეტილი საქართველო რუსეთის ორთავიან არწივის ძლიერ კლანჭებში იყო ჩავარდნილი და იქ ფართხალობდა, მისი შემწე და მფარველი არსადა სჩანდა.

იმავე ბ. ავალოვის აზრით ეს პირობა au fond უაზრო იყოო, რადგან დამყარებული იყო საშუალო საუკუნოების წარმდგენაზედ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ: მაგრამ გასაოცარია ახალგაზდა ვასალურის მეცნიერს რად დასჭირდა ამის თქმა, როცა ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც თხოულობდაჩვენი მეფეები, სრულიად კანონიერი დამოკიდებულება იყო სამეფოისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიუზერენ სამეფოსთან, როგორც ეს მშვენივრად განმარტა და დაამტკიცა განსვენებულმა მიხ. ხელთუბლიშვილმა მის ცნობილ გამოკვლევაში.

მართალია ჩვენმა მეფეებმა ნაკლებად იცოდნენ საერთაშორისო ევროპიელი პოლიტიკა და არ ჰქონდათ შეგნებული სხვა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა, მაგრამ ამ მცოდნითაც მგონი ვერას გახდებოდნენ რადგან ევროპას იმ დროს სულ სხვა საქმეები აწუხდება და საქართველოს დიდ ყურადღებას როდი აქცევდა.

ასე იყო თუ ისე უეცარმა მოტყუებამ, ღალატმა მტრად გადაქცეულის მეგობრისამ, გული აუთუთქა მთელს საქართველოს; გააბრაზა თავად-აზნაურობა, ააშფოთა და ააღელვა მთლად მთელი ხალხი, სათარეშოთ შემოსეულ „ჩინოვნიკთა“ აღვირწახსნილმა ურცხვებამ. იმ თავითვე ქართველების გულში წინააღმდეგობისა და უმადურების თესლმა ღრმად გაიდგა ფესვი. ჯერეთ 1802-ში კახეთის თ. აზნაურობა აღელდა ად დიდს გასაჭირში ჩააყენა ქართველობა. მერე 1804 მთაში იელვა შეთქმულობამ და მეტად სასტიკი ხასიათი მიიღო. მთას კახეთის. თავად-აზნაურობა მიეკედლა და ბატონიშვილებმა მისი მეთაურობა იკისრეს. შემდეგში სამოციან წლებამდის არ შეწყვეტილა აქა იქ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში (გურიაში, სვანეთში იმერეთში) ასე ვსთქვათ პარტიზანული აჯანყება. მხოლოდ ის „შეთქმულობა“, რომელიც საგნად აქვს დღევანდელ ჩვენს საუბარს, სულ სხვა ხასიათისა და თვისების იყო. ეს იყო „შეთქმულობა“ საზოგადოების განათლებულის წრისა, ამ „შეთქმულობაში“ რაიმენაირი მონაწილეობა მიუღია ყოველ იმ დროს ქართველს, რომელსაც რაიმე აზრი და გრძნობა ჰქონდა ან და რაიმე ადგილი ეკავა იმ დროის ქართველ საზოგადოებაში.

როგორც კახეთის თავად-აზნაურობის აჯანყებაში, როგორც „მთის“ აღელვებაში ისე აქაც მოთავე და ხელმძღვანელი ამ „შეთქმულებისა“, ამ გარედ გამოთქმულის უკმაყოფილებისა, შეიქმნა ჩვენის სამეფო სახლის წარმომადგენელი და მათი ახლო ნათესაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესი როლი „შეთქმულობაში“ ბატონიშვილ ოქროპირი და დიმიტრის ეკავა.

ოქროპირი იყო შვილი გიორგი მეფისა მეორე ცოლის გიორგი ციციშვილის ქალის მარიამისგან, ხოლო დიმიტრი იყო შვილი იულონ ბატონიშვილისა. იულონი იყო შვილი ირაკლი II-ეს მესამე ცოლის დარეჯანისაგან, ირაკლის ანდერძის მიხედვით, რომელიც დედოფალმა დარეჯანმა გამოსტყუა, იულონი უნდა ყოფილიყო გიორგის შემდეგ მეფედ, მაგრამ როგორც იცით პავლე პირველმა ტახტის მემკვიდრედ ქალალდზე მაინც, გიორგის უფროსი შვილი დავითი დანიშნა.

იულონისძე დიმიტრი ბატონიშვილი სცხოვრობდა პეტერბურგში, საცა იმ დროს მიიღეს განათლება უპირველესმა კაცებმა საქართულოისამ, ერისთვებმა, ორბელიანებმა, ჩოლაყაშვილებმა და სხვებმა, ეს ყმაწვილ კაცობა თავს იყრიდა დიმიტრი ბატონიშვილისას და როგორცა სჩანს ხშირად, თუ ყოველთვის არა, ჰქონია მსჯელობა საქართველოს მდგომარეობაზედ თვით დიმიტრი ყმაწვილი კაცი იყო 30 წლისა, ნათესავური კავშირიც ჰქონდა ამ ყმაწვილ კაცებთან და ყველაზედ უფრო გავლენა თავისი ლაპარაკით ჰქონდა მათზედ როგორც აქტები მოგვითხრობენ: „თავ. დიმიტრი შთააგონებდა მათ თავისუფალ აზრებსა ხოლო ზოგიერთებს ალსაშფოთებელსაც-კი და ამ გამოუცდელს ახალგაზრდებს თან და თან გონებას უბნელებდა, ზოგიერთს მათგანს ბოროტმოქმედებისათვის აგულიანებდა და აღელვებდა, რომ საქართველოში რუსეთის უფლებისა და ბატონობის წინააღმდეგ ემოქმედნათ.“

კომისიას თანაც უკვირს და ვერ გამოურკვევია იმის მიზეზი, თუ რად იყო ბატონიშვილი დიმიტრი ეგრეთი გაცხარებული რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და რას ვპრიანებოდაო საქართველოის აღდგინება, როცა თითქმის არც კი იცოდა საქართველო, რადგან „თავის დღეშიაც იქ არა ყოფილაო“ და ამ მიზეზთა ძებნაში კომისიას, მხოლო ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუგნია, რომ დიმიტრი პირადად ემდურებოდა მთავრობას, რადგან ბატონიშვილის ტიტული არ მისცესო (ე. ი. აღარც ტიტული შეარჩინეს, თორემ რითი არ იყო ბატონიშვილი დიმიტრი, შვილიშვილი ძლევა მოსილის ირაკლის II-ისა) და სამსახურშიაც კიდევ პირველის ჩინით მიიღესო ამ გვარი ახსნა ასეთის მძიმე მოვლენისა გვამცნებს რა ღირსებისაც ყოფილა თვით ეს კომისია. ან კი რა უნდა მოლანდებოდა ჩინებისა და ტიტულების მეტი, გენერალ მაიორ ბაიკოვსკის, გენ. მაიორ ვოლხოვსკის, პოლკოვნიკ ტრიტილოვიჩს, ოზარეცკოვსკის და თუ გინდ თვით როზენსა და გენ. ჩევკინს რა ოჯახის ტრადიციებით ან რა სამშობლოს სიყვარულის გრძნობით ეოიწონებდნენ თავს ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე ათასის ვერსზედ გადმოცვენილიყვენ ორიოდე გროშის შესაძენად და იმ ჩინებისა და ტიტულების მოსაპოებლად, ურომლისოდაც ღამე და დღე არ ეძინათ და რომლის გარეშე ვერავითარის ღირსებითა და წარჩინებით ვერ დაიკვეხნიდნენ. თორემ, თუ იგინი ადამიანები ყოფილიყვნენ, კარგად უნდა სცოდნოდათ ის, რომ დიმიტრი შვილი იყო სწორედ იმ იულონ ბატონიშვილისა რომელიც 1804-ში, რუსის ეგერებმა კინაღამ ხიშტზე ააგეს, და მერე ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში, იმ ტფილისში, რომელიც მისის გვირგვინოსანის მამის სატახტო ქალაქი იყო და რომლის დაცვისათვის თვით არა ერთხელ დაულვრია სისხლი, ისე ჩაიყვანეს თითქო უბრალო ტუსაღი ვინმე ყოფილიყოს, ქვეყნის მოღალატე და ქვეყნის სახსნელად გამართულის ომიდგან გაქცეული და დღეში როგორც უბრალო ტუსაღს სარჩენად ხუთი გროში მიუჩინეს „яко возмутителю общественнаго спокойствія“ დიაღ, ეს იმ იულონის შვილი გახლდათ, რომელსაც თავისუფლების დროს თავისის უზრდელისა და უშვერის წერილებით აწუხებდა საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ციციანოვი. „ასპიტის თესლად“ უწოდებდა და როცა ხელში ჩაიგდო იმ უშვერებამდის მივიდა რომ იულონისა და მის ძმის ფარნაოზისათვის ძალით ქურქები წამოასხმევინა: ხელმწიფის საჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქასრ როგორ უკადრისობ და იწუნებო, მეამბოხე ხარ და წყალობის ღირსი არ ხარ, მაგრამ ხელმწიფის გულმოწყალობასა და კეთილობას, ვერ ვკადრებ საკადრისად ვერ მოგექცევიო“ ეს იმ იულონის შვილი გახლდათ. რომელიც, 1804 მთავარმართებელმა ციციანოვმა ტულაში გააგზავნა მთელის თავის ოჯახობით და ამ ოჯახის წევრთა შორის დიმიტრიც ერია, მაშ ესეც ტყუილი გამოუვიდა კომისიას თითქო საქართველოში დიმიტრი თავისდღეში არ ყოფილიყოს. ის საქართველოში იყო დაბადებული; პირველი სინათლის სხივი საქართველოში იხილა მისმა თვალებმა, საქართველოს მიწ:ს შეეხო პირველად მისი ხელები, მისი გემო საქართველოს ტკბილ რძეზე იყო აღზრდილი, ხოლო თვალთა ხილვა საქართველოს ბუნების სიმშვენიერით მოხიბლული.

დიმიტრი ბატონიშვილი, არც როზენი იყო და არც ტრიტილოვიჩი, რომ ეგრეთი ამბავი მისის ოჯახისა დედის რძესთან შეწოვებული არა ჰქონდა. დიმიტრი ბატონიშვილს, როზენისა და მსგავსისაგან ტიტულების ბოძება არ ეჭირვებოდა, რადგან მისი გვარი 12 საუკუნეზედ მეტს განაგებდა საქართველოს და თვით ებრაელთა მეფის დავითისა და სოლომონის შთამომავლობად რაცხავდნენ თავს, დიმატრი ბატონიშვილს არად ეჭირვებოდა რუსის არც „დეისტვიტელნი სტატსკი“ და არც „ტაინი სოვეტნიკობა“, აბა რას შემატებდა, მე გეტყვი გრაფობა, ან ბარონობა არ შეემატებია. ეჭვი არ არის დიმიტრი გონიერი და შეგნებული კაცი იყო, გრძნობდა თავისის სამშობლოის და ქვეყნის მდგომარეობას, გრძნობდა და იცოდა თავისის სამეფო ოჯახის და თავისის სამშობლოის ერის გაბიაბრუება. ის, რომ კავკასიელ რუსის მოხელეთა წვრილმანის ლტოლვილების ყოფილიყო, კიდევაც უნდა სიამოვნებოდა, რომ მეფის გიორგის შვილებს რუსეთის მთავრობამ ტახტი წაართვა, ნიშნი უნდა ეგო მათთვის, ჰე, თუ მამა თქვენმა, მამა ჩემს დიდებულის ირაკლის ანდერძის წინააღმდეგ წაართვა მეფობა თავისის შვილებისათვის, თქვენც ხომ დაკარგეთ იმ ჟინაზედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვამბობთ, სულ სხვა ოჯახის შვილი იყო დიმიტრი. სულ სხვა ტრადიციებში იყო აღზრდილი, მას მამის სისხლი და მამის გაუპატიურება ემართა, სამშობლოს გაბახება ხმა მაღლად ითხოვდა მისგან შურისძიებას და სწორედ ამ ხმის დამჯერემ, ამ ხმით შთაგონებულმა „შეთქმულობას“ სათავე მისცა.

დიმიტრი ბატონიშვილი მეტად ენერგიულად ავრცელებდა პროპაგანდას ყმაწვილ კაცობაში*) და აძლევდა დარიგებას. ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებულ ქალალდებსაც კი ურიგებდა საიდუმლო მიწერ-მოწერის გასამართავად. ასე რომ კომისიის აზრით „პირველად, აშკარა ბოროტ-განზრახულება საქართველოში პეტერბურგს მცხოვრებ ქართველ თავ. დიმიტრის თავისუფალ და აღმაშფოთებელ სიტყვებით იწყება“ (ბატონიშვილობა როზენმა წაართვა, ესეც კი შეეხარბა ძლევა მოსილ რუსის მთავრობას).

მეორე ადგილი „შეთქმულობაში“ ეკუთვნის გიორგი მეფის შვილს ოქროპირ ბატონიშვილს ესეც დიდი მხნე მომქმედი იყო „შეთქმულობისათვის“, მაგრამ გამოძიებას ვერ აღმოუჩენია ვერავითარი კავშირი იმისა და დიმიტრის ამ ნიადაგზედ მოღვაწეობის შორის. კომისიის აზრით ეს მისი ბრალია რომ ბატონიშვილებს პირადი უკმაყოფილება ჰქონდათო. ესეც კომისიის „მაღალ გონიერებაა“ და, საზოგადოდ, დიდის გაფრთხილებით უნდა მოეკიდოს კაცმა რუსის მოხელეთაგან გავრცელებულ ამბავს ბატონიშვილების ერთმანეთთან უკმაყოფილების შესახებ. ალექსანდრე პირველისაგან საქართველოს შეერთების, სხვათა შორის, ერთ პირველ მიზეზად იმასა სთვლიან, რომ ტახტის მემკვიდრენი ერთმანეთს ეომებოდნენ და საქართველო ტახტის მაძიებელთა ბრძოლამ აწეწ-დაწეწაო. ჩვენის აზრით ეს უმეტესად რუსის მოხელეთა

---

*) ამ ყმაწვილ კაცობაში ერიენ უმთავრესი მომქმედი პირი „შეთქმულობისა“ ელიზბარ ერისთავი, მწერალი გ. ერისთავი, ვახ. ორბელიანი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული აზრია და სალახანა კნორრინგისაგან შეთხზული ლეგენდაა, რომლის აზრი ის არის, ვითომ და საქართველოს გამგეობა აღარ შეუძლიათ მეფის წულებს, რადგან ერთმანერთის დაობასა და შეცილებას უნდებიანო.

„საფუძველი უბედურებისა ჩვენისა აღშენებულ იქმნა ამასზედა, — სწერს ბატონიშვილი იულონ ერთ ერთ წერილში მთავარმართებელ ციციანოვს: რომელ ჭეშმარიტება ჩვენი და ყოვლისა საქართველოსა აზრი შეერთებული ვერ მიწევნილ იქმნა უმაღლესისა კარისადმი კნორრინგი ჩვენ ელჩებს არ უშვებდა პეტერბურგში და ამისათვის იმპერატორმა ვერ გაიგო ჭეშმარიტება, რომ **საქართველოს ერს არა სურს მეფობის მოსპობა** თვით ხელმწიფე იმპერატორი არ დაზოგეს შეაცდინეს და იძულებულ ჰყვეს ეთქვა უმაღლეს მანიფესტში ესეთი შეუფერებელი და შეუსაბამო სიტყვები, ვითომც საქართველო შეიერთა რუსეთმა იმპერიის გავრცელებისათვისა და სარგებლობისათვის კი არა არამედ იმიტომ, რომ თვით საქართველოს ერი ღაღადებით თხოულობდა მეფობის მოსპობას. **რადგან ტახტის მემკვიდრეთა შორის სუფევდა დიდი განხეთქილებაო**, არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის და ჭეშმარიტებასაა მოკლებული, ამბობს იულონ ბატონიშვილი. ეს **მტკნარი სიცრუე მოხელეებისა** და **საქართველოს მტრების მოჭორებულია.** საქართველოს არასოდეს არ მიუმართნია ღაღადით უმაღლესის ტახტისათვის, მოსპეთ მეფობაო. არც ისაა მართალი, რომ მემკვიდრეთა შორის ატეხილმა შფოთმა და შუღლმა აიძულა იმპერატორი დაემხო და გაეუქმებინა ძველადგანვე გაბრწყინებული ქრისტეანობით სამეფო, რადგან **შუღლსა და შფოთს ადგილი არა ჰქონდაო.**

მართალია თ. ციციანოვმა ბრიყვულად და სალდათურად უგო პასუხი და „надменность слога“ უკიჟინა ბატონიშვილს, მაგრამ ეს წერილი გულწრფელის და ჭეშმარიტის აღელვებით გამოწვეულია და საქმის სინამდვილეს გვიხატავს. მართლაც ეს შუღლი ბატიშვილთა შორის, თუ იყო სულ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიაღაგზედ აღმოცენდა და არა ტახტის ძიების გამო. როგორც ქართველ საზოგადოებაში ისე სამეფო სახლში „რუსომანები“ იყვნენ და რუსის მოშიშარნი. ბატონიშვილთა შორის, თითქმის ყველა ირაკლის შვილები, რუსებს უფრთხოდა და იმიტომ იყვნენ გიორგი მეფით უკმაყოფილონი, რომ ირაკლის ტრაქტატის შეცვლა მოინდომა, და სამეფოს უფლებათა დათმობაში, მეტად ადვილად დაეთანხმა რუსეთის მთავრობას. ბატონიშვილები, მისი ძმები, აფრთხილებდნენ გიორგი მეფეს და როცა არა გაუვიდათ რა, რასაკვირველია, გულზედ ჯავრი მოსდიოდათ. ან გიორგი მეფის მემკვიდრე დავით ბატონიშვილს ვინ შეეცილა, რომელი ბიძა, ან ძმა, თვით ვერ გაბედა თავის მეფედ გამოცხადება, მიუხედველად იმისა, რომ დიდებულნიც ეხვეწებოდნენ. ერთობ ნამეტანის შიშის ჭარები ჰქონდათ ყველას გამდგარი და მეტის მეტი მორჩილებით უნდოდათ განემტკიცებინათ თავისი უფლება, მაგრამ სულ სხვა მოუვიდათ.

მართალია, საერთო საქმის დროს პირადი კინკლაობა პირადის ანგარიშების გასწორება და ქიშპობა, ღმერთმა იცის რისთვის, ეს ხომ მთელი ისტორიაა საქართველოისა, რაიცა მის სიმრთელეს არ ამტკიცებს, საუბედუროდ, მაგრამ კომისსიის აზრი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილების უკმაყოფილების შესახებ, მაინც საეჭვოა. ოქროპირ ბატონიშვილი უკვე 1826 და 1827 ფილადელფოს კიკნაძე ბერსა და მასწავლებელ დოდაშვილს აგონებდა მიუცილებლობას საიდუმლო საზოგადოების შედგენისას. 1824 ოქროპირი ჩამოვიდა კავკავის წყლებზედ და იქიდან პირდაპირ თბილისში, საცა დაუახლოვდა მის მამიდაშვილებს ორბელიანებს (ალექსანდრესა და ვახტანგს) და ელიზბარ ერისთავს. მისისავე გავლენის ქვეშ ფილადელფოს კიკნაძემ შეადგინა „საიდუმლო მეგობართა კავშირის“ წესდება: ოქროპირის რჩევა ყმაწვილ კაცობის მიმართ შემდეგი იყო: ჩააგონონ ახალ გაზდობას სამშობლოისა და ბაგრატიონთა სიყვარული: მღვდლებს სთხოვონ ილოცონ ბაგრატინებზედ (ე. ი. იმის შესახებ, რომ ბაგრატიონნი დაუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ საქართველოს სამეფო ტახტს): მოაგონონ ქართველებს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რა ადვილად შეეძლოთ მეფესთან მისულიყვნენ და როგორის სისწრაფით ეღირსებოდნენ ხოლმე მართლ მსაჯულებას; ურჩიონ მათ ნუ გამიცვლიან ზნე-ჩვეულებას, რათა უფრო ადვილად ჩამოშორდნენ რუსებს; თავიანთ საიდუმლო აზრის შესახებ ორ კაცს ერთად არა უთხრან რა, თუ გინდ საკუთარი ძმები იყვნენ ეს ორნი; იძიონ მოკავშირეები იმ ახალგაზდათა შორის, რომელთაც აქვთ ნიჭი და მოხერხება შეთქმულობისა, ასეთ ყმაწვილ კაცებს ჯერ უნდა გაეცვნენ, მერე დაუმეგობრდნენ, გამოცადონ შეუძლიათ თუ არა საიდუმლოს შენახვა, შეიტყონ მათი აზრი მთავრობის შესახებ და მხოლოდ მერე გაუმჟღავნონ საიდუმლო შეთქმულობა, მაგრამ ისე, რომ ერთის მეტი არავინ იყვეს მოწმედ; ჯერ სიტყვით გაავრცელონ შეთქმულობის აზრი, ხოლო საქმე დაიწყონ, როცა თვით ოქროპირი ჩამოვა საქართველოში. ეს მოქმედება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მოახდინონ საერო აჯანყება, თავს დაესხნენ და დაიჭირონ უმთავრესი ადგილები ქალაქში, კავკავის ხეობის გზები შეჰკრან, რეგულიარული ჯარი მოაწყონ და ამ საქმის გამოწყობისათანავე დაიწყონ ბრძოლა რუსებთან. მაგრამ პარტიზანული ბრძოლა, როგორც ხედავთ, ბატონიშვილი ოქროპირი ძალიან დახელოვნებული შეთქმული ყოფილა, თეორიულად მაინც და მგონი პტრაქტიკულადაც კომისია გაოცებულია, რომ რვა კაცი ერთსა და იმავეს ამბობს ოქროპირზედ, გვაგულიანებდა და აჯანყების გვაგონებდა, მაგრამ არცერთს მათგანს არ გაუგონია და არ გაუგია, თუ რას ელაპარაკებოდა ოქროპირი მეორეს. 1830 წლის ივნისში ოქროპირი დაბრუნდა პეტერბურგში უმთავრესი პირნი კი, რომელთაც ჩააგონა მოქმედება: ელიზრ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი (ბატონიშვილის თეკლეს შვილი ირაკლი მეფის შვილის შვილი) და დოდაევი ჩუმად იყვნენ და არაფერ საქმეს არ იწყებდნენ. ერთმანერთსაც კი არ იცნობდნენ. ხოლო წლის დამლევს, როცა პოლონეთის აჯანყ-ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესახებ ხმა გავრცელდა, შეთქმულთ გაეღვიძათ სურვილი მოქმედებისა. ელიზბარ ერისთავი დაუახლოვდა თ. ვახ. ორბელიანს, ცნობილს პოეტს, შვილს ბატონიშვილის თეკლესას (ეს თეკლე ირაკლის ქალი იყო). თ. ვახ. ორბელიანი, მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო ესე 20-ის წლისა. ელიზბარ ერისთავმა შეიტყო ვახტანგისაგან, რომ მისი ძმა ალექსანდრეც შეთქმულობის მონაწილეა, ერთად დოდაევს შეატყობინეს საიდუმლო აზრი და ბარათები ოქროპირ ბატონიშვილისაგან მიღებული და თანაც შეუდგნენ პროპაგანდის საქმეს. ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი ძმა პოეტისა, ყველაზედ უფრო გატაცებული პროპაგანდისტები იყვნენ საზოგადოდ ერისთვები სული და გული იყვნენ შეთქმულობისა კაცს ასე გგონია თავის წინაპართა სამშობლოისა და მეფის მიმართ საზიზღარი ღალ-ტი შეიგნეს და თავისი სისხლით უნდათ გამოიყიდონ მამათა დანაშაულიო. თვით ელიზბარ ერისთავი შვილი იყო იმ შანშე ერისთავისა და ძმისწული იმ მიხაილ და თორნიკე და ელიზბარ ერისთავებისა, რომლებმაც იულონ ბატონიშვილის დატუსაღებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს. მთიულეთის აჯანყება ჩააქვრეს და დაუფასებელი ღვაწლით აღბეჭდეს თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობის წინაშე. რომ ერისთვიანი არა, რუსეთის მთავრობას ძლიან გაუჭირდებოდა საქმე და მთაში აღგზნებული ცეცხლი მთელს საქართველოს მოედებოდა და რუსეთის ჯარების ბედი ბეწვზედ ეკიდა. მთავარ მართებელი ციციანოვი ასეთს ატესტაციას უკეთებდა 1804-ში იმპერატორის წინაშე ერისთვიანთ „ერისთვიანი იმდენადვე ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემიძლიან თავი მოვიწონო ჩემის ერთგულებითაო... ანკი რა მოსაფიქრებელია ერისთვიაით გულში ღალატმა დაიბუდოს... ერისთავიანი ერთად ერთი გვარია, რომელსაც ისევე ვენდობი, როგორც რუსებსაო“ (იხ. მშვენიერი მონოგრაფია ბ. ალ. ყიფშიძისა „მთიულეთი“) რა ბრაზი მოვუვიდოდა თ. ციციანოვს, რომ 1832-ში საფლავიდგან წამომდგარიყო და დაენახა, გორის მაზრის მარშალის, პოლკოვნიკის შანშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერისთავის შვილი მთელს „შეთქმულობას“ ადგენს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, იმ შანშეს შვილი, რომელსაც ისე ელაქუცებოდა და მთელის საქართველოს ბედ იღბალს აბარებდა იმ მიხეილ და ელიზბარის შვილები რომელთაც ქართლი, ლიახვისა და არაგვის ხეობა ჰქონდათ ჩაბარებული საშინელს დროს მთის აღელვებისა. როზენი ერის თავიანთ აღელვებას თავისებურად, „მოხელურად“ ხსნის ოსეთი რომ ჩამოვართვით იმაზედ არიან ერისთვიანნი გაცხარებულნიო, მაგრამ ესეც კარგი ჯილდო იყო ერისთვიანთ ერთგულებისათვის.

დოდაევი უფრო ხერხიანად იქცეოდა, იგი უფრო ეგრედ წოდებულ „ინტილეკტუალურ“ დამნაშავეს წარმოადგენდა, ე. ი. აზრით ეხმარებოდა. პროპაგანდას ისე არ მისდევდა, როგორც ჩააგონებდა შეთქმულს სხვა და სხვა ამაღელვებელ აზრებს. აქეზებდა და რჩევას აძლევდა მანვე იკისრა ქართულის გაზეთის გამოცემა, რომლის მიზანი იქმნებოდა (ეს გაზეთი მხოლოდ 1832 გამოვიდა ხუთი ნომერი) ქართველებისათვის თავისი უნუგეშო ყოფა მდგომარეობის მცნება, მოამზადა ხალხისადმი მიმართული ამაღელვებელი პროკლამაცია და როგორც კომისიის მოხსენება ამბობს: „საზოგადოდ არჩევდა იმ გვარს მოქმედებასა, რომელიც მისს სამეცნიერო წოდებას უფრო შეეფერებოდა“.*)

---

*) აქტებში მოყვანილია ამგვარი ამღგზნებელი ნაწერები ლოღიკისა:

მალოცვა დოდაშვილისა ბაგრატიონიშვილის ბაგრატის მცირეწლოვანს შვილს დავითს:

„უუკეთილშობილესი სისხლი შენი განვლის ღირსების ყველა ხარისხს, თუ სარწმუნოების კეთილს წესებს დაიცავ და ერთგულადა და ყურადღებით შეასრულებ ყოველსავე იმას, რასაც აღმზრდელი გასწავლის.

„მიჰხედე შენს მოსახელე დავითს, რომელიც უწინ ხალხთან იყო და ახლა-კი ღმერთთან არის, მასავით მტკიცეთ დაიცევ სარწმუნოების კანონი, რომ მოგეცეს ძალი და შეიმოსო იგი.

„ისმინე ღვთისა, რომ განგიახლდეს წარსული იგი სიხარული და ნათელი და იდიდო ისევ დღესა მას შენსა; რომ გლოვა და ურვა სიხარულათ შეგეცვალოს, ხოლო ბნელი ივერიისა სინათლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატანეს, მულლაზამანს (25 წლისა), პასუხად ის მიიღეს, რომ ბატონიშვილი მოხუცებულია და თანაც სასოწარკვეთილია და არა სწამს რა ქართველებისა და ამიტომაც უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზედ. ალექსანდრე ბატონიშვილის საქმეში ჩარევა კი ჰგავს დიდ საჭიროდ მიაჩნდათ შეთქმულებს, რადგან კინალამ ბატონიშვილის იულონ ირაკლის ძის ქალი თამარი (და დიმიტრი ბატონიშვილისა) არ გაუგზავნეს მასთან მოსალაპარაკებლად. თამარ ბატონიშვილი უნდა წასულიყო ვითომ და იერუსალიმში სალოცავად და საზღვარზედ უნდა ენახა ალექსანდრე, მაგრამ შეეშინა ეჭვი არ აიღოსო მთავრობამ და თავი დაანება.

თამართან ხშირად იკრიბებოდნენ შეთქმული ყმაწვილ კაცობა და ჰქონდათ მსჯელობა აჯანყების შესახებ. მაგრამ ყველაზედ უფრო ხშირად იკრიბებოდნენ ბატონიშვილის თეკლეს შვილ ალექსანდრე ორბელიანთან. აქ ხშირად სადილზედ, როგორც მოგვითხრობს აქტები, „სადილს შემდეგ, ღვინით შეხურებულნი და აჯანყების მოთავეთაგან აღელვებულნი, განსაკუთრებით-კი ელიზბარისაგან, ჰსვამდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის და პირდაპირ ჰმსჯელობდნენ, რომ აჯანყებაც ამა და ამ რიგად უთუოდ საჭიროაო.“ შეთქმულნი საქმეს დიდად სერიოზულად უყურებდნენ. პროპაგანდას დიდის ენერგიით ეკიდებოდნენ, არ ავიწყდებოდათ ისიც, რომ სხვა მხარეებიც შემოეერთებინაო. მაგალითად, გიორგი ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი გაეცნო, ვიღაც, იმერელ აზნაურ ლორთქიფანიძეს, შეატყობინეს მას თავისი განზრახვა, დაუწერეს მთელი გეგმა მოქმედებისა და დაავალეს იმერეთში მოეძებნა მათთვის თანამგრძნობნი: „მაგრამ ლორთქიფანიძემ რამდენიმე ფული გამოართვა და მოატყუა აღარავინ თვალით აღარ უნახავს“.

შეთქმულთ მხედრობასაც მიმართეს განუზიარეს განზრახვა ოფიცრებს ნათალოვს, ჯორჯაძეს, მამაცაშვილს და წერეთელსამათის შემწეობით კაზარმებში უნდა შესულიყვნენ ქართველები, გამოეტანათ იარაღი და ჩაეგონებინათ ჯარის კაცებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მიმხრობდნენ. შეთქმულნი სცდილობდნენ ყოველივე შემთხვევა თავისს სასარგებლოდ გამოეყენებინათ. იმ დროს გუბერნატორის ზავილეისკის ნებადართვით თბილიში ჭიდაობა იმართებოდა შეთქმულთ სურდათ ჭიდაობის დროს აღელვებული, ხალხით დაეწყოთ ამბოხება. აგრეთვე არბოში (ქართლში) დღეობაზედ წავიდნენ შეთქმულნი (ელიზ. ერ. და მამუკა ორბელ.) და აქ შეკრებილ თ. აზნაურობას განუცხადეს თავიანთი აზრი და ისინიც სიამოვნებით მიემხრენ. საუბედუროდ აქტები არ ასახელებენ ამ პირთ, ეს კი ჩვენთვის საჭირო იყო იმის გასაგებად, თუ ვინ ემხრობოდა შეთქმულობას და რამდენად ღრმად იყო შეთქმულობის ფესვები გადგმული ქართველს თ. აზნაურობაში.

თანაც შეთქმულნი ავრცელებდნენ ხმას, რომ სპარსეთი რუსეთს ომს უცხადებსო. ეს საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველებზედ, და ამ გავლენას ემატებოდა აღმგზნებელი ამბები პოლონეთის აჯანყებისა. ხოლო როცა ვარშავის აჯანყება დაამარცხა მთავრობამ შეთქმულნიც დასცხრენ და ამგვარად 1831 წელში აჯანყება ვერ მოხდა, ის კი არა, შეთქმულობა შესუსტდა. თუმც მეთაურნი არ იტეხდენ გულს და პროპაგანდის საქმეს წინანდებურად მისდევდნენ.

ამავე დროს შეთქმულობა ლიტერატურულ სახეს ღებულობს „обшество принимаетъ нѣкоторый видъ литературный“ როგორც აქტები ამბობენ. ახალ შეძენილ წევრთა შორისაც უფრო მწერალნი და მასწავლებლები სჭარბობენ, ანუ აქტების სიტყვით „вновь поступившіе члены были болѣе званія ученаго“ ესენი იყვნენ: მასწავლებელი ავთანდილოვი (გიმნაზიის მასწავლებელი 21 წლისა) და ყიფიანი დ. ივ. უკანასკნელი გმირი ამ ეპოპეიისა, რომელმაც იმავე დიდის საქმისათვის გასწირა მაინც სიცოცხლე, მთარგმნელი მამაცა შვილი იოსები (23 წლისა), მწერალი რაზმაძე, რომელიც მსახურებდა რუსეთის ელჩთან სპარსეთში გრ. სიმნიჩთან მათ მიემატა კიდევ ახლად პეტერბურგიდან მოსული პრაპორშჩიკი დიმ. ერისთავი ელიზბარის ძმა და ლეიბგუსარი გ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზედაც კომისსია ამბობს, ამას ჩვენ მოაიხსენიებთ მხოლოდ ლეიბ-გუსარადო, რადგან, ეს „названіе самое приличное его нраву“ ამ სიტყვებით კომისსია, რომელიც მარტო მხედრობის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა ვითომ და ლიბერალობს, მაგრამ საქმიდან არა სჩანს, რაში გამოიხატა ამ გიორგი ერისთავის (არა პოეტის) „ლეიბ-გუსარობა,“ თუ მარტო იმაში, რომ შეთქმულობაში მიიღო მონაწილეობა ეს მგონი არ შეადგენს „ლეიბ-გუსარობის“ განსაკუთრებულ თვისებას.

ეს ერისთვები ოქროპირისაგან განსწავლული იყვნენ დიმიტრის კი უფრო გარკვეული დარიგება მისცეთ ბატონიშვილმა და საიდუმლო მიწერ მოწერაც ჰქონდათ გამართული ერთმანერთში. 1832 წლის გაზაფხულზედ გიორგი ერისთავი (პოეტი) კახეთში გაემგზავრა შემთხვევით და აქ გაიცნო ფილადელფოს კიკნაძე ბერი (იმერელი 40 წლისა), რომელიც ბავშვობითგანვე ქართლში იყო წაყვანილი (7 წლ.) ნამყოფი მოსკოვსა და ნოვგოროდში. სწორედ მოსკოვში ყოფნის დროს 1826 და 1827 იმას ჰქონდა სერიოზული მოლაპარაკება ოქროპირ ბატონიშვილთან საქართველოს საქმეების შესახებ. ფილადელფოსი დაუახლოვდა გიორგი ერისთავს. ასწავლა საიდუმლო ანბანი, მისგანვე გამოგონილი და რაკი გაიგო გიორგისაგან, რომ ეკუთვნის ახალგაზდობის სალიტერატურო წრეს, რომელსაც ქართულის სიტყვიერების განვითარება აქვს აზრად, წინადადება მისცა: წერილობით დარიგებას მოგცემ და ერთგვარ წესდებას, რათა უფრო მარჯვედ წაიყვანო საქმეები. და მაშინ გარდასცა გიორგის წესდება „ფარულის და განუწყვეტელის მეგობრობისა“ საუბედუროდ ჩვენ არავითარი შეძლება არა გვაქვს გავიგოთ რა შინაარსის იყო ეს წესდება. უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ კომისსიის დახასიათებიდან, რომლიდანაც დაინახავთ, რომ ეს შრომა სერიოზულსა და საფუძვლიანს რასმე წარმოადგენდა.

„მისტიური ესენაწარმოები, — ამბობს კომისსია როგორც სჩანს ყველაფრიდან მასსონებისა ან სხვა რამ საიდუმლო სა-

ზოგადოებათა წესდებებიდამ არის აღებული და ნათლად ეტყობა წარმომდგარია უფრო განათლებულ წყაროიდამ, ვიდრე ეს მიეწერება ფილადელფოსს (კომისიას ეჭვი ოქროპირ ბატონიშვილზედ აქვს) აქტით განზრახულია პირდაპირ საიდუმლო, მტკიცე კავშირის შედგენა რომლის-წევრნიც აღთქმითა და ფიცით უნდა იყვნენ ერთმანერთთან შეკრულნი, მაგრამ თითქმის არ იცნობდნენ ერთმანერთსა. წევრნი იქნებიან დამოკიდებულნი თავიანთ უმაღლეს ხელმძღვანელთაგან, განსაკუთრებით კი იმ პირველ უცნობ ავტორისაგან, რომელსაც საკუთარ სურვილისა და მოსაზრებისამებრ შეეძლება მათი წინამძღოლობა კილო აქტისა სრულიად მისტიურია, მაღალი და ბუნდოვანია; გარეგანი აზრი. კი კეთილზნეობრივი და ღვთის მოყვარულია, მაგრამ არსებითად მეტად მავნე განზრახვისაა და თვისებითაც თავისს დროზედ დიდი ვნების მოტანა შეუძლიან განსაკუთრებით იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ (ქართველებს) დაფარულობისადმი ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ და ყველაფერს ადვილად იჯერებენ.“

როგორც გამოძიებიდან სჩანს ეს აქტი უნდა შეედგინოს ფილადელფოსს ბერს, მეორე ვინმე ბერის პორფირის ზედგავლენის ქვეშ. ეს ბერი ბატონიშვილებს ახლდა ხოლმე რუსეთში, ხოლო 1830 ის დამდეგში ოქროპირთან იყო თბილისში და აქ ენახა ფილადელფოსი, რომლისთვისაც გადაეცა რაღაც რვეულები და ვითომ ეს რვეულები უნდა გამხდარიყოს ფილადელფოსის საიდუმლო საზოგადოების წესდების წყაროდ.

დაბრუნდა თუ არა გიორგი კახეთიდან, ელიზბარ ერისთავმა გაუკეთა გამოსათხოვარი სადილი რაზმაძეს, რომელიც სპარსეთში უნდა გაჰყოლოდა გრ. სიმონიჩს. ამ სადილზედ ჩვეულებრივათ აღმგზნებული სიტყვები იქმნა წარმოთქმული მომეტებული ნაწილი მონაწილეთა მსჯელობდა აღმაშფოთებლად, ჰსვამდა საქართველოს განთავისუფლებისა და თავ. დიმიტრი გრუზინსკის სადღეგრძელოსა. თანაც რაზმაძესთან მოლაპარაკება გამართეს: სპარსეთში მოილაპარაკე ჩვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეების შესახებ და ალექსანდრე ბატონიშვილი მოიხმარე ამ საქმეშიო. ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილს კი მისწერა ალ. ორბელიანმა გაგზავნა თავისი მოძღვარი ტალიაშვილი თავრიზში რაზმაძესთან და აგრეთვე ინგლისის კონსულთან მოსალაპარაკებლად. საუბედუროდ აქტების შემწეობით ვერ გამოგვირკვევია ჰქონდა რაიმე სერიოზული ხასიათი უცხოელ ელჩებთან მოლაპარაკებას თუ არა. ეს კი უეჭველია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში ტყუილა არ იჯდა და მარჯვე დროს იძიებდა და ყოველივე ღონეს ხმაროობდა რუსეთის მთავრობისათვის დაეკლო რამე. ალექსანდრე ბატონიშვილი გულითად მონაწილეობას ღებულობდა კახეთის აღელვებაში 1802 წ. მთიულეთის ამბოხებაში 1804 წელში.

აქტებში მოთავსებულია სხვათა შორის ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი ალექ. ბატონიშვილის ცხოვრებიდან: საქმე ის გახლავსთ, რომ ალექსანდრე სპარსეთში იყო გახიზნული, ხოლო მისი ცოლი და ერთად ერთი ვაჟი ერეკლეთი ერივანში იმალებოდა თავის მამასთან, მელიქ-სააკ-ალმალოვთან, და დღითი დღე ემზადებოდა თავრიზში თავის ქმართან წასვლას. ბარონ როზენსა უსათუოდ უხერხულად, მიუჩნევია ეს სურვილი ბატონიშვილის მეუღლისა და უცნობებია თავისი აზრი პეტერბურგში. ამის პასუხად აი რა მოუვიდა: ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და სრულიად საფუძველიანადა სცნო თქვენი აზრი ბატ-შვ. ალექსანდრეს მეუღლისა და შვილის შესახებ, მაგრამ **უზრდელობად** სთვლის ამ შემთხვევაში ძალის ხმარებასა, რათა აღნიშნული ბატონიშვილის ცოლი რუსეთის საზღვრებში ძალით იქმნეს დატოვებული, თუ კი რომ თავის კანონიერ ქმართან წასვლას მოინდომებდა.—ხოლო თუ ისე სიტყვით ჩააგონებდა როზენი, მთავრობა ამის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არ იქნებოდა ბარონ-ზენი ამ წინადადებას ამგვარად ამახინჯებს: ისა სწერს ერივანში თავისს მოხელეს ბებუთოვს: „კეთილ ინება ხ. იმპ., რომ ძე ბატონიშვილის ალექსანდრესი მცირე წლოვანი ერეკლე, ს. პეტერბურგში იქმნეს გაგზა-

ვნილი, რათა შთამომავლობის შესაფერი განათლება სახელმწიფო ხარჯზედ მიიღოს იქა ადევნეთ მხოლოდ სასტიკად თვალ-ყური, რომ დედა მისი (ე. ი. ბატონიშვილის ცოლი) არ გაიქცეს, რაც მოენდობა თქვენს პასუხის მგებლობასა“ თქვენ ჰხედავთ, რომ უმაღლესი ბრძანება ძალიან შორს არის ამ პირუტყულ წინადადებაზედ, მაგრამ როზენმა ამგვარად მოისურვა უმაღლესის სურვილის აღსრულება და კიდევაც მიაღწია მიზანს: სწორედ ძალ-მომრეობა იხმარა და ისე გაგზავნა დედოფალი თავისი შვილით პეტერბურგში. თორემ ბებუთოვმა ასე მოსწერა, თქვენი წინადადება, რომ განუცხადე დედოფალს, აღშფოთებულმა და გაბრაზებულმა გამოაცხადა, რომ თვითონვე დაჰკლავს საკუთარ შვილს ხანჯლით, თუ რომ ძალით წამართმევენო. ჯერ თბილისში გაგზავნეს ძალით და მის მაგიერ მისწერეს წერილი ბ. შვ. ალექსანდრეს. ეს წერილი აღსავსეა მთავარმართებლის ქებითა და მადლობით: „რამდენადაც ვხედავ, მთავარმართებელს ყველასთვის სიკეთე ჰსურს“ ურჩევს კიდევაც: „ნახე მთავარმართებელი, იმედია თავისის **გულკეთილობით** ეცდება ღთუოდ თქვენც შეგისრულოთ წადილი“. მაგრამ მთელი ეს ყალბი წერილი უცნაურის შენიშვნით თავდება რომელიც მისი სიყალბის უეჭველი დამამტკიცებელია: „მე თვით მინდოდა ჩემის ხელით მომეწერა, მაგრამ აზრი ვერ მოვიკრიბე ისე, რომ თქვენი საკადრისი ბარათი მომეწერა და ამიტომ ისეთ კაცს მივანდევი ამ წერილის დაწერა, რომელიც ძმად მიმაჩნიაო, ალექსანდრე ბატონიშვილი კარგად მიხვდებოდა, რომელმა „ძმამ“ დაუწერა ეს წერილი მეფის რძალს თბილისიდან პეტერბურგში გააქანეს ამნაირად დატანჯული ქალი და თანაც დაუმატეს, რომ ჩივაგონეთ და თვით მოისურვაო. ეს ეპიზოდი საინტერესოა მით, რომ მთავრობა დიდის სიფრთხილით და ეჭვით ეკიდებოდა მეფის წულებს და კიდევ უფრო მით, რომ მშვენიერი სურათია იმისი თუ პეტერბურგიდან თბილისამდე რამდენზედ დამახინჯებული ჩამოდის ხოლმე ბრძანება და წინადადება. ჩვენ რა თქმა უნდა იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიტყვით, რომ მაინცა და მაინც არსებითი განსხვავება იყოს „პეტერბურგისა“ და „ტფილისის“ კანცელარიათა მიმართულების შორის, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ რუსეთში მბრძანებელი და ბრძანების აღმასრულებელი უმაღლესი და უდაბლესი მოხელეებია და მთელი ქვეყანა ამ „მოხელეთა“ კაპრიზების ანაპარად არის დაგდებული.

ჩვენ იქ შევჩერდით, საცა მოგახსენებდით ვერ გამოვირკვიეთ, მეთქი, აქტების საშუალებით რაგვარი დამოკიდებულება არსებობდა შეთქმულთა და უცხოელ საელჩოთა შორის, წარმოიდგინეთ აქტებში მოხსენებულია ვიღაც ბალა მამედი ალექსანდრე ბატონიშვილის რწმუნებული პირი. ეს ბალა მამედი ალექსანდრე ორბელიანს ნახულობდა ხოლმე მის ამბებს უამბობდა და სხვათა შორის უკანასკნელად ისიც კი უთხრა, რომ ბატონიშვილს ეგვიპტის ფაშიდან კაცები მოუვიდაო, და ამის შემდეგ გამაგზავნა მე დაღესტანში იქაურ ერთ უფროსებთან და რომ ეხლა მიგვაქვსო წერილები მათგან ბატონიშვილთან. თქმა არ უნდა ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებულ ლეკებს აქეზებდა, მაგრამ ეგვიპტის ფაშა რა შუაშია არ ვიცით ეგვიპტის ფაშა თვით განსაცდელში იყო და მაგისთანა კაცების მომხრეობით შორს ვერ წავიდოდნენ.

ქართველი შეთქმულები კი არათუ ლეკებთან დაახლოებას არა სცდილობდნენ დრო გამოშვებით მათთან საომრად მიდიოდნენ (მაგ. პოეტი გ. ერისთავი და სხვანი). სასაცილო იყო ამგვარი მოქმედება. რუსებს ეომებოდნენ და ამ დროს რუსებს ეხმარებოდნენ მათ მტრების წინააღმდეგ, ძველის ანგარიშების გასასწორებლად უთოოდ, მაგრამ, რომ ეს პოლიტიკურ გონიერებას მოკლებული იყო ამას მგონია ვერავინა ჰყოფს უარს.

1832 წლის აგვისტოში შეთქმულების დროებით მიუჩებულმა საქმემ ხელ ახლად ფრთები შეისხა. ელიზბარ ერისთავი დოდაევი და ალექსანდრე ორბელიანი, „მედანოსე“ ევსევი ფალავანდოვის წაქეზებით გაცხარებულ მუშაობას შეუდგნენ განსაკუთრებითის გატაცებით როგორც ყოველთვის ისე ეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც ელიზბარ ერისთავი მოეკიდა საქმეს. დაიწყეს ნადიბების გამართვა, რომელზედაც თავბრუ დამხვეკის სიტყვებით აქეზებდნენ ერთმანერთს და ერთხელ ვახშამზედ თ. აფხაზისას საქმე იქამდე მივიდა გარდასწყვიტეს ამოირჩიონ მეთაური (ელ. ერისთავი, როგორც სჩანს) და დაუყოვნებლივ მოახდინონ აჯანყება.

„ამ უგუნურ აზრების გავრცელება--გამწვავებას ხელს უწყობდნენ მაშინდელი გარემოებებიც საქართველოში", უმეტესი ნაწილი ჯარებისა ლეკების წინააღმდეგ იყო ამხედრებული დაღესტანში. ლეკები დაეცნენ კახეთს და შიშის ზარი დასცეს არა თუ კახელებს თბილისელებსაც თანაც რუსეთის გამარჯვების მაგიერ დამარცხების ამბები მოდიოდა. ამასთანავე გავრცელდა ხმა, რომ ეგვიპტის ფაშა აპირებსო რუსეთის სამზღვრებზედ მოიტანოს იერიშიო და ამაების მიზეზით ამბობს კომისსია „მხურვალე მონაწილეთ მოინდომეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ თავიანთ განზრახვის შესრულებას." შეთქმულთა რიცხვიც მატულობდა. მათ მოემატა თ. ჩოლაყაშვილი, შვილი ბატონიშვილის რიფსიმესი (გიორგი XII ქალის) ანუ „сдѣлался аружнымъ ихъ сообщникомъ" (აქტების სიტყვით, და თ. დიმიტრი ორბელიანი (ძმა პოეტისა, თეკლე ბატონიშვილის შვილი) რომელიც უკვე პეტერბურგში იყო მომზადებული ბატონიშვილებისაგან. 1832.-წელი თითქმის მიწურულში იყო. შეთქმულთ გარდაწყვეტილი ჰქონდათ ამ წელიწადში მოეხდინათ აჯანყება თ. ლუარსაბ ორბელიანის რჩევით აჯანყება უნდა მოეხდინათ სათ-აზნაურო კრების დროს ე. ი. 20 ნოემბერს ამ დროისათვის გაცხარებული მზადება იყო. იკრიბებოდნენ ალექსანდრე და ლუარსაბ ორბელიანისას და აგრეთვე თვით ევსევი ფალავანდიშვილისას, მისის ძმის გუბერნატორის სახლში (გუბერნატორი თბილისში არ იყო). აქ გარდასწყვიტეს სხვათა შორის, მოეკლათ თ.-აზნ. წინამძღოლი შუხრანსკი, რომელიც ცნობილი იყო თავისის დიდის ერთგულობით რუსეთის მთავრობისადმი, აქტებით ხსნიან ვითომ ელიზბარ და დიმიტრი ერისთავი გვარეულაო ემტერებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანსკის და აგრეთვე მოეკლათ გუბერნატორი ფალავანდოვი, თუ ვინაიკობაა წინააღმდეგობას გაუწევდნენ შეთქმულთ იასე ფალავანდოვმა თვით იკისრა თავისის ძმის მოკვლა.

საქმე გარდაწყვეტილი იყო იმ ზომამდის, რომ „ბუნტის“ დაწყების წეს-რიგიც კი აღნუსხული იყო დაწვრილებით ეს წესრიგი შედგენილი იყო დიმიტრი ერისთავისა და იასე ფალავანდოვისაგან და როცა დიმიტრიმ ის დაწვა, იასე ფალავანდოვმა ხელ-ახლად შეადგინა. განცვიფრებული ხარკაცი იასე ფალავანდოვის მოქმედებით, ეს ადამიანი, რომელიც ძმის მოკვლასაც კი კისრულობდა პირველი „მედანოსე“ შეიქმნა, მაგრამ თავის ერთგულობას შეთქმულთა მიმართ ასე ხსნის, რომ უნდოდა შეთქმულთა გული მოეგო, მათი საიდუმლო სავსებით გაეგო და მერე „დანოსი“ გამოეჩარხა, თუ ეს ნამდვილია, საზიზღარის დაცემულების და განხრწნის მაგალითია. რა გვარი იყო ზემოხსენებული წეს-რიგი „ბუნტის“ დაწყებისა? ამასაც ბუნდოვნად ისევე აქტები გვიხსნიან:

„აჯანყების პირველ ღამის განკარგულებაში“ მოთავსებული იყო დაწვრილებითი განწესრიგება შეთქმულობის მონაწილეთა, როგორ უნდა დასხმოდნენ თავსა (რამდენიმე არა მონაწილეც იყო შეტანილი, რომელთა იმედიც ისე, როგორღაც უმიზეზოდა ჰქონდათ). მონაწილენი შეგულიანებულისა და შეიარაღებულის ხალხით დაეცემოდნენ ქალაქის უმთავრესს ადგილებს, განსაკუთრებით კი ხაზინას, თოფხანასა და მაღაზიებს (რასაკვირველია სამხედრო მაღაზიებს). აღნიშნული ხალხი განზრახული იყო შეეკრიბათ ასე: ყველა შეთქმულს თავადს უნდა შეეგულიანებინა და მოეყვანა თან რამდენიმე საკუთარი გლეხი; ამიტომაც შეადგინეს ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანმა სია თვითეულ მონაწილის ადგილ-მამულის რაოდენობის მიხედვით; მაგრამ არა სჩანს, რომ შეესრულებინა ვისმე ეს განკარგულება, ბევრმა კი სრულიადაც არა იცოდა-რა მისი). გარდა ამისა, განზრახული იყო განკარგულებით, აჯანყებისათვის დანიშნულ დღისთვის შეეგულიანებინათ, რამდენიც კი მოხერხდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონელი და სამსახურიდან დათხოვნილი ჯარის-კაცი, რომ ხალხში ხმა გაევრცელებინათ, ქართველებიდან ჯარის გაყვანაა ნაბრძანები და ამიტომ ჯანყდებიან თავადებიო. გაემართათ თავად-აზნაურობის სახელით ბალი, რომელზედაც უნდა მოეწვიათ ყველა უმაღლესი მოხელენი, განსაკუთრებით რუსები; დანიშნულს დროს ყველა რუსი ამოეწყვიტათ, აგრეთვე ის ქართველები, რომლებიც მათ მხარს დაუჭერდნენ; მერე დაერეკათ ზარები, დაეყენებინათ ხალხი ფეხზედ, გამოესვენებინად ეკლესიიდან ხატები და საქართველოს განსათავისუფლებლად ხალხი აეჯანყებინათ. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა პირველხნობაზე, დაეხოცათ ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო ეს მოწინააღმდეგე".

საქმემ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. დადგა ხანა მოქმედებისა. მაგრამ დადგა ხანა გაუბედავთა შეჩერებისაც; ხოლო გაბედულნი და თავგანწირულნი თან-და-თან უფრო აღტაცებიო ეკიდებოდნენ საქმეს. ყიფიანი (დიმიტრი) ავთანდილოვი და მწერალი მამაცოვი ცოტა არ იყო დაფრთხნენ რაკი შეთქმულნი ასეთს მძიმე საქმეს კისრულობდენ, საქმე საშინელის სისხლის ღვრით უნდა დაწყებულიყო ესენი წინააღუდგნენ შეთქმულთ და მერმე მთლად ჩამოშორდნენ. ელიზბარ ერისთავმა და „გუსარმა" ერისთავმა (უთუოდ ამიტომ უძახის კომისსია „გუსარს") კიდევაც შეადგინეს პროექტი განთავისუფლებულის საქართველოს დროებით მმართველობისა. „не менѣе безумный" ალექსანდრე ორბელიანი კი მულლა ზამანს ავალებდა თათრები გვიშოვეო, ხოლო იასე ფალავანდოვი-კი კინტოების მომხრობას სცდილობდა.

თამარ ბატონიშვილი (იულონის ქალი) იმდენზედ გატაცებული იყო, რო თვით განაცხადა სურვილი „ბუნტში" მონაწილეობის მიღებისა და დასთანხმდა დროებით მმართველობაზედ, ვიდრე ბატონიშვილები ჩამოვიდნენ. „ბუნტის" დაწყების დღე გარკვეულად არ იყო აღნიშნული. „ბუნტი" უნდა მომხდარიყო სათ. აზნ. მორიგი კრების დაწყების თანავე. კრება კი დეკემბრამდის გადიდვა. ნოემბრის გასულს თ. აზნ. ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრიბა თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომელსაც შეატყობინა მისმა ცოლისძმამ ლუარსაბ ორბელიანმა, გამოუცხადა შეთქმულნი აჯანყებას აპირებენო. ალექსანდრე ჭავჭავაძე შეშინდა, დაიბარა ჩოლაყაშვილი და ურჩია ჩაეგონებინა შეთქმულთათვის. რომ ყოვლად უნიადაგოა და უაზრო აჯანყების მოხდენა ჩოლაყაშვილმა და ლუარსაბ ორბელიანმა გამოუცხადეს ეს შეთქმულთა მეთაურთ, „И всѣ положили оставить свои замыслы". ალექსანდრე ორბელიანს ბორჩალოდან ამბავები მოუვიდა, მაგრამ მოციქულები უკან დააბრუნა ალარა ხართ საჭირო. ბორჩალოში ხმა გავრცელებულიყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ალექსანდრე ორბელიანთან მიწერ მოწერა აქვს გამართულიო. ალექს. ორბელიანი ძალიან შეაშინა ამ ხმებმა და დახია ყოველივე ქაღალდები რაც კი ჰქონდა (დოდაევის პრაკლამაციები და სხვ.) და წავიდა ასე ფალავანდიშვილთან მოსალაპარაკებლად. რამდენიმე დღის შემდეგ „დაასმინა ფალავანდოვმა და 11 დეკემბერს შემდეგ დაიწყეს პირველად დაპატიმრება შეთქმულობის მონაწილეთა."

„მოისპო ამ რიგად ბატონიშვილების დიმიტრისა და ოქროპირის ჩაგონებით დაწყებული ბოროტ-განზრახულება." როგორც ამბობს აქტები.

რომ თქვას კაცმა შესაძლებელ შედეგთა შორის ეს ასეთი დამთავრება საუკეთესო იყო. შეთქმულობას არა ჰქონდა არც ისეთი ძალა, არც მოხერხება და არც ღონე, რომ რაიმე თვალსაჩინო სასარგებლო შედეგი მოჰყოლოდა. თქმა არ უნდა მისი საფუძველი ღრმა იყო, თქმა არ უნდა დაწყება და ზოგიერთი ღონისძიება სწორედ რიგიანი იყო, თქმა არ უნდა იმასაც, რომ კომისსიას კარგად ვერ გამოურკვევია საქმე, მაგრამ ყოველივე ამას გარდა საქმის დამწყეთ არ დაუყენებიათ ისეთ საღ ნიადაგზე შეთქმულობა, რომ რაიმე მოეტანოს, და ეს არა თუ იმიტომ, რომ არ უნდოდათ არამედ იმიტომ, რომ არ იყვნენ საკმაოდ განსწავლულნი და გამოცდილნი. მეტად გამოცდილი, როგორცა სჩანს ბატონიშვილები იყო დიმიტრი და ოქროპირი, მათ სერიოზულადაც ესმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ საქმე, ეჭვი არ არის პეტერბურგში მათ ბევრი უშრომიათ და უცდიათ შეთქმულობის საქმის შესასწავლად, მაგრამ მათი ახალ გაზრდა მომხრეები, მეტად გამოუცდელნი იყვნენ სასაცილო იყო იმისი ფიქრი, რომ მარტო თ. აზნ. შესძლებდეს ასეთი საქმის აღსრულება, მარტო თავისის ძალით თუ გინდ მთელი თ. აზნ. in corpore ამ საქმის მომხრე ყოფილიყო. ხოლო ხალხში კი არ მოქმედებდნენ ისე კილოკავად თუ გადაკვრით ლაპარაკობდნენ რასმე, თორემ კომისიის გამოძიებიდან მაინც არა სჩანს, რომ სერიოზული ყურადღება მიექციათ ხალხისათვის. მართალია შეთქმულთ უმთავრესად იმის იმედი ჰქონდათ, რომ თავადები თავისს ყმების ჯარებს ჩამოიყვანენო, მაგრამ ეს ქაღალდზე ჰქონდათ დაწერილი, კიდევაც გააწერეს სხვა და სხვა პირს ამდენი და ამდენი ჩამოიყვანოსო, მაგრამ სერიოზულად საქმისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. საქმე მარტო ერთმანეთთან ლაპარაკში და ერთმანერთის წაქეზებით როდი გაკეთდებოდა. არ არის ეჭვი რომ თფილისის ამქრებში, კინტოებში და მდაბიო ხალხშიც ძალას მოიპოვებდნენ, მაგრამ თუმც მათ მოქმედების პლანში ამ ძალასაც დიდი ადგილი ეჭირა—პრაქტიკულად არც იქ გაუკეთებიათ რამე. კახელების იმედი ჰქონდათ და მართლაც კახეთი ძალიან ადვილად აღელვდებოდა ხოლმე და კიდევაც აჯანყდა რამდენჯერმე რუსების მემოსვლის შემდეგ მაგრამ ესეც დოდაევის სიტყვაზედ იყო დამყარებული და არც აქეთ მიუქცევიათ თავისი ყურადღება შეთქმულთ დიდი იმედი ჰქონდათ კავკასიაში მცხოვრებ პოლონელების, მაგრამ კომისია ამბობს, რომ ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერა ვნახეთ იმისა, რომ შეთქმულთ რაიმე ეცადათ ამ შემთხვევაშიო ჯარებსაც კი მიჰმართეს, მაგრამ საქმე გაკეთებული ეგონათ თუ თავისი პლანი ორიოდე აფიცერს შეატყობინეს და მათგან არც კი გაუგონიათ, არც ჰო და არც არა. შეთქმულთ იმედი ჰქონდათ, რომ დაიწყობა თუ არა „ბუნტი“ თბილისში, მაშინვე თელავი, სიღნახი, დუშეთი და გორი აჯანყდებოდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზედ იყო ეს იმედი დამყარებული არ ვიცით. კარგად შეიგნეს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებიც უნდა ეოებროთ, მაგრამ ასევე ცუდად მოიქცნენ. საქმე გაკეთებული ეგონათ თუ ვიღაც თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ორიოდე მანეთი მისცეს და დააბარეს ასეა საქმეო. ლეკებს და მთების ხალხს კი კავშირის მაგიერ, თვით შეთქმულნი ომს უცხადებდნენ და ბრძოლის ველზედ მტრად ეცხადებოდნენ თქმა არ უნდა, რომ მიემართათ ხალხისათვის შეთქმულნი დიდ თანაგრძნობას იპოვიდნენ ამას, კომისიაც არა მალავს: „ყველაზედ მეტად ამჯანყებლებს თავისის გარდაწყვეტილებით შეეძლოთ ხალხი გაეტაცნათ, რადგან საზოგადოდ ადვილად იჯერებს, კავკასიელი ყველაფერს, უპირო არის, პოლიტიკურ ცვლილებისადმი დიდად მიდრეკილი და თავისის ზნე-ჩვეულებით არა მუდამ კეთილის მსურველი ჩვენი“.

შეთქმულნი იმგვარ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ უთოოდ მიემხროთ მთელი კავკასიის აქეთა მხარე. და მთელი ხალხი—მაგრამ ამას არა თუ მისდევდნენ ლეკეთს კიდევაც ეომებოდნენ.

ეს ყოველივე არა კმაროდა, კავკასიის აქეთა მხარეს არ შეეძლო რუსეთს შებრძოლებოდა. ყოვლად მიუცილებელი იყო ევროპის სახელმწიფოებს დაახლოებდნენ, იმათ, მაინც, რომელთა ინტერესი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს ამ გზაზე ვიცით, რომ რაღაც მოლაპარაკება ჰქონია ალექსანდრე ბატონიშვილს ეგვიპტის ფაშა მაჰმედ-ალისთან, რომელიც ოსმალოს ეომებოდა და თვით გასაჭირში იყო რადგან ოსმალოს რუსეთიც მხარს უჭერდა: კომისსია ერთ შემთხვევაზედ უთითებს კიდევ, რომელიც მისთვისაც და ჩვენთვისაც ბნელით მოცულია: „მხოლოდ ერთი უცნაური გარემოება გვაგდებს მცირე რამ ეჭვიო—ამბობს კომისსია—საფრანგეთის საელჩოს მდივნად ნამყოფმა თფილისში—ლეტენიემ, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და გაიცნო ზოგიერთი ქართველი, პეტერბურგში ჩასვლის შემდგომ გუსარი ერისთავი და დიმ. ორბელიანიც გაიცნო და მიჰმართა პირდაპირ არაკეთილ-განზრახულ სიტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებით, თუმცა მარტო ერთხელ ენახა იგინი და მეტად არაო“ ბატონიშვილი ოქროპირიც კი გაეცნო თფილისში, ხოლო დიმიტრი კი მგონი არ ენახა პეტერბურგში; „მაგრამ გამომ-ელავნებულს ბოროტგანზრახულებაში რომ პირდაპირი რამ მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ამისი არსად რა ნიშნები სჩანს“ და საზოგადოდ არაფრიდან არა სჩანს, რომ შეთქმულთ მოლაპარაკება ჰქონდესთ ვინმე უცხოელთან. ის კი არა აქაურ პოლონელებთანაც კრინტი არ დაუძრავთ, თუმც პოლონეთის აჯანყებას მათზედ საარაკო გავლენა ჰქონდა.

ამგვარმა ნაჩქარევად საქმის გამოწყობამ, ამგვარმა წინდაუხედავმა აღტაცებულობამ ის გამოიწვია, რომ აჯანყება ჩაჰქრა სულ უბრალო და უმნიშვნელო შემთხვევის გამო აკი კომისიაც იმას ამბობს: „ზემორე ნახსენებ აღწერილობიდამ სჩანს, რამდენად უმნიშვნელო და უბრალონი იყვნენ შეთქმულთა მიერ აღსასრულებლად განზრახულნი საშუალებანი. განზრახვა მათი, აღბეჭდილი გადაჭარბებულის კადნიერ ოცნებობით მაღლიდამ ჩამგონებლების მხრივ და უგუნურ წინდაუხედაობით მათ თანამებრძოლთა მხრივ, არ შეიძლებოდა სახელმწიფოსათვის საშიშრად ყოფილიყო მიღებული, მაგრამ ვინაიდგან ადგილობრივნი მცხოვრებნი ყოველისფერს ადვილად იჯერებენ და ადვილადვე შეიძლება გაიტაცონ, არ შეიძლება ამიტომ არ გამოვტყდეთ, რომ მიზნის მისაღწევ საშუალებათა ასეთს სიადვილესთან უფრო ღრმად მოფიქრებულს და ნორად ვანჭვრეტილს მოსაზრებას მთავრობამ უთუოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს“

თუმც ასე უნაყოფოდ ჩაიარა შეთქმულობამ, მაგრამ მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა შეთქმულთათვის. რასაკვირველია, მთავრობა მოთმინებით ვერ მოეკიდებოდა ასეთს საქმეს, თუმცა სრულიად დარწმუნებული კი იყო, რომ აღგზნებულ ყრმათა გატაცება იყო. ბარონმა როზენმა დამნაშავე, რამდენიმე კათეგორიად დაჰყო დანაშაულობის მიხედვით და თავისი აზრი ყველას შესახებ წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც მხოლოდ დაამტკიცა როზენის წარდგინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის წულები ოქრო-პირი გიორგის ძე, დიმიტრი და თამარ იულონის შვილები, აგრეთვე თეკლე ბატონიშვილი ირაკლის ასული, როზენის აზრით, თუ სხვა არაფერი საქართველოსათვის უნდა მოეშორებიათ და ყოველგვარი კავშირი მათი ქართველებთან შეეწყვიტათ „ყოველს შემთხვევაში, საქართველოს სიკეთისთვისვე საჭიროა უთუოდ მოესპოთ ყოველივე ღონისძიება, რომ მომავალშიაც ველარ იქონიონ ასეთი მავნე გავლენა თავისს თანამემამულეებზედა. საჭიროა ამისათვის გადასახლებულ იქმნენ ისეთს გუბერნიებში, სადაც ქართველი ახალგაზრდობა არ იგზავნება აღსაზრდელადა“. ესენი იყვნენ პირველის კათეგორიის დამნაშავენი.*)

მეორე კათეგორიაში ჩარიცხული იყო ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) და მასწავლებელი დოდაევი, რომელიც სამართალში უნდა მიეცათ, აქვეა მოქცეული ევსევი ფალავანდიშვილი, რომელიც, პატივსაცემად იმისა, რომ შეთქმულები დაასმინა, არ იქმნეს მიცემული სამართალში და არ დაისაჯოს; გარდა ამისა, მიეცეს უნტერ-ოფიცრობა რუსეთში მყოფ ერთ-ერთ რაზმისა და არც აზნაურობა ჩამოერთვას.

მესამე კათეგორიაში მოქცეულია დიმიტრი ერისთავი, ლუარსაბ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) და აგრეთვე მულლა ზამანი, რომელნიც სამართალში იქმნენ მიცემულნი. აქვე შემოტანილი გიორგი ერისთავი გუსარი, რომელიც რუსეთის შორეულ პოლკებში უნდა ყოფილიყო შერიცხული.

მეოთხე კათეგორიაში მამუკა ორბელიანი, სოლომონ რაზმაძეც სამართალში იქმნენ მიცემულნი. ხოლო პოეტი გიორგი

---

*) ჩვენთვის საქართველოს მეფის გვარეულობის ისტორიულ უფლებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საქართველოს ავტონომიის უფლებისათვის. რაღა თქმა უნდა არავის აზრშიაც აღარ მოუვა დღეს ჩვენში ვისიმე დინასტიურის ინტერესების დაცვა. საქართველოს უკანასკნელის მეფის მემკვიდრეებმა თვითვე თავისის მოქმედებითა და ქცევით მოსპეს ყოველივე მათი პირადი უფლება საქართველოს ტახტის შესახებ.

ერისთავი, მასწავლებელი ავთანდილოვი დ. ყიფიანი და დიმიტრი ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის შვილი) რუსეთში უნდა იქმნენ გაგზავნილნი, უკანასკნელი დიმიტრი ორბელიანი დედამისთან—თეკლე ბატონიშვილთან. აქვე მოყვანილი ფილადელფოს კიკნაძე მოჰკვდა.

მეხუთე კათეგორიაში მოჰყვნენ მთარგმნელი მამაცევი—რომელიც რუსეთში უნდა გაეგზავნათ და იმერელი თეიმურაზ ლორთქიფანიძე, „თუმცა გულწრფელად გამოტყდა, მაგრამ სცდილობდა სხვებისათვის დაეწამებინა ცილი“.—ციმბირში უნდა გაეგზავნათ, რადგან იქიდანვე იყო გამოპარული.

მეექვსე კათეგორიაში მოექცა ჩოლაყაშვილი (რიფსიმე ბატონისშვილის შვილი), რომელმაც „მხოლოდ მოკლე ხნით იცოდა შეთქმულობის არსებობა, მაგრამ არ მოსწონდა იგი და ურჩევდა სხვებსაც ბოროტგანზრახვისათვის თავი დაენებებინათ; პირველ გამოკითხვისთანავე გულწრფელად აღიარა ყველაფერი, რამაც შეთქმულობის მსვლელობის გამორკვევას დიდად ხელი შეუწყო, ამიტომაც გადაეცა ბედი მისი გადასაწყვეტად მისს იმპერატორებით უდიდებულესობის მოწყალებასაო,—სწერს როზენი.

ტალიევი მოძღვარი ალექსანდრე ბატონიშვილისა უნდა რუსეთში გაეგზავნათ აგრეთვე სომეხი კორღანოვი. მეშვიდე წყებაშია მოქცეული ჩვენის ლიტერატურის ორი ბრწყინვალე წარმომადგენელი: გრიგოლ ორბელიანი რომლის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ რილეევის исповѣдь наливайки გადაეთარგმნა. ეს რილეევი დეკაბრისტი იყო, სიკვდილით დასჯილი და რასაკვირველია, ნიკოლოზ I-ს მეფობის დროს მისი სახელის ცოდნაც დანაშაული უნდა ყოფილიყო და ამიტომაც მასაც როზენმა რუსეთის შორეულ პოლკებში გადარიცხვა მიუსაჯა; ხოლო ალ. ჭავჭავაძის შესახებ სწერს:

„ბედი გენერალ-მაიორ თავ. ჭავჭავაძისა გადაეცემა გარდასაწყვეტად მისს იმპერატორებითს უდიდებულესობასა. მაგრამ სრულიად დაუსჯელობა მისი, როდესაც ასე აშკარადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტობს, მხოლოდ მიზეზს მისცემს მთავრობა გაამტყუვნონ, რომ არ დააპატიმრეს; ამის-და თავიდან ასაცილებლად სასარგებლოდ მიმაჩნია ამიტომ, დროებით ასტრახანს იქმნეს გაგზავნილი საცხოვრებლალა, ან და სამართალში იქნეს მიცემული, მერმე კი, სამაგალითო სამსახურისათვის წარსულში, მონარქის წყალობა ებოძოს“.

მერვე წყების პირები საუბედუროდ ჩამოთვლილნი არ არიან, „მხოლოდ ეჭვია მათზე დიდი, რომ იცოდნენ განზრახვა ესე, ან არა და შეთქმულებთან ერთად ერთის აზრისანი იყვნენ“.

მეცხრე წყება „ეჭვს ქვეშ ჰყავდათ, რომ ამ ბოროტ-განზრახვისა და ლაპარაკისათვის ყური მოეკრათ, ან და თვითონაც მიეღოთ ლაპარაკში მონაწილეობა“.

ხელმწიფე იმპერატორი დაეთანხმა როზენის აზრს და ოქროპირ პატონიშვილი გაგზავნეს კოსტრომაში, ხოლო დიმიტრი—სმოლენსკში. თამარა იულონ ბატონიშვილის ასული—სიბირსკში; პოეტი გ. ერისთავი—პოლონეთის სამეფოში დაბანაკებულ პოლკებში. ავთანდილოვი—პერმში, დ. ყიფიანი—ვოლოგდაში, დიმ. ორბელნანი პენზაში, თეკლე—ბატონიშვილი კალუგაში, გრ. ორბელიანი ნიჟ.-ნოვგოროდში დაბანაკებულ პოლკში, ალექსანდრე ჭავჭავაძე ტამბოვში, იასე ფალავანდოვი ფილნიანდიაში. დანარჩენები სამხედრო სამართალში იქმნენ მიცემულნი.

სასტიკ მხედველობას ქვეშ იქმნენ დატოვებულნი დავით ნათალოვი, სიმონ მაჩაბელი, ბარძიმ და ივანე ამილახვარი, თეიმურაზ ამილახვარი, სალომე ბატონიშვილის ფარნაოზის ქალი, კნ. მანანა ორბელიანისა, თადია ჩოლოყაშვილი, ბირთველ თუმანოვი, გივი ამილახვარი, ზაქარია ციციშვილი, ლუარსაბ თარხანოვი, ვილაც ალექსი მელნიკოვი, ალ. ჩოლოყაშვილი, ივანე ბარათოვი, მღვდელი ეფრემ ალექსეევ ქვრივი მართა ალექსიევ მესხიევისა, დიმიტრი მაღალოვი, ივანე მაჩაბელი, თ. ივანე ერისთავი. გუბერნატორად ნამყოფი ზავილესკი. 78 კაცი, რომლის სახელი არ ვიცით, განთავისუფლებულ იქმნა ყოველგვარ დასჯისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალში მიცემულთ, რომელთა განსამართლება 1834 თებერვლის თვეში გათავდა შემდეგი მიუსაჯეს.

კათეგორიის დამნაშავეთ თ. ელიზბარ ერისთავს—სალდათად გაგზავნა ფინლიანდიის პოლკში. ალ. ორბელიანს—ორენბურგის ბატალიონში სოლომონ დოდაევი—во уваженіе того, что онъ женатъ на русской—ჩრდილოეთ გუბერნიებში განაწესეს კანცელიარიაში მოსამსახურედ II ჯგუფის დამნაშავეთ დიმ. ერისთავს (ძმას ელიზბარისას) შუაგულ რუსეთში დაბინავებულ პოლკებში სალდათობა განუწესეს. III ჯგუფის ვახ. ორბელიანი კალუგაში გაგზავნეს დედა მისს თეკლე ბატონიშვილთან ხოლო ლუარსაბ ორბელიანი—ცოლის ძმა პოეტის ალ. ჭავჭავაძისა—სამსახურიდან გამორიცხეს მაგრამ საქართველოში მისი დატოვება არ მიიჩინეს საშიშრად, რადგან ხასიათითა' თუ სხვაფრით არაფრით იყო საშიში.“ მეოთხე ჯგუფის წარმომადგენელი ჩოლოყაშვილი ბატონიშვილის რიფსიმეს შვილი—განაწესეს რუსეთში ფეხქვეით ჯარში.

ამგვარად თითქმის კომიკურად და ყოველ შემთხვევაში უცნაურად დაბოლოვდა უკანასკნელი ტრაგედიული ეპოპეია იმ წოდებისა, რომელიც თავში ედგა საქართველოს საუკუნის განმავლობაში. რამოდენიმე სასაცინოა მართლა, რომ სერიოზული საქმე მიატოვეს მარტო ერთის ჭავჭავაძის რჩევით შეთქმულობას თავში უდგა მეფის წულები და მათი ახლო ნათესაობა, უახლობელესს მონაწილეობას ღებულობდნენ საუკეთესო გვარები ქართველ თავად-აზნაურთა და ყოვლის ეჭვის გარეშეა, რომ დიდ უმეტესობას თ. აზნაურობისას გაგებული ჰქონდა და ასეთს თუ ისეთს მონაწილეობას ღებულობდა საქმეში. თუ გადავათვალიერებთ მომქმედ პირთა სიას იქ დაინახავთ, რომ საქმეს მოთავეობდნენ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები, თეკლე, თამარ და სალომე ბატონიშვილები. ბატონიშვილის თეკლეს შვილები ორბელიანები, ბატონიშვილის რიფსიმეს შვილი ჩოლოყაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ საქართველო როგორც პოლიტიკური ორგანიზმი ისეთს წყობილების ტიპს წარმოადგენდა, რომ ყოველივე ბედი და უბედობა სამეფო გვარეულობით უნდა ეგრძნო, საქართველოს პოლიტიკურმა დამხობამ ყველაზეღ უფრო ჩვენის მეფის ოჯახობა გაამწვავა აქტები არა ერთხელ ამბობენ, რომ მეფის წულები ცხადად თუ დამალულად გულში ატარებდნენ საქართველოს განთავისუფლების აზრს და სამაგალითოდ მათის აზრის დასასურათებლად ოთხ ტაეპიანი ლექსი მოჰყავს გიორგი XII შვილის იოანე ბატონიშვილისა: „სკვითებმა წაგვართვეს მთლად მამული და ერთი კაციც-კი აღარ მოგვცეს. არ იკმარეს ქართლი და კახეთი და იმერეთიც შეიერთეს. ვართ ასე უბედურებაში და არავინ გვყავს მოსაგრე, რო საშველად მივმართოთ.

„მოვიწვევთ მაღლიდამ მართლ-მსაჯულებასა, ვნახოთ, ღმერთი ვით განსჯის.“

მაგრამ მათი მსაჯული ვიღაც კაპრალები იყვნენ, სულითა და გონებით დამახინჯებული, გაველურებული ჯარის კაცები. მე ზემოდ მევიყვანე მაგალითი იმისი თუ როგორ მოეკიდა ბარონ როზენი ალექსანდრე ბატონიშვილის სახლობას და როგორ გადაამახინჯა იმპერატორის ბრძანება ეხლა მოისმინეთ, როგორ მოექცა იგივე როზენი თეკლე ბატონიშვილს—ირაკლის ქალს—მოხუცებულ და ავადმყოფ დედაკაცს, რომლის ღრმა მოხუცებას იმპერატორმაც კი სცა პატივი. თეკლე ბატონიშვილმა სთხოვა იმპერატორს ნება მიეცა საქართველოში დაბრუნებისა რაზედაც დასთანხმდა, მაგრამ როზენს არა სურდა და ძლევა- მოსილის იმპერატორის ბრძანება გაიქარწყლა.

„2 აგვისტოს მოწერილობით მაცნობებდით, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ საქართველოს მეფის ასულის თეკლე ერეკლეს ასულის თხოვნაზე ხელმწიფე იმპერატორმა ინება და თანხმობა განაცხადა, შეუძლიან ტფილისში დარჩესო, თუ მე არასფერს ვპოვებდი აქ საწინააღმდეგოსა. მართლაც და ავადმყოფობისა გამო, რაც კი შეიძლებოდა, ყოველივე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავათი აღმოვუჩინე და ნება დავრთე, სანამ სიცხეებია კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ 21 ამ თვეს უკვე წამოვიდა რუსეთს. თუ რომ ჰსურს ხელმწიფე იმპერატორს, ნათხოვნი წყალობა აღმოუჩინოს მეფის ასულს, მაშინ, ვგონებ, უმჯობესი იყოს, რამდენიმე ხანი ისე დაჰყოს რუსეთში და მერე-ღა აღმოუჩინოს წყალობა; ახლა კი უცბად მისს უკან დაბრუნებას მიაწერენ არა წყალობას ხელმწიფე იმპერატორისას, არამედ სიმართლეს უდანაშაულოდ გადასახლებულისას, რომელიც ადგილობრივ მთავრობის უსაბუთო დასმენის შედეგათ იქმნება მიღებული; ეჭვი არ არის, ბევრნი ისარგებლებენ ამ შემთხვევითა და დაიწყებენ ღაღადს, სხვა დასჯილებიც ყველანი ასე უდანაშაულონი არიანო, როგორც უკვე მოხდა ტამბოვში საცხოვრებლად აქედან გადასახლებულ გენერალ-მაიორის თავ. ჭავჭავაძის პეტერბურგს ჩამოსვლისა გამო. როგორც კი შეიტყეს ეს ამბავი, ხმა გავრცელდა მაშინვე, რომ გენერალი თვითონ მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას მიუღია გულკეთილადაო, მიუწვევია თავისს სუფრაზედა და უთხოვნია, წარსული ყოველივე დაევიწყნაო. შედეგად აქას ის მოჰყვა, რომ არამც თუ ქართველებმა, რუსებმაც კი დაიწყეს ლაპარაკი, ვითომ თავ. შერვაშიძეც*) უბრალოდა და უდანაშაულოდ იყოს აქედან გაგზავნილი და ვითომ გაათავებს თუ არა თავისს საქმეებს პეტერბურგში, მაშინვე ტფილისს დაბრუნდება. თვითონვე დარწმუნდებით, თქვენო ბრწყინვალებავ, რამდენად ცუდი უნდა იყოს მთავრობისათვის მის საშუალებათა და ღონისძიებათა ასეთი განმარტება. ამიტომაც, რომ თვიდან ავიცილოთ მრავალგვარი უხერხულობა მეფის

---

*) ეს შარვაშიძე იყო თ. კონსტანტინე, ძმა აფხაზეთისა მთავრის. ის მოექცა დამნაშავეთა მერვე კატეგორიაში, რომელნა შესახებაც ეჭვი დაებადა მთავრობას, რომ შეთქმულობა იცოდნენ და თანაუგრძნობდნენო. მთელ ამ კატეგორიაში ეს მარტო შარვაშიძე, იქმნა დასჯილი როზენის აზრისმიხედვით, გადასახლებულ იქმნა რუსეთში, „არა კეთილ საიმედობისა გამო და იმ მიზეზით, რომ ცნობილი თვისის მოუსვენარის ბუნებით, ჰასან-ბეი შარვაშიძე, ბიძა მისი დაახლოებული იყო თურმე ამასთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის თეკლე ერეკლეს ასულის შესახებ, ვგონებ, სამჯობინო იყოს რამოდენიმე ხანი რუსეთს დაჰყოს და უკან დაბრუნების, ნება, როგორც ხელმწიფე იმპერატორის განსაკუთრებულ წყალობისა, მიეცეს მხოლოდ მომავალს წელსა. ისიც იმიტომ, რომ ავადმყოფობია და ხანში შესულია, მაგრამ მაინც ჯერ ადგილობრივს მთავრობას ეცნობოს ამის შესახებო".

ამგვარი აზრი ბარ. როზენისა უმაღლესად მოწონებული იქმნა თეკლე ბატონიშვილს მხოლოდ 1835-ში მისცეს ნება სამშობლოში დაბრუნებისა.

მართალია უმაღლესი არისტოკრატია უდგა თავში ამ შეთქმულობას, მაგრამ საქართველოს იმ დროის დამამშვენებელიც, გონების არისტოკრატიაც მეთავეობდა ამ საქმეს. ჩენის სევდისა და კაეშნის გენიოსი—ბარათიშვილი იმ დროს 15 წლისა იყო და უთუოდ ბავშვობა არ აძლევდა ნებას გარეულიყო საქმეში, თორემ სხვები ჩვენის რომანტიულის ლიტერატურის წარმომადგენელნი ყველა მონაწილეობას ღებულობდა. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი და ყველა მათზე ამ შემთხვევამ იქონია სასიკვდილო და სასიცოცხლო გავლენა. წარუხოცელი მჭმუნვარების ბეჭედი დაასვა მათ ლირიკას და საუკუნოდ წარწუყმიდა მათ იმედი. ქართველ დაუდევრობას ვერც ძლიერმა ნიჭმა მოუხერხა რამე და სწორედ იმიტომაა, რომ ისეთის დიადის ეპოქის გამო, ასეთ დიდის ნიჭის პატრონის კაცებმა არა დაგვიტოვეს რა გარკვეული. მათი მემუარები უკვდავი წყარო იქმნებოდა იმ დროის საქართველოის ფსიხოლოგიის გამოსარკვევად მაგრამ არცერთმა მათგანმა არ იგრძნო საჭიროება ასეთის დიდის საბუთისა. საუბედუროდ უბრალო მიწერ-მოწერაც კი არ მოიძებნება ამ დიდის გონების კაცთა შორის და მერე რა საინტერესო იქნებოდა გარკვეულადა და დალაგებულად ემცნოთ ჩვენ პოეტებს ის სულის ვითარება, რომელმაც ერთსა და იმავე საგანის გამო ერთს ათქმევინებდა „გვედრით პყრობილი, გულ პობილი ჭმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისა ლახვრით, გახსოვდეთ მწირი მომჩივანი საწუთროს რეგბით“ (ალ. ჭავჭავაძე) მეორეს; „გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა, სადღა იხილოს ცა მშობლიური.

„რომლის გული ეწუხების რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა,
„მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა:
(გრ. ორბელიანი)

მესამეს: „თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,
„ვინ ჰკითხავს: რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო?
„სამშობლო ქვეყნით გარდმოხვეწილს, გულსა დამშვრალსა
სწყურხარ როგორც სწყურს ცის ნათელი, სხივი ბნელს თვალსა“
(ვ. ო. ორბელიანი) ხოლო მეოთხეს:

„მივალ გარნაღა სული აქ მრჩების
„მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების
„უწყი სოფელი არს სამჭვრეტელო
„ყველა გახმების, ვით მწვანე მდელო
(დ. ერისთავი.)

ასეთი იყო პირველი და უკანასკნელი „გაფიცვა“ და „შეთქმულობა“ თ. აზნაურობისა წარსულ საუკუნეში. თუ საუკუნის დასაწყისში რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი „შეთქმულობა“, კიდევ გულში ჰქონდა ჩახვეული, საუკუნის დამლევში ქართველმა თ. აზნ. დაუმტკიცა რუსეთს, რომ მისი გული წმინდაა და შორს არის ყოველივე „ზრახვასა მზაკვართასა“ რომ იგი მადლიერია და კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული და იმ ადამიანების შვილები, რომელნიც რუსეთში გაციმბირებულ იქმნენ 1832-ში იმისათვის, რომ უნდოდათ სათავად-აზნაურო ბალი გაემართათ და ამ ბალზედ რუსეთის წარჩინებული მოხელეები გაეწყვიტათ, ამ ადამიანების შვილებმა ამას წინად ბალი გამართეს, სათავად აზნაურო ესეც, მაგრამ სულ სხვა აზრით: რათა რუსეთის მოხელეების უმაღლეს წარმომადგენელთ წინაშე ფიანდაზად გაეგოთ თავისი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად დამთავრდა ეს რომანტიული პოლიტიკური ამბავი
და კაცმა სთქვას ეს გახლდათ უკანასკნელი როლი რომელიც
ითამაშა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში წარსულ საუკუნეში
ჩვენმა თ. აზნაურობამ. იმ დღიდან თ. აზნაურობა გადაგვა-
რების გზას დაადგა, ვითომ და პოლიტიკურის რეალიზმის
თაყვანისმცემელი შეიქმნა ნამდვილად კი დაცემისა და გათა-
ხსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს
ბრწყინვალე წოდება. როცა ეს თ. აზნაურობა თავში
უდგას საერო ინტერესებს და საზოგადო კეთილდღეობისთვის
მსხვერპლად მიაქვს კერძო პირადი ინტერესები, ამ კერძო
თავისს ინტერესებს ზურგს აქცევს საზოგადო საგნისთვის—
იგი კეთილი ნაწილია საზოგადოებისა, იგი არავითარ საშიშარს
არ წარმოადგენს, არავისთვის იგი აღარ წარმოადგენს წოდე-
ბას, რომელიც სხვას კისერში აზის; იგი თავისს კერძო პი-
რად პრივილეგიებსა და უფლებებს თვითვე სპობს და საერთო
ნიადაგზე გადადის. ხოლო როცა იგი კერძო პირად ინტე-
რესებს აყენებს პირველ პლანზედ, როცა პირადი ბედნიერე-
ბა მიაჩნია საქვეყნო ბედნიერებად, როცა ჯინჯილებისა და
პენსიებისათვის იმცირებს თავს და ამცირებს მთელს ერს, იგი
საბრალო ხორც-მეტია და თვითვე უსპობს თავის თავს სიცო-
ცხლეს. განსხვავება კი იმაშია, რომ თუ პირველ შემთხვე-
ვაშიაც როგორც უსამართლო პრივილეგიების წარმომადგენე-
ლი წოდება იგი ისპობა, მისი მოსპობა მამაცურია რაინდუ-
ლია, საუკუნო სახელს იძენს, როგორც წოდება თავისი ის-
ტორიულის დანიშნულების აღმასრულებელი; ხოლო—მეორე
შემთხვევაში კი იმ გარყვნილ მიაგავს, რომელიც თავისავე
სიბინძურის მსხვერპლი ხდება და ბინძურ გრძნობათა ლაფში
იხრჩობა და საუკუნო ზიზღსა ჰბადებს ერში.*)

კიტა ალბაშიძე.

---

*) ეს წერილი კარგი სინია დაწერილია ღა სხვა და სხვა მიზეზე-
ბის გამო მარტო ეხლა ისტამბება. აქტებიდან ადგილები ნათარგმნია
ბ. ივ. ახ—ისაგან კ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ცხოვრებიდან

შესრულდა მთელი წელიწადი მას შემდეგ, რაც პორტ-არტურში გავარდა პირველი ზარბაზანი. მთელი თორმეტი თვეა რუსეთი ეომება იაპონიას და ასეთს მდგომარეობას ბოლო არ უჩანს. 800000 კაცი შეიარაღებული მზად არის ისეთი სანახავი უჩვენოს ქვეყანას, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს. შარშან ამ დროს‘ როდესაც ომი ახალი გამოცხადებული იყო, მთელი რუსეთი და მასთან ევროპის დიდი ნაწილიც დარწმუნებული იყო, რომ ამ ომს ნამდვილი ომი არ ეთქმის რომ რუსის ჯარს მხოლოდ გასეირნება დასჭირდება მანჯურიისაკენ, იქ გაწკეპლავენ გათამამებულ „მაკაკებს“ და საქმე ამით გათავდება, მაგრამ რაც ხანი მიდიოდა საქმე რთულდებოდა, „მაკაკები“ და „იაპოშკები“ გმირები გამოდგნენ, ხოლო მანჯურია ცუდი და უსიამოვნო სასეირნო ადგილი შეიქმნა. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში ჯერ სუსტად და შემდეგ და შემდეგ უფრო მტკიცედ და დაჟინებით დაიწყეს გამორკვევა ასეთის მდგომარეობისა და საქმის ასე უბედურად დატრიალების მიზეზებისა.

აქ მინამ გავაცნობდეთ მკითხველს რუსულ ჟურნალ-გაზეთების აზრს ზემომოხსენებულ მიზეზების შესახებ ორიოდ სიტყვით განვმარტავთ, როგორ და რისთვის მოხვდა რუსეთი მანჯურიაში.

დიდი და უშველებელი რუსეთის იმპერიაო, ამბობენ და ამბობდნენ ზოგიერთნი, ისეა მომწყვდეული ხმელეთზე, რომ გაშლილ ოკეანეში გასასვლელი გზა არა აქვსო. ამასვე ფიქრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ასეთის გასაჭირიდამ გამოსვლას სცდილობდა რუსეთის მთავრობაც დიდის ხნიდამ. პეტრე დიდის ანდერძად აღიარებენ ზოგნი ისტორიკოსნი სტამბოლის დაპყრობას და ამ ანდერძის უმთავრესს აზრად ზემოაღნიშნულ საგანს ასახელებდნენ. მე-XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთმა ვერა თუ ვერ დაიპყრო სტამბოლი, არამედ ამის იმედი თუ როდისმე ჰქონდა, ამ საუკუნის დამლევს ასეთის იმედის განხორციელება სრულებით შეუძლებელი გახდა. ამიტომ 1885 რუსეთი შეუდგა ციმბირის რკინის გზის კეთებას, რათა თუ დასავლეთით არა, აღმოსავლეთში ეშოვნა გასავალი დიდ ოკეანეში. 1894 წ., როგორც ეხსომება მკითხველს იაპონიასა და ჩინეთს შორის ატყდა ომი კორეის გამო. იაპონიამ ადვილად გაიმარჯვა ჩინეთზე და სხვათა შორის ომიანობის დროს აიღო პორტ-არტური რომელიც მაშინ ლიუი-შუნ-კოუს სახელს ატარებდა და ჩინეთის ციხე იყო. ჩინეთ-იაპონიის ომი რომ დამთავრდა ზავის ჩამოგდების დროს საქმეში გაერივნენ ევროპის სახელმწიფოები და პორტ-არტური ჩინეთისათვის დააბრუნებინეს იაპონიას. 1897 წ. პორტ-არტური დაიჭირა რუსეთის ესკადრამ და 1898 წ. 15 მარტს რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენელთაგან პეკინში მოწერილ ხელშეკრულობის ძალით პორტ-არტური თავისის მიდამოებით და მიწაწყლით 25 წლის ვადით დაეთმო რუსეთს; ამავე ხელშეკრულობის ძალით რუსეთს ნება მიეცა რკინის გზის გაკეთებისა პორტ-არტურის ციმბირის რკინის გზასთან შესაერთებლად. ამაზე ცოტა უფრო ადრე რუსეთ-ჩინეთის ბანკს ნება დართო ჩინეთის მთავრობამ მანჯურიაში რკინის გზის გაყვანისა. ამრიგად რუსეთმა, რომელსაც ციმბირის გზის შემწეობით დიდ-ოკეანესაკენ გასავალი გზა უნდა ეშოვნა ვლადივასტოკის ნავთსადგურზე გარემოებათა წყალობით ამავე საგნისათვის უკეთესი გზა იშოვა მანჯურია-პორტ-არტურზე. ერთი იყო ხოლო საფიქრელი, ეს ის რომ მანჯურია ჩინეთს ეკუთვნოდა და მანჯურიის რკინის გზა მაშასადამე სხვის სახელმწიფოში რჩებოდა, მაგრამ აქაც ერთხელ კიდე ეწვია ბედი რუსეთს. 1901 უცხოელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან შეწუხებული მშვიდი, წყნარი, მშრომელი და უწყინარი ჩინეთის ხალხი მოთმინებიდამ გამოვიდა და ამბოხება მოახდინა უცხოელების წინააღმდეგ. ამბოხების მოსპობა იკისრეს ევროპიელმა სახელმწიფოებმა, მოსპეს კიდეც, მაგრამ დიდი გასამრჯელოც მოსთხოვეს საბრალო ჩინეთს სამაგიეროდ. სხვათა შორის რუსეთმა დაიჭირა მანჯურია და თავისი ჯარი ჩააყენა შიგ ვითომდა რკინის გზის დასაცველად, დროებით, ნამდვილად კი, როგორც შემდეგ გამოირკვა და რასაც არც რუსეთის მთავრობა უარყოფდა, სამუდამოდ.

იაპონია, რომელსაც არ დასცალდა მისგან იარაღით აღებულის პორტ-არტურის შერჩენა, რა თქმა უნდა უნდოდ თვალით უყურებდა ჯერ პორტ-არტურის რუსეთისაგან უომრად დაჭერას, შემდეგ მანჯურიაში იმავ რუსეთის გაბატონებას. ბოლოს კი, როდესაც რუსეთმა კორეიასაც მიაქცია თავისი ყურადღება და ტყის დიდი სავაჭროები გამართა იქ, იაპონიამ ხმა გამოიღო. იაპონიას, რომელიც ძლივს ეტევა თავის ვიწრო კუნძულებზე და კორეიას ისე უყურებდა, როგორც ერთად-ერთს ადგილს, საითაც თვით ბუნება უჩვენებდა იაპონელ ხალხს გასავალს, დააფიქრიანა რუსეთის ასეთმა დაახლოვებამ. საფიქრელი ის იყო კიდევ, კორეია რომ საჭიროც არ ყოფილიყო იაპონიისათვის, რუსეთის ისე ახლო გაბატონება და გაძლიერება მერმისში თვით იაპონიას უმზადებდა განსაცდელს. ამიტომ იაპონიამ მოსთხოვა რუსეთს კორეისათვის თავი დაენებებინა, ხოლო რაკი მანჯურიაში გაბატონებული რუსეთი მაინც მეზობლად უნდა დარჩენოდა კორეიას, სადაც თვით იაპონია აპირებდა შესვლას, და იაპონიას რუსეთის მეზობლობა არ უნდოდა, მოსთხოვა უკანასკნელს მანჯურიის დაცლაც. გაიმართა ტოკიოსა და პეტერბურგს შორის მიწერ-მოწერა, იაპონიას დაეკარგა მოთმინება, შეირჩია დრო და გამოაცხადა ომი.

ჯერ-ჯეროობით, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი და როგორც თვით მკითხველმაც კარგად უწყის, იმარჯვებს იაპონია. საქმის ასეთის ვითარებით შეწუხებული რუსეთის საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოება და მისი სულის მდგომარეობის გამომიქმელი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რუსეთის პრესსა სცდილობს ამ უბედურების მიზეზების გამოკვევას.

„რად გვინდოდა მანჯურია, რაც გვაქვს მიწა-წყალი ისიც ვერ მოგვიხმარნია და სხვის სახელმწიფოს შევესიეთ“, — გაისმა ხმა ჟურნალ-გაზეთობაში. — „დიდ-ოკეანეში გასვლა მაშინ იქნებოდა საჭირო, მრეწველობა რომ განვითარებული გვქონდეს და საქონლის სხვაგან გატანა გვესაჭიროებოდეს, ჩვენ კი არა თუ გასატანი არა გვაქვს რა, სხვისიც ბევრი შემოგვაქვს; ჩვენოდენა დიდი ბაზარი არავის არ აქვს, მარტო ციმბირს და აზიის რუსეთს რა აავსებს, და სხვ. და სხვ.

სხვები კი, თუმცა არ უარყოფდნენ რუსეთის იმ დანიშნულებას, რომ ოკეანესაკენ უნდა გაეკვლია გზა, ამბობდნენ, რომ ასეთს დიდ საქმეს თადარიგის დაჭერა უნდოდა, უნდოდა დიდი და დიდის ხნიდან მომზადება, როგორც ემზადებოდა იაპონია, ხოლო ამისათვის საჭირო იყო გარემოებათა ცოდნა, ხალხის მომზადება და მისი განათლება, საჭირო იყო ხალხს თითონ სცოდნოდა, ვის და რისთვის ეომება, თითონ აეწონ-დაეწონა თავისი ინტერესები და ამის და მიხედვით მოქცეულიყო. რუსეთი კი ყველა ამას თავისის ბიუროკრატიულის მთავრობის წყალობით მოკლებული იყო.

დასაწყისში პრესსა იკვლევდა ომის უახლოესს მიზეზებს და ხან-და-ხან კილოკავად ეხებოდა ძირითად კითხვებს რუსეთის ცხოვრებისას. ომის პირველმა ნახევარმა წელიწადმა გაიარა პლევეს მინისტრობაში, და ვის არ ახსოვს ამ მინისტრის სიმკაცრე, მისი პოლიციური მიმართულება. დღე არ გაივლიდა, რომ რომელსამე გაზეთს გაფრთხილება არ გამოცხადებოდა, არ შეჩერებულიყო ესა თუ ის გამოცემა ან სულ არ მოსპობილიყო. არც ერთი დაწესებულება და არც ერთი კერძო პირი, რომელმაც გაბედა და ოდნავ მაინც კრიტიკულად შეხედა თანამედროვე წესწყობილებას, არცერთი არ დარჩენილა უყურადღებოდ ამ მკაცრ და სასტიკ მინისტრისაგან, — საპატიო და გამოჩენილ მოღვაწეთ და ‘წერალთ

ზოგს სად უკრა თავი და ზოგს კიდევ სად. საუკეთესო ერობა რუსეთში ტვერის გუბერნიისა თითქმის მოსპო. ადმინისტრატიული გადასახლება საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ამ მინისტრს აზროვნებისა და ყოველნაირ მოძრაობის მოსასპობლად. ასეთს პირობებში ჩაიარა, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ომის პირველმა ნახევარმა წელიწადმა და ეს გარემოება უძნელებდა ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლად და სავსებით რუსეთის ცხოვრების ძირითად კითხვების გამოკვლევას; ეგევე იყო იმის მიზეზი, რომ სუვორინის გაზეთში გადაკვრით გამოთქმულმა აზრმა, რომ რუსეთს სჭირია არა რეფორმები, არამედ ერთი რეფორმა, მოიარა - რუსეთის მთელი ჟურნალ-გაზეთობა და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა ამ რეფორმის პირდაპირ დასახელება, ვერ დაარქვა თავისი სახელი. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანდა ასეთი მდგომარეობა, რომ არ შეცვლილიყო გარემოება.

წარსულ წლის 15 ივლისს პეტერგოფს ეტლით მიმავალ მინისტრ ფონ-პლეევეს ესროლეს ყუმბარა, რომელმაც იქვე მოჰკლა მინისტრი.

26 აგვისტოს, შინაურ საქმეთა მინისტრად დაინიშნა თავადი ბ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი.

პეტერბურგში ჩამოსვლამდე და სამინისტროს ჩაბარებამდე ახალი მინისტრი დაესწრო ვილნოში ეკატერინე მეორეს ძეგლის კურთხევას. რა თქმა უნდა შინ თუ გარეთ ყველა მოწადინებული იყო გაეგო ახალის მინისტრის აზრი თანამედროვე მოვლენათა შესახებ და მისი შეხედულება თავისს მოვალეობაზე. ვილნოშივე სვიატოპოლკ-მირსკიმ მიიღო ამერიკელ გაზეთის „Associated Presse'-ის" წარმომადგენელი ჰოვარდ ტომსონი და ესაუბრა თავის მომავალ სამინისტრო მოღვაწეობის შესახებ. „ტყვილი იქნება, უთხრა ტომსონს სხვათა შორის, ვსთქვა, რომ რაიმე გამორკვეული პროგრამმა ნაქვსო. ერთადერთი საგანია ჩემთვის სრულებით გამორკვეული, ეს ის რომ ვემსახურო ხალხის კეთილდღეობას. პროგრამმა თუ ეთქმის, ჩემი პროგრამმა ამ ორის სიტყვით გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქმის...“ „სარწმუნოებათა შეწყნარება და მათი თავისუფლება და დეცენტრალიზაცია, აი ის ორი პრინციპი, რომლითაც ვიხელმძღვანელებ მომავალში“, დააბოლოვა მინისტრმა თავისი საუბარი.

ჯერ კიდევ ვილნოში წასვლამდის, მინისტრად დანიშვნის მეორე დღეს, სვიატოპოლკ მირსკის ეწვია ფრანგულ გაზეთის „Echo de Paris“ კორრესპონდენტი მარსელ გიუტენი. ამ უკანასკნელთან საუბარში ახალმა მინისტრმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ერობას და ქალაქებს უნდა მიეცეს მომეტებული თავისუფლება, რადგან ყველა საკითხის გადაწყვეტა პეტერბურგში შეუძლებელიაო.

„მაშ თქვენ პროგრესსის მომხრე ბრძანდებით, თავადო?“ კითხა გიუტენმა. „განა შეიძლება მაგის კითხვა, მიუგო მინისტრმა? პროგრესსი ბევრს რაშიმე გვჭირია. წინააღმდეგიც რომ ვიყვე პროგრესსისა, თავისითაც გაიკვლევს გზას ჩვენში“. ვილნოდამ წამოსვლის დროს მინისტრმა შემდეგის სიტყვით მიმართა პრესსის წარმომადგენლებს: „დიდად ვაფასებ პრესსას, განსაკუთრებით პროვინციალურს. კარგად დაყენებულსა და გულწრფელ პრესსას შეუძლია დიდის სარგებლობის მოტანა და მთავრობისათვის დიდის დახმარების აღმოჩენა... ყოველთვის დიდი მეგობარი ვყოფილვარ პროვინციალურ პრესსის და შემდეგშიაც ისეთივე მეგობარი ვიქნები მისი.“

28 ენკენისთვეს გაზეთს „Русь“-ში დაბეჭდილი იყო შენიშვნა ბ. ლვოვისა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ახალმა მინისტრმა თავის მოღვაწეობის ერთ-ერთ პრინციპად აღიარა სრული „ნდობა“. თითონ სვიატოპოლკ-მირსკიმ განაცხადა გამორკვეული პროგრამმა არა მაქვსო, მაგრამ მასაც რომ არ ეთქვა, ადვილად დაინახავდა მკითხველი, რომ მისგან დახასიათებულ მომავალ მოღვაწეობას არ ეთქმოდა პროგრამმის აღნიშვნა. მიუხედავად ამისა მთელი რუსეთის პრესსა აღტაცებით მიეგება მის მინისტრობას, რადგან რამდენადაც გამოირკვა მის წინანდელ მოღვაწეობიდგან მირსკი იყო ლმობიერი, კეთილის გულისა და პატიოსანი კაცი. ამასთან ამ პატიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანმა და სინდისიერმა კაცმა საქვეყნოდ გამოაცხადა, პრესას და საზოგადოებას პატივის ცემით და ნდობით მოვეკიდებიო. რა თქმა უნდა დაჩაგრული და დაბეჩავებული პრესა და მთლად საზოგადოება ასეთის ადამიანურის მოპყრობის მადლიერი უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა პრესას იმის იმედიც ჰქონდა, რომ თუ მინისტრმა ვერ მოახერხა ან ვერ გაბედა თანამედროვე ცხოვრების შესაფერ სამოღვაწეო პროგრამმის შემუშავება და გამოქვეყნება, ამ პროგრამმას მე თითონ შევუმუშავებო. სვიატოპოლკ მირსკის არ გაუმტყუნებია პრესისათვის ეს იმედი, იმდენი თავისუფლება მისცა პრესას, რომ პრესამ თვითონ დაუხატა სამინისტროს საჭირო პროგრამმა.

გამოუცხადა თუ არა მირსკიმ თავისი ნდობა საზოგადოებას, დიდის ხნიდან დაგუბებულმა გრძნობამ და აზრმა გადმოსჩქეფა საზოგადოების გულის სიღრმიდამ და გაზაფხულის წვიმასავით მორწყო საზოგადოების მაშვრალი გული. ამიტომაც იყო, რომ ბუნება რომ ზამთრის ძილისათვის ემზადებოდა, რუსეთის საზოგადო ცხოვრებას გაზაფხულის სიომ დაკრაო, ამბობდნენ; სწორედ გაზაფხული დაუდგა რუსეთის საზოგადოებას, როდესაც მირსკი მინისტრად დაინიშნა.

აქამდისინ თუ კილოკავად და გადაკვრით ლაპარაკობდა პრესსა ზოგიერთ ძირითად კითხვების შესახებ, ეხლა გამხნევებულმა პრესსამ უფრო თამამად იწყო ლაპარაკი ამგვარ კითხვების შესახებ, პირველი ასეთი თავისუფალი ხმა, პირველი ზარბაზანი, თუ შეიძლება ითქვას, გავარდა გაზეთ „პრავოს“ ფურცლებზე. ამ გაზეთის მე-39 ნომერში დაბეჭდილი იყო კიევის უნივერსიტეტის პროფესორის ტრუბეცკოის წერილი სათაურით „ომი და ბიუროკრატია.“ ავტორი აღნიშნავს, რამდენი მოულოდნელი ამბავი მოხდა ამ ომის დროს, რამდენი „სიურპრიზი“ ნახა რუსეთის მთავრობამ და საზოგადოებამ. ყველა ამ მოულოდნელობის მოყოლა იგივე ომის ისტორია გამოვაო, ამბობს ავტორი, რადგან ამგვარ მოულოდნელ ამბების მეტს ვერაფერს ვერ ვხედავთ ამ ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაშიო, ხოლო ყველაზე მოულოდნელი, ყველაზე უფრო დიდი სიურპრიზი გამოდგა ჩვენი სრული მოუმზადებლობა, ჩვენი უვიცობა. ვისი ბრალია ყველა ეს? რუსის საზოგადოების? რუსის საზოგადოებას ნაბრძანები ჰქონდა, გეძინოსო, და ეძინა კიდეც. დიდის ხნიდამ ცდილობენ და და ყოველ ღონეს ღონობენ, არ გამოიღვიძოსო. ხან-და-ხან თითო ოროლა გამოღვიძებული ხმას გამოიღებდა თუ არა,—არიქა, საზოგადო მშვიდობიანობა დაარღვიაო, „სუ, წყნარად იწექიო,“ შეჰყვირებდნენ. მოინდომებდა რომელიმე ერობა მთელის რუსეთის ამა თუ იმ საჭიროების შესახებ თავისის აზრის გამოთქმას,. უცბად გააჩუმებდნენ: „მთელ რუსეთთან თქვენ რა ხელი გაქვთო?!“ იქნება ჩვენის ჯარის ბრალი იყოსო ჩვენი დამარცხება? ამბობს ტრუბეცკოი. ეგ შეუძლებელია, რადგან ჩვენის ჯარის კაცის თავ-განწირულებას, მის გაბედულობას და სხვა ღირსებებს არავინ არ უარყოფსო. რჩება თვით მთავრობა და სწორედ მას აბრალებს ავტორი რუსეთის დამარცხებას. „ჯარი კი არ დამარცხებულა, დამარცხდა ბიუროკრატიაო“. ბიუროკრატიამ დააძინა რუსეთის საზოგადოება, მოუსპო განვითარებისა და წინსვლის საშუალებანი და ამ მიძინებულ საზოგადო ატმოსფერაში თითონაც ძილი მოეკიდა. ბიუროკრატია შინ ეძებდა მტერს, ყველა, ვისაც არ ეძინა, ვინც ბედავდა ლაპარაკს, ვინც სინიდისი და რწმენა ბიუროკრატიის ბრძანებას არ დაუმორჩილა, ბიუროკრატიას მტრად მიაჩნდა და ამგვარ მტრების ძებნამ და მათთან ბრძოლამ ისე გაიტაცა, რომ გარეშე მტრის შემოსევა ძლიერ გვიან გაიგო. რაც ვთესეთ, იმას ვმკითო. ბიუროკრატია საჭირო არის სახელმწიფოსათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიუროკრატია გვერდთ უდგას საზოგადოებას და არა ბატონობს მას, ხოლო ჩვენში ბიუროკრატიას აქვს ჩაგდებული ხელში კანონმდებლობა და სრულებით გაბატონებული როგორც უნდა ისე მართავს სახელმწიფოსაო. თავისს წერილს ტრუბეცკოი შემდეგის სიტყვებით ამთავრებს: „ამ დღეებში მინისტრმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ნდობა გამოუცხადა საზოგადოებას. ღმერთმა ქმნას, სიტყვა საქმედ ქცეულიყვეს, მაშინ შიში აღარაფრისა არის, არც გარეშე და არც შინაურის მტრისა. ტახტი, რომელიც გარშემო შემოიკრებს ხალხს, იქნება ძლევა მოსილი და დიდებული".

იმავე გაზეთში მოთავსებული იყო საყურადღებო წერილი ა. პეშეხონოვისა, რომელიც აღნუსხავს რა რუსეთის დამარცხებას და ეხლანდელ ომის უსაგნობას, ბოლოს იმ დასკვნას ადგება, რომ ომი უნდა დაბოლოვდეს. მართალია, ბევრი იმას იტყვის, რომ ომის ეხლა გათავება შეუძლებელიაო, რადგან დამარცხებულნი ვართ და დამარცხებულებს არ გვეკადრება ომის შეწყვეტაო, მაგრამ ამას სწორედ ის მხარე იტყვის, რომელმაც ეს ომი თავს მოახვია რუსეთს და რომელსაც თავის გასამართლებელი მეტი აღარა დარჩენია რაო. საჭიროა ამიტომ მთელმა ხალხმა სთქვას, რა სურს, ომის გაგძელება თუ ზავი, ხოლო ამისათვის საჭიროა მთელ იმ ხალხს, რომელიც ამ ომში გზავნის თავის შვილებს და თავის საცხოვრებელს ამ ომს ახარჯავს, მიეცეს ნება თავისი სურვილი და აზრი გამოსთქვას, საჭიროა შეიცვალოს ის წესი, რომელიც აქამომდე სუფევდა და რომელსაც ხალხი დამონავებული და გაჩუმებული ჰყავდა.

ამ წერილებს მოჰყვა მრავალი სხვა, სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, რომელნიც ერთ და იმავე აზრს ადგნენ, ეხლანდელი წესი უვარგისია, რადგან გაბატონებული „ჩინოვნიკობა" სდევნის თავისუფალ აზრს, ხალხს თავისი აზრი ვერ გამოუთქვამსო, ვერ გამოუმჟღავნებია თავისი საჭიროებანი, ეს გამოუმჟღავნებელი საჭიროებანი დაუკმაყოფილებელი რჩებაო, ჩინოვნიკობა კი თავის სურვილებს იკმაყოფილებს და დანარჩენ ხალხს სჩაგრავსო; იმავე ჩინოვნიკობამ თავის უფლებათა დასაცველად სახელმწიფოს პოლიციური ხასიათი მისცა. ხალხმა არ იცის, რაზე ან როგორ იხარჯება მისი ოფლით ნაშოვნი ფული, ხალხს არ აქვს თავის საჭიროებათა წარმოდგენა, მას აკლია საშუალებანი. ყველა ამას კი განზრახ უმალავს ბიუროკრატია, რათა არ დაჰკარგოს თავისი ძალა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენა და ამ ძალაზე და გავლენაზე დამოკიდებული სიმდიდრე და უფლება ხალხის სიმდიდრის უკანტროლოდ ფლანგვისა.

ერთის სიტყვით, ამბობდა რუსეთის პრესსა, რუსეთში მოქალაქე მოკლებულია ყოვესალვე იმ პიროვნულ უფლებას, რომლითაც სარგებლობს ყოველ სხვა განათლებულ სახელმწიფოს მოქალაქე. მაშინ როდესაც ინგლისელს აქვს ეგრედ წოდებული habeas corpus, ე. ი. ისეთი კანონი, რომელიც იცავს მთავრობის უკულმართობისაგან მის პიროვნებას, მის სინიდისს და თავისუფლებას, მაშინ როდესაც საფრანგეთში „პიროვნების უფლებათა დეკლარაციით“ დაცულია იქაურ მკვიდრის ასეთივე უფლებანი, რუსეთში ამ გვარ კანონების მაგიერობას ასრულებს კანონთა კრებულის მე-XIV ტომის ერთ-ერთი წესდება; ამ წესდების ძალით ზემოღანიშნული პიროვნული უფლებანი რუსეთის ქვეშევრდომს ახდილი აქვს და ცალკე პირი პოლიციის უკანტროლო მოქმედებას უნდა ექვემდებარებოდეს.

ასე ახასიათებდა და ახასიათებს რუსეთის პრესსა რუსეთის მცხოვრების მდგომარეობას და ასეთის დახასიათების სამართლიანობის დასამტკიცებლად, უკანასკნელ დროს იმდენი მაგალითი იყო მოყვანილი რუსის ქვეშევრდომის უუფლებობის დამასურათებელი, რომ იმ მაგალითთა მეათასედის ჩამოთვლაც ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

აქ გაკვრით უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა რუსეთის პრესსას ამ ბოლო დროს ნება მიეცა უფრო თავისუფლად ლაპარაკისა, ეს თავისუფლება მაინცა-და-მაინც არ იყო ისე სრული, რომ პრესსას შეძლება ჰქონოდეს დიდ და წარჩინებულ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებათა და თავისნებობის მხილება და გამოქვეყნება. უმსხვილესი ბიუროკრატი, რომელსაც ისიც ფრთხილად შეხებია ჯერ-ჯერობით პრესსა, გუბერნატორია. ამ ჩინს ჯერ უუფლებობის გამო პრესსა არ ასცილებია თავის მხილებაში.

მაგალითი ურიცხვია, ვამბობთ, ბიუროკრატიისაგან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ჩაგვრისა და იმ მაგალითების ჩამოთვლას ვერ მოვ-ყვებით-თქო, მაგრამ ერთ-ორს სანიმუშოდ მაინც მოვიყვანთ აქ.

შარშან ნოემბერში ქალაქ მელიტოპოლში ოლქის სასამართლოს სესსიამ განიხილა მთელი სერია ისეთის საქმეებისა, რომლებშიაც პოლიციელებს ბრალდებოდათ კერძო პირთ დაპატიმრების დროს მათი ცემა.

—„რამდენჯერ შემოგკრათ ურიადნიკმა?“—ჰკითხავენ გალახულს.

—„ვინ მოთვლიდა. მირტყა ურიადნიკმა, მირტყა გოროდოვოიმაც; ჯერ ყურში წამითაქეს და სისხლი რომ წამსქდა, გვერდების ზელას მოჰყვნენ,—უჩვენებს დაზარალებული.

—„იქნება დატუსაღებას ეწინააღმდეგებოდით?“

—„როგორ გეკადრებათ, განა არ ვიცი, რომ წინააღმდეგობა არ შეიძლება,—უპასუხებს დაზარალებული.—მირტყამდნენ მისთვის, რომ გამომვტყდარიყავ“...

საყურადღებო აქ ის არისო, ამბობს ამ ამბის გადმომცემი გაზეთი, რომ პოლიციის ძლევამოსილებას ამ ადამიანის გონებაში განუმტკიცებია ის პრინციპი, რომ „წინააღმდეგობა არ შეიძლება.“

წარსულ წლის იანვარში ქალაქ სარატოვში ბოქაული პლაქსინი, მთვრალი, თითქმის გონება დაკარგული, საღამოს ათვალიერებდა თავისს ნაწილში გოროდოვოებს. ერთ-ერთმა ამ უკანასკნელთაგანმა გაჰბედა, ხელი დაუჭირა და სახლში წაიყვანა. გზაში, რათა საღამოს ფუჭად არ ჩაევლო, პლაქსინმა დაიჭირა ერთი გლეხი და პოლიციის ნაწილში გაგზავნა, საითაც თითონაც გაეშურა. მივიდა პლაქსინი თუ არა, ორმა პოლიციელმა წარუდგინეს გლეხი.

— „ა, ეგ შენა ხარ“... ძლივს წაილუღლუღა ღვინისაგან ენა წართმეულმა პლაქსინმა, იშიშვლა ხმალი და დაუწყო ჩეხა გლეხს, გლეხი გაიქცა, მაგრამ ბოქაულმა ნამდვილი ნადირობა გამართა,—დაადევნა მთელი რაზმი პოლიციელებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეწია ერთ ქუჩის კუთხესთან და ისევ დაუშინა ხმალი დაჭრილსა და სისხლით გათხვრილ გლეხს. სასამართლომ პლაქსინს სამსახურის აღსრულების დროს გლეხის მძიმედ დაჭრისათვის ოთხი თვე დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ მანიფესტით სასჯელი აპატივა.

ქალაქ ცარიცინში ბოქაულს ზიკოვს ეჭვი მიეტანა რამდენსამე კაცზე რაღაც რკინეულობის მოპარვაში და შეეცადა მათ გამოტეხას. „აბა, რეზინიო“ უბძანა თავის მოხელეთ, როდესაც ორი კაცი მიუყვანეს. მოიტანეს მათრახის მსგავსი გძელი რეზინი ალაბ ნახევრის სიგძე; მოყვანილთ გახადეს ტანთ და ტიტველ ტანზე დაუწყეს ცემა ამ რეზინით... ორივენი ერთ თვეს საავადმყოფოში იწვნენ.

30 ენკენისთვეს სარატოვში შუაღამისას სამსახურიდამ შინ მიდიოდა ტელეგრაფის მოხელე ვინმე მ. ერთბაშად მოესმა მრისხანე ხმა: „გაჩერდი, ვინა ხარ?“ ხმა ბოქაულის ყოფილიყო. „ჯოხს რად ატარებ?“ ამას წინად ცოფიანმა ძაღლმა მიკბინა და მას აქეთ ვატარებ ჯოხსაო, უპასუხა ტელეგრაფისტმა.—„სტყუი!.. საზოგადოდ არავის არა აქვს ნება ღამ-ღამობით სიარულისა“, შეჰყვირა ბოქაულმა და თან უმსგავსო ლანძღვა დააყოლა და წაართვა ჯოხი. ამრიგად, დასძენს გაზეთი, რომელშიაც ეს ამბავი იყო მოყოლილი, ტყვილად გამოუდგებით რაიმე სისტემის ძებნას ამ პოლიციელის წარმოდგენაში,—ჯერ ჯოხის ტარება არ ეპიტნავა და შემდეგ კი წარბ-შეურხევლად ყოველივე უფლება ახადა რუს მოქალაქეს ღამ-ღამობით. არ გეგონოს კი, მკითხველო, რომ მხოლოდ სარატოვის ბოქაულის აზრით არის რუსი მოქალაქე ღამ-ღამობით უფლება ახდილი არსება. კიევის ბოქაულიც იმ აზრისაა, რომ ყველა თავის უფლებებით მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ დღისით. 21 ოქტომბერს, შარშან ვინმე ა. გ. ღამის 12 საათზე შინ მიდიოდა. წამოეწია პოლიციელი და დაუყვირა: „ეი, ვინა ხარ, ასე გვიან რას დაეთრევი?“ ა. გ—მ პასუხი არ გასცა. მაშინ პოლიციელმა დაუძახა მეორეს და ორივემ გაჰქაჩეს ა. გ—ი და საბოქაულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მიიყვანეს. აქ. ა. გ—მ მოითხოვა ოქმის შედგენა, მაგრამ ბოქაულმა ოქმი არ შეადგინა და პოლიციელების გასამართებლად შემდეგი წარმოსთქვა: **„კარგი და პატიოსანი“** კაცი ასე გვიან არ უნდა დადიოდეს და თუ დადის, პოლიციელი ვალდებულია შეეკითხოს ამისთანა კაცს, ვინ არის იგი; **პატიოსანი** კაცი ყოველთვის უპასუხებს ამისთანა შეკითხვაზე. გამოდისო, ამბობს გაზეთი, რომ უფლებას კი არა პატიოსნებასაც კარგავს ადამიანი, თუ ღამ-ღამობით დადისო.

ორლოვის გუბერნიაში, დმიტროვის მაზრაში ცხოვრობს ერთი მემამულე ბ. მურავიოვი, რომელმაც უარყო გლეხისაგან თავისის უფლებებით სარგებლობა დღითაც,—მან გამოსცა შემდეგი ბძანება:—ჩემ სახლთან არავინ გაბედოს გავლაო!

საუბედუროდ ერთად-ერთი ეკლესია იმ არე-მარეში მოთავსებულია ამ მებატონის მამულში. მიუხედავად ამგვარ ბრძანებისა ერთმა გლეხმა გაჰბედა და ეკლესიაში წავიდა. მურავიოვმა დაინახა მიმავალი გლეხი და შეჰყვირა, არ გაბედო და ჩემს ხახლთან არ გაიაროვო. გლეხმა ყური არ ათხოვა და ეკლესიაში შევიდა.

მურავიოვის აზრით მისი ბრძანება გლეხისათვის კანონი უნდა ყოფილიყო. ამას ვინ დაეძებს,—მურავიოვს რაც ენებებოდა, ის გონებოდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადგილობრივმა ზემსკი ნაჩალნიკმაც ასე შეხედა საქმეს და დასაჯა გლეხი. საქმე სიეზდში გადატანილ იქნა, მაგრამ სიეზდმა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც დამტკიცდა, გლეხი ყრუ ყოფილა, დაამტკიცა ზემსკი ნაჩალნიკის განაჩენი. გლეხმა სენატში გადაიტანა საქმე, მაგრამ საჩივრის გარჩევამდის საპატიმროში უკრეს თავი გუბერნატორის ბრძანებით. მაშინ გლეხმა ვიღასიც რჩევით მიმართა მაშინდელ მინისტრს პლევეს. მინისტრმა არ დაიჯერა საჩივარში ნაამბობი და საქმის ხელ-ახლავ განხილვაზე უარი სთქვა. მხოლოდ ახალმა მინისტრმა განათავისუფლა გლეხი მას შემდეგ, რაც საბრალო გლეხმა ორთვე ნახევარი დაჰყო სულ უდანაშაულოდ სატუსაღოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რამდენიმე მაგალითი იმისა, როგორ ესმის თავისი მოვალეობა ნამდვილ პოლიციას და როგორ სარგებლობს ის თავისს უფლებეებით. მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში პოლიციური ხასიათი აღევს ყველა სხვა დაწესებულებასაც და თუ ნამდვილი პოლიციისაგან იჩაგვრება მეტ ნაწილად ჩვენი ხორციელი არსება, უფრო მძიმედ იჩაგვრება ჩვენი სულიერი არსება სხვა დაწესებულებათა მოხელეებისაგან.

აი რას გვიამბობს, სხვათა შორის გაზეთი „რუსსკია ვედომოსტი“: „ნოვგორდის ეროობის მოამბე“-ს ხუთის წლის განმავლობაში გამოეცვალა ოთხი ნამდვილი, გარდა რამოდენსამე დროებით ცენზორისა. ზოგი ამ ცენზორთაგანი მეტად სასტიკი იყო, ზოგი ცოტაოდენ ლმობიერებას იჩენდა. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც „მთავრობის მოამბიდან“ გადაბეჭდვას უკრძალავდნენ გაზეთს. ამა თუ იმ წერილის დაბეჭდვა გაზეთში დამოკიდებული იყო ცენზორის გუნებაზე და მის სულის განწყობილებაზე. ერთი და იგივე ცენზორი, დღეს რომ რამე წერილის დაბეჭდვას აკრძალავდა, ხვალ ნებას რთავდა იმავ წერილის დაბეჭდვას. რა თქმა უნდა, ძნელია მწერალმა შეუთანხმოს ამისთანა ახირებულ ცენზურულ მოთხოვნილებას თავისი მწერლური მოღვაწეობა. შარშან, მაგალითად, ზემოაღნიშნულ გაზეთში მოყვანილი იყო მინისტრ სვიატოპოლკ-მირსკის ბაასი ფრანგულ კორესპონდენტ გიუტენთან, მაგრამ მინისტრის ნათქვამი მეტად შემოკლებულად და არა სავსებით იყო დაბეჭდილი, რადგან ცენზორმა არ დართო ნება. „თუ არც მინისტრს აქვს უფლება, ცენზორის აზრით, ამბობს გაზეთი „რუსსკია ვედომოსტი“, ჩვენის წესწყობილების შესახებ გამოსთქვას თავისი შეხედულება, ადვილი წარმოსადგენია, როგორ სასტიკად უნდა ექცეოდნენ ცენზორები უბრალო მომაკვდავის აზრს“.

არ გეგონოს, მკითხველო, რომ ასეთი ცენზორები მხოლოდ ნოვგოროდში სცხოვრობდნენ. სვიატოპოლკ-მირსკის ნათქვამის გადაბეჭდვა აკრძალული ჰქონდა მრავალს სხვა-და-სხვა კუთხის ჟურნალ-გაზეთებს და რაც ზემოდ

ნოვგოროდის ცენზორებზე იყო ნათქვამი სავსებით ითქმის ყველა დანარჩენ ცენზორებზედაც.

ცენზურა მაინც-და-მაინც პოლიციური დაწესებულებაა, ხოლო აი იმის მაგალითიც, თუ როგორ გამსჭვალულია რუსეთში პოლიციურის ხასიათით ყოველნაირი დაწესებულება, ისეთიც კი, როგორც სკოლა. როსტოვში საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში ერთ-ერთ კლასში გალობის გაკვეთილის დროს ერთს მოწაფეს თავი ატკივდა. მასწავლებელმა ნება მისცა ბავშვს არ ეგალობნა და დამჯდარიყო. ბავშვი დაჯდა და თავით ხელებს დაეყრდნო. ასე იჯდა ბავშვი მინამ ვიღასაც ხელი არ სწვდა საყელოში. ეს იყო სასწავლებლის დირექტორი.—„როგორ გაჰბედე და ჰიმნის გალობის ღროს დაჯექიო?"—იყვირა დირექტორმა, შემდეგ რაღაც ოთხფეხის სახელი უწოდა და კინწის კვრით გამოაგდო კარში და უბძანა, ჩემს კაბინეტში წადიო. დირექტორი ძლიერ გაუწყრა გალობის მასწავლებელს, რომელმაც გაბედა და უთხრა დირექტორს, ეხლა ჰიმნის გალობას ვსწავლობდით მხოლოდ და ასეთი გალობა და ჰიმნის საზოგადოდ გალობა ერთი არ არისო. დირექტორმა ბევრი იყვირა, სთქვა რაღაც ჟინდარმებზე, ახსენა მთავრობა და გაეშურა თავის კაბინეტისაკენ; იქ საბრალო მოწაფესთან ერთად ჩაიკეტა კარი. რა მოხდა მათ შორის, არავინ იცის, რადგან მოწმე არავინ დასწრებია, ხოლო ცოტა ხანს უკან მოწაფე გამოვიდა ოთახიდან გაფითრებული, აცახცახებული, თვალებ ამღვრეული. ამ დროს მის კლასსში გეომეტრიის გაკვეთილი იყო. მასწავლებელმა გამოუძახა ამ ბავშვს. ბავშვი გავიდა და ძლივს წაიჩურჩულა:

—„არ შემიძლია... ეს-ეს არის მცემეს"...—კლასსი რომ გათავდა, ბავშვთან მივიდა ზედამხედველი და გამოუცხადა, დირექტორმა ღამის თორმეტ საათამდე ჩაკეტა ბძანა შენიო.

ჩვენ ორი-სამი მაგალითი მოვიყვანეთ გაზეთებიდან, ხოლო მთელი ეხლანდელი ცხოვრება მღაღადებელია პოლიციის ძლევამოსილებისა, მის სრულუფლიანობისა და სრულ ბატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობისა. ამ პოლიციის ყოვლად ძლიერებამ ერთს გაზეთს კიდეც ათქმევინა, რომ იმისთანა თავისუფლება, როგორიც ჩვენშია, არავის სიზმარშიაც კი არ დასიზმრებია, ხოლო ეს თავისუფლება პოლიციას ეკუთვნის და არა ხალხსაო.

ბეჭდვითი სიტყვის მოვალეობაა გაითვალისწინოს თანამედროვე ცხოვრება, განმარტოს ამ ცხოვრების მოვლენათა მიზეზები და დასახოს ის საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეიძლებოდეს დღევანდელ უკუღმართობის უკუგდება. რუსეთის პრესამ, როგორც იყო ნაჩვენები, იშოვა დრო თუ არა, შეძლების და გვარად დაახასიათა და დაასურათა რუსეთის დღევანდელი ცხოვრება, განმარტა კიდეც ის მიზეზნი, რომელნიც ქმნიან დღევანდელ ცხოვრების უკუღმართობას,— ეს მიზეზებია—ჩვენის მართვა-გამგეობის პოლიციური ხასიათი, სრული უკანტროლობა მთავრობის მოღვაწეობისა და უუფლებობა რუსის მოქალაქისა. რუსეთის პრესასა კარგად ესმის თავისი მოვალეობა და ამაზედ არ შეჩერებულა მისი თავგამოდებული შრომა. ჯერ იმ თავითვე როდესაც მინისტრად დაინიშნა სვიატოპოლკ-მირსკი, გაისმა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ჯერ ფრთხილად და მერე და მერე უფრო გაბედულად ხმა, რომ ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს რუსეთი განვითარების ნამდვილ გზაზე, არის ის, რომ ხალხმა თავისის წარმომადგენლების საშუალებით ქმნას კანონები და მართოს სახელმწიფო. ასეთი აზრი არ ახალია, ძველია რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის და ამიტომ საზოგადოებამ ბანი მისცა პრესის ხმას და რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში გაიმართა ყრილობა, ეგრედ წოდებული ბანკეტები და სხვ. ყველგან ერთი და იგივე ხმა ისმოდა, ხოლო რაც დრო მიდიოდა, საზოგადო აზრს, აქამდისინ გამოუთქმელს და ცალკე პირთ გულის სიღრმეში დაგუბებულს, დაეტყო შემუშავება, პროგრამმული ხასიათი მიეცა, მიეცა ფორმა.

ცალკე თვითმართველობანი ქალაქისა და ერობისა, ცალკე ინტელიგენცია, პროფესორები, სტუდენტები, მუშებია,—ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანი თავ-თავიანთ ჭირ-ვარამის გარჩევას და თავისის მდგომარეობის გაუმჯობესობას უკავშირებდნენ რუსეთის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და ყველგან ერთ და იმავ გადაწყვეტილებას ადგებოდნენ,—ვერაფერი ცვლილება და ვერაფერი კანონი ვერ უშველის ამა თუ იმ საქმეს, თუ ძირითადი კანონი არ შეიცვალა. ყველგან გაისმოდა ერთი და იგივე ხმა და რომელიც ითხოვდა პიროვნების თავისუფლებას, თავისუფლებას პრესისას, თავისუფლების ყრილობათა, და ადმინისტრატიულ ბატონობის გაუქმებას და ხალხის კონტროლს მთავრობისათვის. რაც დრო მიდიოდა, საზოგადოების ხმა და მასთან ერთად საზოგადოებას აზრთა გამომთქმელ პრესსის ხმაც უფრო და უფრო გარკვეული და ძლიერი გახდა, საზოგადო აზრი განმტკიცდა. მკითხველმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს საზოგადოების აზრი. ამ აზრს არ აქვს არაფერი მატერიალური ძალა, რომ ამ ძალის შეწეობით ცალკე პირს, მართველი იქნება იგი თუ სხვა ვინმე, ძალდატანებით თავისი შეხედულება მოახვიოს, ხოლო მორალური ძალა საზოგადო აზრისა ბევრად მეტია ყველა სხვა მატერიალურ ძალაზე. რუსეთის მთავრობამაც იგრძნო რუსეთის მოწინავე საზოგადოების აზრის ზედგავლენა, იგრძნო, რომ მისი მიჩუმება ძნელილა იყო და ამიტომ ამ აზრის დასაკმაყოფილებლად გამოიცა წარსულ წლის 12 დეკემბერს უმაღლესი ბძანება სენატისადმი.

„როდესაც რომელიმე საჭიროება იმდენად მომწიფებულია, რომ ცვლილების შემოღებას თხოვილობს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ცვლილების მოხდენა“, ნათქვამია ამ ბრძანების პირველ სტრიქონებში. ამის შემდეგ ჩამოთვლილია ის საჭიროებანი, რომელნიც მიუცილებლად უნდა იყვნენ დაკმაყოფილებული. საჭიროა ბრძანების სიტყვით, რომ: 1) კანონთა ძალა დაცულ იქმნას და კანონი ისე ადვილად არ ირღვეოდეს; 2) გაფართოვება საერობო და სამოქალაქო თვითმართველობათა უფლებებისა; 3) ერთგვაროობა დაეტყოს სამოსამართლო დაწესებულებათა; 4) შემოღებულ იქმნას მუშათა სახელმწიფო დაზღვევა. შესწორებულ იქმნას გაძლიერებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის წესები, რომელნიც დიდ უფლებას აძლევენ ადმინისტრაციას, და ამასთან შემცირებულ იქმნას იმ ადგილების რიცხვი, სადაც შემოღებულია ასეთი წესი.

6) გადახედვა იმ კანონებისა, რომელიც რჯულის საქმეს შეეხება იმ აზრით, რომ სხვა-და-სხვა რჯულს მეტი თავისუფლება მიეცეს.

7) გადახედვა იმ კანონებისა, რომელნიც სხვა ტომის ხალხთ შეეხება და მათ უფლებათ ამცირებს. ამ კანონებიდამ დაცულ უნდა იქმნან მხოლოდ ისეთნი, რომელთა დაცვას მოითხოვს რუსის ხალხის ნამდვილი სარგებლობა.

ეს კანონების გადახედვა, მათი დღევანდელ დღის შესაფერად შესწორება და გადაკეთება იმავე ბრძანების ძალით მიენდო მინისტრთა კომიტეტს. ჩვენს დროს ყველამ იცის და ამისათვის არ არის მაინცა და მამნც საჭირო კანონისა და კანონმდებლობის შესწავლა, რომ ცხოვრება უსწრებს კანონს, რომ კანონმდებლობა ვერ ასწრებს ცხოვრების მოთხოვნილებათა უცბად დაკმაყოფილებას. ასე ყოფილა ყოველთვის, ასეა ეხლაც დაწინაურებულ ქვეყნებშიაც, სადაც კანონთა შექმნის საქმე საუკეთესოდ არის მოწყობილი. ამიტომ არაფერი საკვირველია რომ ჩვენს ბიუროკრატიულ სახელმწიფოში, სადაც შესაფერ კანონების შექმნას სხვა რამეც, სახელდობრ ბიუროკრატიის წინაღმდეგობა, აფერხებს კანონდებლობა უფრო ჩამორჩენილია. ასეთი ჩამორჩენილობა დაეტყო ზემოაღნიშნულ ბძანებასაც. იმ დროს, როდესაც გამოიცა ეს ბრძანება, რუსეთის ცხოვრების მოთხოვნელება ბევრად წინ იყო წასული და ამიტომ მხოლოდ ორიოდ გაზეთმა თუ აღიარა საკმარისად ის ცვლილებანი, რომელიც ბძანებაშია მოხსენებული, თორემ დანარჩენმა პრესსამ და რუსეთის მოწინავე საზოგადოების სხვა-და-სხვა ნაწილმა უარი სთქვა დასახელებულ ცვლილებათა განხილვა-განსჯაზე. ეროობისა და სამოქალაქო თვითმართველობის წარმომადგენელნი, პროფესსორები, ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი და სხვა. ერთხმად აღიარებდნენ, რომ არავითარ ცვლილების შემო-

ლებას ეხლა აზრი არ აქვს, ჯერ იმიტომ, რომ რაც უნდა კარგი ცვლილება შემოვიდეს, რაც უნდა კარგი კანონი გამოცხადდეს, იგი შეფარდებული უნდა იყოს ეხლანდელ წესწყობილებასთან, ე. ი. ბიოროკრატიულ და პოლიციურ სახელმწიფო წეს უნდა ექვემდებარებოდეს, და ასედაც რომ არ იყოს, არავინ და არაფერი არ არის იმის თავდები, რომ დღეს შემოღებული უნაკლულო და დღევანდელ დღის შესაფერი კანონი ხვალ გაუქმებული არ იქნება. მოწინავე პრესა ერთხმად იხსენებდა მესამოცე წლებს და ამბობდა მესამოცე წლებში შემოღებული კანონები თავის და თავათ მშვენიერი კანონები იყო, მაგრამ რა შეგვრჩა იმათგან დღეს? დღეს-დღეობით არ არსებობს არც თვითმართველობათა კითხვა, არც საუნივერსიტეტო საკითხი და არც სხვა რაიმე კერძო რამ საჭიროება, საჭიროა მხოლოდ ერთიანად ძირითად წესის შეცვლა, ისეთი შეცვლა, რომ საზოგადოებასა და ხალხს გარანტია ქონდეს იმისი რომ დღეს შემოღებული კანონი ხვალვე არ გაუქმდება, რომ თვით კანონის შექმნა დამყარებული იქნება ხალხის სურვილზე, რომელსაც ხალხი თავის წარმომადგენელთა პირით წარმოსთქვამს. პრესსამ, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, კარგა ხანია გამოსთქვა ეს აზრი, მაგრამ აქამდისინ თუ გადაკვრით და კილოკავად ეხებოდა ამ ძირითად კითხვას ამ ბოლო დროს პრესსა უფრო პირდაპირ და გამორკვეულად მსჯელობდა ამ საგნის შესახებ. ამ წლის თავში აღარ დარჩენილა ისეთი ჟურნალი ან გაზეთი, რომელსაც პირდაპირ არ დაესახელებინოს ეგრედ წოდებული „ზემსკი სობორი“, ზემსკი სობორის მოწოდებაში ხედავდა ყველა ხსნასა და შველას. მიუხედავად ამისა ჯერაც არ გამორკვეულა საბოლოოდ, რას გულისხმობს ბრესსის სხვა-დასხვა ნაწილი, როდესაც ზემსკი სობორის მოწოდებას თხოვილობს. საქმე ის არის, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში მთავრობას შეუძლია მიმართოს ორს საშუალებას, ან თვით შეიმუშავოს სახელმწიფო მართვის ახალი ფორმა, ჩააბაროს კანონმდებლობა ხალხისაგან ამორჩეულ წარმომადგენელთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონვე განსაზღვროს თავისი ამ წარმომადგენელთა კრებულთან დამოკიდებულება ანა და მოიწვიოს წარმომადგენელთა დროებითი კრება და მას მიანდოს სამერმისო მართვა-გამგეობის მოწყობა. პირველს შემთხვევაში ეხლანდელი მთავრობა თითონ შემოიღებს ეგრედ წოდებულ კონსტიტუციას, ხოლო მეორეში—მოწვეულთ კრებული დროებითი იქნება და მათის მოწვევით სახელმწიფო მართვის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩება, მინამ ეს კრებული არ შეიმუშავებს სახელმწიფოს მომავალს წესრიგს. ორივე შემთხვევაში, როგორც ხედავს მკითხველი ეხლანდელი მთავრობა იწვევს ხალხის წარმომადგენელთ, ხოლო პირველს შემთხვევაში ამ კრებულს ეძლევა საბოლოვო ხასიათი და მეორეში—დროებითი; ეს მეორე კრებული—დამფუძნებული იქნება (ე. წ. რუსულად უჩრედიტელნოე სობრანიე). ზემსკი სობორი კი ორთავე კრებულს შეიძლება ეწოდოს. აი ერთი მხარე, რომელიც ნათლად არ იყო გამორკვეული. გარდა ამისა რა აზრითაც არ უნდა მოიწვიონ ეს ზემსკი სობორი, ძირითადი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ და ვინ მოიწვევს ხალხის წარმომადგენელთ. გაზეთ „ნოვოე ვრემიამ“, რომელსაც ცალკე ვერ გაუბედნია გამოსთქვას და ცალკე არც სურს, რომ ხალხის წარმომადგენლების კრებული თავისუფლად იყოს არჩეული, თავისებური აზრი წარმოსთქვა ამ საგნის შესახებ. მისი სურვილია, ზემსკი სობორო შესდგებოდეს ასის—თავადაზნაურობის, ასის—სამღვდელოების, ასის—ვაჭართა და ასის—გლეხობის წარმომადგენელთაგან. „ნოვოე ვრემია“-ს პასუხად გაზეთ „რუს“-ში დასტამბა თავისი წერილი ბაქოს მოურავად ყოფილმა ნოვიკოვმა. ნოვიკოვი სწერდა, ყველა ზემსკი სობორის მოწოდებას ინატრის, „ნოვოე ვრემიაც“ კი, და ასეთი ერთობა და თანხმობა ცოტა არ იყოს ეჭვს მიბადავს, ვაი თუ ამ სახელით ერთი ერთს ნატრულობდეს და მეორე—მეორესო. თვით ბ. ნოვიკოვი თავისს წერილში ითხოვს, რომ ხალხს სრული თავისუფლება მიეცეს წარმომადგენლების ამოსარჩევად. რამდენადაც გამოირკვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მხრით ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის საკითხი, პრესსის საუკეთესო ნაწილი ბ-ნ ნოვიკოვის აზრს ადგას და თავისუფალ არჩევანის საგარინტიოდ ოთხოვს, რომ ყველას გაურჩევლად წოდებისა და სჯულისა მიენიჭოს უფლება ფარულის და დამოუკიდებელის კენჭის ყრისა. ამ მდგომარეობაშია დღეს-დღეობით სახელმწიფო ძირითად საგნის შესახებ პრესსის მსჯელობა, ხოლო თვით მთავრობა ვერ დაჰყოლია ჯერ საზოგადოების სურვილს. 18 თებერვლის მანიფესტში ნათქვამია, რომ თვითმყრობელობითი პრინციპი დაცულ უნდა იქმნას სავსებით, ხოლო იმავ 18 თებერვლის რესკრიპტში შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზედ გამოთქმულია ის აზრი, რომ ხალხისაგან ამორჩეულ მცოდნე და გამოცდილ საუკეთესო კაცების დახმარება მეტად საჭიროა კანონმდებლობის ნაყოფიერობისათვის, და ამიტომ ამავე მინისტრს ებძანა მოისაზროს და შეიმუშავოს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის წესი. აქ გაკვრით უნდა ვსთქვათ, რომ იგივე რესკრიპტი წინდაწინვე ურჩევს მინისტრს თანდათანობას, რადგან უწინაც, ამბობს რესკრიპტი, რუსეთის ხელმწიფეთ საჭიროების დაგვარ თანდათან შემოჰქონდათ სხვა-და-სხვა ცვლილებანი, ახსოვდათ რა სახელმწიფოს ცალკე ნაწილების სხვა და სხვაობა და ზოგ მათგანის მოქალაქეობის ჩამორჩენილობა.

ძნელია სთქვას კაცმა, რომ ეს რესკრიპტი გადაწყვეტილს, გარკვეულს პასუხს იძლეოდეს დღევანდელ საკითხზე. შეიძლება მხოლოდ ითქვას ერთი, რომ ამ რესკრიპტის აზრით, რა ცვლილებაც უნდა მოხდეს, ზოგს ნაწილს სახელმწიფოსას, — უეჭველია, განაპირა ქვეყნებს, — არ უნდა ერგოს ის უფლება, რომელსაც შეიძლება ეღირსოს რუსეთი. შეიძლება-თქო, ვამბობთ, იმიტომ, რომ რესკრიპტში გამოთქმული სურვილი არ არის ნათლად გამორკვეული. ამ რესკრიპტის ბრძანების აღსრულება იქნება, შინაგან საქმეთა მინისტრმა რომ ნამდვილ კონსტიტუციის პროგრამმა შეიმუშავოს, მაგრამ არც ის იქნება ამავე რესკრიპტის საწინააღმდეგო, სახელმწიფო საბჭოს რომ ასიოდ დიდის სიფრთხილით ამორჩეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის, წარმომადგენელი წაუმატონ, ხოლო თვით საბჭო ისევ იმ სახით დასტოვონ, როგორც აქამდის ყოფილა. ამრიგად რესკრიპტში გამოთქმულ სურვილის სისრულეში მოყვანა ორნაირად შეიძლება, ხოლო რა გზას დაადგება მთავრობა დამოკიდებულია მომავალ გარემოებათაგან. ამ შემოხვევაში მთავრობას არ უმტყუვნებია იმ პრინციპისათვის, რომელსაც ადგას ყველა დროის და ყველა ქვეყნის მთავრობა,—რაც შეიძლება მეტი უფლება შეინარჩუნოს და მხოლოდ მიუცილებელ შემთხვევაში დაუთმოს ოპოზიციას, რა სახითაც არ გამოიხატებოს ეს უკანასკნელი, ისიც რაც შეიძლება ნაკლები უფლება. ამიტომ არის რომ დღესაც მთავრობა თითქო უთმობს რაღასაც ხალხს, მაგრამ ისეთნაირად კი, რომ ხვალ რომ გარემოება შეიცვალოს, ადვილად შეიძლოს თავისის უფლებების სრულებით აღდგენა. მანცა-და-მაინც, რაც უნდა გაურკვეველი იყოს მთავრობის იგანცხადება, ამ განცხადების სიმპტომატიური, ე. ი. ნიშნობლ ვი ხასიათი ეჭვს გარეშეა,—ეჭვს გარეშეა, რომ თუ საქმეთა ვითარება და საზოგადებრივი მოძრაობა არ შეიცვალა და წინსვლა არ შეჩერდა, დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა ახლო მომავალში გადაწყდება ხალხის სასარგებლოდ.

წარსულ წლის პირველს ნახევარში, როგორც ზემოდ გვქონდა ნათქვამი, პრესსა იკვლევდა ომის უბედურად დატრიალების მიზეზებს, ძიებამ უფრო ღრმა და სერიოზული საკითხი წამოაყენა, იმდენად სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი, რომ ამ საგანმა სრულებით დაიპყრო საზოგადოებისა და პრესსის ყურადღება და გონება და ომის ამბები თითქმის გადაავიწყა. წარსულ წლის ენკენისთვიდამ რომ დაეწყო ვისმე თვალ-ყური დევნება რუსეთის ცხოვრებისათვის, ასე ეგონებოდა, რომ ეხლანდელს საზოგადოებრივ მოძრაობას არაფერი კავშირი არ აქვს ომთან. ეს იმის მიზეზია, რომ დღევანდელი ძირითადი საკითხი დიდის ხნიდამ არსებობს და ითხოვს გადაწყვეტას და ომმა და უფრო მისმა უბედურებამ მხოლოდ ხელი შეუწყვეს მის წამოყენებას. მაგრამ ომი თუ მის წამოყენების ხელის შემწყობი იყო, ისევ ამ ომის ამბებზეა დამოკიდებული ისიც, თუ როგორ გადაწყდება დღევანდელი მძიმე ძირითადი საკითხი შესახებ სახელმწიფო მომავალ მოწყობისა და მართვისა.

ივ. ზ—შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ცხოვრებიდან

ინდოელ ნაციონალისტთა მეოცე კრება.—რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.—მეკლენბურგელ დეპუტატის სიტყვა რეიხსტაგში.—ენუველისტები.—ვალდორფ-ასტორია.

I

ინდოელ ნაციონალისტთა მეოცე კონგრესსი.

ჩვენს პირველს წერილში, ზემო აღნიშნულ სათაურით, მოთხრობილი გვქონდა ინდოეთში სწავლა-განათლების მდგომარეობა. ის ბატონი ხალხი, ვწერდით ჩვენ ინგლისის შესახებ, რომელმაც არა თუ არ გადაეღობა განათლებისაკენ მიმავალ გზაზედ, არამედ თვითვე გაუკაფა იგი, უეჭველია, თავის დროზედ სამოქალაქო მართვა გამგეობაშიაც გაირევს მკვიდრთ და თვით მართველობის ასპარეზსაც გაუფართოვებს,

დრო ნიშნავს ამ შემთხვევაში მოქალაქობრივ თვითცნობიერების გაღვიძებას ინდოელთა შორის, თავიანთ უფლებათა შეგნებას მათგანვე და ამ უფლებათა განხორციელებისა და მოპოვნის სურვილის გამოცხადებას. მართალია, ინგლისი სრულებით განსხვავდება სხვა საჴელმწიფოთაგან თავისის კოლონიურ მართვა-გამგეობით, უომრად და თავის ნებით ანიჭებს თავისს კოლონიებს ისეთს უფლებათ, რომელიც არც ერთს სხვა სახელმწიფოს კოლონიას არ აქვს, მაგრამ ინგლისის ასეთს პოლიტიკას სარჩულად პლატონიური სიყვარული კი არ უდევს, არამედ შეგნება თავისსავე ინტერესებისა. ამიტომ ინგლისის მთავრობა მხოლოდ მაშინ უთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობს ამა თუ იმ კოლონიას ამა თუ იმ უფლებას, როდესაც, როგორც ზემოდ ვსთქვით,- ამა თუ იმ მოთხოვნილობის განხორციელებას მოითხოვს დრო. ასეთსავე პოლიტიკას ადგას ინგლისი ინდოეთის შესახებ.

ინდოეთს დღემდე მართავს და განაგებს ინგლისელი ბიუროკრატია. ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა ყველგან და ყოველთვის დაპყრობილ ქვეყანაში ერთგვარია: ის სცდილობს დაპყრობილთა შორის არსებულ უთანხმოებათა გაძლიერებას და მათ ძალთა დაქსაქსვას. ასეთივე იყო ინგლისის ბიუროკრატიის მართვა ინდოეთში. ინდოეთის მცხოვრები 300 მილიონი შესდგება მრავალ თემის ხალხისაგან, რომელიც აღიარებს სხვა და სხვა სარწმუნოებას. ბიუროკრატია სარგებლობდა იმ უთანხმოებით, რომელიც არსებობდა სხვა-და-სხვა თემთა შორის და უმთავრესად იმ დაუნდობლობით, რომლითაც ეკიდებოდნენ ბრამას მიმდევარნი მაჰმადიანებს და ეს უკანასკნელი რაიოტებს (გლეხებს) ბუდდას მიმდევართ.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მკვიდრთა შორის უთანხმოებამ გააძლიერა და გააბატონა ინგლისის ბიუროკრატია, ხოლო ამ ბიუროკრატიის გაძლიერებამ გამოაფხიზლა ხალხი, გაუღვიძა მას თვითცნობიერება. ინდოელები მიხვდნენ, ერთობაშია ძალაო და 1884 წელს გაიმართა პირველი ეროვნული კონგრესსი, რომელმაც ერთად შეჰყარა მაჰმადიანები, ბრამინისტები და ბუდდისტები. პირველმა კონგრესსმა მოქმედების უმთავრესს საგნად აღიარა ბიუროკრატიასთან ბრძოლა და ხარჯთ აღრიცხვის შედგენაში ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობის უფლების მოპოვება.

თავდა-პირველად ბიუროკრატიამ იწყინა კონგრესსის ასეთი დადგენილება. ვიცე-კოროლმა*) მრისხანე საყვედური გამოუცხადა კონგრესსზე დამსწრე ხალხის წარმომადგენელთ და დაემუქრა კიდეც, აბა, გაგიბედნიათ და კიდე მოგიწვევიათ მაგნაირი კონგრესსიო. ამაზე კონგრესსის წევრებმა თავდაჭე-

*) მეფის მოადგილეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი, მაგრამ მტკიცე პასუხი შეუთვალეს ვიცე-კოროლს: ეგ მუქარა უწესოაო; ხალხს, რომელიც არჩენს ბიუროკრატიას, უფლება აქვს განაცხადოს თავისი საჭიროებანიო. ინგლისის ბიუროკრატიაც მიხვდა, გაღვიძებულ ცნობიერების წინ სვლას ველარ შევაჩერებო, და მას აქეთ ეროვნული კონგრესსები დაუბრკოლებლივ იმართება ყოველ წელიწადს და რაც დრო მიდის უფრო და უფრო მეტ დამსწრეს იზიდავს, უფრო და უფრო გამორკვეულ და მტკიცე გადაწყვეტილებას ადგება. ეხლა ბევრი წარჩინებული ინგლისელიც, მაგალითად სერ ჰენრიკოტონი, მიემხრო ადგილობრივ ეროვნულ მოძრაობას. მიუხედავად ამისა ბიუროკრატიამ არც ისე ერთბაშად დაჰყარა იარაღი. ყოველ საზოგადოებაში მოიპოვება ისეთი წევრი, რომელიც ფულისა და ხარისხისათვის სულსაც კი გაჰყიდის. მოიპოვებიან ასეთნი ინდოელთ შორისაც. აი ასეთი ხალხი გამოიყენა ინგლისის ბიუროკრატიამაც. ასეთს გამცემლებს აწერინებდა პეტიციებს ბიუროკრატია კონგრესსის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ამ გვარ პეტიციებში იწერებოდა, რომ ხალხი სრული კმაყოფილია არსებულ წესით და ბიუროკრატიულ წესრიგს საუკეთესოდ მიიჩნევს. ამნაირ ფულად ნაყიდს პეტიციებს მთავრობა დიდის ამბით აცხადებდა საქვეყნოდ, ვითომ და დახეთ, თვით ხალხი აცხადებს თავის კმაყოფილებასაო. ერთ-ერთ ამგვარ ვითომ და ხალხის გრძნობათა გამომხატველ პეტიციის შემდგენელს სეიდ ახმედს აზნაურობაც ებოძა და ეხლა უბრალო სეიდ-ახმედი კი ალარ არის, არამედ სერ სეიდ-ახმედი ბრძანდება, ბიუროკრატიის ამ გვარ ოინების მიუხედავად კონგრესსები უფრო და უფრო მტკიცე ნიადაგს პოულობდნენ და წლევანდელ მეოცე კონგრესში, ბომბეიში, სეიდ-ახმედის სამშობლო ქალაქმაც კი გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები. საზოგადოდ კონგრესს დაესწრო ათასზე მეტი წარმომადგენელი ინდოეთის სხვა და სხვა კუთხიდან, ხოლო კონგრესსის სხდომებს ესწრობოდა 12000 კაცამდე. კონგრესზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა და ვექილმა მერვანჯი მეხტამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ შევკრბით,—სთქვა მან,— მთელ ინდოელ ხალხის სურვილის გამოსათქმელად. ხალხი თხოულობს მთავრობისაგან, რომ ამ უკანასკნელმა გააუქმოს ძველი წესი მართვა-გამგეობისა, ვითარცა უმართებულო და გამოუსადეგარი. საჭიროა ისეთის წესის შემოღება, რომ ხალხს მონაწილეობა ჰქონდეს ქვეყნის მირთვაში“. ზოგი ვიცე-კოროლი უთვლიდა კონგრესს: „თუ გინდათ რომ მთავრობამ რაიმე ცვლილება შემოიღოს, ჩუმად იყავით და პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელი აიღეთო“. მერვანჯი მეხტა ამტკიცებდა, ხალხი ვერაფერ უფლებას ვერ ეღირსება, თუ ცვლილებათა შემოღება დამოკიდებული იქმნა ერთის კაცის სურვილისაგან. ვიცე-კოროლი მარკიზ რიპონი, მაგალითად, დიდი ლიბერალიც იყო და დაგვპირდა კიდეც სხვა და სხვა ცვლილებათა შემოღებას, მაგრამ ვერ მოასწრო დაპირებულის ასრულება. რომ მოესწრო კიდევაც, ვინ იქნებოდა იმის თავდები, რომ ეხლანდელი ვიცე კოროლი ლორდ კერზონი, კონსერვატიულ აზრების კაცი, ერთის ბრძანებით არ გააუქმებდა რიპონისაგან შემოღებულ ცვლილებათ. შეუძლებელია, რომ კეთილდღეობა, ბედნიერება და თავისუფლება მრავალ მილიონისაგან შემდგარ ხალხისა დამოკიდებული აყოს ცალკე პირის კეთილგანწყობილებასა ან მის უკეთურობაზედ. გარდა ამისა შესაძლებელია განა,—განაგრძო თავმჯდომარემ,—რაიმე ცვლილება დღევანდელ პირობებში? რასაკვირველია, არა, რადგან ეს ცვლილებანი უნდა შემოიღოს ბიუროკრატიამ და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ბიუროკრატიამ თავის თვისნებობის ასალაგმავი კანონები უნდა შემოიღოს და ეგ კიდევ ხომ უაზრობაა. ცვლილებათა შემოღება შეუძლია მხოლოდ თვით ხალხს თავის წარმომადგენელთა შემწეობით.

თვითვე ინგლისისათვის იქნება სასარგებლო ინდოეთის მკვიდრთა მართვა-გამგეობაში გირევაო,—სთქვა მეორე ორატორმა სერ ჰენრი კოტონმა. ინგლისის ჟურნალ-გაზეთობაში დრო გამოშვებით ისმის გამაფრთხილებელი ხმა, ინდოეთი განსაცდელშია, მტერი ადვილად შემოესევაო. მაგალითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

1904 წ. იანვარში დაისტამბა მერედიტ ტანუსენდის წიგნი „Asia and Europe'" რომელმაც თავის დროზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ამ წიგნის დამწერმა ინდოეთი დასახა დიდ ცხოველ ოკეანეთ, რომელიც ელის მხოლოდ ძლიერის მტრის შემოსევას, რათა თავი განითავისუფლოს ყინულისაგან,—ინგლისურ ბიუროკრატიის მბრძანებლობისაგან. ჰენრი კოტონმა განმარტა, ინდოეთი ეხლა ისე კარგად არის გაცნობილი გიმალაის გადალმა საქმის ვითარებას, რომ სრულებით არა სურს ერთის ბიუროკრატიის მეორეზე გაცვლა, მასთან, კარგის ცუდზე. ამასთან ინგლისმა თვითმართველობის უფლება რომ მიანიჭოს ინდოეთს, მაშინ „ბრიტანიის გვირგვინს სამუდამოდ შერჩება საუკეთესო მარგალიტი." თავისუფალი ინდოელი ხალხი არასოდეს არ შეურთდება სხვა სახელმწიფოს, როდესაც მას ექნება თავისი პარლამენტი და თუ მისი თანხმობა არ იქნება, ინდოეთის 300 მილიონ მცხოვრების დაპყრობა შეუძლებელია. დეე, დაამარცხოს მტერმა ინგლისის ჯარი გერატთან ან სიმლასთან.*) ინდოეთის სამზღვართან მას დახვდება მთელი ინდოელი ხალხი...

ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული უკანასკნელ ინდოელ ნაციონალისტთა გონგრესზე.

აქამდისინ თუ რამ გვესმოდა ინდოეთის შესახებ, მხოლოდ მათი გაჭირვება დი დაჩაგვრა სასტიკ და ულმობელ ინგლისისაგან. დღეს კი, როგორც ვხედავთ, არა თუ თვით ინდოელებს ნება აქვთ თავიანთ გაჭირვებათა შესახებ ხმამაღლა ღაღადისა, არა თუ თვით ნება აქვთ თავიანთ უფლებათა საზოგადოდ განცხადებისა და ამ უფლებათა განხორციელების მოთხოვნისა, არამედ, ინგლისის გამოჩენილნი და წარჩინებულნი პირნი იმასვე ღაღადებენ და, წარმოიდგინეთ, ურჩევენ მთავრობას, ინდოეთს პარლამენტი მიეცეო. აქამდისინ ინგლისის კონსერვატიული ჟურნალ-

*) რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკ

გაზეთობა დაცინვით იხსენიებდა ინდოეთის კონგრესსებს, ეხლა ტაიმსიც კი თანახმაა, ინდოეთის მოძრაობა ხუმრობა არ არისო, დროა, იქაური მართვა-გამგეობის წესი შეიცვალოსო.

თითქო, მკითხველო, აქამდისინ ერთგვარ ლიტერატურის წყალობით ინდოეთზე და მის მართვა-გამგეობაზე ცოტა სხვა შეხედლობა გვქონდა?..

II

რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.

რუსეთ-იაპონიის ომის პირველ ცხრა თვის განმავლობაში იაპონიამ ცხრაჯერ გაიმარჯვა (შვიდჯერ ხმელეთზე და ორჯელ ზღვაზე). 20-ს დეკემბერს დაეცა პორტარტური. ომის პირველი წელიწადი დამთავრდა ისევ იაპონიის გამარჯვებით. არც რუსეთი და არც ევროპა არ მოელოდა, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა და ამიტომ არის, რომ ყველა განცვიფრებულა და ეხლავე სცდილობს გამოიკვლიოს იაპონელ იარაღის გამარჯვების მიზეზი. ამავე მიზეზს იკვლევს სხვათა შორის ინგლისელი ჟურნალისტი მილლიარი. ამის აზრით უმთავრესი მიზეზი ზემოაღნიშნულ მოვლენისა ის არის, რომ იაპონელებს გაცილებით უკეთ აქვთ მოწყობილი მტრის ჯარისა და მის მოძრაობის დაზვერვის საქმე. იაპონელებმა მეტად მოხერხებულად ისარგებლეს ჩინელების სამსახურით, რასაც რუსები სრულებით ვერ ახერხებენ. ჩინელები დაძვრებიან ბრძოლის ველზედ, რუსის ჯარის ბანაკებს გარშემო, ათვალიერებენ ყველა ამაებს, ბევრს რასმე ტყობილობენ და რუსებს ვერ მოუხერხებიათ ჩინელების ამ მისვლა-მოსვლისათვის თვალის დევნა და მათგან ჯარის ვითარების დაფარვა. გარდა ამისა უეჭველია, რომ იაპონელების არტილლერია ბევრად მაღლა სდგას რუსეთისაზე. საყურადღებოა, სხვათა შორის, როგორ ახასიათებს იაპონელ ჯარს მილიარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იაპონელი ღენერლები,—სწერს ჟურნალისტი,—საქმის ხალხია“. თავიანთ საქმეს საქვეყნოდ და ქვეყნის დასანახად როდი აკეთებენ და ფიქრადაც არ მოსდით ვისიმე მოწონება ან ქება გამოიწვიონ. ხშირად კორრესპონდენტებს უკრძალავენ იმ სარდლების დასახლებას, რომელნიც ამა-თუ იმ დიდ და გაპედულ ბრძოლას მეთაურობდნენ. ამ სახელის დამალვას ის აზრი აქვს, რომ ვერც გამარჯვებას და ვერც მეტადრე დამარცხებას მტერი ვერ გამოიყენებს,—არ შეუძლია სთქვას, ამას თუ შევხვდი კიდევ, აწი მეცოდინება მისი ხასიათი და ასე დავუხდებიო. ასე რომ არ იყოს, ღენერალი ოკასივა, მაგალითად, გამოცდილი და მცოდნე მეომარი, სხვა ქვეყანაში აღიარებული იქნებოდა სახალხო გმირად, იაპონიაში კი მისი სახელი ძლიერ იშვიათად იხსენიება და ქება.-დიდებას ხომ სრულებით მოკლებულია. ასეთივეა ღენერალი კუროკიც, მეტად თავდაჭერილი და ენადაცული კაცი. კუროკი ნამდვილი წარმომადგენელია ამ მხრით იაპონელ მეომარის და ჯარიც სწორედ შესაფერისი ჰყავს, „მდუმარე ჯარი“. რუსსებს ყოველ პოლკში ჰყავს მუსიკა, რომელიც უკრავს დალამებისას, მოძრაობის დროს, ბრძოლის დროს; ჯარის კაცები დოლებსა და საკრავებს აყოლებენ ფეხს. საღამოობით ბანაკებში ხშირია ცეცხლს გარშემო შემომსხდართ სიმღერა და ამ სიმღერის ხმა სწვდება იაპონელთა მოწინავე რაზმების ჯარის-კაცთა ყურამდე. იაპონელთა ბანაკებში კი არ ისმის არც მუსიკის და არც სიმღერის ხმა და იაპონელ ჯარის კაცის ცხოვრებაში, როგორცა სჩანს, მუსიკას ადგილი არ აქვს. გარეგნად იაპონელის სულის მოძრაობა მხოლოდ გამარჯვების წამს იჩენს თავს და გამოიხატება მათ მრისხანე „ბანზაიმ“-ში. საზოგადოდ იაპონელი ჯარი თითქო მოკლებულია მხიარულებასა და საზოგადო ცხოვრებას. თითო-ოროლა მეწვრილმანე, რომელთაც ჯარის ხლების ნება ეძლევათ, ჰყიდის სიგარებსა, მარაოებსა, ცხვირსახოცებს, საპონს, კბილის საწმენდ მასალას, და ფოსტის ქაღალდსა და კონვერტებს, ხოლო არაყისა და ლუდის ყიდვა შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უახლოეს 50—75 ვერსისა ბანაკიდან. ადვილი მისახვედრია, რომ ათასში ერთხელ აფიცერი თუ დაშორდება ამ სიშორეზე ჯარს თორემ უბრალო ჯარის, კაცი ვერასოდეს. ჩაი, თამბაქო და მარაო, აი რითი უნდა ისიამოვნოს უბრალო ჯარის კაცმა; თევზაობა, წერილების წერა და გაზეთების კითხვა—აი ყველა მათი გასართობი. ახირებული სანახავია უბრალო ჯარის კაცი რომ მარაოს იქნევს, მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს მის თვისებათ,—იაპონელ ჯარის კაცს ვერავინ ვერ უკიჟინებს, გამძლე არა ხარ, სიმამაცე გაკლია და სხვ. საყურადღებოა აგრეთვე ზრდილობა და პატიოსნება იაპონელ ჯარის კაცისა. არც ერთს კორრესპონდენტს, რომელიც მუდამ მათ შორის იყო, არასოდეს არაფერი, სრულებით უმნიშვნელო ნივთიც კი, არ დაჰკარგვია. „ხშირად შეუნახავი და ჩაუკეტავი დაგვრჩენია ბევრი რამ, მაგრამ ნივთი კი არა თუთუნი და საჭმელიც კი ხელუხლებელი დაგვხვედრია თავის ადგილზე“. ამბობს ერთი კორრესპონდენტი. დიდის ყურადღებით ათვალიერებენ და აკვერდებიან სხვა-და-სხვა ნივთებს, მაგრამ ხელით კი არაფერს არეხებიან. სიტყვა-პასუხში თავაზიანები არასოდეს არ ხმაურობენ და საქმიანობის დროს ხელს არ უშლიან არც თავისიანებს არც უცხოელებსო.

ბოლოს მილლიარი აღნიშნავს, რომ იაპონელ ჯარს კარგი მოვლა და პატრონობა აქვსთ. მაგალითად, ჯარის ყოველსავე ნაწილს თან ახლავს ცალკე აფიცერი, რომელიც მხოლოდ იმას ადევნებს თვალს, რომ ჯარის კაცებმა არ დალიონ უწმინდური წყალი! გარდა ამისა იგივე აფიცერი ლექციების უკითხავს ჯარის კაცთ, ასწავლის მათ სანიტარობას და აგონებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს და ზომიერ ჭამა-სმას. ამნაირ მოვლისა და სწავლა-ჩაგონების წყალობითაა, რომ იაპონიის ჯარში არ გაჩენილა ჯერ-ჯეროობით ზარბაზანზე უფრო მრისხანე მტერი—გადამდები სენი.

ასეთია იაპონის ჯარის გამარჯვების მიზეზები ინგლისელ ჟურნალისტის აზრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი ჟურნალისტი, როგორც ადვილად დაინახავდა მკითხველი, ეხება მხოლოდ პირდაპირ და უახლოეს და მასთან განსაკუთრებით სამხედრო ხასიათის მიზეზებს, რა თქმა უნდა, ამ მიზეზებს დიდი მნიშვნელობა აქვს, —სარდლის პიროვნება, ჯარის კაცის ხასიათი, კარგი იარაღი ჯარის ჯანმრთელობა და სხვ.—ყველა ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც მართავს და მიმართულებას აძლევს ომს, ხოლო ამასთანავე ყველა ეს ომის პირდაპირ გადამწყვეტი მიზეზები შედეგია უფრო ღრმა, საყურადღებოდა უფრო დიდ მნიშვნელოვან მიზეზებისა. დავიწყოთ, თუგნებავთ იმით, რომ, როგორც მოწმობენ ყველა კორრესპონტები, იაპონელი ჯარის კაცი უფრო განვითარებული და უფრო მცოდნეა რუსისაზე. კარგად იცის თავისი საქმე, იცის რუქის მოხმარება, ბრძოლის დროს მას, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს პირობები, არ ებნევა დავთარი და თავისით, უუფროსოდ საუკეთესოდ უძღვება თავის საქმეს. თავის საქმის ცოდნის გარდა საუკეთესოდ აქვს წარმოდგენილი ახლობელ მიზეზებს შორის უმთავრესი, ამ ომის საგანი და საჭიროება, კარგად იცის, ვის და რისთვის ებრძვის, რად დასჭირდა მის სახელმწიფოს ომის გამოცხადება.

რა თქმა უნდა, რომ ამნაირ ცოდნას,—ცოდნას ომის მიზეზებისას და თავისის საქმისას, იაპონელი ჯარის კაცი ვერ შეიძენდა გუშინ და დღეს, რომ ამნაირ ცოდნის შეძენას დროც უნდოდა და შესაფერი პირობები სჭიროდა. დღევანდელ იაპონიის ჯარის კაცს, რომელიც დღეს მანჯურიის ველზე ისე თავგანწირულად იბრძვის, დროც ჰქონდა და პირობებიც ხელს უწყობდა, რომ ყოველივე საჭირო ცოდნა შეეძინა. 1872 წ. მიკადომ გამოსცა კანონი შესახებ სახალხო განათლებისა და მასთან ერთად ედიქტი, რომელიც თავდებოდა შემდეგის სიტყვებით: „ამ კანონს აზრად აქვს ისე მოჰფინოს განათლება მთელ სახელმწიფოს, რომ ვერ იპოვებოდეს ისეთი სოფელი, რომელშიაც გაუნათლებელი ოჯახი მოინახებოდეს და ისეთი ოჯახი კიდე, რომ რომელმამე მისმა წევრმა წერა-კითხვა არ იცოდეს.“ ეს კანონი იმ დროს ეკუთვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, როდესაც იაპონია განახლების გზას დაადგა, როდესაც ნაცვლად ფეოდალურ-ბიუროკრატიულ წესისა მის ცხოვრებაში შედგა ფეხი თავისუფალმა განვითარებამ.

ეს ის დრო იყო, რომელსაც იაპონიაში მეიჯის დროს ეძახიან, რაიცა განახლებას ნიშნავს. ძველი წესი დაირღვა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თავისუფლების პრინციპზე დამყარდა.

ამრიგად მიზეზთა მიზეზად დღევანდელის მდგომარეობისა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების ის ცვლილება და თავისუფალი განვითარება, რომელიც მოხდა ამ 50 უკანასკნელის წლის განმავლობაში იაპონიაში. ამას რომ ისიც დავუმატოთ, რომ იაპონიის, და მამაშასადამე დღევანდელ ომის, გამგენი ისევ ისინი არიან, ვინც განახლებულ ცხოვრების სათაურში იდგა და ვინც სახელმწიფო ცხოვრება ნამდვილ თავისუფალ განვითარების გზას დააყენა, მაშინ ადვილად დავინახავთ, საიდგან წარმოდგება მისი გამარჯვება.

III

მეკლენბურგელ დეპუტატის სიტყვა რეიხსტაგში

დღევანდელი გერმინიის იმპერია დაარსდა 1871 წ. და წარმოადგენს, როგორც ნათქვამია 1871 წ. 16 აპრილის კონსტიტუციაში (სახელმწიფო არსებითი კანონია) სახელმწიფოთა საუკუნო კავშირს, რომელშიაც მონაწილეობს 25 სახელმწიფო: 4 სამეფო (პრუსია, ბავარია, ვიურტემბერგი და საქსონია), 6 დიდი საჰერცოგო (ბადენი, მეკლენბურგ-შვერინი, ჰესსენი, ოლდენბურგი, საქსენ-ვეიმარი, მეკლენბურგ-სტრელეცი), 5 საჰერცოგო (ბრაუნშვეიგი, ანჰალტი, საქსენ-მეინინ-გენი, საქსენ-კობურგგოტა და საქსენ-ალტენბურგი. 7 სათავადო (ვალდეკი, ლიპპე, შაუმბურგ-ლიპპე, შვარცბურგ-რუდოლშტატი, შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენი, რეის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შლეიცი და რეის-გრეიცი) და 3 თვისუფალი ქალაქი (ბრემენი, ჰამბურგი და ლიუბეკი).

1871 წლის კონსტიტუციამ გააერთიანა გერმანიის ზემო აღნიშნული ქვეყნები და შეჰქნა დიდი გერმანიის იმპერია რომელსაც დღეს დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს ევროპის სახელმწიფოთა შორის. დღევანდელ გერმანიის იმპერიას იმავ კონსტიტუციის ძალით, მართავს რეიხსტაგი (პარლამენტია) 2) კავშირის საბჭო და 3) იმპერატორი და საიმპერო კანცლერი. ამ სამ ორგანოს ეკუთვნის საერთო მართვა და გამგეობა გერმანიის იმპერიისა ამისათვის მინიჭებული აქვს უფლება გამოსცეს ყველა ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთათვის სავალდებულო კანონებიშესახებ: ვაჭრობა მრეწველობისა, საბაჟოებისა. ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზებისა, ფულისა და საწონ-საზომავ ზომებისა; საიმპერო მთავრობის ვალია ყველა ზემოაღნიშნულ საგნის შესახებ გამოცემულის კანონებით გააერთიანოს იმპერია. დღეს დღეობით სავაჭრო და სისხლის სამართლის კანონები გაერთიანებულია და ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი ექვემდებარებიან ერთ-და-იმავე სავაჭრო და სისხლის სამართლის კანონებს და ეხლა მზადდება საერთო, საიმპერო სამაქალაქო კანონები. გარდა ამისა საიმპერო მთავრობას ეკუთვნის უფლება საერთაშორისო დამოკიდებულებათა მოწყობისა ასეთია დღეს გერმანიის იმპერიის მართვა და ეს უფლებანი ეკუთვნის საიმპერო მთავრობას. მაგრამ როგორც დაინახავდა მკითხველი, გერმანიის საიმპერო მთავრობას არ აქვს მინიჭებული ყველა ის უფლება, რომლითაც საზოგადოდ სარგებლობს სახელმწიფო მთავრობა, ხოლო ეს იმიტომ მოხდა ასე რომ 1871 წელს რომ კავშირი შეჰკრეს გერმანიის ცალკე სახელმწიფოებმა, მოინდომეს იმ უფლებათა შენახვა, რომელნიც შინაურ წეს-რიგს და შინაურ საქმეებს შეეხებოდნენ. ამ შინაურ, თავისის საქმეების მოსარიგებლად ყველა ცალკე სახელმწიფოს გერმანიის იმპერიისას აქვს თავისი ორგანოები და მათ შორის ყველას აქვს ეგრედ წოდებული ლან-

ეროვნული ბიბლიოთეკ

დტაგი, რომელიც ცალკე სახელმწიფოში წარმოადგენს იმას, რასაც რეიხსტაგი მთელის გერმანიის იმპერიისათვის. ლანდ-ტაგები ცალკე სახელმწიფოებში არსებობდნენ დიდის ხნიდამ ხოლო უწინ სრულებით სხვანაირად იყვნენ მოწყობილი ვიდრე ეხლა. თავდა-პირველად ლანდტაგი წარმოადგენდა წოდებრივ დაწესებულებას, რომელშიაც მხოლოდ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება იღებდა მონაწილეობას, მე-XVIII საუკუნე-ში, როდესაც გაძლიერდა სამეფო ძალა ლანდტაგი ზოგან სრულებით მოიშალა და ზოგან კიდე თუ დარჩა მისი არსებობა სახელმწიფო მართვისათვის უმნიშვნელო იყო. მე-XIX საუკუნის დასაწყისში ლინდტაგებმა ისევ იწყეს გა-ცოცხლება და თავის უფლების აღდგენა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ დაარღვია თვითმპყრო-ბელობის პრინციპი და ხალხის წარმომადგენელობის უფ-ლება განაცხადა და საფრანგეთში შემუშავებული ასეთი აზრები ნაპოლეონ პირველმა მოჰფინა მთელს ევროპას. გარდა იმისა, რომ ლანდტაგებმა იწყეს გაცოცხლება, მე-XIX საუკუნეში ნელ-ნელა შეიცვალა თვით სახე ლანდტაგებისა, —წოდებრივი პრინციპი შეიცვალა წარმომადგენელობითი პრინციპით. დღეს გერმანიის სახელმწიფოს აქვს თავისი ლანდტაგები, რომელშიაც წევრები ირჩევიან ამომრჩეველთაგან განურჩევლად წოდებისა. ერთად-ერთი სახელმწიფო, რომე-ლშიაც არ არსებობს ასეთი ლანდტაგი, არის დღეს მეკლენ-ბურგი—იქაური ლანდტაგი იგივ ძველ დროის წოდებრივი დაწესებულებაა.

ამ დღეებში ერთმა რეიხსტაგის წევრმა აღძრა ამის შე-სახებ ლაპარაკი თვით რეიხსტაგში. ეს დეპუტატი არის მეკ-ლენბურგელი წარმომადგენელი (მეკლენბურგს თავისი შინაუ-რი პარლამენტი არა აქვს, მაგრამ გერმანიის კავშირის წევ-რია, ემორჩილება საიმპერო წესებს და, როგორც კავშირის ყველა დანარჩენი წევრები, გზავნის თავისს წარმომადგენელს საიმპერო პარლამენტში, რეიხსტაგში) ბიუზინგი, 60 წლის მოხუცი. რეიხსტაგში ბიუზინგი სოციალისტთა წინააღმდეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიამ აირჩია, თითონ ბიუზინგი დიდი მომხრეა მონარქიისა, მაგრამ მიუხედავად ამისა აი რა სთქვა ამ მოხუცმა ამას წინად რეიხსტაგში: „მე მსურს, მინამ სამარეში ჩავიდოდე, დავრწმუნდე, რომ ჩემი პატარა სამშობლოც ეღირსა ცხოვრების ისეთს პირობებს, ურომლისოდ წარმოუდგენელია კეთილდღეობა და ხალხის წინსვლა.“ ამის შემდეგ ბიუზინგმა დაახასიათა ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება დღეს მეკლენბურგი. ყველა გერმანიის სახელმწიფოთა შორის ყველაზე ჩამორჩენილი მეკლენბურგი ყოფილა: პასუხის მომთხოვი იმისა, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო ფული, არავინ არ არის; ხარჯთ-აღრიცხვას ადგენს თვით მთავრობა; სწავლა-განათლება, სკოლები მეტად დაქვეითებულია, რადგან სოფლის მასწავლებელს პენსიად 225 მანეთი ეძლევა მხოლოდ, საზოგადოდ მასწავლებლის ჯამაგირი პატარა არის და ამიტომ ყველა კარგი მასწავლებლები გარბიან მეკლენბურგიდანაო. ყველა ეს კი იმის ბრალია, რომ მეკლენბურგი მოკლებულია თავისუფლად ამორჩეულ პარლამენტს. ბოლოს ბიუზინგმა მიმართა პარლამენტს თხოვნით, ჩააგონეთ მეკლენბურგის მთავრობას, უარი სთქვას თავის ჩამორჩენილ შეხედულობაზეო. ათას წილ სჯობია და სასარგებლოა თავისუფლის ხალხის შემწეობა მართვა-გამგეობაში გაუნათლებელ და შშიერ ხალხის თვითმპყრობელ ხელმწიფის სახელის ტარებასაო. კიდე კარგიაო, დააბოლოვა თავისი სიტყვა ამ დეპუტატმა, რომ მეკლენბურგი გერმანიის ნაწილს შეადგენს და გერმანიის საერთო წეს-წყობილებას გავლენა აქვს მეკლენბურგის შინაურ საქმეებზე, თორემ ეს რომ არ იყვეს, მაშინ სულ აღარ დაგვედგომებოდა ჩვენს სამშობლოშიო.

მთელი რეიხსტაგი აღტაცებით მიეგება ბიუზინგის სიტყვას. გამოუცხადა თანაგრძნობა აგრეთვე თვით საიმპერო მთავრობის წარმომადგენელმა, მინისტრმა გრაფ პოსადოვსკიმ რომელმაც უპასუხა ბიუზინგს, რომ საიმპერო მთავრობა ვერ გაერევა მეკლენბურგის შინაურ საქმეებშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიმპერო მთავრობის წარმომადგენელისაგან ერთად-ერთი მართებული პასუხი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, რადგან საიმპერო მთავრობამ რომ მოინდომოს თავისებურად გადაკეთება ცალკე სახელმწიფოთა წესებისა, მეკლენბურგმა შეიძლება მოიგოს, მაგრამ სამაგიეროდ წააგებენ ისეთი სახელმწიფონი, როგორც ბავარია, საქსონია და სხვა, რომელნიც უფრო პროგრესიულ ელემენტს წარმოადგენენ მოკავშირეთა და თვით კავშირთანაც შედარებით.

ეჭვს გარეშეა, რომ რაკი ერთხელ აღიძრა ამგვარი საკითხი მეკლენეურგის შესახებ, ეს სახელმწიფო ჩქარა ეღირსება თავის სახელმწიფო მართვის გადაკეთებას, და ისიც უეჭველია, რომ ამისათვის მას არ დასჭირდება არც სისხლის ღვრა და არც სხვა რაიმე სისასტიკე, ხოლო თუ მეკლენბურგელს, რომელიც ერთ და იმავ დროს თავისუფალ გერმანიის იმპერიის ქვეშევრდომია და სარგებლობს იმპერიის კანონების მფარველობით, ასე გაჭივრებია, რაღაეთქმის სათათრეთის და სხვა თვითმპყრობელობისაგან დაჩაგრულ ხალხის წარმომადგენელს.

IV

ნუგელლისტები

რამდენჯერ გაგიგონია ან გითქვამს კიდეც, მკითხველო, როდესაც ამა თუ იმ მოვლენით აღელვებულს გაფაციცებით გადაგიკითხავს გაზეთები, იქნება ამ მოვლენის ახსნა-განმარტება ვპოვო შიგაო, და სრულებით უმნიშვნელო წერილების მეტი ვერა წაგიკითხავს რა: „ქვეყანაზე რა ხდება და ეს გაზეთები რასა სწერენ“. გუშინდელამდე სწორედ ასე იყო ჩვენში, — ქვეყანაზე ერთი მოვლენა მეორეს მოსდევდა, ერთი მეორეზე დიდ მნიშვნელოვანი, ხოლო გაზეთები „სხვა-და-სხვა მათგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო“ ამ მოვლენათა შესახებ მეტ ნაწილად სდუმდნენ ანა და ათასში ერთხელ თუ ამოიღებდნენ ხმას, ის ხმა მაინც ვერ იყო მოვლენის სავსებით და ნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილი ახსნა და განმარტება. მიუხედავად ამისა საზოგადოება, ცოტად თუ ბევრად ყოველთვის გაცნობილი ყოფილა სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრების ყველა საყურადღებო მოვლენასთან. საზოგადოება ჯერ ჟურნალ-გაზეთებში ეძებს ახალ ამბებს და სხვა-და-სხვა ამბის განმარტებას, მაგრამ როდესაც ვერ პოვებს ამას გაზეთში, სხვა ხერხსა და საშუალებას მიმართავს თავის ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ეს ხერხი და საშუალება ათასნაირია, ხოლო მათი დასახელება ან აღნუსხვა ჩვენს დროში მეტად ძნელია.

ამრიგად ჟურნალ-გაზეთების დღევანდელი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს იმ დროს, როდესაც დღევანდელ ჩვენებურ გაზეთების მსგავსაც მოკლებული იყო საზოგადოება. ადვილად მიხვდება მკითხველი იმასაც, რომ საზოგადოების ცნობის მოყვარეობა მაშინაც, როგორც დღეს მოითხოვდა დაკმაყოფილებას და რომ ამისათვის მას უნდა ჰქონოდა რამე საშუალება. უნდა ჰქონოდა რამე დღევანდელ ევროპიულ ჟურნალ-გაზეთობის სამაგიერო, რასაც უნდა შეექმნა საზოგადო აზრი და გაძღოლოდა მას.

თუ დღეს-დღეობით სხვა-და-სხვა, ახალი ამბავი და აზრი უგაზეთოთაც იკვლევს ჩვენს საზოგადოებაში გზას მრავალგვარ ისეთ საშუალებათა შემწეობით, რომელიც ჩვენ ვერ გამოგვიკვლევია და ვერ დაგვიხასიათებია, წარსულ დროთა ამგვარივე საშუალება ვითარცა ისტორიის კუთვნილება უფრო ადვილი გამოსაკვლევია. ამას წინად პარიზში გამოვიდა ფუნკ-ბრენტანოს წიგნი „Les nouvdlistes". ავტორი გვისახელებს და გვიხსნის იმ საშუალებას, რომლითაც სარგებლობდა საფრანგეთის საზოგადოება დიდ რევოლიუციის წინად სხვა-და-სხვა საყურადღებო ამბების გასაგებად, მათ გასავრცელებლად და განსამარტებლად.

პირველი გაზეთი საფრანგეთში დიდ რევოლიუციის 12 წლის წინად გამოვიდა. ეს იყო ყოველ დღიური Journal de Paris. გაზეთი იმ დროისა და იმ დროინდელ სახელმწიფო მართვა-გამგეობის შესაფერი იყო; რა თქმა უნდა, რომ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის შინაარსი, რომელსაც მაშინდელი მოხელე-ცენზორი თავის ყურადღებას არ აკლებდა, ვერ დაბადებდა საზოგადოებაში სარევოლიუციო აზრს. ამნაირი აზრი კი დაიბადა და ამ გაზეთის გამოცემის ბევრად უფრო ადრეც. მაშ საიდან ტყობილობდა მაშინდელი საზოგადოება ახალ ამბებს, რა საშუალებით ეცნობოდა ქვეყნის ცხოვრებას, რა გზით იგებდა იმ უკუღმართობას, რომელმაც დაჰბადა მასში უკმაყოფილება და გაზარდა ეს უკმაყოფილება რევოლიუციამდე. აი რას მოგვითხრობს ამის მკვლევარი ფუნკ-ბრენტანო.

თავდა-პირველად კერძო პირი კმაყოფილდებოდა აქა-იქ ისევ კერძო პირისაგან გაგონილით, ხშირად ეს იყო მხოლოდ ჭორი; ერთი და იგივე ხშირად ათასნაირად გადასხვაფერებული სწვდებოდა. შემდეგ, როდესაც საზოგადოებას დაებადა ნამდვილის და უფრო დადასტურებულ ამბების გაგების მოთხოვნილება, გაჩნდა ერთგვარი ხალხი, რომელიც ერთის მხრით კრებდა ამბებს და მეორეთი ავრცელებდა შეკრებილ ამბებს ხალხში,—ეგრედ წოდებული „nouvellistes"-ები (წარმოდგება სიტყვა nouvelle'-ისაგან—ახალი ამბავი).

ნუველისტები სცდილობდნენ ყველა ისეთ ამბების გაგებას, რომელიც საჭირო იყო მათ მსმენელთათვის. იცოდნენ ყველაფერი, რაც ხდებოდა სხვა-და-სხვა კრებაში, დაწესებულებაში, საცეკვაო საღამოებზე, წარმოდგენებზე, სასამართლოში. ომი თუ იყო, იცოდნენ სხვა-და-სხვა ბრძოლის ამბავი, რამდენი იყო მოკლული, რამდენი დაეცა და რამდენი ციხე იყო აღებული, ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა. ამ ცნობებს გარდა, რომელსაც ნუველისტები იძენდნენ ყოველგნით,—დიპლომატებისა, კორესპონდენტებისა, წარჩინებულ პირთა და მოახლეებისაგან, ისინი სცდილობდნენ თავიანთ აზრის გამოთქმასაც,—ზოგ ამბავს ერთნაირად ახასიათებდნენ ზოგს კიდე სხვანაირად. მსმენელების მიხედვით, ზოგი ნუველისტი მხოლოდ პოლიტიკურ ახალს ამბებს ავრცელებდა, ზოგი—მაღალ საზოგადოების ცხოვრების შესახებს ამბებს, ზოგი კიდე უამბობდა თავიანთ მსმენელებს ახალ ლიტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურულ ნაწარმოების შესახებ. ამგვარი დაყოფა ნუველისტებისა გამოიწვია შრომის გაყოფის საჭიროებამ, რომელმაც დღევანდელს ჟურნალ-გაზეთებში შეჰქმნა თანამშრომელთა მრავალ-გვარობა. იყვნენ ნუველისტები, რომელნიც მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებას ადევნებდნენ თვალ ყურს და უხსნიდნენ თავიანთ მსმენელების ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენის აზრსა და ხასიათსა; ამათ იცოდნენ ყველაფერი, რაც კი შეეხებოდა ევროპის სხვა-და-და სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოთა ხელმწიფეებისა და მათის მინისტრების აზრები და საიდუმლოებანი, ეს ნუველისტები ეხლანდელ გაზეთის უცხოეთის მიმომხილველობას ასრულებდნენ. მეორენი შინაურ საქმეებს აქცევდნენ ყურადღებას და თავიანთ მსმენელებს მხოლოდ შინაურ საქმეებზე ეგაასებოდნენ—ესენი იმდროინდელ შინაურ მიმომხილველებად უნდა ჩაითვალონ. იყვნენ ნუველისტები – ლიტერატურის მიმოხილველნი და სხვ. იყვნენ კიდე ისეთები, რომელნიც ყველაფერ ამბავს,— ლიტერატურის შესახებ, პოლიტიკურს, ხელოვნებას,—ერთის სიტყვით ყველაფერს, რაც კი ახალ მოვლენას შეადგენდა და განმარტებას მოითხოვდა, ერთბაშად ამბობდნენ მსმენელების წინაშე,— ესენი ჩვენ დროის ფელეტონისტებს მოგვაგონებენ. ამრიგად, როგორც ხედავს მკითხველი, ეს ნუველისტები წარმოადგენდნენ ცოცხალ გაზეთს, ისეთს გაზეთს რომელსაც კი არ კითხულობენ, არამედ უსმენენ.

პირველ ხანს ნუველისტები თავიანთ ამბებს ამბობდნენ მხოლოდ ცალკე სახლებში, კრებებში, ნაცნობებს შორის. მაგრამ ხალხის მოთხოვნილებამ მალე ეს ცოცხალი გაზეთი ქუჩაში გაიყვანა. ცოტა ხანს უკან ნუველისტები გაჩნდნენ ყველგან, სადაც კი იკრიბებოდა ხალხი, —ბაღებში, ბაზრებში და სხვ... ნუველისტები სცდილობდნენ, რასაკვირველია, რაც შეიძლება მეტი ამბავი შეეკრიბათ და მასთან რაც შეიძლება ნამდვილი და მართალი, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგჯერ შეცდომით და ზოგჯერ კიდევ განგებ, ყურადღების დასამსახურებლად, მართალს ტყვილს გამოურევდნენ, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად ჩვენს დროის ჟურნალ-გაზეთობასაც ემართება. საზოგადოებაც, როგორც დღეს ჩვენშია, ხშირად თითონ მიხვდებოდა ხოლმე, რა იყო მართალი და ტყუილი. რაც უფრო მიდიოდა დრო ნუველისტები აღარ ჯერდებოდნენ იმას, რომ მხოლოდ ერთ ადგილს შეგროვილ ხალხს გაეგო მათგან ახალი ამბები; გაიჩინეს კურიერები, ნუველისტები თავის დროისათვის ცოცხალ გაზეთს წარმოადგენდნენ თქო, ვსთქვით, ჩვენ ზემოდ და აღვნიშნეთ, რაშიაც გამოიხატებოდა მსგავსება მათ შორის. ამ მსგავსების დახასიათება არ იქნება სრული, თუ ორიოდ სიტყვა არა ვსთქვით ნუველისტების მიმართულებაზე და მართველობასთან დამოკიდებულებაზე.

ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთები რომ გადავიკითხოთ, ერთ და იმავ მოვლენის შესახებ სულ სხვა-და-სხვა აზრს წააწყდებით,—ერთი რომ სიხარულით ეგებება რომელსამე მოვლენას, მეორე ვაის გაიძახის. მკითხველმა კარგად იცის, რისგანაც წარმოდგება ერთ და იმავე მოვლენის შესახებ შეხედულებათა სხვადა-სხვაობა. ნუველისტებიც დღევანდელ გაზეთებსავით სხვა-და-სხვა მიმართულებისანი იყვნენ და მე XVIII საუკუნის დამლევს პარიზის სხვა-და-სხვა კუთხეში მსმენელი ერთ და იმავე მოვლენის სხვა და სხვანაირ დახასიათებას გაიგონებდა,—მაშინ როდესაც ერთ ადგილს ერთი ნუველისტი ქებას ასხამდა იმ დროინდელ მართველთ, მეორე ადგილს მეორე ნუველისტი კიცხავდა და გმობდა იმ დროინდელ წეს-რიგს. ამნაირად გაჩნდა ნუველისტების საასპარეზო ადგილები და ლიუქსემბერგის, ტიულერისა და პალე-როიალის ბაღებში და კორდელირების მონასტერში. რომელნიც როგორც დღევანდელი გაზეთის დამტარებლები, დარბოდნენ ქალაქში და ავრცელებდნენ ნუველისტისაგან დაბარებულს.

ხალხი შეეჩვია ნუველისტებისაგან ახალ ამბების გაგებას და ახალ მოვლენათა კრიტიკულ დახასიათებას და უიმათოდ ველარ ძლებდა ისე, როგორც დღეს არ შეგვიძლია უგაზეთოთ გავძლოთ. ამ გვარი მდგომარეობა თხოულობდა ნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველისტებისაგან საქმის მოწესრიგებას. დაარსდა საზოგადოებები ნუველისტებისა, გაჩნდნენ კორრესპონდენტები და სხვ. ერთის სიტყვით საქმე მოეწყო ისე, როგორც დღეს მოწყობილია კარგად დაყენებულ გაზეთის რედაქციაში. რასაკვირველია, ნუველისტობაში, როგორც ყოველსავე საქმეში, ნიჭიერს და დახელოვნებულს უნდა ეჩინა თავი და, მართლადაც, აკი ზოგმა მათგანმა დიდი სახელი გაითქვა. ამგვარები იყვნენ მე-XVIII საუკ. ლიონნი და მეტრა. ამ ორმა ნუველისტმა ისეთი სახელი დაიმსახურა, რომ მათ კორრესპონდენტობას არ უკადრისობდნენ წარჩინებული პირნიც. მაგალითად ინგლის-ესპანიის ომის დროს ესპანიის ელჩი, რომელიც მოწადინებული იყო საზოგადოებას იმ სახით გაეგო ამ ომის ამბები, როგორც ეს საჭირო იყო ესპანიისათვის, თითონ უთვლიდა მეტრას ყოველსავე ახალ ამბავს. მაგრამ ყველა სხვა სახელმწიფოების ელჩებიც იმასვე სცდილობდნენ, რასაც ესპანიის ელჩი, და ამრიგად გამოვიდა, რომ მეტრამ ყველაზე მეტი და ყველაზედ უფრო დანამდვილებით იცოდა საქმის ვითარება. მეტრას მნიშვნელობა საუკეთესოდ გამოიხატება იმით, რომ საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკ XVI ყოველ საყურადღებო მოვლენის შესახებ იმას ჰკითხულობდა ხოლმე, მეტრა რა აზრისა არის ამის შესახებო.

ლიუქსემბურგის ნუველისტებს უფრო ლიტერატურული გაზეთის ხასიათი ჰქონდათ, პალე-როიალის ბაღის ნუველისტები ჩვენის დროის ქუჩის გაზეთს მოგვაგონებს. პალე-როიალში ხშირი იყო ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება, ხოლო კორდელიერების მონასტერის ნუველისტები ნამდვილი რადიკალური გაზეთი იყო. აი რასა სწერს თავის მოხსენებაში პოლიციის ინსპექტორი, რომელსაც დავალებული ჰქონდა თვალ-ყურის დევნა ამ მონასტრის ნუველისტებისათვის.

„ლაპარაკი იყო ევროპის ხელმწიფეებზე, შემდეგ უმნიშვნელო საგნებზე, ბოლოს სხვა-და-სხვა სახელმწიფოს მთავრობას შეეხო. ერთ-ერთმა გამგეთაგანმა, ხელობით ხარატმა, სთქვა, მეფეთა პოლიტიკა ხალხის გალატაკებაა, რადგან ხალხის სიღა-

ეროვნული ბიბლიოთეკ

რიბე საუკეთესო საშუალებაა მის დასამონავებლადაო. მეორემ, მჭედელმა, უპასუხა, მეფეები—მტარვალები არიანო, უმათოთაც შეიძლება სახელმწიფოს მართვა, რესპუბლიკები თავისით იმართებიან და ეს გარემოება სრულებითაც არ აუბედურებს მათ. ხარატმა შენიშნა მჭედელს, მაგისთანეებზე შეგიძლია იფიქრო და არ ილაპარაკო, რადგან კედლებსაც ყურები აქვს. მჭედელი (სცხოვრობს და მუშაობს Fossés de M. le Prince'-ის ქუჩაში) განაგრძობდა, საფრანგეთის წარჩინებულთ არა სწამთ რა, რჯული მათთვის კი არ არსებობს, მეფემ ნიღაბად გამოიყენა რჯული თავისთვის და ხალხისათვის ლაგმად, მმართველნი ქმნიან კანონებს და არ ასრულებენ კიო".

რა თქმა უნდა, რომ მთავრობა უყურადღებოდ ვერ დაჰტოვებდა ნუველისტობას. დღევანდელი მთავრობანი, სადაც შეუძლიანთ არა სასურველ გაზეთებს სრულებით ხურავენ და სადაც არა თავიანთ გაზეთებს აარსებენ და თავიანთის გაზეთების საშუალებით სცდილობენ სხვა-და-სხვა მოვლენა თავისებურად დაუხატონ საზოგადოებას, ან კიდევ ვითომ და თავისუფალ კერძო პირის გაზეთს ფულით ეხმარებიან, ხან ცხადად და ხან ფარულად, რათა მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთებს პასუხი გასცეს და მთავრობის სახელი დაიცვას ხალხის თვალში.

ამნაირადვე ექცეოდა საფრანგეთის მთავრობა ნუველისტებს. ზემომოყვანილის წერილიდან მკითხველი დაინახავდა, რომ პოლიცია ნუველისტებისათვის იგივე ცენზურა იყო. მთავრობა ვერ ბედავდა მათ დახურვას, რადგან ამას წინააღუდგებოდა საზოგადოება, ამიტომ მთავრობამ ცალკე ცენზურა გაუჩინა პოლიციის სახით, ხან სცდილობდა აეკრძალა ზოგიერთ საკითხის შესახებ ბაასი, მაგალითად 1725 წ. აკრძალული იყო სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და მეფის დაქორწინების შესახებ ლაპარაკი. უმეტესად კი მთავრობა ქირაობდა ნუველისტებს ან პოლიციის მოხელეებს ავალებდა ნუველისტობას და ესენი, რასაკვირველია, ავრცელებდნენ იმას, რაც სურდა მთავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირად ვრცელდებოდა არა თუ ახალი ამბები, არამედ ახალი აზრები და ერთიანდებოდა საზოგადოების შეხედულება და მოთხოვნილება ნუველისტების წყალობით. ნუველისტები, როგორც დღევანდელი გაზეთი, გამოხატავდნენ მხოლოდ იმ მოთხოვნილებას, რომელიც უკვე არსებობდა საზოგადოებაში და რომელსაც მხოლოდ ფორმა სჭიროდა. მართალია ხან-და-ხან ფორმასაც გავლენა აქვს შინაარსზე, მაგრამ მაინცა-და-მაინც უშინაარსოთ მარტო ფორმა წარმოუდგენელია. უიდეო, უაზრო საზოგადოება ძნელი წარმოსადგენია, ხოლო აზრი ითხოვს გამოხატვას, ნუველისტები იყვნენ საზოგადო აზრების გამომხატველნი თავის დროს, როგორც დღეს არიან გაზეთები, მხოლოდ მაშინაც და დღესაც გამოხატავენ საზოგადო აზრს თავისუფალი ნუველისტები და ჟურნალისტები: ნაქირავებმა და მოჰყიდულმა ნუველისტებმა ვერ ჩაგონეს საფრანგეთის საზოგადოებას, ყველაფერი თავის რიგზეაო...

V

ვალდერფ ასტორია

შეერთებული შტატები ჯერ კიდე სრულებით ახალგაზდა და ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით ხომ სრულებით ნორჩი სახელმწიფოა. ამ გარემოებამ და ამასთან რასაკვირველია მრავალმა კიდევ სხვამ სულ სხვა გზით წაიყვანეს ამ სახელმწიფოს განვითარება. მხნე და გაბედულ ამერიკელს სიზმარშიაც ის ეზმანება მხოლოდ, როგორ და რითი გააკვირვოს ქვეყანა. ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება,—ყველა ეს ისეთი დარგია, რომელშიაც დიდის ხნიდამ დახელოვნებულს ევროპას ამერიკა ვერ გაუმკლავდება. ამერიკელის სიმხნევე და ძალა კი თხოვილობს საქმეს და დიდ საქმესაც. ამითი აიხსნება, ვგონებთ, ის უშველებელი განვითარება ტეხნიკისა და გასაოცარი სიდიდე ყველა ამერიკულ შენობებისა; სხვა თუ არაფრით, ამით მართლადაც განსაცვიფრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ამერიკულ სახლების მრავალ-სართულიანობა და სიდიდე, სიგრძე-სიმაღლე და სიგანე ამერიკულ ხიდეებისა, სიჩქარე ამერიკულ მატარებლებისა და სხვანი.

აი რასა სწერს ნიუორკის უდიდეს სასტუმროს შესახებ ფრანგი მოგზაური ჟიულ გიურე.

„ამერიკაში წასვლა რო დავაპირე, გამოცდილმა ნაცნობებმა მითხრეს; ნიუიორკში უთუოდ ვალდორფთან ჩამოხტი—მის სასტუმროში საუკეთესოდ გაეცნობი ამერიკელების ცხოვრებასაო. მართლაც ვალდორფის სასტუმროში ჩამოვხტი და დავრწმუნდი ამ რჩევის სიმართლეს. ამ სასტუმროში დილიდამ დილამდე ათასნაირი ხალხი ფუსფუსებს, მილიონერებიდამ ღაწყებული ისეთ პირამდე, რომელსაც თითონაც ვერ გამოურკვევია, რა ხელობისაა. მართალია ამერიკის სხვა რესტორანებსა და სასტუმროებში ვერსად ვერ ჰპოვებთ მყუდროებას, ყველგან ჟრიამულია, მაგრამ „ვალდოფ-ასტორია“ განსაკუთრებული რაღაც უშველებელი დაწესებულებაა.

ამ სასტუმროს შენობა წითელის ქვისაა და მეტად ლამაზია სანახავად. შენობა დაჯდა 80 მილიონი მანეთი, 17 სართულიანია და შეიცავს 1500 ოთახს; ამათგან 1200-ს თავისი საბანაო ოთახი ახლავს. მეორე სართულს აკრავს აივანი. რომელიც შესავლელ კარების სახურავიცაა იმავ დროს და რომელიც გადაჭიმულია თორმეტ უშველებელ რკინის თაღზე. საღამოობით თითქო ცეცხლი წაუკიდებიათ ამ აივნისათვის ისეა გაჩაღებული ელექტრონით. სასტუმროს პირველი სართული უჭირავს უშველებელ, მაღალ, სხვა-და-სხვა გემოზე მოწყობილ სასადილო ოთახებს. კედლები ზოგან გამოქანდაკებული. მარმარილო საზოგადოდ მეტად უხვად უხმარნიათ მასალად ამ სასახლის შენების დროს,—კიბეები, დერეფნები, ერთი სიტყვით ყველგან სადაც და რასაც არ უნდა მოჰკრათ თვალი, ყველგან მარმარილოა. სკამები, სავარძლები, ყოველივე ავეჯეულება ან ხავერდით, ან აბრეშუმით არის გადაკრული. ყველა დერეფნები, რომელიც გარს უვლის ამ უშველებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარვასლას, სავსეა ხალხით,—ზოგი დადის, ზოგი ზის და სიგარას ეწევა, აგერ ლაპარაკობენ, ეგერ სმენ,—ეს ხალხის სიმრავლე არ არის საკვირველი, რადგან აქ შემოსვლა თავისუფალია, რესტორანი, სადარბაზო და თუთუნის მოსაწევი ოთახები უფასოდ ეთმობა ხალხს. მეორე და მესამე სართულს შუა მოთავსებულია ორქესტრო და ვისაც სურს შეუძლია დილიდან საღამომდის უფასოდ უგდოს ყური მუსიკას. სასტუმროს თავისივე ბანკის განყოფილება შიდ შენობაში აქვს მოთავსებული. თვითვე შენობაში გამართულია ყვავილების მაღაზია, ფოტოგრაფია; ტელეფონით შეიძლება ლაპარაკი ქალაქში და ქალაქ გარედ მცხოვრებლებთან, აქვეა ტელეგრაფი და საექიმო კაბინეტი (სასტუმროს სამი ექიმი ჰყავს, რომელნიც თვითეულად მორიგეობენ). აგერ ჟურნალ-გაზეთების მაღაზია, სათეათრო კასსა, აი კიდე სასტუმროს სამართველო სადაც სასტუმროს ყველა 1500 ოთახს თავისი ყუთი აქვს მიჩენილი; მიუვა ვისმე წერილი თუ არა, იმ წამსვე დააწერენ ამდენ და ამდენ საათს და წუთს იქმნა მიღებულიო და ერთ-ერთ ყუთში ჩააგდებენ. ვსთქვათ ვინმე მოსულმა იკითხა, ამა და ამ ნომერში ჩამომხტარი შინ არის თუ არაო, გამოართმევენ სადარბაზო ბარათს და ჰაერით მომუშავე მილით ნახევარ წამში გზავნიან იმ სართულში, სადაც მდგმურია ჩამომხტარი. მდგმური თუ შინ არ არის, ბარათს ასმენ ბეჭედს წარწერით „ოთახში არ არის“

საუცხოოდ მორთული, სრული ასაყვანი მანქანები ადიან და ჩამოდიან. კიბით აქ არავინ არ ადის-ჩამოდის. თითო სართულს შვიდი-რვა ამისთანა ასაყვანი მანქანა ემსახურება.

მეორე სართულში ერთის მხრით ორი უშველებელი საცეკვაო ზალაა; ორთავეში სცენაც არის და ყველაფერი, რაც კი საჭიროა წარმოდგენების გასამართავად. ორივე ზალა ისე მოიდრეკულადაა მოწყობილი, რომ წარმოსადგენადაც ძნელია: კედლები მარმარილოსია, ჭერი საუკეთესო მხატვრებისაგან დახატული, ყველგან უზარ-მაზარი სარკეები და მთელი იატაკი მოფენილია ძვირფასის აღმოსავლეთის ხალიჩებით. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკ

ზალები ქირავდება 2000 მანეთად საღამოთი და 3000 მანეთად მთელის დღით. აქ იმართება ნახატების გამოფენები, საქველ-მოქმედო ბაზრები, ქორწილები და სხვ. მეორეს მხრით დაყოლებულია ურიცხვი სასადილო და სადარბაზო ოთახები, რომელსაც აქირავებენ სხვა-და-სხვა საზოგადოებათ, ამხანაგობებს და სხვ. ზოგი ამ სადარბაზო ოთახებთაგანი მშვენივრადაა მორთული. შესავალი ამ ოთახებისა მორთულია მცენარეებით და მარმარილოს ქანდაკებეებით. ნასადილევს აქ ნება დართულია სიმღერა, ცეკვა, სიგარების წევა და სტუმრების მიღება: აქ იღებდა თავის სტუმრებს :გერმანიის ტახტის მემკვიდრე, რომელიც ნიუ-იორკში ყოფნის დროს ვალდორფის სასტუმროში იყო ჩამომხტარი.

მე დავათვალიერე პირველ სართულში ოთახები, განაგრძობს ჟიულ გიურე ზოგი მათგანი სწორედ რომ ზღაპრულად არის მორთული: კედლები ხავერდით და აბრეშუმით არის გაკრული, უშველებელი ვარაყიანი სავარძლები, სპილოს ძვლით ნაკეთები ლოგინები, ძვირფასი ნოხები, ნახატები, ბროლის ნივთები, პატარა, კოპწია და კოხტა სასადილო ოთახები, პატარა ბუდუარები, საბანებელი და მოსართავი ოთახები, ზალები,—ასეთია ამ სართულის ცალკე ნომრები რომელთაგან ზოგიერთი 1000 მანეთად ქირავდება დღეში.

ყოველ სართულს თავისი საკუთარი მოსამსახურე ჰყავს, თავისი საკუთარი თეთრეული, ჭურჭელი და ვერცხლეულობა აქვს.

სადილ-ვახშამი სახლს-ქვეით მოთავსებულ სამზარეულოში მზადდება და იქიდამ დაბარებისამებრ იგზავნება განსაკუთრებულ მანქანების შემწეობით. იქიდამ ამოგზავნილი საჭმელს მოსამსახურე წინდაწინვე გამზადებულ პატარა სუფრაზე სდგამს და სუფრა და საჭმელი ერთად შემოაქვს ოთახში.

ასეა მოწყობილი ყველა სართული პირველიდამ მეთექვსმეტამდე. მეჩვიდმეტე—სასტუმროს სახურავია; ზაფხულობით ამ სახურავზე იმართება რესტორანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სასტუმროს მიწის ქვეშაც რამდენიმე სართული აქვს პირველში ერთის მხრით მოთავსებულია – სადალაქო და აბანოები, შემდეგ სასტუმროს ეკონომის ოთახებია, სამზარეულო, პურის, ღვინის, სიგარების, კონსერვების საწყობები; მდგმურების ბარგის შესანახი ოთახები და ღმერთმა უწყის კიდე რა საწყობები და მერე რა საწყობები. ავიღოთ მაგალითად თეთრეულის საწყობი: ოთხმოცდა ხუთი ქალი დილიდამ საღამომდე უნდება მხოლოდ ხელსახოცების დაკეცვას; 165 ჭურჭლის მრეცხავია; ღვინის საწყობში 400—500 ათას მანეთის ღვინოა; სიგარების საწყობში—500—600 ათას მანეთის სიგარაა. თვით საწყობი მშვენიერად მოწყობილ წიგნთსაცავსა ჰგავს. ამ საწყობებ ქვეით კიდე ერთი სართულია, რომელიც ნამდვილ ქარხანას მოგაგონებთ: აქ არის მოთავსებული უზარ-მაზარი მანქანები, რომელიც ანათებს და ათბობს მთელს ამ სასტუმროს, სწმენდს შიგ ჰაერს და აკეთებს სარკეებს. ამ მანქანეებს ამუშავებს და ყურს უგდებს 115 კაცი ინჟენერი, მექანიკოსი და უბრალო მუშა, დღეში მათ ამოსაძრავებლად იხარჯება 10,000 ფუთი ქვანახშირი. აქვეა მოთავსებული სახელოსნოები,—რკინის, სადურგლო, ოქრომჭედლის და მესაათესიც კი. ბოლოს დაუსრულებელი რიცხვი ოთახებისა მოკავებულია სანოვაგეთი, რომელიც კარგა მოზდილ ქალაქს ეყოფა გამოსაკვებად.

საყურადღებოა ამ სასტუმროს ხარჯი: ყოველ წელს იკარგება და ძველდება 60000 მანეთის თეთრეული, იკარგება 20,000 მანეთის ვერცხლეულობა, იხარჯება ერთი მილლიონი თაბახი ფოსტის ქაღალდი.

დღეში 2000—6000 სადილი რიგდება ამ სატუმროში; რა თქმა უნდა, რომ ამოდენა საჭმელს დიდი მასალაც სჭირია, ამიტომ ყოველ დღე იხარჯება 15,000 მანეთის სანოვაგე, გარდა იმისა, რომ ყოველ თვეში 100,000 მანეთის მხოლოდ კონსერვებსა ჰყიდულობს სასტუმრო.

წყალის ფასად მხოლოდ სასტუმრო იხდის ქალაქის სასარგებლოდ წელიწადში 100,000 მანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უშველებელ სასტუმროს მოსამსახურე მოხელეთა რიცხვს შეადგენს 1636 კაცი და ქალი, რომელთაგან 96 მზარეულია, 18 პურის მცხობელი, 177 ქალაქში გამყოლი მოახლე, 560 კაცი და 175 ქალი მოახლე და სხვა. ამათი ჯამაგირი თვიურად შეადგენს 130000 მანეთს გარდა ბინისა და საჭმელ-სასმელისა.

მიუხედავად ამისთანა დიდის ხარჯისა შემოსავალი ამ სასტუმროს პატრონისა რომელიც ამ რამოდენისამე წლის წინად უბრალო მოახლე იყო, ხან-და-ხან დღეში 4000 მანეთამდე ადის.

იგ. ზ—შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევი

1. ახალი საჭმელი მცენარე.—2) ახალი ნიკელი.—3) სპილენძი.—4) იაპონური ნავთი.—5) ქიმიის მომავალი.—6) ამწევი ანდამატი.—7) უწინდელი წამლები.—8) ფაუსტი იაპონიაში.—9) მწერალთა უცნაურებანი.—10) ცხენის ხორცი.—11) რუსი-ტყვეები იაპონიაში.—12) უცნაური ბრძანება. -13) ლევ ტოლსტოის წერილი.

181

ახალი საჭმელი მცენარე—კარტოფილის გვარისაა, თუმცა მით გაარჩევთ კარტოფილისგან, რომ ნოტიო მიწაში უფრო კარგად ხარობს. მეცნიერული სახელი Soeanum Comme Tani ეწოდება. საფრანგეთში ლაზერჟერიმ შემოიდო ეს მცენარე და მეტად მადლიერიც დარჩა, რადგან, ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, დღიურზედ 2700 ფუთი კარტოფილზედ უფრო ტკბილი და ამასთან ნოყიერი ნაყოფი მოსვლია. მცენარე კიდევ მით არის საინტერესო, რომ ნაყოფი ფესვებზედაც ახხია და მიწის ზემოდ—ტოტებზედაც.

**

ახალი ნიკელი ინგლისში შეამზადა ერთმა ირლანდიელმა და ამიტომ პატრიკის ლითონი უწოდეს. ნიკელის სამაგიეროდ სმარობენ და ძალიანაც ამჯობინებენ, რადგან ვერცხლივით თეთრია, და რაც უნდა დიდი ხნის ნახმარი იყოს, ისევე ბრწყინავს, როგორც ახლად გაკეთებული. არც ილევა, არც ჟანგდება და ამოდენ ლირსებასთან ერთად იმითია კიდევ კარგი, რომ ცივი იწყდება და ადვილად იღებს სასურველ ფორმას.

**

სპილენძი.—დოქტორმა მოორმა ერთს თვისებას მიაგნო სპილენძისას, რომელიც, თუ იმედი არ გაგვიტრუვა, დიდს სამსახურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწევს კატორბრიობას ბატიღლებთან ბრძოლაში. მოორმა გამოცდით დაამტკიცა, რომ სპილენძი უებრო წამალია სახადის, ხოლერის და სხვა ამ გვარ გადამდებ ჭირთა ასაცდენად. სპილენძის წამლის შემზადებას იმდენად მცირე ხარჯი უნდა, რომ ყველას შეეძლება მის შეძენა და უხვად ხმარება; რაც შეეხება წამლის ძალას, იმდენად მძლავრია, რომ რამდენსამე საათში ერთიანად ყლეტს სნეულებათა ამშლელ ყველა ბაქტერიებს. ერთი იოტის ოდენი შაბიამანი კმარა, რომ ოთვლად უვნებლად აქციოს სნეულებათა გამჩენ ბატიღლებით სავსე წყალი. გარდა იმისა, რომ სპილენძის უებრობა გამოცდილებით დაამტკიცა დოქტორმა გროსვენორმა ამერიკაში, ის გარემოება არის კიდევ საგულისხმო, რომ მიუხედავად დიდ სიბინძურისა ჩინელებს იმიტომ არა მუსრავს ხოლერა, რომ წყალს სპილენძის ჭურჭელში ინახავენ. ქ. ინდიანოპოლში ხოლერამ ყლეტა დაუწყო ხალხს; მამასახლისმა შაბიამანიან წყლით მოარწყვევინა ქუჩები, გაარეცხინა სახლები და ერთბაშად შეაყენა ხოლერის მძვინვარება. გროსვენორი ამტკიცებს, შაბიამანი სრულიად უვნებელია ადამიანისთვის და პირიქით ფრიად სასარგებლო, რადგან უზრუნველ ყოფს ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომელსაც ბაქტერიები აჩენენო.

**

იაპონური ნავთი.—იაპონელმა პროფესორმა ჩინ-იში-დაკანომ წერილი დაბეჭდა, რომლისგან სჩანს, რომ იაპონელებს ჯერ ისევ ქრისტეს შობამდე 674 წელს ხელმწიფე ტენჩის დროს, სტოდნიათ რა არის ნავთი და ჰქონიათ ნავთის წყაროები. ნავთს თურმე საწვავ წყალს ეძახდნენ, კუპრს—საწვავ მიწას და ნავთის გაზს—საწვავ ქარს. პრაქტიკულად ნავთის ხმარება იაპონელებმა დაიწყეს შემდეგ, 1613 წელს, როდესაც მაგოცამ ხდა დაუწყო ნავთს.

ამ ყამად იაპონიაში 95 ნავთის მხდელი ქარხანა მუშაობს.

**

ქიმიის მოამავალი.—პროფესორის ბერტელოს თეორიამ ქიმიის მომავლის შესახებ დიდი კამათი გამოიწვია ინგლისელ მეცნიერთა შორის. ბერტელო ამტკიცებდა: ერთხელ იქნება სრულიად უსარგებლო გახდება მიწის მუშაობა და მასთან დამოკიდებული სხვა და სხვა წარმოება; საჭირო ალარ იქნება არც მცენარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და არც ცხოველთა გაჩენა, რადგან ადამიანის საჭმელად სხვა გვარი საზრდო იქნება შემოღებული. ადარც ნახირი და მენახირეები, ადარც ხვნა-თესვა და გუთნის დედები! კალოსა და საწნახელის ადაგს ქიმიური ქარხნები იქნება, რომელნიც მოამზადებენ ხელოვნურ საზრდოს; ხელოვნური საზრდო უფრო შემრგო და ადვილი მოსანელებელი იქნება, ვიდრე დღეკანდელი ეველა ბუნებრივი საჭმელ-სასმელია. ჯერ სრულიად არა, მაგრამ უმთავრესი კი უკვე მზადა გვაქვსო. მართლაც ბერტელომ ამ ორმოცდა თორმეტის წლის წინად (1852 წ.) მოამზადა თავის ლაბორატორიაში სუქანი ნივთიერება, სწორედ ისეთი, რომელსაც ადამიანი საჭმელად ხმარობს. მას შემდეგ ხელოვნურად იქმნა მომზადებული ცაქარი და სხვა და სხვა გვარი ნახშირ-მბადიანი ნივთიერება. და რადგან ადამიანის საზრდოებას სამ გვარი ნივთიერება სჭირია: სისუქნე, ნახშირ-მბადიანი ნივთიერებანი და ცილოვანი ნივთიერებანი, დღეს ორი წილი უკვე გაუვლია მეცნიერებას და მესამედა აქვს გასავლელი. თუ ეს მოახერხა და ამასთან ენერგიის დაუშრეტელი წყაროც გაიჩინა, წალკოტად გადაიქცევა დედამიწაო, ამბობს ბერტელო, და იმედს გვაძლევს, მაგასაც მალე მივაღწევთო: ხომ მოვახერხეთ, დავამწყვდიეთ და ჩვენ ნებაზედ ვამუშავებთ მდინარეთა დენის ძალას; იმასაც ვახერხებთ ნელნელა, რომ მზის სხივი ერთს ადაგს მოვაგრილოთ და მერმე ჩვენს სურვილისამებრ გამოვიყენოთ; დარწმუნებული ვარ, დღეს-ხვალ მიწის შუაგულში არსებულს სითბოსაც ხელთ ვიგდებთ და ჩვენდა სასარგებლოდ ვიმსახურებთო...

ლორდი კელვენი სრულიად ეთანხმება ბარიზელ მეცნიერს ადამიანის ქიმიურად კვების შესახებ, მაგრამ ის კი ვერ წარმოუდგენია, რომ მიწის გულიდგან ამოიუვანოს კაცმა სითბო და მრეწველობაში მოიხმაროს. ეგ ცარიელი ოცნება იქნებაო, ბრძანებს ლორდი.

ვილლიამ კრიკს არა სწამს, რომ აგრე სწარაფად მიაბიჯებდეს ქიმია. ქიმიურ საზრდოობას ადამიანისას თან უნდა ახლდეს ძირითადი გადაგვარება ღეჭვისა და მონელებისა და რამდენიმე ათასი წელიწადი გაირბენს, ვიდრე სტომაქი ისე შეიცვლება, რომ ტვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი მწვადის ან კარგად ამოზელილ შეჭამადის მაგივრად ქიმიურად მომზადებულ აბებს დასჯერდესო.

ოლივერ ლოჯი სრულებით ეთანხმება ბერტელოს და დასძენს— ქიმიური საზრდოება იმით იქნება კარგი, რომ მაშან მარტო შიმშილის მოსაკლავადა სჭამს კაცი და, გარდა ამისა, ჭამაზედ დროს ადარ დაჰკარგავსო.

ვილიამ რამზის მტკნარ ოცნებად მიაჩნია ბერტელოს აზრები და ამტკიცებს, ზღაპრად თქმულის განხორციელებას მეცნიერი არ უნდა ცდილობდესო.

**

ამწევი ანდამატი.—გენახვებათ ცხენის ნალივით მოჭედილი ანდამატი, რომელსაც ლურსმანს აადებინებენ ბავშვები, ფოლადს კალმებს, ქინძისთავებს, ან კიდევ წყალში მცურავ გედს ან ბატს ამოძრავებენ ხან აქეთ და ხან იქით. ანდამატი ბავშვების გასართობი იყო და დღევანდლამდე აზრადაც არავის მოსვლია, რომ მის ამგვარ ძალით შეიძლება ისარგებლოს ადამიანმა მეტალიურ მძიმე საგნთა აწევ-დაწევაში. ეს უბრალო აზრი ინგლისმა განახორციელა და უზარმაზარი ანდამატი გააკეთა, რომლის საშუალებით ასწევენ და მაგ. ვაგონზედ, ან ხომალდზედ დაუდებენ მძიმე, უმანქანოდ აუწევარ, საგნებს. ანდამატი მალად, მსხვილ ბოძებზედ არის ჩამოკიდებული ჯაჭვებით; როცა რისამე აწევა უნდათ, დაუშვებენ, ფოლადის ან რკინის ასაწევ საგანს შეახებენ და ისე აიტაცებენ, რომ არც შეკვრა უნდა, არც გამაგრება. ამგვარად ნაკლები დრო და შრომა იხარჯება; გარდა ამისა შესაძლებელი გახდა გახურებულ, გავარვარებულ საგნების აწევა და გადაზიდვა.

მიმზიდავი ძალა მეტის მეტი აქვს ანდამატს და თითონ რომ 9 ფუთს იწონიდეს, ადვილად იკრავს 246 ფუთს.

**

უწინდელი წამლები.—ეს სახელი უწოდა დოქტორმა კაბანესმა უკანასკნელ თავის თხზულებას. უცნაური წამლები სცოდნიათ უწინ, მაგრამ, ავტორის სიტყვით, აწინდელ წამლებზედ უკეთესნი თუ არა, უარესნი კი არ ეოფილან. ექიმი მუზა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, რომ იმპერატორმა ავგუსტმა ძეგლი აუგო; უცნაური წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალი იხმარა ამ ექიმმა იმპერატორის ქარებისაგან განსაკურნებლად — ჭინჭრით გაწკეპლა. ერთობ ჭინჭრით ცემას დიდი გასავალი ჰქონდა უწინდელს ექიმობაში, თუმცა ეოველთვის არ იძლევოდა საკურველ ნაყოფს. ბავშვს რომ ყვავილი გამოაჩნდებოდა და ძნელად გამოაყრიდა, ჭინჭრითა სცემდნენ, გარეთ გამოიტანსო. ჭინჭრითვე სწამლობდნენ სიყვარულის კაეშანს, სადათარ ძილს და სხ.

ვისაც გასუქება უნდოდა, ობობა უნდა ეჭამა; ციების წამლად ობობას ქსელს სჭამდნენ. დღესაც დარჩენილა ხალხში ობობას ქსელის ხმარება: გაჭრილზედ მიიდებენ სისხლის დენას შეაჩერებსო.

შლეზვიგ ჰოლშტეინში დღესაცა სწამთ, ძაღლი რომ ლოგინში ჩაიწვინო, ქარებისა და წვეთისა შიში ადარა გაქვსო. გული რომ ასტკივდებოდა ვისმე, ახლად გაჭრილ კატას მიადებდნენ. ბნედიანს მუცელზედ კატის ქონს უსვამდნენ, ან კიდევ ცაცხვის ყვავილს მოხარშავდნენ, კატის კუდით გამოდებულ სამ წვეთ სისხლს ჩაუმატებდნენ და იმას ასმევდნენ. ყელის ტკივილს—კატის ტვინის მალამოთი არჩენდნენ და თვალის ტკივილს—შავი კატის თავით: შესწვავდნენ, დაფქვავდნენ და ნატკენ თვალში შეაყრიდნენ.

კაბანესი იმტკიცებს—დღევანდელი ჩვენი წამლები თითქმის ყველა იცოდა უწინდელმა კატობრიობამაო.

**

ფაუსტი იაპონიაში.—იაპონელებმა შექსპირს გიოტე მიაყოლეს და ახლა ფაუსტს თამაშობენ თავიანთ თეატრებში, ოდონდ ოდნავ გადააკეთეს გიოტეს ბიესა და თავისებური ხასიათი მისცეს: მეფისტო—ევროპიელს წარმოადგენს; რაც შეეხება გრეტჰენს (ოპერის მარგარიტას), შეცდომას და ცოდვას იმით მოინანიებს, რომ ჭირივით შეიძულებს დასავლეთს, ესე იგი ევროპას, და თავის სიყვარულით ერთს მანჯურიით დაბრუნებულს გამარჯვებულ მხედარს დააჯილდოვებს.

**

მწერალთა უცნაურებანი.—ამბობენ, ინგლისელი სახელგანთქმული კიპლინგი რომ სწერს, იმისთანა ძალით აწობს კალამს სამელნეში, რომ შხაპუნით ამოდის მელანი და თავით ფეხამდე მელნის ლაქებიო არის გასვრილიო. შარდ დიკენსი ეოველდღე რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე სასთიო კარჩაკეტილ ოთახში იმყოფებოდა და ისე სწერდა თავის რომანებს. ტეკკერეის ეგვლგან თან დაჰქონდა თავისი ხელნაწერები და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა. თეთრ ცხენს იშვიათად დაჰკვლენ, რადგან ისე აქვს ზოგ-ზოგი ნაჯერი ჩაშვებული, რომ არ იჯმევა. ასეთი გასავალი ცხენის ხორცს სიიოფემ შესძინა და გარდა ამისა ექიმებმა, რომელნიც ამტკიცებენ, ავადმყოფისთვის ცხენის ხორცი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ხარისა, ან ცხვრისა, მეტადრე ჭლექ—ბავშვებისთვისაო.

**

რუსი ტუკეები იაპონიაში.—ფრანგულ reuve-ში დაბეჭდილ-ბარონ სიუემატსუს წერილი რუს ტუკეების შესახებ მეტად საინტერესოა, და თუმცა დაგვიანებულიც იყოს, მაინც მოვიყვანთ რამდენსამე ცნობას, რომლითაც იაპონელი რუსს ახასიათებს: რუსმა ჯარის კაცებმა არ იციან, რა არის კუნძული და ვერც შეუგნიათ, რომ კუნძულით გაპარვა შეუძლებელია, რადგან ყოველ მხრივ წყალი არტაყვს. თავიანთი ოფიცრებისაც კი არა სჯერათ და მეტად ხშირად გაიპარებიან ხოლმე. რუსის ჯარისკაცი, სალდათი, უფრო ბავშვია, ვიდრე ვაჟი-კაცი, და ტოტალენი შეგნებულებაისევ მეზღვაურს თუ ეტყობა. სულ უბრალო ოპერაცია რომ გაუკეთონ, ისე. ყვირის რუსი, თითქო ბავშვი იყოსო. ლიაოიანში ერთი ჯარის კაცი დავიჭირეთ; რომ ვუთხარით რუსების დამარცხება, ჯერ ძალიან გაეხარდა—საძაგლად გვექცევა მმართებლობაო, მაგრამ მერმე კი ტირილი დაიწყო: რუსეთი ადარ იქნება და ჩვენი სოფელი სადა ვიპოვნოო.

ომში მოკლულისას ყველაფერს მის მემკვიდრეთ უბრუნებენ იაპონელები, გარდა იარაღისა, ცხენისა და სამხედრო ქალალდების და კარტისა. პეტერბურგში მოდის და მოდის ბრძოლის ველზედ დახოცილ რუსთა ნათხარი—ფული, ძვირფასი ნივთეულობა, ხატები და ჯვრები. ძარცვა-რბევა იაპონელისათვის მეტად საძრახისია, და მეტადრე იაპონელ—ჯარის კაცისთვის, რომელიც რაინდულად ექცევა მტერსაც და მოყვარესაც. რუსის ჯარის კაცი სულ სხვა ხასიათისა ყოფილაო, დასძენს იაპონელი ავტორი და საბუთებიც მოგვაგს; სხვათა შორის, ორის მეზღვაურის თხოვნას ასახელებს:—თუ შეიძლება, ცალკე სადმე გვიბოძეთ ბინა, თორემ სხვა ტუკეებთან ერთად რომ დაგვაყენოთ, არაფერს შეგვარჩენენ რუსის ჯარის კაცებიო. საშინელი სურათი ვნახეთ ერთხელ ბრძოლის ველზედ: ერთს ტუკიას ორი რუსი მოეკლა, ერთი წინად დაჭრილი და მეორე მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდი; ქურდს ხელი დაჭრილის ჯიბეში ჩაეყო... რომ მომკვდარიყო, ფულიმუჭაში ჩარჩენოდა. ყაზახებზედ ხომ მეტი იქნება ლაპარაკი.

იაპონელი ბავშვობიდგანვე ითვისებს ლმობიერებას და სიბრალულს არა თუ ადამიანისას, არამედ პირუტყვებისასაც. ნუ აწვალებ ნურა სულიერს—ეი ძირეული მცნება ჩვენი ადგრდისაო, ამბობს ავტორი. ეს მცნება ძველის ძველ დროიდგან უნდა იყოს დარჩენილი, როდესაც ბუდდას სარწმუნოებას უსამძღვრო გავლენა ჰქონდა იაპონელებზედ და როდესაც ხელმწიფის ბრძანება არსებობდა—სულიერი არრა მოჰკლა, თუ საჭიროებამ არ გაიძულაო.

**

უცნ ური ბრძანება.—ამას წინად მმართებლობამ ბრძანება გასცა—პოლიციელების ქრთამის ალება არ შეეძლოთ. ალბად ეგონათ, ამ ბრძანების გამოცემა და პოლიციელთაგან ქრთამის უარყოფა ერთი იქნებაო. გაზეთს „ნაშა ყიზნ“ უკვირს ამგვარი განკარგულება მმართებლობისა. როგორ არ ეზარებათ ამისთანა მტკნარი უაზრობის თხზვა და წერაო. ტყუილად კი არ მოგვითხრობს შჩედრინი ერთ ჩინოვან პირის ამბავს: სამძღვარ გარეთ მოგზაურობდა და ისე მოეწონა იქაური წეს-წყობილება, რომ ტელეგრამით შემოთვალა:

„შემოდებულ იქმნას განათლებაო“.

როგორც თეკზს ვერ წარმოვიდგენთ უწყლოდ, ისე ჩვენს პოლიციელს უქრთამოდაო, დასძენს გაზეთი, და რათა სხვას არავის აწყენინოს, ქ. ოდესსის ამბებს აგვიწერს: დანიშნულ დღეს ეოველი თვისას სახლის პატრონები, დიდრონი მადაზიები და ქარხნები გადადებულს... ჯილდოს აძლევენ უბნის ზედამხედველს; საშობაო და საადგომო საჩუქარი ცალკე არის. დანიშნულ დღეს ეოველი თვისას მეწვრილმანეები, წადების მწმენდავები, ქუჩის გოგოები და სხვანი გადადებულს.. ჯილდოს აძლევენ ქუჩის ზედამხედველს; საშობაო და საადგომო საჩუქარი ცალკე არის. თვით ბოქაულს ვინ, როდის და რამდენს მიართმევს ხოლმე, ამის შესახებ ავტორმა არა იცის რა, რადგან ამგვარ ბობოლებთან საქმე არას დროს არა ჰქონია, თუმცა ჰფიცავს: ვინმე, როდისმე და როგორმე ბოქაულებსაც აძლევს და საშობაო და საადგომო საჩუქარი კიდეგ ცალკე არისო. ამი-

ტომ არისო, რომ უბნის ზედამხედველი წელიწადში ოთხასს თუმანს ხარჯავს და ჯამაგირი კი სულ ორმოცდა რვა თუმანი აქვს. ამიტომ არის, რომ ყველა ბოქაულს საკუთარი სახლი აქვს, საკუთარი ცხენები და ეტლიო. ამას წინად იმავ ოდესსაში გაასამართლეს ერთი უბნის ზედამხედველი, რომელიც ამ ვაი-ვაგლახისაგან ამღვრეულ გულის დასამშვიდებლად „საკუთარ სოფელში“ გადასახლდა, მამა-პაპეულში კი არა, თავის ოფლით შეძენილში.

ამისთანა ვერაგობა რომ ცარიელი ბრძანებით ადმოიფხვრებოდეს, აქამდე ედემად იქცეოდა დედამიწა. იმას კი არ უნდა ბრძანებდნენ, პოლიციელი ქრთამს ნუღარ აიღებსო, ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ პოლიციელს ქრთამი ადარავინ მისცეს. დღეს კი... აბა ნუ მისცემს საწყალი მეწვრილმანე? წავა და დაბეზღებს, სადაც ჯერ არს—ამადა ამ მეწვრილმანეს კიტრის წნილში დამპალი სპილო ვუპოვნეო. მაშინვე დუქანს დაუკეტავენ. აბა ნუ მისცემს სასტუმროს პატრონი? წავა და დაბეზღებს სადაც ჯერ არს—ამა და ამ სასტუმროში საეჭვო და მავნე პირნი იკრიბებიანო. სასტუმროსაც მაშინვე დაუკეტავენ და დადუპვენ საწყალ კაცს. რა ქნას მერმე პატრონმა? სად წავიდეს, ვის შესჩივლოს თავისი უბედურება? იჩივლოს?!.

ვაი იმისი ბრალი, თუ იჩივლა! იმისთანა ქვეყანაში ამოაუოფინებენ უცბად თავს, საიდგანაც ჯერ არავინ არ დაბრუნებულა!

**

ლევ ტოლსტოის წერილი.—სამი თვით შეჩერებულ გაზეთს ნაშა ყიზნში დაბეჭდილია ტოლსტოის წერილი ამას წინად მოკლულ პლევეს მინისტრობის დროის შესახებ: რუსეთის მესამედი გაძლიერებულ მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, ესე იგი კანონს გარეთ. დღითი დღე მატულობდა და იბადებოდა ცხად და ჩუმ პოლიციელთა რაზმი. ციხეები და კატორგა სავსე იყო ხალხით და მეტადრე პოლიტიკურ დამნაშავეებით, რომელთ ბ. მინისტრმა მუშებიც ჩაუმატა. ცენზურა ისე გამძვინვარდა, რომ ასეთი სასტიკი და თანაც უსაფუძვლო მეორმოცე წლებში არა ყოფილა. სარწმუნოებრივი დევნა თავის დღეში არა ყოფილა ასეთი ხშირი და მედგარი, ქალაქებში და საქარხნო-სამრეწველო დაბებში ჯარები იდგა გამზადებული ხალხთან შესაბრძოლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემრე რა ნაყოფი მოიტანა მმართველობის ამგვარმა მოქმედებამ? ასი მილიონი სული, რომელზედაც დამყარებულა რუსეთი, გადატაკდა, დაიმშა, ხელგაწვდილ, მოწყალების მთხოვნელად გახდა, ჩვეულებრივ მოვლენად გახდა სიმშილი და თან საზოგადო უკმაყოფილება.

ამოდენი უბედურება თვითონება ბიუროკრატიის ბრალია,—ამბობს ტოლსტოი: თვითონება მმართებლობამ უკვე მოჭამა თავისი დღენი და განათლებულ ქვეყნებიდგან დაშორებულ ცენტრალურ ამერიკაში, ზანგებში თუ გამოდგება დღეს; რუსეთი კი დღითი დღე ნათლდება, ევროპიელ ხალხების კულტურას იძენს და ამგვარი მმართველობის არსებობა დღეს მარტო ძალმომრეობით-და შეიძლება: ხმა, კრინტი—თორემ მზად არის თქვენთვის ციმბირში გაგზავნა, კატორგის წამება, სახრჩობელა, სარწმუნოებრივი დევნა, წიგნების და გაზეთების მოსპობა, მოზარდ-თაობის სწავლა-განათლების დამახინჯება და სხ. და სხ.

ძალმომრეობით ხალხის მართვა—შეუძლებელია; ძალმომრეობით მარტო დაჩაგვრა შეიძლება ხალხისა.

ჩვენს დროში ერთად ერთი საშუალება ხალხის საკეთილოდ მართვისა ის არის, რომ წინ გაუძღვეს ხალხს მმართველობა და ავიდან კარგისკენ გაიყვანოს, წუდიადისგან სინათლისკენ. და თუ მმართველობას მართლა ნებავს თავის დანიშნულების ასრულება, თავისუფლად უნდა ათქმევინოს ხალხს თავისი ჭირი და ვარამი. მოუსმინოს დი განახორციელოს ის, რაც მთელს ხალხს დაედება წამლად, და არა მარტო ერთს რომელსამე წოდებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

რუსეთი 1904 წელს.—რუსეთ-იმპონიის ომი.—სად არის მიზეზი იაპონიის გამარჯვებისა.—რას თხოულობს რუსეთის სმზოგადოება და მისი პრესსა.—ჩვენი მდგომარეობა და საჭიროებანი.—ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.—თებერვლის 6—9 დღეები ბაქოში.

წარსული 1904 წელი შესანიშნავია რუსეთის ცხოვრებაში და წითელის ხაზით აღნიშნული იქმნება მის ისტორიაში. შარშანდელი წლის განმავლობაში იმდენი მრავალ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ისტორიული საქმეები მოხდა, რომ იგი წელიწადი უეჭველად აღინიშნება რუსეთის ისტორიაში თვალსაჩინო მიჯნად, რომლითაც მომავალი ისტორიკოსები გაჰყოფენ ერთმანეთში რუსეთის ძველსა და ახალს ცხოვრებას.

გავითვალისწინოთ მართლა, რა მოხდა შარშან რუსეთის საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში.

შარშან 27 იანვარს იაპონიამ ომი გამოუცხადა რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში, დაეცა მის ფლოტს პორტ-არტურთან და პირველსავე ღამეს რამდენიმე ათი მილიონის ჯავშიანი გემი დაუღუპა.

ასეთი საქციელი იაპონიას უგუნურ თავხედობად ჩამოართვეს მთელ რუსეთში, როგორც მხედრობისა და მართებლობის წრეებში, ისე საერთოდ საზოგადოებაში და თითქმის მთელ პრესსაში. გამოჩნდა მხოლოდ რამდენიმე ფრთხილი ჟურნალი-გაზეთი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა სხვების ბაქიაობას და შიშით ელოდდა ომის ბოლოსა. საერთოდ რომ ვთქვათ, არავის სიცილად არყოფნიდა იაპონიის გაბედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა და ყველანი ამბობდნენ, რომ იმ პატარა იაპონიელებს ქუდის სროლით განვანადგურებთ და ტოკიოში ზავის პირობებს დავაკისრებთო. წარმოიდგინეთ, ისეთს დინჯს და ყოველსავე შოვინიზმს მოკლებული ჟურნალიც, როგორიცა არის „Вѣстникъ Европы“, ეჭვი არ ჰქონდა, რომ იაპონია რუსეთს ვერ გაუძლებდა. ან რა საკვირველი იყო ასეთი რწმენა ჰქონოდა თვით რუსეთის საზოგადოებას თავის ძლევა მოსილობის ჩვეულის მხედრობისა, როცა ევროპაშიც ასე ფიქრობდნენ თურმე.

აი რას მოგვითხრობს ლონდონელი კორესპონდენტი გაზეთის „Рус. Вѣд.“-სა: „საოცარი უმრავლესობა გაზეთებისა ღრმად დარწმუნებული იყო, რომ იაპონიამ სასიკვდილოდ თავი განსწირაო. ფიქრობდნენ, რომ 5-6 თვეში ომი დასრულდება იაპონიის სრულიად განადგურებითაო. გენრი ნორმანი ამტკიცებდა, რომ 1904 წლის ენკენისთვემდი რუსეთი ზავს შეკრავს იაპონიასთან ტოკიოს ნანგრევებზეო.“

ყველამ იცის, როგორ გაცრუვდა ეს იმედები. მთელი ომი თავიდან ბოლომდე წარმოადგენდა იაპონიის ძლევამოსილობას და რუსეთის ჯარის დამარცხებას. იაპონიამ შარშანვე დაიჭირა კორეა, დაიპყრო ლიაუდუნის ნახევარი კუნძული პორტ-არტურით და სამხრეთი მანჯურია მუკდენამდე და სრულად განაადგურა მშვიდი ოკეანეს რუსის ფლოტი. ყოველივე ეს ჩაიდინა იაპონიამ თერთმეტი თვის განმავლობაში.

რა იყო მიზეზი, რომ ორმოც მილიონის სულით დასახლებულმა იაპონიამ ასე საშინლად გაიმარჯვა ას ორმოცდა ათი მილიონ რიცხოვან რუსეთზე? რუსეთის სვე-ბედის გამგენი ამაზე იმ პასუხსა იძლეოდნენ, რომ ჩვენ მომზადებული არ ვიყავითო, რადგან იაპონია მოულოდნელად თავს-დაგვეცაო.

ასეთი პასუხი თვით სისუსტეს თუ ამჟღავნებს, თორემ მის მიზეზს არ ხსნის. აბა რა სათქმელია დიდი სახელმწიფოს დიპლომატიისათვის, რომ არ ვიცოდით, თუ იაპონია ომს გამოგვიცხადებდაო, როდესაც იაპონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ათი წელიწადი ემზადებოდა ამ ომისათვის, რომლის მიზეზს რუსეთი აძლევდა თავის მოქმედებით კორეაში და მანჯურიაში. ან რა სათქმელია აგრეთვე ისეთ სამხედრო სახელმწიფოსათვის, როგორიც რუსეთის არის, რომლის ბიუჯეტში უმთავრესი ადგილი უჭირავს სამხედრო უწყების ხარჯებს, — რომ ჩვენ საომრად მომზადებული არ ვიყავითო?

ნამდვილი მიზეზი იაპონიის გამარჯვებისა ბალე შეიგნო რუსეთის საზოგადოებამ, მაგრამ მისი გამჟღავნების უფლება საზოგადოებას არ ჰქონდა, სანამ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოვლად ძლიერი პლევე იყო, ეს ტიპიური წარმომადგენელი და თვით განმახორციელებელი ბიუროკრატიისა. პლევეს დროს საზოგადოების აზრი საერთოდ და პრესსა კერძოდ შეიწროებული იყო უკიდურესამდე.

მხოლოდ შემდეგ იმისა, რომ 15 ივლისს პლევე მოჰკლეს პეტერბურგს, ქუჩაში, და მის ადგილს დანიშნეს თავ. პ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელმაც „ნდობა“ გამოუცხადა საზოგადოებას, საზოგადოებრივი აზრი გამოცხადდა. განსაკუთრებით პრესსამ ამოიღო მამაცური და თავისუფალი ხმა, რაც მით უფრო საკვირველი იყო, რომ მანამდე პრესსა მუდამ მუნჯად იყო და მონურის ენით სწერდა. წარსულის წლის დასასრულში რუსეთის პრესსამ დაამტკიცა, რომ იგი ასაკში დიდი ხანია მოსულა, რომ იგი ყოვლად ღირსია თავისუფლებისა, როგორც პატიოსანი, ერთგული და მოქალაქობრივის სათნოებითა შემკული საზოგადოებრივი ორგანო, და მისი ხელახლავ შებოჭვა და დამონება, თუ ეს შესაძლო იქმნა, დანაშაული იქმნება არამთუ ერისა, არამედ მთელის კაცობრიობის წინაშე.

საზოგადოება მიხვდა და გაბედულად აღიარა კიდეც, რომ იაპონიამ თუ საოცრად გაიმარჯვა ამ ერთის წლის განმავლობაში, ამის მიზეზი იაპონიის ჯარის სიმრავლე და მხედრული მამაცობა როდი ყოფილა. ამისი ნამდვილი მიზეზი იყო იაპონიის განვითარება განათლებისა, კულტურისა და წესწყობილების მხრით. ამ მხრით იაპონიას ჰქონდა ყოველივე ის, რაც აკლდა რუსეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ნახევარი საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც იაპონიამ იწყო თანამედროვე ევროპული განათლების შეთვისება და ამ ხნის განმავლობაში ისეთი წარმატება გამოიჩინა ამ გზაზე, რომ საპატიო ადგილი დაიჭირა ქვეყნიერობის საერთა-შორისო კავშირში, როგორც 1896 წლის იაპონია-ჩინეთის ომმა გვიჩვენა და აწინდელ იაპონია-რუსეთის ომმა საბოლოოდ დაგვიმტკიცა.

აქაც, ისტორიულ მაგალითების მხრით, საინტერესოა შედარება იაპონიის და რუსეთის ბედისა. იაპონიამ თუ მხოლოდ ორმოციოდე წლის წინად დაიწყო ევროპულ განათლების შეთვისება, რუსეთმა ორასი წლის წინად იწყო იგივე, პეტრე დიდის დროს.

სად არის მიზეზი, რომ იაპონიამ ასე სწრაფად გაუსწრო წინ რუსეთს? განა იაპონელი ერი უფრო ნიჭიერია რუსებზე? არა, მაგას რუსეთის დაუძინებელი მტერიც ვერ იტყვის.— ამბობენ, რომ ამის მიზეზი ის არისო, რომ იაპონელები ძველი ერია და მას ძველი თავისებური ცივილიზაცია ჰქონდაო. ეს მართალია, რუსის ხალხი ახალგაზდა ერია და მისი წარსული თავისებური განათლება და ისტორია ანგარიშში ჩასაგდები თითქმის არ არის, მაგრამ მარტო ამ გარემოებით მაინც ვერ ავხსნით მის უკან ჩამორჩენას და იაპონიის წინ-გასწრებას. ორასი წელიწადი დიდი დროა ერის ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში ნიჭიერ ერს, თუ რაიმე გარემოება ხელს არ უშლის, ადვილად შეეძლია, არამთუ შეითვისოს სხვისი მზა-მზარეული განათლება, არამედ შექმნას კიდეც თავისებური განათლება. ამისი მაგალითი ძველი საბერძნეთია, რომლის ცივილიზაციის შვილად დღევანდელი ევროპული განათლება ითვლება და რომლის ცივილიზაციას დღესაც მთელი კაცობრიობა თაყვანსა სცემს. სწორედ ორ საუკუნეში შექმნა თავისი დიდიდებული ცივილიზაცია ძველმა საბერძნეთმა.

მიზეზი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, მოიპოვება იმ სისტემათა განსხვავებაში, რომელთაც დაადგნენ: რუსეთში —პეტრე დიდმა და იაპონიაში—მუცი-ხიტომ. ამ უკანასკნელმა თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის მონაწილეობით მოისურვა სახელმწიფოის ცხოვრების განახლება და ამისთვის მიანიჭა მას თავისუფლება და თვითმოქმედება არამედ კერძო ცხოვრებაში, არამედ სახელმწიფოს მართვაშიც. თავისუფალმა ერმა ადვილად შესძლო თავის ცხოვრების განახლება, განვითარება და გაძლიერება. დღეს სწორედ იაპონიის თავისუფალი და განათლებული ერი თვით-ცნობიერად და შეგნებულად ებრძვის რუსეთის ბიუროკრატიას, რომელმაც სამაგიეროდ წინ წაუყენა მტერს თავისი დამონებული და დაბრმავებული ხალხი. აბა რა გასაკვირველია, თუ პირველმა გაიმარჯვა და მეორე დამარცხდა?

მართლაც, სიტყვა „თავისუფლება“ მარტო განყენებული პოეტური მცნება როდია, რომელზედაც შეიძლება ითქვას „კაცია და გუნებაო.“ არა „თავისუფლება“ რეალური ძალაა, ურომლისოდ თვითეულ კაცს, საზოგადოებას და სახელმწიფოს წარმატება შეუძლებელია. სახელმწიფო მეტყველების თეორის ერთი ანბანური ჭეშმარიტებათაგანი ის არის, რომ თავისუფლება სახსარია კაცთა საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და მათ კეთილ-დღეობის მოწყობისა.

აქ სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქართული მცნება „**თავისუფლება**“, რომელიც გამოსთქვამს აგრეთვე **გონიერებას** და **წესიერებას** ელემენტს, უფრო მაღლად სდგას, ვიდრე ზოგი სხვა ენის შესაფერი სიტყვები, მაგალითად რუსული свобода—ხალვათობა, ანუ ლათინურიდან წარმოშობილი ფრანგული libertè—ხელ-გაშლილობა, და ქათველი ერი, რომელსაც შეუქმნია ასეთი ბრძნული სიტყვა ჭეშმარიტად ღირსად უნდა ჩაითვალოს იმ საუნჯისა, რომელსაც გამოსთქვამს ეს სიტყვა.

დავუბრუნდეთ ისევ იაპონია—რუსეთის შედარებას.

მიკადოს სისტემის წინააღმდეგ, პეტრე დიდმა მარტო თავის-თავად, ერის არამთუ დაუხმარებლად, არამედ მისის სურვილის წინააღმდეგ მოიწადინა რუსეთის ცხოვრების განახლება და ევროპული განათლების შემოღება, არამთუ არ გააფართოვა თავისუფლება, არამედ წაართვა, ის რაც თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლება ჰქონდა. საოცარის მხნეობის და ნიჭის პატრონი პეტრე დიდი თითქმის რომ მარტო განაგებდა თავის სახელმწიფოს სვებედს. განათლებული მოხელეები ცოტა ჰყავდა. მათ გასამრავლებლად დაარსა სასწავლებლები. ეს წინაპირველი დანიშნულება, შექმნას განსწავლული მოხელეები, რუსეთის სასწავლებლებს თითქმის დღემდის შერჩა.

პეტრე დიდი ნამდვილი თვითმპყრობელი იყო. მისი მემკვიდრეები კი, მათ შორის ეკატერინე დიდიც, მარტო სახელით იყვნენ თვით-მპყრობელნი, რადგან გამრავლებულმა და გაძლიერებულმა მოხელეებმა დიდი გავლენა მოიპოვეს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. რუსეთში ამრიგად დამყარდა მოხელეთა ბატონობა ანუ ბიუროკრატია, რომელმაც შთანთქა ყველა სხვა ელემენტები საზოგადოებისა, ისე რომ რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობალებაში დარჩა მხოლოდ ორი ელემენტი: ერთის მხრით ბიუროგრატია, ვითარცა სუბიექტი, მომქმედი პირი სახელმწიფო უფლებისა, და მეორეს მხრით ხალხი, ვითარცა უსახო ობიექტი, საგანი, ამავე უფლებისა, თუმცა საზოგადო თეორია სახელმწიფო-მეტყველებისა კი ღაღადებს, რომ ხალხი შეუძლებელია სახელმწიფო უფლების ობიექტი იყოსო, იგი ყოველთვის სებიექტი უნდა იყოსო.

სწორედ ეს წეს-წყობილება არის მიზეზი, რომ რუსეთში ნამდვილმა განათლებამ ვერ მოიკიდა ფეხი; რომ მისი ცხოვრება მდორედ მიმდინარეობს და მისი ეკონომიური მდგომარეობა უკიდურესამდე ჩამორჩენილია.

ბიუროკრატიას ორი რამე მიაჩნდა თავის დაუძინებელ მტრად: ხალხის განათლება და თავისუფლება. ამიტომაც იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხალხისათვის დაეხშო ერთიც და მეორეც. თუ ერთის ხელით ბიუროკრატია ხსნიდა სასწავლებლებს, მაღალსა თუ დაბალსა, მეორეს ხელით ისე ავიწროებთა მათ პროგრამას, ისე აბრკოლებდა სწავლას თავის პოლიციურ ზედამხედველობათ, რომ სასწავლებლის ქონა არ ქონას უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ერთის ხელით აარსებდა თვით-მართველობის დაწესებულებას, როგორც მაგალითად ერობის, ქალაქის, სასოფლო-გამგეობის და სხვა დაწესებულებანია, მეორეს ხელით ისე ზღუდავდა მათ თვით-მოქმედებას, რომ ამ დაწესებულებათა არაფერი ნაყოფი არ მოჰქონდა.

ბიუროკრატიამ ჩაიგდო ხელში კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და აღმასრულებელი უფლება, ე. ი. სახელმწიფოს უფლების ყველა დარგი. ერთის სიტყვით ბიუროკრატიას დარჩა, როგორც იტყვიან ბურთი და მოედანი, და როგორც მექოთნეზეა ნათქვამი, ქოთანს რადაც უნდა, იქ გაუკეთებს ყურსაო, ისე ბიუროკრატია მისგანვე დადგენილ კანონს ისე ასრულებდა, როგორც მას უნდოდა. ამისგამო რუსეთში არც პირადი და არც ქონებრივი უფლება არ არის უზრუნველ ყოფილი. კანონის მაგიერ მეფობს მხოლოდ ბიურაკრატიის თვითნებობა.

ეს ყოველივე შეიგნო რუსეთის საზოგადოებამ, და შარშან, მასაქეთ, რაც ბიუროკრატიამ, ნებით თუ უნებლიედ, ცოტად ლაგამი შეუშვა შელაგმულ საზოგადოებას, ყოველის მხრით გაისმა ხმა, რომელიც თხოულობდა იმას, რაც შეადგენს ყოველი ადამიანის და საზოგადოების საჭიროებას და რაც ამდენ ხანს არ აღირსა მას ბიუროკრატიამ.

აი უმთავრესი მოთხოვნილებანი საზოგადოებისა: აღიარებულ იქმნას ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობა კანონმდებლობაში, კანონიერება მტკიცედ დაცული უნდა იყოს და კანონს უნდა ემორჩილებოდეს როგორც უბრალო მოქალაქე, ისე უმაღლესი მოხელე სახელმწიფოისა, პიროვნება თვითეულის მოქალაქისა, თვინიერ სასამართლოს მსჯავრისა, ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, აღიარებულ უნდა იქმნას თავისუფლება პრესისა, სარწმუნოებისა, აზრისა, სიტყვისა, ყრილობებისა და კავშირთა, და მუშათა გაფიცვისა, თანასწორობა ყოველთა კანონის წინაშე განურჩევურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

ყველა ეს ცვლილება არსებულ წეს-წყობილებაში მოითხოვა არამთუ ერთმა წოდებამ ან ერთმა ნაწილმა რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკ

საზოგადოებისამ, არამედ მთელმა საზოგადოებამ, განურჩევლად წოდებისა, კლასისა, ხელობისა, განათლებისა, სარწმუნოებისა და სხვ., მთელმა პრესსამ, გარდა ორიოდე გაზეთისა, თავად-აზნაურთა კრებებმა, გარდა ორიოდე გუბერნიისა, რომელნიც წინააღუდგნენ ამ მოთხოვნილებათა, საერობო კრებებმა, ქალაქის საბჭოებმა, სამეცნიერო და საპროფესიო საზოგადოებებმა და კერძო კაცთა ურიცხვმა მიტინგებმა. ასეთმა თანხმობამ და ერთსულობამ საზოგადოებისამ, ცოტა არ იყოს, იქონია თავისი მოქმედება, რამდენადაც ამ შემთხვევაში სიტყვით მოთხოვნას შეუძლია იქონიოს მოქმედება.

საზოგადოების აზრის გამოთქმამ გამოიწვია უმაღლესი ბრძანება 12 დეკემბრისა უუმართებულესის სენატის მიმართ. ამ ბრძანებაში აღიარებულია, რომ: 1) კანონიერება სუსტად არის დაცული რუსეთის იმპერიაში; 2) ერობის და ქალაქების დაწესებულებათა არა აქვს მინიჭებული საჭირო თვითმართველობა და დამოუკიდებლობა; 3) თანასწორობა ყოველთა კანონის წინაშე არ არის დაცული და სასამართლოს აქა აქვს მინიჭებული საკმაო დამოუკიდებლობა; 4) მუშათა მდგომარეობა განკარგებას საჭიროებს 5) ადმინისტრაციას მეტად დიდი უფლება აქვს მინიჭებული განსაკუთრებულის კანონებით, რომელიც გამოცემული იყო წესიერების გაძლიერებულის დაცვისათვის; 6) სარწმუნოების საქმეში არ არსებობს შეწყნარება 7) არა რუსთა უფლება მეტად შეზღუდულია, და 8) პრესსა მეტად შევიწროებულია.

ყველა ამ ნაკლთა შესწორების საშუალების გამოძებნას უმაღლესი ბრძანება ავალებს მინისტრთა კომიტეტს.

ეს ბრძანება დიდ-მნიშვნელოვანია არა იმ იმედებით, რომელსაც იძლევა აწ არსებულის წეს-წყობილებათა შეცვლის შესახებ, არამედ იმ მხრით, რომ იგი გამოჩინებით აღიარებს ამ წეს-წყობილების ნაკლულევანებას.

მინისტრთა კომიტეტის იმედი არ უნდა ვიქონიოთ და მართლაც არავის არა აქვს, იმიტომ რომ იგი წარმომადგენელია თვით იმ ბიუროკრატიისა, რომელმაც შექმნა ეს უმსგავ-

სი წეს-წყობილება და ჩაგდო რუსეთი ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში.

კომიტეტის უვარგისობა ამ საქმეში იქიდანაც სჩანს, რომ შარშან დეკემბრიდან ვერც ერთი საკითხი მისდა მინდობილ საქმეში ვერ გამოარკვია საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ისეთი საკითხია, რომელიც დიდი ხანი გამორკვეულია და ყველასაგან აღიარებულია ყოველ წესიერ სახელმწიფოში.

საკვირველად მიეგება თვით ბიუროკრატია 12 დეკემბრის ბრძანებას: ორი დღის შემდეგ, ე. ი. 14 დეკემბერს Правительственный Вѣстникъ-ში დაიბეჭდა ოფიციალი განცხადება, რომელიც იწვევდა საზოგადოებას, თავი დაანებეთ სხვა და სხვა კრებებს, საერთო საჭიროებაზე მსჯელობას და მთავრობისადმი მოთხოვნილებათა მიმართვასო.

ახირებულია ასეთი აკრძალვა, რადგან გულ-წრფელი მკვლევარი რაიმე საქმის სავსებით გამოკვლევისათვის როდი უნდა უკრძალავდეს სხვებს მასალის და აზრის გამოთქმას, არამედ უნდა ითხოვდეს, მომაწოდეთ ყოველის მხრით თქვენ-თქვენი აზრი და ყოველ-გვარი მასალაო.

ცხადია, რომ ბიუროკრატია თავის ნებით არავის არაფერს არ დაუთმობს. ასე ყოფილა ყოველთვის, ასე იქნება ეხლაც: უფლებას შეიძენს ის, ვინც ღირსია და ღირსია ის, ვინც შეიძენს...

ყოველ შემთხვევაში შემდეგ იმისა, რაც რუსეთის საზოგადოების აზრი და გადაწყვეტილება გამოირკვა ამ ბოლო დროს, უკან დაბრუნება შეუძლებელია და საზოგადოება უეჭველია თავის მიზანს მიაღწევს. როცა მთელი ერი თავის უფლებას შეიგნებს და მის შეძენას გადასწყვეტს, იმას წინ ვერავინ და ვერაფერი ვერ დაუდგება.

რუსეთის საზოგადოების ამ საერთო აღტაცების, ღაღადების და მოქმედების დროს ჩვენ, ქართველები, კერძოდ რას ვაკეთებთ? რად ვართ გაჩუმებულნი და გულ-ხელ დაკრეფილნი? სად არის ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც აქამდე თავის თავს ერის წარმომადგენლად სთვლიდა და ქართველის ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურობისა იყო, სახელით, თუმცა-კი სახრავი ხან-და-ხან მარტო არა ერთხელ მიუმართავს მთავრობისათვის? თუ კი ჩვენმა თავადაზნაურობამ ოთხიოდე წლის წინად ითავა ასი წლის დღესასწაულობა საქართველოს და რუსეთის შეერთების დღიდან, ეხლა რაღა დაემართა? სად ეს ჟამი, როდესაც ქვეყანა განახლებას და გაცოცხლებას ელის, და სად ის, როდესაც მხოლოდ წარსულს ვიგონებდით, წარსულს უბედურს და ბეჩავს?

ზოგი ფიქრობსო, ამბობენ, რომ ჩვენი მონაწილეობა აქ მეტია: თუ რუსეთს რამე სიკეთე ელირსა, ჩვენც გვერგება ამ სიკეთისაგან, და თუ არა, ჩვეც ვერას გავარიგებთო.

ასეთი ფიქრი ჯერ ხომ საკადრისი არ არის: რა პატიოსნებაა აბა, მეზობელმა რომ მეზობელს უთხრას—საერთო საქმეზე მარტო შენ იღვაწე და იშრომე, თუ საჭირო იქმნა მსხვერპლიც მხოლოდ შენ მოიტანე, და ნაყოფი თუ რამე იქმნა, ერთად გავიყოთო.

მეორეს მხრით ასეთი ფიქრი ყოვლად უსაფუძვლოა ჯერ იმიტომ, რომ ყველამ რომ ასე იფიქროს, ვინ რაღას გააკეთებს, და მერე ნიშნებიც არის, რომ ეს იმედები მართლა შემცდარია.

მიი უფრო საყურადღებოა ეს ნიშნები, რომ მათ ვხედავთ როგორც მთავრობისა, ისე საზოგადოების მხრითაც. მაგალითად იმ მთავრობის კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს პრესსის მდგომარეობის გაუმჯობესობა, ის აზრი გამოითქვა, რომ საჭიროა პრესსა განვათავისუფლოთ ცენზურისაგანო, მაგრამ ეს შეღავათი არ უნდა მიეცეს აღმოსავლეთის განაპირა ქვეყნების უცხო ენების პრესსასო.

იმავე ნიშანს ჩვენ ვხედავთ ახლად კავკასიაში დაარსებულ ნამესტნიკობაში. რას ნიშნავს ეს ნამესტნიკობა, თუ არა გამოყოფას ჩვენსას რუსეთის საერთო ცხოვრებიდან და მართვა-გამგეობას ჩვენის ქვეყნისას განსხვავებულის კანონებით და უფრო ძლიერის ხელით?

მარტო მთავრობა რომ ასეთის აზრის იყოს ჩვენს შესახებ, იმდენად გასაკვირველი არ არის, რადგან ასეთი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯელობა არ ახალია, ძველია. მსგრამ საოცარი ის არის, რომ ასეთი აზრი ჩვენს შესახებ გამომჟღავნდა თვით საუკეთესო ლიბერალ პრესსაში. ჩვენ ვამბობთ „Рускія Вѣдомости"-ს აზრზე, რომელიც ამ გაზეთმა ამას წინად გამოსთქვა შესახებ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისა კავკასიაში. გაზეთის აზრით ამ ინსტიტუტისათვის მომზადებულია მხოლოდ კავკასიის იქითა მხარე, სადაც რუსულ ენას უფრო აქვს ფეხი მოკიდებული.

თუ ასეთი ბირბაროსული აზრი ჩვენს შესახებ გამოსთქვა ყოვლად პატიოსანმა და ფართო თავისუფლების მოტრფიალე გაზეთმა, რაღას უნდა მოველოდდეთ რუსეთის სხვა გაზეთებისაგან და რუსის საზოგადოების სხვა წრეებისაგან?

ესეც რომ არ იყოს და მართლაც რომ დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ რაც კეთილი ცვლილება მოხდება რუსეთში, უსათუოდ ჩვენზედაც გავრცელებული იქმნება, ჩვენ მაინც ხმა უნდა ამოვიღოთ, გამოარკვიოთ და გამოვაცხადოთ ჩვენი საჭიროებანი, მოვითხოვოთ სიტყვით და საქმით მათი დაკმაყოფილება.

ამას გვავალებს ჩვენ ჩვენი განსაკუთრებული საჭიროებანი, რომელიც წარმომდგარია ეროვნულ ნიადაგზე. მართლაც, დღეს რომ ჩვენ კიდეც სავსებით მოგვენიჭოს ის, რასაც თხოულობს რუსის საზოგადოება, ჩვენი მდგომარეობა მაინც არ იქმნება სანატრელი, ვიდრე არ შეიცვლება ის ურთიერთი დამოკიდებულება, რომელიც ამდენხანს სუფევდა ჩვენსა და რუსეთს შუა, ვიდრე არ მოისპობა ის მიზეზი, რომელიც ამ დამოკიდებულების სამართლიანად და გონივრულად მოწყობას ხელს უშლიდა. ეს ხელშემშლელი მიზეზი იყო— უარყოფა ჩვენის ეროვნების უფლებისა. ასი წელიწადია, რაც ჩვენი ეროვნება და ჩვენი თვით-არსება (самобытность) დევნილია, თუმცა ჩვენის რუსეთთან ნებაყოფლობითის შეერთების მიზანი სწორედ ამ ეროვნების და თვით-არსებობის დაცვა და შენახვა იყო.

თუ შესაძლებელია ოდესმე ერთა კავშირი გულწრფე-

ეროვნული ბიბლიოთეკ

ლი და მტკიცე იყოს, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო, ჩვენის პაპების აზრით მაინც, რომელთაც ეგონათ, რომ აქ ურთიერთი, სიმპატიაც იყო—ერთობა სარწმუნოებისა, და საერთო ინტერესიც—რუსეთი თავის ძლიერებით დაგვიცავს გარეშე მტრებიდანო, ფიქრობდნენ ისინი, და ჩვენს ქვეყანას კი მისთვის საუთესო სტრატეგიული მნიშვნელობა ექმნებაო წინა აზიაში უპირატესობის დასაჭერადო, როგორც ჰქონდა მას ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ რომაელთათვის.

დიახ, ინტერესი ორივე მხრით ნამდვილი გამოდგა: ჩვენ დამშვიდებული დავრჩით გარეშე მტრების შემოსევისაგან, და რუსეთმა სავსებით ისარგებლა და სარგებლობს ჩვენის ქვეყნით, არამთუ ვითარცა სტრატეგიულის ადგილით, არამედ როგორც ბუნებით უხვად შემკულისა და მდიდარის კუთხითაც.

ჩვენს შინაურ სულიერ ცხოვრებას კი თითქმის პირველისავე დღიდან აღარ ეტყობოდა ჩვენის პატრონების მხრით ის დედობრივი მზრუნველობა, რომლის იმედი ჩვენს წინაპართ ჰქონდათ და მით გამართლდა ბარათაშვილის სიტყვები, რომელიც გამოათქმევინა მან დიდებულ მამულიშვილს სოლომონ ლეონიძეს:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
„არა რას არგებს, ოდეს თვისება
„ერთა მის შორის სხვა-და-სხვაობდეს.

ბიუროკრატიამ, რომელიც პირველადვე დამყარდა ჩვენში, თავიდანვე გაამართლა ეს აზრი და მთელი საუკუნე მის განხორციელებას უნდებოდა. სხვანაირი მოქმედება არც იყო მოსალოდნელი მისგან. ბიუროკრატია ყოველგან და ყოველთვის მოტრფიალეა ერთნაიროობისა და მდევნელი ყოველგვარის სხვა-და-სხვაობისა. თუ რომის იმპერატორის შეშლილ ნერონივით არ ნატრულობს, რომ ერს ერთი თავი ჰქონდეს, იგი მაინც ცდილობს, ყველას ერთნაირი თავი ჰქონდეს, ერთი აზრი, ერთი რწმენა და ზნე. ბიუროკრატია ამ მხრით წააგავს პურის მწმენდელ მანქანას, რომელიც არჩევს მხოლოდ ერთნაირ პურის მარცვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველსავე ჩვენს გაჭირვებასა ამ ასი წლის განმავლობაში საფუძვლად აქვს ბიუროკრატიისაგან ჩვენის ეროვნების შეუწყნარებლობა. თუ ამ ხნის განმავლობაში ან გვქონია რაიმე, ჩვენის აზრით კარგი რამე, და წაგვრთმევია, ან რუსეთში შემოუღიათ რამე, და ჩვენ არ მოგვცემია, ან შეურაცხება მოგვყენებია,—მიზეზად მუდამ ჩვენი ეროვნება და ჩვენგან მისი შერჩენის სურვილი ყოფილა.

ბიუროკრატიის აზრით, ერთ სახელმწიფოში შეუძლებელია სხვა და სხვა ტომის ხალხნი შეეწყონ ერთმანეთს და ამიტომ ყველა არა-რუსთ ორგულობას და განცალკევების სურვილს სწამებდა, თუმცა ვის, ვის, და ჩვენ კი ასეთი ეჭვი არ დაგვიმსახურებია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში იმდენი შეურაცხება და უსამართლობა გადაგვხდენია ბიუროკრატიისაგან, რომლის მაგალითებს ქვემოდ ჩამოთვლით,— ჩვენს ერთგულებას საზღვარი არა ჰქონია და ბიუროკრატიის ჩვენდამი ეჭვს არასოდეს საფუძველი არ ჰქონია.

გარდა მეოცდაათიან წლების ახტაცებულ ახალგზდათა მცირე ჯგუფის შეთქმულებისა, არცერთი საერთო უკმაყოფილება და მით უფრო აჯანყება არ მომხდარა საქართველოში, თუ ასეთ აჯანყებად არ ჩავთლით პირველი ხანების არეულობას, რომელიც მოხდა მთიულეთში და კახეთში და რომელიც მიმართული იყო მოხელეთა უსამართლო კერძო განკარგულების წინააღმდეგ.

გარეშე ამისა ჩვენი ერი უწყინარი და უჩინარი მშვიდობიანობის დროს, სისხლსა ღვრიდა მუდამ ომიანობის დროს რუსეთის გასაძლიერებლად და სადიდებლად. ეს არა ერთხელ დაუმოწმებია რუსეთის მთავრობას, როცა პროკლამაციებით ომებში იწვევდა ქართველებს.

გარეშეთათვის ეს ერთგულება იმდენად გაუგებარია, კაცის გონების და ფსიხოლოგიის მხრით, რომ არ შეიძლება არ ჩავთვალოთ იგი ინსტიკტად და არ ვუწოდოთ მას ფინიასებური ერთგულება. ამ სიტყვისათვის მკითხველთან ბოდიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხდით, მაგრამ რა ვქნათ, რომ მხოლოდ ეს სიტყვა ხატავს ნამდვილ მდგომარეობას.

ასეთი ერთგულება გამოვხატეთ ჩვენ ამ ოთხიოდე წლის წინად, როცა ასი წლის შეერთების იუბილე ვიდღესასწაულეთ, მაგრამ წარმოიდგინეთ ბიუროკრატიის ულმობელი გული არ გალბა და მისი ჩვენდამი ეჭვი არ გაქრა.

როგორც წინად, ისე ეხლაც ჩვენს მუდარას, რომ სხვებთან ერთად თანასწორობა და უფლებანი მოგვანიჭონ, არავითარი გასავალი არ აქვს. ყოველ ასეთის ჩვენს თხოვნას, ერთი და იგივე პასუხი აქვს: გადაგვარდით, თავი დაივიწყეთ და ჩვენთან თანასწორი იქნებითო. ჩვენ ვთხოულობთ: ღმერთთან ჩვენებურად შეეედრებას ნუ გვიშლითო, და პასუხად გვეუბნებიან: ენა დაივიწყეთ და მაშინ ილოცებთო. ჩვენ ვეეედრებით, რიგიანი სამართალი გვაღირსეთო, და პასუხად გვიბრძანებენ: ენა დაივიწყეთ და სამართალიც მოგეცემათო. ჩვენ ვემუდარებით, სწავლა-განათლებას ნუ მოგვაკლებთო, და პასუხად ქვას გვაწოდებენ: ენა დაივიწყეთ და სწავლა-განათლებასაც მაშინ გაგიზიარებთო.

დიდი ხანია განათლებულ კაცობრიობას შეგნებული აქვს, რომ ამ სამ რამეში: სჯულის საქმეში, სასამართლოში და სწავლა-განათლებაში არც ძალას და არც პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ამ შემთხვევაში პოლიტიკა იგივე ძალაა, რომლის შესახებ ჩვენ გონიერ ხალხს უთქვამს: „სადაც ძალა შევაო, იქ სამართალი ბანიდან გავაო“.

ეს არ ესმის ან არ უნდა შეისმინოს მხოლოდ ბიუროკრატიას, ჩვენდა სავალალოდ. ჩვენი აზრის დასაბუთებლად საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ბიუროკრატიის ჩვენში მოქმედების ყველა დარგიდან.

ვნახოთ ჯერ, როგორ დაიცვა თავი მრავალ ტანჯულმა და დევნილმა ქართულმა ეკლესიამ. 12 ენკენისთვეს 1801 წელს საქართველო შეერთებულ იქმნა რუსეთთან. არ გაუვლია ათ წელსაც, რომ ყოვლად უმიზეზოდ კათალიკოზობა გაუქმებულ იქმნა (30 ივნისს 1811 წ.) და საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია დაუმორჩილეს პეტერბურგის სინოდს. ამ რიგად საქართველოს ავტოკეფალი (თავისუფალი) ეკლესია, ძირითადის სჯულის კანონის წინააღმდეგ, გააუქმეს და დაუმორჩილეს ისეთ ბიუროკრატიულ დაწესებულებას, როგორიც არის პეტერბურგის სინოდი.

კათალიკოზის მაგიერ მასაქეთ საქართველოს ეკლესიის გამგედ ექზარხოსები ინიშნებიან. მხოლოდ პირველი ექზარხოსი იყო ქართველთაგანი—ვარლაამი (1811—1817 წწ.). შემდეგ ამისა არც ერთს ქართველს ექზარხოსობა არ ღირსებია, თუმცა ყოვლად ღირსი იყო ამ ადგილისა იმერეთის კათედრის დიდხანს დამამშვენებელი ჩვენი ბრწყინვალე მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი. მეორე ექზარხოსი თეოფილაქტე (ერობაში რუსანოვი) იყო ნამდვილი ბიუროკრატი. იგი დაინიშნა 1817 წ. და მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ სიონის ტაძარში სამი დღე კვირაში რუსულად ეწირნათ. მანვე ისახელა თავი უბედური მღვდელმთავრების გენათელის და ქუთათელის დაღუპვით.

მეცხრე ექზარხოსმა პავლემ 1897 წ. იკადრა თვით ეკლესიაში თავისის სამწყოსი—საქართველოსი დაწყევლა და შეჩვენება სემინარიის რეკტორის ჩუდნოვსკის მოკვლის გამო. როცა ეს ამბავი გაიგო მაშინდელმა იმერეთის მარშალმა, დაუვიწყარმა დ. ყიფიანმა, წამსვე ზრდილობიანი წერილი მისწერა და შეეკითხა, ნუ თუ ეს ამბავი მართალია, და თუ მართალია, თქვენვე შეჩვენებულ სამწყსოში როგორ დაგედგომებათ, მეუფეო?! მხოლოდ ასეთი კერძო წერილისათვის დ. ყიფიანი გადასახლებულ იქმნა ადმინისტრატიულის წესით სტავროპოლში, სადაც იგი უბედურად დაიღუპა. ასეთს ამბავს საქართველოში არავითარი პროტესტი და დემონსტრაცია არ გამოუწვევია, იმდენად იყო ჩვენი ერი მთავრობის ერთგული და მორჩილი.

1886 წლიდან ზოგი საეფისკოპო კათედრაზედაც აღარ ინიშნებიან ქართველები, მაგალითად: სოხუმის ეპარქიაში. უკანასკნელად შეიგულ ქართლში, გორის კათედრაზედაც ქართველი ეფისკოპოსი არ დანიშნულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენა სრულიად გამოიდევნა აფხაზეთის ეკლესიებიდან, თანდათან იდევნება სამეგრელოში, ყველა ქალაქებში და ზოგან სოფლებშიაც. თვით ბოდბის ქალთა მონასტერში, სადაც ასვენია ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, ქართული ენა მოისპო, რაც იქ დაინიშნა იღუმენად რუსის ქალი იუვენალია.

ქართული ენა ისე ცუდად ისწავლება სასულიერო სასწავლებელ-სემინარიებში და მომავალი მღვდლების აღზდა იქ იმდენად მოკლებულია მშობლიურ ნიადაგსა და ხასიათსა, რომ იქიდან გამოსულ მღვდელს არავითარი გავლენა ხალხზე არ აქვთ. ამ წესებით აიხსნება, რომ ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობა შესუსტდა, როგორც ეს უკვე აღნიშნა თავის ანგარიშებში სინოდის ობერ-პროკურორმა, —მერე ეს იმ ხალხში, რომელიც მანამდე თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში სარწმუნოებისათვის იბრძოდა და სისხლსა ღვრიდა!

ჩვენმა საეკლესიო მთავრობამ ეს ასი წელიწადი ის ვერ მოახერხა ან არ მოახერხა, რომ „დაბადება“ დაებეჭდა ხალხის სახმარებლად. მართალია მან დაბეჭდა 1884 წ. ორი უზარმაზარი ტომი დაბადებისა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ მისი ხმარება შეუძლებელია ხალხისათვის, რადგან 1) მეტად გარყვნილი და შეცდომებით სავსე ნათარგმნია[1]), 2) ტანით მეტად დიდია და მძიმე და 3) ძვირია საყიდლად. ინგლისის საბიბლიო საზოგადოებამ მრავალჯერ ითხოვა ნება-რთვა ქართული დაბადების დაბეჭვდისა, მაგრამ ჩვენმა საეკლესიო მთავრობამ ნება არ დართო, ისე რომ ჩვენს ხალხს დღესაც არ აქვს ქართული ხელმისაწდომი დაბადება, თუმცა ჩვენ წინაპართ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ჰქონდა მშვენიერა თარგმანი მისი.

შარშანწინ ქუთაისში სასულიერო სემინარიაში შეგირდებმა უწესობა მოახდინეს. სად არ მოუხდენიათ შეგირდებს უწესობა, მაგრამ არსად სასწავლებელი სამუდამოდ არ დაუ-

---

[1]) იხ. „მოამბე“, 1896 წ., №II, „ქართული დაბადება“

კეტიათ. ქუთაისში კი სემინარია სამუდამოდ დახურეს. სემინარიის რეკტორი და მასწავლებლები სამსახურიდან არ განუძევებიათ, ყველა სხვა ადგილებში გადაიყვანეს. ხოლო ქუთაისშივე ქალთა საეპარქიო სასწავლებელზე რომ უწესოება მოხდა შარშანწინვე, ისეთი უწესოება, რომლისათვის სასწავლებელის დახურვის ღირსად არ ჩასთვალეს, სასწავლებელის უფროსი სამსახურიდან დაითხოვეს. სასწავლებლის უფროსად ამ შემთხვევაში იყო ქართველი ქალი.

ეხლა გადავიღეთ სასამართლოს ნაწილზე. ახალი სასამართლოები შემოიღეს ჩვენში 1868 წელს, ე. ი. ოთხიოდე წლის შემდეგ იმისა, რაც რუსეთში შემოიღეს, მაგრამ მეტად შემოკლებული და დამახინჯებული. არ გვაღირსეს ჩვენ ხალხისაგან არჩეული ნაფიც მსაჯულთა სამართალი, არჩეული მომრიგებელი მოსამართლეები, ნაფიც ვექილთა საბჭოები და სამშობლო ენაზე სასამართლოს წარმოება. რუსეთში ის პრინციპი იყო მიღებული, რომ მომრიგებელი მოსამართლე უთუოდ მკვიდრთაგანი უნდა ყოფილიყო, რიდგან მკვიდრს, უეჭველია, ყოველთვის უფრო ეცოდინება ხალხის ხასიათი და ზნე-ჩვეულება, რაც მოსამართლისათვის მეტად საჭიროა სწორი საჭრთლის გასაჩენად. ჩვენში კი, პირიქით, წინააღმდეგი პრინციპი მიიღეს სახელმძღვანელოდ: მოსამართლეებად ნიშნავდნენ და ნიშნავენ უსათუოდ ხალხისათვის უცხო პირებს, და ადგილობრივი იურისტები კი ცხრა მთის გადაღმა უნდა გადაიხვეწონ მოსამართლეებად.

სასამართლოებიდან სამშობლო ენის განდევნის გამო მოსამართლეს არა ესმის რა მომჩივან—მოპასუხის და ამათ—მოსამართლესი. მარ შორის შუა კაცად დგას უვიცი თარჯიმანი, რომელიც ამახინჯებს ხალხის ენასაც და მოსამართლისაც. ასეთი მდგომარეობის ვნება სამართლისთვის ბიუროკრატიასაც კარგად ესმის, მაგრამ როცა კი ამ საგანზე მსჯელობა ჩამოვარდნილა, ბიუროკრატია თავის გასამართლებლად მუდამ იმას ამბობდა, რომ ჩვენ მოხელეებს სად შეუძლიათ შეისწავლონ ყველა ის ენები, რომელნიც რუსეთის -იმპერია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არსებობენო; ერთი კუთხის ენის შესწავლა რომ მოვითხოვოთ, სხვაგან რომ მოუხდეთ გადასვლა, რაღა ქმნანო. ეს ნამდვილი ბიუროკრატიული მსჯელობაა, რომლის უსაფუძვლობა ცხადია. ამ მსჯელობის აზრით გამოდის, რომ მოსამართლე კი არ არის დანიშნული ხალხისთვის, არამედ ხალხია გაჩენილი მოსამართლისათვის.

იმავე ცრუ პრინციპით ხელმძღვანელობენ სწავლა განათლების საქმეშიც. თუ არა ამ ცრუ პრინციპით, სხვით არაფრით არ აიხსნება ჩვენი პირველ დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებიდან სამშობლო ენის განდევნა, რადგან ჩვენს დროში ჩვენმა სწავლა-განათლების მოთავეებმაც კარგად იციან, რა ანტიპედაგოგიურ საქმეს ჩადიან და როგორ უჩლუნგებენ ყმაწვილებს გონებას უცხო ენაზე სწავლებით. ხოლო ამით ცდილობენ ერის მალე გარუსებას. დაბრმავებულნი კი ვერა ხედავენ, რომ თავის მიზანს ვერ აღწევენ და მხოლოდ იმ საბრალო დოსტაქარს წაგავენ, რომელსაც მოუწადნია ჩლუნგის იარაღით სნეულს უშველოს, მაგრამ იარაღის უვარგისობის გამო ავადმყოფს ვერც განკურნება აღირსა და ვერც სიკვდილი მოუსწრაფა.

საჯარო ლექციების კითხვის ნებას ქართულ ენაზე ხომ არ იძლევიან და არა.

ორიოდე ქართული ბიბლიოთეკა, რაც დღემდე გაუხსნიათ, თურმე შეცდომით ყოფილა ნება-დართული, რადგან ქართული წიგნები სრულიად არ არიან გასინჯული მთავრობისაგან იმ მიზნით, რომ გადაეწყვიტათ, მისაღები არიან ისინი ბიბლიოთეკებში, თუ არა. ამისგამო ამ უკანასკნელ დროს ტფილისის გუბერნატორმა განიზრახა ყველა ქართული ბიბლიოთეკის დახურვა ტფილისის გუბერნიაში. ამ განკარგულების ასრულება გუბერნატორმა მხოლოდ შეაჩერა და ბიბლიოთეკების გამგეთა ვადა მისცა, რათა შეეცადნენ სათანადო მთავრობის წინაშე წიგნების საბიბლიოთეკოდ მოწონებას.

ვინც იცის, როგორ ნელა წყდება ეხლანდლ კანცელარიებში ასეთი საქმეები, ის ადვილად წარმოიდგენს, რომ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე ქართული წიგნები არ გაისინჯება და შესაძლებელია ქართული ბიბლიოთეკები სუყველა დაიხუროს.

სიმცირე სახალხო და საშუალო სასწავლებლების რიცხვისა ჩვენში ხომ საოცარია. ეს რომ აიხსნება რუსეთში გამეფებული საერთო რეჟიმით, რომელიც უფრო ყურარღებას აქცევს სამხედრო ნაწილის და პოლიციის ხარჯებს,— ეს ცხადია და საკვირველიც არ არის. მაგრამ ის სისტემატიური უარი, რომელსაც პასუხად იღებენ ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი სასწავლებლების თავის ხარჯით გახსნის თხოვნაზე, ეს კი ადგილობრივის ხასიათის მიზეზით აიხსნება.

ევროპელს რომ უთხრათ, რომ ამ ასი წლის განმავლობაში მთელ კავკასიაში, ასეთ უხვად შემკულს, მდიდარს და მჭიდროდ და სახლებულ ქვეყანაში, სადაც სახლობენ ერნი, რომელთაც აქვთ ორი ათასი წლის ისტორიული ცხოვრება, არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელიო, არ დაგიჯერებთ, იმდენად საოცარი და აუხსნელია ეს ამბავი.

ცხადია, რომ მიზეზი ამისა არის ასეთი შიში: უნივერსიტეტი და სხვა მაღალი სასწავლებლები ქვეყანას გაანათლებენ, და განათლებული ქვეყანა თავისუფლებას მოინდომებს, განზე გადგება, სეპარატისტი გახდებაო

ოცი წელიწადია, რაც ტფილისის თვით მართველობამ ქალაქში უნივერსიტეტის გახსნის შუამდგომლობა აღძრა. ამისათვის პირველადვე ასი ათასი მანეთი თანხა გადასდო. ტფილისს სხვა ქალაქებმა და დაწესებულებმა მხარი მისცეს. მაშინ რომ მთავრობას ნება დაერთო უნივერსიტეტის დაარსებისა, ამდენი ხანი მისის გახსნისათვის საკმაო თანხა შეიკრიბებოდა.

ჩვენში უნივერსიტეტს ჯერ, რასაკვირველია, იგივე მნიშვნელობა ექნებოდა, რაც ყოველგან. იგი შეაძლებინებდა უფრო მრავალ რიცხვს ყმაწვილ კაცებისას უმაღლესი განათლება მიეღოთ: ვინც დღეს ხელმოკლეობის გამო რუსეთში ვერ მიდის, ბევრი მათგანი აქ შეიძლებდა უნივერსიტეტში შესვლას. გარდა ამისა აქაური უნივერსიტეტი აქაურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებაზე დიდ გავლენას იქონიებდა. მაგრამ ყველა ამ ზოგად მნიშვნელობას გარდა აქაურ უნივერსიტეტს კიდევ ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ იგი იხსნიდა სიკვდილისაგან და დაავადებისაგან იმ მრავალ ახალგაზდობას, რომელიც დღეს ვერ იტანს რუსეთის მკაცრ ჰავას და იქ იღუპება

ჩვენში რომ უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი დაარსებულიყო, დიდი მნიშვნმლობა ექმნებთდათ, რადგან ცოდნას, რომელსაც ეს სასწავლებლები გაავრცელებდნენ არამთუ მარტო მოსწავლეთა შორის, არამედ მთელ საზოგადოებაში, თვალსაჩინო ეკონომიური სიმდიდრე და კეთილმდგომარეობა მოჰყვებოდა.

ჩვენგან დასახელებულის პოლიტიკის მაგალითია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.“ 25 წელიწადია, რაც ეს საზოგადოება დაარსდა, და მხოლოდ პირველ ხანებში მისცეს მას ნება რამდენიმე სკოლა გაეხსნა და მასაქეთ კი ვერც ერთი სკოლა მას ვერ გაუხსნია.

ყველამ იცის, რომ შარშან თუ შარშანწინ ტფილისის ქალაქის საბჭომ ითხოვა ავლაბარში პროგიმნაზიის გახსნის ნება ღა ვერ მიიღო ეს ნება.

კერძო პირებმა რამდენმა ითხოვა ასეთი ნება ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ვინ მოსთვლის!

ამ ბოლოს დროს დიდი წვალება გამოიარა ქუთაისის თავად-აზნაურობამაც თავის სკოლაში მეხუთე კლასის გახსნისათვის. სანამ გუბერნიის მარშალი პეტერბურგში არ წავიდა და იქ რამდენიმე თვე არ დაჰყო, საქმე არ რიგდებოდა. მხოლოდ ამ დღეებში ძლივს მიიღო თავად-აზნაურობამ თავისი სკოლის გადიდების ნება.

იგივე დაუნდობლობა ჩვენის ერისადმი შინაგან საქმეთა სამინისტროის მხრით. რუსეთში ორმოცი წელიწადია, რომ საერობო თვით-მართველობა არის შემოღებული. ეს თვით-მართველობა თავის საჭიროებისათვის ხარჯს თვითონ ჰკრებს და თვითონვე ხარჯავს. ჩვენში კი ამდენი ხანია საერობო თვითმართველობა არ არის შემოღებული და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიერობას ასრულებს პოლიცია, რომელიც მთელ ადგილობრივ შემოსავალს და გასავალს ისე განაგებს, როგორც უნდა, სრულიად უკონტროლოდ საზოგადოების მხრით.

თუ რუსეთში არ გამოდგა პოლიცია კარგი მეურნე და იქ მას ჩამოართვეს ისეთი რთული საქმე, როგორიც საერობო საქმეთა გაძღოლაა, ჩვენში რად იქნებოდა უფრო გამოსადეგი ამ საქმეში იგივე პოლიცია? გამოცდილებამ დაგვიმტკიცა მისი სრული უვარგისობა: ასი წელიწადია, რაც პოლიცია პატრონობს ჩვენს მეურნეობას და ამ ასი წლის განმავლობაში არავითარი წარმატება ჩვენს მეურნეობას და ცხოვრებას არ ეტყობა: სახალხო სწავლა-განათლება, ხალხის ჯან-მრთელობა, გზების გაყვანის საქმე, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა, ყოველიფერი დაცემულია, ხალხი სოფელშიც და ქალაქშიც ჩაფლულია გონებრივ სიბნელეში, სიღარიბით ლამის სული ამოძვრეს, არავისი სიცოცხლე და ქონება უზრუნველ არ არის არც სოფელში და არც დაბა-ქალაქში. ყოველგან ცხოვრება მოუწყობელია და არსად სიმშვიდე და მყუდროება არ მოიპოვება.

მყუდროებისა და სიმშვიდის დასამყარებლად იმავე პოლიციამ შემოიღო ეგრედ წოდებული „საერობო დარაჯთა რაზმები“, რომელზედაც იხარჯება ხალხის ფული ორი მილიონი მანეთი წელიწადში. გამოცდილებამ ამ ზომის შესახებაც ის დაგვიმტკიცა, რაც ჩვენს დროში წინდაწინაც შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა: პოლიციის ზომებით და ხიშტებით ცხოვრების განკარგება, მისი კეთილად მოწყობა, ქვეყანაში მშვიდობა და კაცთა შორის სათნოების დამყარება შეუძლებელია. ამ ზომამ ჩვენში ავაზაკობა კი არ მოსპო, არამედ უფრო გაახშირა, რადგან ავაზაკობის მიზეზი კი არ მოსპეს, არამედ ეს მიზეზი უფრო გააძლიერეს: მიზეზი ავაზაკობის გახშირებისა იყო ხალხის სიღარიბე და უვიცობა, და სიღარიბემ და უვიცობამ იმატა, რადგან ხალხს უკვე გალატაკებულს და უვიცს ყოველ წელიწადს ართმევენ ორ მილიონს მანეთს და მით უმცირებენ საშუალებას თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების გაუმჯობებისას. ეს ფული რომ რიგიანად მოხმარებოდა სახალხო სკოლებს და სახელოსნოებს, მეტი არაფერი იყო საჭირო ავაზაკობის შემცირებისათვის.

საერობო თვით-მმართველობის უქონლობის გამო ჩვენში ერი უპატრონოდ არის დარჩენილი. მას არ ჰყავს მცოდნე პირნი, რომელთაც თავის ადგილობრივ საჭიროებათა ცოდნით და თავის გამოცდილებით მუდამ მზად იყოს ყოველი გასაჭირის დროს საჭირო წამალი გამოუძებნოს. მთავრობის მოხელე ამ სარგებლობას ვერ მოუტანს ხალხს, სხვა რომ არ იყოს, მარტო იმ მიზეზითაც, რომ მოხელე არ რჩება დიდ ხანს ერთ ადგილას: დღეს აქ არის, ხვალ სხვაგან. მკვიდრ ხალხს და მის განათლებულ ნაწილსაც ნათლად ვერ შეუგნია თავისი საჭიროებანი და მათი წამალი, რადგან მთელი ხალხი საქმეზე შორს დგას, ამ საქმეს სხვები აწარმოებენ ცხრა კლიტულში, მისდა უცნობად და დაუკითხავად.

წინად ჩვენებურები ბლომად იყვნენ მოხელეებად. რამდენიმე ხანია თანდათან ნაკლებად იღებდნენ ჩვენებურებს სამსახურში, და ბოლოს სულ მცირეა მათი რიცხვი სხვა და სხვა სამსახურში. ამას ჩვენ არ ვწუხვართ, რადგან ერთის მხრით ბიუროკრატიულის რეჟიმის გამო ჩვენებური მოხელე ისეთივე იქნებოდა, როგორც მოსული, თუმცა თვით ბიუროკრატიის უფრო ადვილად მუშაობისათვის ადგილობრივი მოხელეები ძლიერ გამოსადეგი იქმნებოდნენ. მეორეს მხრით გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოხელეობამ ჩვენ დაგვლუპა. მოხელეობის დაჩვეულებმა ჩვენ ველარ შევეჩვიეთ თავისუფალ შრომას; ამიტომაც გავღარიბდით, გავღატაკდით და გამოვწყდით განათლებულ ერთა შორის. ჩვენი მეზობლები სომხები, რომელნიც მოხელეობას იმდენად არ ეტანებოდნ[illegible] დღეს ბევრად უფრო წინა დგანან ჩვენზე კეთილ-დღ[illegible] გზაზე.

ვიმეორებთ, რომ ის გარემოება, რომ ჩვენებურ[illegible]ლებად იღებენ სახელმწიფო სამსახურში ჩვენ არც გვაკვირვებს და არც გვაწუხებს, მაგრამ საკვირველი და სამწუხარო

ის არის, რომ ასეთი პოლიტიკა შემოიღეს სამრეწველო-საკაჭრო დაწესებულებებშიც და გაავრცელეს მუშებზე: დიდი ხანი არ არის, რომ რკინის გზების სახელოსნოებში აკრძალული იყო აქაური ხელოსნების და მუშების მიღება.

კავკასიის აქეთა მხარის რკინის გზა ისეთ დიდ საქმეს წარმოადგენს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში, მას ისეთი დიდი მანძილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში, იგი ისეთ მდიდარ სახსარს წარმოადგენს (წელიწადში ხარჯავს თექვსმეტ მილიონ მანეთს და შემოსავალი აქვს ოცდაათი მილიონი), რომ თუ მკვიდრებს, არ ვამბობ უპირატესობა ჰქონდეთ, სხვებთან თანასწორი უფლება ჰქონდეთ მაზე სამსახურისა და მუშაობისა, მარტო ეს გარემოება რამდენიმე ათის წლით წინ წასწევდა და გაუმჯობესებდა ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ კეთილ-დღეობას.

მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევს, რომ ჩვენში მიწის ვიწროობა არის: რაჭაში საჟენობით იყიდება მიწა და რაჭველები დიდი ხანია კავკასიის იქითა მხარეს გადადიან მოსახლობით.

გურია და იმერეთი რამდენიმე წელიწადია დრტვინავს მიწის უქონლობისაგან. მთიულები და ფშაველები შიმშილით წყდებიან. ხევსურები განგებ არ მრავლდებიან, ადგილი არ გვეყოფაო.

მიუხედავად ამისა სადაც კი აგერ-ეგერ კავკასიაში თავისუფალი სახაზინო ადგილი მოიპოვება ჩვენებურებს არ აძლევენ და რუსები გადმოყავთ დასასახლებლად.

ამ დღეებში გაზეთებმა გვაუწყა, ფშაველებმა აღძრეს ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ შირაქის ველზე რუსების გადმოსახლება შეუძლებელია, რადგან ამის მეტი საძოვარი ჩვენ არ გვაქვსო. ეს არის ერთად ერთი ჩვენი მარჩენალი და თუ ამის წართმევას მოინდომებთ, სჯობს ან გაგვწყვიტოთ და ან აგვყაროთო. ეს არის ხალხის გულიდან ამოხეთქილი ყვირილი!

სამეგრელო დიდი ხანია მიიწევს აფხაზეთისაკენ, მაგრამ ამაოდ: მათი იქ დასახლება აკრძალულია. მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ არენდატორებად შედიან იქ. როცა, თორმეტიოდე წელიწადია მასაქეთ, კავკასიაში ჩამოვიდა სახელმწიფო ქონების და მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი, მაშინ მეგრელებმა სთხოვეს, მოგვეცით ნება აფხაზეთის ცარიელ ადგილებზე დავსახლდეთო. მინისტრმა ცივი უარი გამოუცხადა: „მე თქვენთვის არ მაქვს აქ ადგილი. ეს ადგილი რუსებისათვის არის დანიშნულიო.“

ამ პოლიტიკას ამართლებენ ვითომ იმით, რომ რუსების სისხლით არის მორწყული აფხაზეთის მიწა-წყალიო. ავიწყდებათ ის, რომ რუსის სისხლი თუ დაიღვარა იქ სამოციოდე წლის განმავლობაში, თან ქართველების სისხლიც იღვროდა ამავე დროს, და გარდა ამისა ქართველების სისხლი აქ იღვრებოდა წინადაც 1500 წლის განმავლობაში. ეს არ კმარა, თვით აფხაზეთი სამშობლოა ქართველისა. დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ რუსი ვერ სძლებს აფხაზეთის ჰავაში და ნიადაგზე, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, მეგრელი კი იქ ზედგამოჭრილი მოახალშენეა, და თქვენ მიხვდებით, რა შემცდარი და თან უსამართლო პოლიტიკა არის ეს პოლიტიკა.

სასოფლო მეურნეობის ხელშესაწყობად და გლეხთა მიწისმფლობელობის გასაძლიერებლად ჩვენ აქამდე არ გვაღირსეს არც საამელიორაციო კრედიტი და არც გლეხთა ბანკი.

ხოლო შარშან ფინანსთა მინისტრმა მიანდო ეკატერინოდარის საგლეხო ბანკს, რაც ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში სახელმწიფო საზნაურო ბანკის საშუალებით მიწები გაიყიდება, რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებისათვის დაიხსენიო. ჩვენი გლეხები ხომ მაინც პირში ჩალა გამოვლებულები დარჩებიან.

1886 წელს ჩვენში შემოიღეს საყოველთაო [illegible]ედრო ბეგარა. ხალხი ხმაამოუღებლივ დაემორჩილა ამ[illegible], მით უფრო რომ ჩვენი ხალხი არასოდეს არ გაუ[illegible] საჭიროების დროს სამხედრო მოვალეობას. პირველ[illegible]ვენებურებისაგან შეადგინეს ცალკე რაზმები, დრუჟინები, რომლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიაც ქართველებმა თავი ისახელეს თავის ყოჩაღის და მხნე სამსახურით. მიუხედავად ამისა შემდეგში ქართველები დაანაწილეს სხვა რაზმებში, შეუერთეს სხვებს და ბოლოს გაგზავნეს რუსეთში, სადაც მკაცრი ჰავა მათ სიცოცხლეს უმოკლებს, როგორც გამოუკვლევია რუსის ექიმს მურზინს. ამის გამოკვლევით თურმე რუსეთში ერთ რუსზე თექვსმეტი ქართველი კვდება, მათთვის აუტანელის მკაცრის ჰავის გამო.

ყველა ზემომოყვანილი მაგალითები ცხადად ამტკიცებენ იმას, რომ არამთუ წარმატების უფლებას, არამედ თვით სიცოცხლის შერჩენახ გვპირდებიან ჩვენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ გადავგვარდებით. ეს ხომ .იმას ჰგავს, კაცსა სთხოვდე—სიცოცხლე შემარჩინეო, და ის გიპასუხებდეს—მოკვდი და შეგარჩენო.

ასეთი ჩვენი მდგომარეობა ამ ჟამად გვავალებს ჩვენ, რომ მოვითხოვოთ ჩვენც ყველა ის უფლებები, რასაც რუსეთში თხოულობენ ხოლო იმ პირობით, რომ ეს უფლებები ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე იყოს დამყარებული.

ეს უნდა იყოს დღეს მთელის ჩვენის ერის მოთხოვნილება საერთოდ. ეხლა არც გაჩუმების და ძილისა და არც ჩვენ შორის უთანხმოების დრო აღარ არის. ყველამ ერთიანად, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, განათლებულმა ღა გაუნათლებელმა, განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, ხმა უნდა ამოვიღოთ. ამ ჟამად ძილი და გაჩუმება ჩვენის მხრით და მეტადრე უთანხმოება ჩვენს შორის იქნება შეუნდობელი დანაშაული მამულისა და შთამომავლობის წინაშე.

შარშანდელი წელი უბედური იყო ქუთაისის საუთიერთო კრედიტის საზოგადოებისათვის, თუ შესაძლებელია სიტყვა „უბედურება“ ვიხმაროთ ისეთი მოვლენის შესახებ, რომელიც უსათუოდ მოსალოდნელი იყო ხალხის გონიერი ანდაზისამებრ: „რაც დაგითესია, იმას მოიმკიო.“

ჯერ კიდევ 1902 წელს ფინანანსთა სამინისტროსაგან დანიშნულმა რევიზიამ აღმოაჩინა ხსენებულის საზოგადოების ბანკის წარმოებაში დიდი ნაკლი, რომელსაც ბანკისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო ზარალი მოუტანია. სამინისტრომ მაშინვე უჩვე-ბანკის გამგეობას, ეს და ეს ზომები მიიღე, ამ და ამ წესს დაადეგი საქმეების გასასწორებლად, თორემ ბანკს დაგიხურავო.

სამწუხაროდ გამგეობამ სამინისტროს მოთხოვნილება ვერ შეასრულა, და მეორე რევიზიამ, რომელიც იმავე სამინისტროს განკარგულებით შარშან, 1904 წელს, მოხდა, აღმოაჩინა, რომ ბანკს ნახევარ მილიონ მანეთამდე ზარალი მოსვლია და მისი თანხა არ კმარა ვალების დასაკმაყობილებლად.

ამიტომ სამინისტრომ მოსთხოვა ბანკის გამგეობას, შეჰკრიბე საზოგადოების წევრთა საერთო ყრილობა, წარუდგინე მას სამინისტროს რევიზიის ანგარიში და მოსთხოვე ან შეავსოს ბანკის ზარალი წევრთაგან დამატებით საწევრო ფულის შემოტანით და ან დახურეთ ბანკი. ამ მოთხოვნილების აღსასრულებლად შარშან დეკემბერს მოხდა საზოგადოების წევრთა საერთო ყრილობა, რომელმაც გადააყენა წინანდელი გამგეობა, ამოარჩია ახალი და დაავალა საზოგადოების წევრებს საწევრო ფულის თითქმით ერთი სამად გადიდება, რათა ბანკი არ დაიხუროსო.

ჩვენდა სამწუხაროდ ძნელად მოსალოდნელია, რომ ამ გზით ბანკი გამობრუნდეს. ამის მიზეზი სამი რამეა: 1) მეტად ძნელი მოსალოდნელია, რომ ქუთაისის ბანკის ხელ-მოკლე წევრებმა, და ისიც შეშინებულებმა ბანკის ბედის აგრეცუდად დატრიალებით, შეიძლონ საწევრო ფულის ამდენად გადიდება; 2) ახლად არჩეული გამგეობის წევრთ ვერ შესწევთ იმდენი ვერც ცოდნა, ვერც გამოცდილება და ვერც თაოსნობა—მხნეობა, რამდენიც საჭიროა ბანკის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოყვანისათვის, და 3) ბანკის მოქმედებას და მისი საქმეების გასწორებას მეტად ხელს შეუშლის ქუთაისში ახლად დაარსებული მდიდარი აზოვ-დონის ბანკის განყოფილება, რომლის მეტოქეობა საშიში იყო ბანკისათვის წინადაც, როცა ამ უკანასკნელის საქმე კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა, და ამ გაჭირვების დროს ხომ უძლეველ დაპრკოლებას წარმოადგენს.

მით უფრო სამწუხაროა ამ ბანკის ბედის ამრიგად დატრიალება, რომ მისი დაღუპვა ქუთაისის საზოგადოებას მარტო ნივთიერ ზარალს კი არ მოუტანს, არამედ უფრო მეტად ზნეობრივ ვნებას. ეს მესამე კარგი საქმე წავიდა ქუთაისში უკუღმართად: პირველი იყო ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი და მეორე—შავი ქვის მწარმოებელთა თვით-მართველობა. ყველგან მეტ-ნაკლებად მეთაურთა თვითნებობამ იჩინა თავი.

საქმე რომ შეცდომით გაფუჭდება, ეს ადვილი ასატანია და შესანდობიც, რადგან შეცდომა ყოველსთვის მოსალოდნელია და შეუცდომელი არავინ არის. მაგრამ ქუთაისის საუთიერთო ბანკი შეცდომას კი არ დაუღუპავს, მის მეთაურთა თვითნებობამ დაღუპა. სიმართლე გვავალებს ვთქვათ, რომ მათ არც ანგარება და არც ამგვარი სხვა რამე დაბალი გრძნობა არ ამოქმედებდა. მათ მხოლოდ ხასიათის სისუსტე გამოიჩინეს, სისუსტე მეგობართა და ნაცნობთა მიმართ, რომელთათვის ხელი უნდოდათ მოემართათ საზოგადოების ფულით და, ზოგჯერ, წესდების დარღვევითაც. ასეთი სისუსტე ჩვენ მაინც შეუნდობელ ცოდვად მიგვაჩნია, რადგან იგი საზოგადოებრივი საქმის მოუწყობლობისა და დაღუპვის მიზეზია ყოველთვის.

ჩვენში, სამწუხაროდ, თითქმის საერთო მოვლენაა, რომ რომლისამე საქმის სათავეში დაყენებული კაცი, როგორც მთავრობისაგან დანიშნული, ისე საზოგადოებისაგან არჩეული, პირველად ყოვლისა შეიგნებს მხოლოდ თავის უფლებას, და ჰგონია, რომ ამ უფლების გამო მას შეუძლია საქმე ისე ატრიალოს, როგორც მას უნდა; ავიწყდება კი, რომ უფლება ამ შემთხვევაში ეძლევა მას მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, რომ იგი საქმის პატრონი როდია, არამედ მისი მოსამსახურეა; რომ საზოგადოების უფალი როდია, არამედ მისი მოურავია. როცა ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი მოღვაწენი შეიგნებენ ამას, მხოლოდ მაშინ წავა ჩვენი საქმეები წარმატებით. მანამდე კი მუდამ უნდა მოველოდდეთ ისეთ სიურპრიზებს, როგორსაც წარმოადგენს ქუთაისის საზოგადო საქმეები.

ის გარემოება, რომ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის ბანკის მეთაურები საზოგადოების თვალში საუკეთესო და მოწინავე კაცებად ითვლებოდნენ, უმრავლესობა მაინც, უფრო აორკეცებს ჩვენს მწუხარებას ბანკის ბედის ასე უკულმართად დატრიალების გამო. თვითმართველობის მოწინააღმდეგებს და ჩვენის საზოგადოების თვით-მოქმედების ნიჭის უარყოფელებს თითქო საფუძველი ეძლევათ, ნიში მოგვიგონ და გვითხრან, რომ ყოველი თქვენი საქმე თუ ასე უბედურად მიდის, თუ თქვენი საუკეთესო კაცები არ გამოდგნენ ასეთი უბრალო საქმის მოურავებად, როგორიც არის საურთიერთო კრედიტის ბანკი, მაშ რაღად თხოულობთ თვით-მართველობას, უფრო რთულ საქმეს თვით-მართველობისას ხომ სრულებით ვერ გაუძღვებითო?

ასეთ ნიშის მოგებას, მხოლოდ პირველის შეხვედით ეგონება კაცს, საფუძველი აქვსო. ნამდვილად კი ეს მოსაზრება შემცდარია. თუ ჩვენი საქმეები ჯერ ჯერობით ვერ მიდის კარგად, ჩვენი მოღვაწეები ვერ გამოდგნენ ყოვლად მომზადებულები საზოგადო საქმეებისათვის, ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ თვით-მართველობა ჩვენ არ გვქონია მონიჭებული. ყოველივე ნიჭი ვითარდება საქმით და ვარჯიშობით. რომ ჩვენს მოღვაწეებსაც განვითარება და უკეთესობა ეტყობა, ამას გვიმტკიცებს თვით ჩვენი უკულმართად დატრიალებული საქმეების ბედი. ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი ერთის მხრით და საუთიერთო კრედიტის ბანკი მეორეს მხრით. შევადაროთ ერთმანეთს ის მეთაურები, რომელთაც დაღუპეს პირველი და მეორე. ყველას ახსოვს, რა შეუპოვრად და უტიფრად ძირს უთხრიდნენ საადგილ-მამულო ბანკს „კალისტრატისტები“, მაშინ როდესაც საუთიერთო კრედიტის მეთაურები თავ-ჩაღუნულები და მორცხვად ჩამოეცალენ მათგან დაზარალებულ ბანკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მორცხვობაც „კარგი საქონელია“ და იმედს გვაძლევს, რომ მათი მომავალი მოადგილეები აღარ გამოიჩენენ იმავე სისუსტეს, რომლის შედეგი ეს „სირცხვილი“ იყო.

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი თავის დროზე—იანვარში ვერ გამოვიდა. თებერვალმა მოუსწრო თავის საშინელის ამბვით, რომელიც მოხდა თებერვლის 6—9 დღეებში. ამ ოთხი დღის განმავლობაში ბაქოს ქუჩებში და სახლებში მუსრავდნენ და ჟლეტდნენ ერთმანეთს სომხები და თათრები. ეს გულ-შემზარავი ამბავი—ძმათა ჟლეტა, რომელსაც თითქო გადავყევართ საშუალო საკუნეების წყვდიადში, არცხვენს ჩვენს კულტურა განათლებას, გვახასიათებს ჩვენ, კავკასიელებს, ვითარცა ველურ ხალხს.

სამწუხაროა ამ საქმეში განსაკუთრებით ის, რომ ჩვენს დროში შესაძლებელი ყოფილა ასეთი მოვლენა. ამიტომაც იყო, რომ ამ საქმეში სრული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო უფრო მიზეზის გამორკვევამ. ამბობენ, რომ მიზეზი—გარეშე გავლენა იყოო. ამის თაობაზე გამოძიება სწარმოებს, და ამიტომ სიფრთხილე და გონიერება გვავალებს, რომ ამ გამოძიების შედეგს მოვუცადოთ. მხოლოდ ის კი შეგვიძლია ვთქვათ და ეს უეჭველად მაგვაჩნია, რომ თუ გარეშე გავლენას მართლა ჰქონდა აქ ადგილი, იგი იქნებოდა მარტოოდენ ნაპერწკალი, რომელიც გადაიქცა საშინელ ცეცხლად მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილზე იპოვა მნთებარე მასალა.

ვისაც გულით და სულით უნდა, რომ ასეთი მოვლენა არ განმეორდეს შემდეგში, ის გულ-წრფელად და გულ-მხურვალედ უნდა შეუდგეს ამ მასალის გალბობას ცხოველ-მყოფელის წყაროთი. უამისოდ ვერც ცარიელი სიტყვა „ძმობა-ერთობა“ და სხვა ამისთანები, და ვერც პანაშვიდები-პარაკლისები საქმეს ვერ უშველის, როგორც ვერ გასჭრა პანაშვიდებმა-პარაკლისებმა იაპონელთა წინააღმდეგ.

იმ ცხოველ-მყოფელ წყაროს მაგიერობას, რომელზეც ჩვენ ვამბობთ, ჩვენს მდგომარეობაში იქს საერთო საქმე, მასში საერთოდ გაბმა კავკასიელ ერთა იმ წრფელის სურვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, რომ ურთიერთი ინტერესი და უფლება უსათუოდ დაცული იყოს. ასეთი საქმე რომ არ გვქონდეს კიდეც, უნდა გამოვძებნოთ. ხოლო გვაქვს ასეთი საქმე. ჩვენ, კავკასიელები დიდი ხანია ერთად ვცხოვრობთ, ერთ ტაფაში ვიწვით და ამიტომ შეუძლებელია ერთ უღელს ერთად არ შევებათ და განცალკევებით ვუცქეროთ ერთმანეთს. სამწუხაროდ არავინ არ სჩანს მოთავე, რომ საერთო უღელში შებმა და მისი გაწევა გამოიწყოს. უამისოდ ჩვენი ცხოვრება, ვიმეორებთ, შეუძლებელია. ცალ-ცალკე და განზე განდგომილის ცხოვრებით ყველანი წაგებაში ვიქნებით: ქართველებიც, სომხებიც, თათრებიც და ლეკებიც...

რედაქტორი
ალ. ჭეოანია.

აბომცემელი
ალ. ჯაბადარი